

კავკასიოლოგიური ქიჯანი

CAUCASIOLOGIC PAPERS

КАВКАЗОВЕДЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ

№7

2015



Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of Caucasiology

## **CAUCASIOLOGIC PAPERS**

Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили

Факультет гуманитарных наук

Институт кавказоведения

## **КАВКАЗОВЕДЧЕСКИЕ РАЗЫСКАНИЯ**

Tbilisi Тбилиси

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

კავკასიოლოგიის ინსტიტუტი

## **კავკასიოლოგიური კიეზანი**

თბილისი

*ავტორთა სტილი დაცულია*

*The authors' style is retained*

*Стиль авторов сохранен*

© ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

E-mail: [caucasiologic.papers@tsu.ge](mailto:caucasiologic.papers@tsu.ge); [caucasiologic.papers@gmail.com](mailto:caucasiologic.papers@gmail.com)

ვებგვერდი: <http://caucasiology.tsu.ge>

ISSN 1987-877X

**მთავარი რედაქტორი** ც. ბარამიძე (თბილისი)

**ტომის რედაქტორი** რ. ფარეულიძე (თბილისი)

**სარედაქციო კოლეგია:**

რ. აბაშია (თბილისი), ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), ლ. აზმაიფარაშვილი (თბილისი), ა. არაბული (თბილისი), ნ. არდოტელი (თბილისი), ტ. ახუნდოვი (ბაქო), ი. გაგოშიძე (თბილისი), ლ. ვარდანიანი (ერევანი), კ. ვამლინგი (მალმო), ხ. თაოვი (ნალჩიკი), ჯ. კვიციანი (თბილისი), ი. კოჯიმა (ტოკიო), მ. ი. მაჰომედოვი (მაჰაჩყალა), მ. როზინი (დონის როსტოვი), ვ. შენგელია (თბილისი).

**სარედაქციო საბჭო:**

- |                           |                            |
|---------------------------|----------------------------|
| ა. აბრეგოვი (მაიკოპი)     | ნ. მაჭავარიანი (თბილისი)   |
| ბ. ბლაჟნოკოვი (ნალჩიკი)   | ლ. მინაშვილი (თბილისი)     |
| თ. გამყრელიძე (თბილისი)   | ნ. რუხაძე (თბილისი)        |
| რ. გორდუზიანი (თბილისი)   | რ. სეფერბეკოვი (მაჰაჩყალა) |
| გ. გოცირიძე (თბილისი)     | თ. უჯუხუ (თბილისი)         |
| ს. ზედელაშვილი (თბილისი)  | ქ. ქუთათელაძე (თბილისი)    |
| ა. თიმაევი (გროზნო)       | მ. ჩუხუა (თბილისი)         |
| რ. ლოლუა (თბილისი)        | ა. ხალიდოვი (გროზნო)       |
| მ. ლორთქიფანიძე (თბილისი) | ო. ჯამბეკოვი (გროზნო)      |
| ზ. მაღაევა (მაჰაჩყალა)    | რ. ჯანაშია (თბილისი)       |

**Editor in Chief** Ts. Baramidze (Tbilisi)

**Editor** R. Pareulidze (Tbilisi)

**Editorial Staff:**

R. Abashia (Tbilisi), I. Abdullaev (Mahachkala), T. Akhundov (Baku), A. Arabuli (Tbilisi), N. Ardoteli (Tbilisi), L. Azmaiparashvili (Tbilisi), I. Gagoshidze (Tbilisi), I. Kojima (Tokyo), J. Kvitsiani (Tbilisi), M. Magomedov (Mahachkala), M. Rozin (Rostov-on-Don), V. Shengelia (Tbilisi), Kh. Taov (Nalchik), L. Vardanyan (Yerevan), K. Vamling (Malmo).

**Editorial Board:**

- |                           |                            |
|---------------------------|----------------------------|
| A. Abregov (Maykop)       | R. Lolua (Tbilisi)         |
| B. Bgazhnokov (Nalchik)   | M. Lordkipanidze (Tbilisi) |
| M. Chukhua (Tbilisi)      | N. Machavariani (Tbilisi)  |
| Th. Gamkrelidze (Tbilisi) | Z. Mallaeva (Mahackala)    |
| R. Gordeziani (Tbilisi)   | L. Minashvili (Tbilisi)    |
| G. Gotsiridze (Tbilisi)   | N. Rukhadze (Tbilisi)      |
| O. Jambekov (Grozny)      | R. Seferbekov (Mahackala)  |
| R. Janashia (Tbilisi)     | A. Timaev (Grozny)         |
| A. Khalidov (Grozny)      | T. Ujukhu (Tbilisi)        |
| Q. Qutateladze (Tbilisi)  | S. Zedelashvili (Tbilisi)  |

**Главный редактор** Ц. Барамидзе (Тбилиси)

**Редактор тома** Р. Пареулидзе (Тбилиси)

**Редакционная коллегия:**

Р. Абашиа (Тбилиси), И. Абдуллаев (Махачкала), Л. Азмайпарашвили (Тбилиси), А. Арабули (Тбилиси), Н. Ардотели (Тбилиси), Т. Ахундов (Баку), Л. Варданян (Ереван), К. Вамлинг (Мальмё), И. Гагошидзе (Тбилиси), Дж. Квициани (Тбилиси), Я. Коджима (Токио), М. И. Магомедов (Махачкала), М. Розин (Ростов-на-Дону), Х. Таов (Нальчик), В. Шенгелиа (Тбилиси).

**Редакционный совет:**

А. Абрегов (Майкоп)	М. Лордкипанидзе (Тбилиси)
Б. Бгажноков (Нальчик)	З. Маллаева (Махачкала)
Т. Гамкрелидзе (Тбилиси)	Н. Мачавариани (Тбилиси)
Р. Гордезиани (Тбилиси)	Л. Минашвили (Тбилиси)
Г. Гоциридзе (Тбилиси)	Н. Рухадзе (Тбилиси)
О. Джамбеков (Грозный)	Р. Сефербеков (Махачкала)
Р. Джанашиа (Тбилиси)	А. Тимаев (Грозный)
С. Зеделашвили (Тбилиси)	Т. Уджуху (Тбилиси)
К. Кутателадзе (Тбилиси)	А. Халидов (Грозный)
Р. Лолуа (Тбилиси)	М. Чухуа (Тбилиси)

# შ ი ნ ა ა რ ს ი

ც. ბარამიძე (თბილისი), შესავალი სიტყვა (წარმოთქმული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „კავკასიური ცივილიზაცია – ინტერდისციპლინური კვლევები“, 2015 წელი) .....15

## ენათმეცნიერება

არქიმანდრიტი ილარიონი – გიორგი ჭიღლაძე, ქართული ანბანისა და ციფრების შესახებ ..... 22

ც. ბარამიძე (თბილისი), ქართული ენის სამეცნიერო ელექტრონული ეტიმოლოგიური ლექსიკონი .....59

\* ე. ბესლოვა (გლადიკავკაზი), ფ. აბაევა (გლადიკავკაზი), ენის ლექსიკა, როგორც ინტერკულტურულ ურთიერთობათა ასახვა .....81

რ. ზეჟალაშვილი (თბილისი), ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი პერსონაჟთა მეტყველებაში (დავით კლდიაშვილის პიესებისა და მოთხრობების მიხედვით) .....82

ა. კვასაძე (თბილისი), საერთაშორისო-ადილური ლატერალთა სისტემა .....99

რ. კანარკოვსკი (კრაკოვი), დაღესტნურ ენათა ისტორიულ-შედარებითი აქცენტოლოგიისათვის .... 111

რ. ლელუა (თბილისი), უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის თავისებურებანი. ონსონანტიზმი .....124

\* მ. ი. მაჰომედოვი (მაჰაჩყალა), დაღესტნის უმწვერლობო ენათა სოციოლინგვისტური დახასიათება .....145

ლ. ნიჟარაძე (თბილისი), ბესარიონ ნიჟარაძე სვანეთში დაცული სახარებისეული ხელნაწერების შესახებ.....146

\* ა. ი. ხალიდოვი (გროზო), ერთიანი ანბანი თუ „რბილი“ უნიფიკაცია? .....165

## ისტორია

\* ტ. მ. აიტბეროვი (მაჰაჩყალა), შ. მ. ხაფიზოვი (მაჰაჩყალა), ერეკლე II-ის წერილები ხუნძეთის თემებისადმი (ჭამალაღი, ტინდი, თომურაღი) (XVIII ს-ის მე-2 ნახევარი).....176

ზ. გუმაშვილი (თელავი), ნახების ცივილიზაციამდელი საზოგადოება და მათი განსახლების არეალი .....177

ი. ვეშაგურიძე (თბილისი), წოვათუშების საქართველოში XVII ს-ში გადმოსახლების შესახებ არსებული მოსაზრებების კრიტიკული განხილვა .....185

ნ. პაპუაშვილი (თბილისი), რაინგსი და კ. კოსი კავკასიის ალბანეთის შთამომავალთა შესახებ ..... 204

\* ვარსკვლავით აღნიშნული სათაური ეკუთვნის სტატიის რეზიუმეს.

**ქ. ქუთათელაძე (თბილისი), „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“**  
მოსხენიებული უძველესი ქართული ღვთაება „გა/გაიმი“ სვანური ფოლკლორული  
მასალების ფონზე ..... 212

**ე. ხაინდრავა (თბილისი), ამილახვართა ეპიტაფიები სამთავისიდან (XVIII ს.) ..... 242**

**\* შ. მ. ხაფიზოვი (მახაჩყალა), მ. გ. შუჰმაჰომედოვი (მაჰაჩყალა), მთიანი ხუნძეთის**  
ცენტრის ისლამიზაციის საკითხისათვის ჰიდათელელი ჰაჯი უდურათის ბიოგრაფიის  
მაგალითზე ..... 271

**\* ს. ჯამირზაევი (გროზნო), ადათი, როგორც კავკასიური ცივილიზაციის სულიერი**  
სეგმენტი (ტურიზმის და მასპინძლობის აქტუალური პრობლემები ჩეჩნეთში) ..... 276

**ს. ზედელაშვილი (თბილისი), მუხამადტახირ ალ-კარახის ნაშრომი ..... 277**

**არქეოლოგია**

**ი. ანჩაბაძე (თბილისი), ფარის უმბონებისა და ე.წ. „წებელდური ტიპის“ ცულების**  
წარმოშობის საკითხები გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების კოლხეთში ..... 291

**\* თ. შური (ფილადელფია), ა. იარდუმინი (ფილადელფია), რამაზ შენგელია (თბილისი),**  
**ლიანა ბითაძე (თბილისი), დავით ჭითანავა (თბილისი), შორენა ლალიაშვილი (თბილისი),**  
**ირმა ლალიაშვილი (თბილისი), აკივა სანდერსი (ფილადელფია), ედრიუ აზამი (ფილადელფია),**  
**ვიქტორ გრონერი (ფილადელფია), კრისტი ედლესონი (ფილადელფია), მიგუელ გ. ვილარი**  
**(ვაშინგტონი), სვანეთის (საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი) მოსახლეობის გენეტიკური**  
**მრავალგვარობა და ისტორია ..... 306**

**ეთნოლოგია**

**ზ. კიკვიძე (თბილისი), წმინდა გიორგი – ზოგადკავკასიური ღვთაება (წარმართობიდან**  
ქრისტიანობამდე) ..... 339

**ლიტერატურა, ფოლკლორი**

**ნ. ზუმბაძე (თბილისი), ქ. მათიაშვილი (თბილისი), ქართული ტრადიციული მუსიკის ზოგიერთი**  
**პარალელის შესახებ ჩეჩურსა და დაღესტნურთან (საექსპედიციო აუდიოჩანაწერების**  
**შედარებითი შესწავლის ცდა) ..... 349**

**ნეკროლოგი**

**იან ბრაუნი ..... 369**



# Contents

## Linguistics

<b>Archimandrite Hilarion (Giorgi Chighladze) (Tbilisi)</b> , Regarding the Georgian Alphabet and Numbers.....	38
<b>Ts. Baramidze (Tbilisi)</b> , Online Trilingual Etymological Dictionary of the Iberian-Caucasian Languages .....	53
<b>E. Besolova (Vladikavkaz), F. Abaeva (Vladikavkaz)</b> , Lexicon as a Reflection of the Intercultural Relations.....	72
<b>* R. Zekalashvili (Tbilisi)</b> , Functional-Pragmatic Analysis of the Phatic Communication in the Speech of the Literary Personages .....	97
<b>R. Kanarkowski (Cracow)</b> , Towards historical-comparative accentology of Daghestanian languages .....	118
<b>* R. Lolua (Tbilisi)</b> , Peculiarities of the Udi phonological system. II. Consonant system .....	139
<b>M. I. Magomedov (Makhachkala)</b> , Sociolinguistic Characteristics of unwritten Languages of Dagestan.....	143
<b>* L. Nizharadze (Tbilisi)</b> , Bessarion Nizharadze About the Manuscripts of Svaneti .....	159
<b>I. Khalidov (Grozny)</b> , Unified alphabet or „soft” unification?.....	164

## History

<b>T. M. Aytberov (Makhachkala), Sh. M. Khapizov (Makhachkala)</b> , Letters of Irakli II to the Avar communities (Chamalal, Tindi and Tomural) (Second half of the XVIII c.) .....	173
<b>Z. Gumashvili (Telavi)</b> , Nakhs society before the civilization and the borders of their accommodation .....	184
<b>I. Veshaguridze (Tbilisi)</b> , 17 <sup>th</sup> c. Migration of Ts’ova-Tushs to Georgia: A Critical Study of Prevailing Theories .....	196
<b>N. Papuashvili (Tbilisi)</b> , Reineggs and Koch about the ancestors of Caucasian Albanians .....	208
<b>* K. Kutateladze (Tbilisi)</b> , The Ancient Georgian Deity “Ga/Gaim” Against a Background of Svanetian Folklore According to “Moktsevai Kartlisa” and “Kartlis Tskhovreba” .....	239
<b>E. Khaindrava (Tbilisi)</b> , The epitaphs of the Amilakhvari house in Samtavisi ( XVIII c.) .....	253
<b>Sh. M. Khapizov (Makhachkala) , M. G. Shekhmagomedov (Makhachkala)</b> , Islamization of the central part of mountain Avaria in the XV century., For example, the biography of Haji Udurat from Hidatl .....	261
<b>S. Jamirzaev (Grozny)</b> , Adat as a spiritual segment of Caucasian civilization (topical issues of tourism and hospitality in Chechnetya) .....	276
<b>I. L. Babich (Moscow)</b> , Interviews with Nikoloz Chavchavadze (1920-1980s).....	287

---

\* A title marked with asterisk applies to a summary of a work.

### **Archaeology**

- I. Anchabadze (Tbilisi)**, About the origins of the shield umbos and "Tsebelda type axes" found in Colchis (IV-VII centuries AD) .....296
- Th. G. Schurr (Philadelphia), Aram Yardumian (Philadelphia), Ramaz Shengelia (Tbilisi), Liana Bitadze (Tbilisi), David Chitanava (Tbilisi), Shorena Laliashvili (Tbilisi), Irma Laliashvili (Tbilisi), Akiva Sanders (Philadelphia), Andrew Azzam (Philadelphia), Victoria Groner (Philadelphia), Kristi Edleson (Philadelphia), Miguel G. Vilar (Philadelphia)**, Genetic Diversity and Population History in Svaneti, Northwestern Georgi .....319

### **Etnology**

- Z. Kikvidze (Tbilisi)**, Saint George – Common Caucasian Deity (From its Origin to Christianity) .....343

### **Literature, Folklore**

- N. Zumbadze (Tbilisi), K. Matiashvili (Tbilisi)**, On Some Parallels of Georgian Traditional Music with Chechen and Daghestani Music (Attempt for the comparative study of expedition audio recordings) .....355

## С о д е р ж а н и е

<b>Ц. Барамидзе (Тбилиси),</b> Вступительное слово на Международной научной конференции „Кавказская цивилизация: междисциплинарные исследования” .....	18
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----

### Языкознани

<b>Ц. Барамидзе (Тбилиси),</b> Трёхязычный электронный этимологический словарь грузинского языка .....	61
<b>Е. Б. Бесолова (Владикавказ), Ф. О. Абаева (Владикавказ),</b> Лексика языка как отражение интеркультурных связей .....	63
<b>Р. Зекалшвили (Тбилиси),</b> Функционально-прагматический анализ фатической коммуникации в речи персонажей (по пьесам и рассказам Давида Квдиашвили).....	90
<b>А. Квахадзе (Тбилиси),</b> Общеабхазо-адыгская система латералов .....	105
<b>Р. Канарковски (Краков),</b> К вопросу сравнительно-исторической акцентологии дагестанских языков .....	123
<b>Р. Лолуа (Тбилиси),</b> Особенности фонологической системы удинского языка. II. Консонантизм .....	132
<b>* М. И. Магомедов (Махачкала),</b> Социолингвистическая характеристика бесписьменных языков Дагестана .....	140
<b>Л. Нижарадзе (Тбилиси),</b> Виссарион Нижарадзе о сванских рукописях (Евангелия) .....	153
<b>А. И. Халидов (Грозный),</b> Единый алфавит или «мягкая» унификация?.....	160

### История

<b>Т. М. Айтберов (Махачкала), Ш. М. Хапизов (Махачкала),</b> Письма Ираклия II аварским общинам (Чамалал, Тинди и Томурал) (2-ая половина XVIII в.) .....	169
<b>З. Гумашвили (Телави),</b> Доцивилизационные общества нахов и ареал их расселения .....	181
<b>И. Вешагуридзе (Тбилиси),</b> Критический анализ вопроса о переселении цоватушинцев в Грузию в XVII веке .....	203
<b>* Н. Папуашвили (Тбилиси),</b> Й. Райнегс и К. Кох о потомках кавказских Кавказских Албанцев.....	211
<b>* К. Кутателадзе (Тбилиси),</b> Древнейшее грузинское божество «Га/Гаим», упомянутое в «Картлис Цховреба» и «Мокцеваи Картлиса» на фоне сванского фольклорного материала .....	228
<b>* Э. Хаиндрава (Тбилиси),</b> Эпитафии Амилахвари из Самтависы (XVIII в.) .....	260
<b>Ш. М. Хапизов (Махачкала), М. Г. Шехмагомедов (Махачкала),</b> К вопросу об исламизации центра горной Аварии в XV в., на примере биографии хаджи Удурата из Гидатля .....	266
<b>С. Джамирзаев (Грозный),</b> Адады как духовный сегмент кавказской цивилизации (актуальные проблемы туризма и гостеприимства в Чечне) .....	272
<b>С. Зеделашвили (Тбилиси),</b> Биографический труд Мухаммад Тахир аль-Карахи .....	280
<b>И. Л. Бабич (Москва),</b> Интервью с Нико Чавчавадзе.....	282

\* Заглавие, отмеченное звездочкой, относится к резюме статьи.

### **Археология**

- \* **И. Анчабадзе (Тбилиси)**, О происхождении позднеантичных и раннесредневековых умбонов и «Цебельдинских топоров», найденных на территории древней Колхиды .....299

### **Литература, фольклор**

- \* **Н. Зумбадзе (Тбилиси), К. Матиашвили (Тбилиси)**, О некоторых параллелях грузинской традиционной музыки с чеченской и дагестанской (опыт сравнительного изучения экспедиционных аудиозаписей) .....359

### **Некролог**

- Иян Браун .....371

а б в г д е ж з и й к л м н о п р с т у ф х ц ч ш щ ъ ы

Linguistics

Языкознание



**ც. ბარამიძე (თბილისი)**

**შესავალი სიტყვა (წარმოთქმული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე  
„კავკასიური ცივილიზაცია – ინტერდისციპლინური კვლევები“, 2015 წელი)**

მოგესალმებით კონფერენციის მონაწილეებო, პატივცემულო სტუმრებო!

ჩვენ, კავკასიელები, ერთი მთის შვილები ვართ; ერთნაირ ბუდეებს ვიშენებთ ისტორიის მანძილზე კავკასიონის კალთებზე, მხოლოდ ელფურია განსხვავებული; ჩვენ ერთი ძირის ენებზე ვმეტყველებთ, ერთიანი ეთნოკულტურული მემკვიდრეობა გაგვანია, ერთი ცა გვხურავს და ერთი მიწა იძვრის ჩვენს ფეხთა ქვეშ, ისტორიაც ერთი გვაქვს და თანამედროვეობაც, მომავალიც ერთი უნდა გვქონდეს. უერთმანეთოდ ჩალის ფასი აქვს ცალკეულ ჩვენგანს, ჩალასავით მალე მოგვედუბა ისტორიის ცეცხლი და მტვრად გვაქცევს. ყოველი გამქრალი ხალხი და ენა კი დაკარგული კაცობრიული ცოდნაა სამყაროს შესახებ, რომელიც ვედარასოდეს აღდგება. ამის საშიშროება ჩვენი სახლის კართან დგას, თუ უკვე ზღვრულს არ გადმოაბიჯა, ამის მაგალითი კი, სამწუხაროდ, არაერთია კავკასიაში. ხურიტთა, ურარტუელთა, ლელეგთა, ალბანთა, უბიხთა, ქანელთა და სხვა დაკარგული ენისა და ხალხის ხსოვნა გვაფხიზლებს და გვაგაღებულვებს, ვიმოქმედოთ, გადავდგათ ნაბიჯი ერთმანეთისკენ მაშინაც კი, როცა გარეშე ძალის ინსპირაციით ძმათა შორის სისხლია დაღვრილი, მაშინაც კი, როცა წარმოუდგენლად გვესახება ურთიერთმიმტვევებლობა. გულწრფელად დაებრუნდეთ კავკასიურ ტოლერანტობაში და ვიზრუნოთ კავკასიური ცივილიზაციის შენახვისა და გადარჩენისათვის. თუ ასე არ მოვიქცევით, „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკა უფრო დღეგრძელი აღმოჩნდება და უახლოეს მომავალში კავკასიური ცივილიზაციისაგან აღარავფერი დარჩება, ტერიტორიის გარდა. ტერიტორია კი სწორედ ის არის, რაც ასე ანდამატივით იზიდავდა ყოველი დროისა და რჯულის დამპყრობელს კავკასიაში. გავისხენოთ, ისტორიის მანძილზე თუ მოსულა რომელიმე დამპყრობელი, რომელსაც კავკასიის მხოლოდ რომელიმე ქვეყნის ხელში ჩაგდება სურდა, ვთქვათ, ქართლი იგდო ხელთ და ალბანეთი არ დალაშქრა; ასეთი არ მომხდარა; ჩვენ ერთი და ერთიანი ისტორია გვაქვს.

მეცნიერება აღიარებს კავკასიური ცივილიზაციის არსებობას, ცივილიზაციის ყოველი საკლასიფიკაციო ნიშანი კავკასიას დღემდე მტკიცედ შემოუნახავს, მიუხედავად იმისა, რომ ათასწლეულების განმავლობაში კავკასიის უღელტეხილებს სერავდნენ მახლობელი და ზოგჯერ შორეული იმპერიებიც. ცხადი იყო, ვისაც კავკასიის კარიბჭის გასაღები ეპყრა, ის აკონტროლებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ასეთი იყო კავკასიის გეოპოლიტიკური ბედისწერა, ასეთია იგი დღეს და ასეთივე იქნება მომავალშიც. კავკასიის ტრაგედია მის გეოგრაფიული მდებარეობაა. კავკასიამ ისტორიული ბედისწერით გაცილებით მეტი დაკარგა, ვიდრე შეიძინა.

კავკასიური ცივილიზაციის ინტეგრალურ ნიშანთაგან ყველაზე მტკიცე სწორედ ის აღმოჩნდა, რომელსაც უფრო არამატერიალური სახე აქვს, ეს არის კულტურულ-ცივილიზაციური ინტეგრალური ნიშანი, კავკასიური მენტალიტეტი, კავკასიური ღირებულებები, ხოლო დანარჩენი ორი – გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური – მყიფე აღმოჩნდა თავად კავკასიელებისათვის. ჩვენ ვერ

შეგქელით ისტორიის მანძილზე ვერც გეოპოლიტიკური და ვერც გეოეკონომიკური ინტეგრაცია. ამიტომაც ყოველთვის გარეშე ძალა იყენებდა წარმატებით იმას, რაც ჩვენ ვერ შეგქელით.

რატომ ვერ შეგქელით, რა არის მთავარი ისტორიული შეცდომა? ჩვენ ხომ ძლიერი, დომინანტური მატრიცა – კავკასიელობა გაგვანდა და გაგვანია დღემდე. კულტურულ-ცივილიზაციურმა ინტეგრალურმა ნიშანმა მხოლოდ კავკასიური იდენტობის მეხსიერებაში მყარად ჩაბეჭდვა მოახერხა. ეს სწორედ ის არის, რამაც გადაგვარჩინა და რაც ასე აღუქმელი რჩებოდა კავკასიაში დამპყრობლად მოსულისათვის; მაგრამ კულტურულ-ცივილიზაციური ნიშანი, თავისი თვითმყოფადობის მიუხედავად, ვერ გახდა გარანტი გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტეგრაციისას. კავკასიურ ცივილიზაციაში უცვლელი მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე იყო – ორ ზღვას შუა გადაჭიმული სივრცე, რომელიც ისტორიულად ასრულებდა და ასრულებს დღესაც „BORDER LAND“-ის კორიდორის, შემაკავშირებელი ხიდის ფუნქციას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ იმპერიათა ინტერესები, ზოგჯერ იმსხვრეოდა აქ ეს ინტერესები; აქ მოდიოდნენ უფრო აღმოსავლური, ვიდრე დასავლური კულტურები და კავკასიელდებოდნენ მაშინაც კი, როცა ენას ინარჩუნებდნენ, რადგანაც ძლიერი იყო კავკასიური კულტურის დომინანტური მატრიცა, კავკასიური ღირებულებები – ადიღე ხაბზე, ნოხჩადა, ზნეობრივი კოდექსები, ადათ-წესები, რომელთათვისაც ადამიანი იყო უმაღლესი ღირებულება.

ვეროპის გეოგრაფიული სივრცე პერიოდულად იცვლებოდა, უცვლელი იყო ინტეგრირების ინტერესები. ვეროპული ღირებულებები წარმოშობით კავკასიურია. ის რაც კავკასიელი ხალხებისთვის ორგანული იყო საუკუნეთა განმავლობაში, რაც უფრო რეალიზდებოდა, ვიდრე რომელიმე ქვეყნის კონსტიტუცია, ვეროპამ წინააღმდეგობრივი საუკუნოვანი სირთულეებით – ძლივს შვა, ისიც XX–XXI საუკუნეთა გასაყარზე. ვეროპამ სწორედ ეს ღირებულებები ჩაუყარა საფუძვლად ვეროპულ სახლს, რომელში დაბრუნებასაც ჩვენ ასე მივესწრავით; ამგვარი ლოგიკით ჩვენ ვბრუნდებით ჩვენსავე სახლში, საკუთარ თავში, საკუთარ ისტორიულ ღირებულებებში და გვეგონია, რომ ეს ღირებულებები სხვისია და ახლა უნდა შევიძინოთ. ვეროპამ ღირებულებათა ინტეგრალური ნიშანი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტეგრაციის წინაპირობად გამოიყენა კავკასიას კი ეს დღეს არ შეუძლია, რადგან კავკასიის სუბიექტები განსხვავებულ პოლიტიკურ სივრცეებში არიან, კავკასიელი ხალხების ცნობიერი ჯერ არ არის მზად, აღიქვას ინტეგრაციის გარდაუვალი აუცილებლობა, კავკასიელი ხალხები დღეს არ იბრძვიან ასეთი მომავლისთვის. მეტიც, უკიდურესად ნიჰილისტურად არიან განწყობილი ერთიანი კავკასიური სახლისადმი, რომლის ცალკეულ კედელს ცალკეული ხალხი წარმოადგენს. ხანდახან ეს კედლები, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთს ამაგრებდნენ, ე. წ. ფსევდოეთნოკონფლიქტებსაც ქმნიან და ანგრევენ იმას სხვათა ხელით, რაც ღმერთმა გვიბოძა. ისტორიის სიმკაცრე დავიწყებულია, მხოლოდ დღეის დღით ვცხოვრობთ და არ შეგვიძლია, განვჭვრიტოთ მომავალი. გვავიწყდება, რომ იდეა უფრო დღევრძელია, ვიდრე რომელიმე რეჟიმი; ამ იდეამ გაუძლო საუკუნეებს და კიდევ გაუძლებს, ვიდრე თუნდაც ერთი ხალხი ან ერთი ადამიანი იბრძვის მის განსახორციელებლად. თავისუფლებას ლანგრით არ მოგართმევენ. მის მოპოვებას ოფლი და სისხლი სჭირდება. მათ კი სხვა, ჩვენ ნაცვლად, არ დაღვრის.

ჩვენ, კონფერენციის მონაწილენი, დღეს მხოლოდ ერთ აგურს დავდებთ იმ ათასწლობით ნაშენებ შენობის კედლებზე, რომელსაც „კავკასიური სახლი“ ჰქვია, რომლის დასრულებასაც კიდევ დიდი დრო და ენერჯია დასჭირდება, მაგრამ იგი აუცილებლად აშენდება; ამას ითხოვს ისტორიის კანონზომიერებანი, ისტორიული გარდაუვალობა. მთავარი საკითხავი აქ ის არის, რამდენად სწორად განვჭვრიტეთ ჩვენ, ამ ეპოქის შეიღებმა, ეს გარდაუვალობა, რამდენად ზუსტად შევაფასეთ რეალობა და ამ რეალობაში კავკასიელი ხალხების შესაძლებლობანი, როგორ ვიდგაწვით კავკასიური ცივილიზაციის ბეპერი, მაგრამ სასიცოცხლო ენერჯიით აღსავსე ცივილიზაციის, გადარჩენისათვის, როგორ შევაფასეთ იმ თაობათა და მოღვაწეთა ნაამაგარი, რომლებიც თავს სწირავდნენ კავკასიურ იდეას.



ჩვენ ვსწავლობთ და ვიკვლევთ კავკასიურ ცივილიზაციას, მის მულტილინგვიზმსა და მულტიკულტურალიზმს, მის ბიომრავალფეროვნებას, მის ნედლეულსა და რესურსებს, მის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პერსპექტივებს, მის ფსევდოეთნოკონფლიქტებს, ჩვენ ვამსხვრევთ თავსმოხვეულ სტერეოტიპებს, ნიჰილისტურ განწყობებს, რომლის მიხედვითაც, ჩვენ, კავკასიელებს, არ შეგვიძლია საერთო ენის პოვნა, თუ მესამე ძალა არ ჩადგა ჩვენ შორის. ჩვენ გავარდევით ურთიერთგაუცხოების კედელს და აუცილებლად გავუწვდით ხელს ერთმანეთს, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ, მომავალი თაობა შეძლებს; ამისთვის ყველა რესურსი უნდა იყოს გამოყენებული, მათ შორის, კავკასიური ადათები, რომელთა მიხედვითაც, ორ ძმას შორის დაპირისპირებას მესამე ძმა აგვარებს და არა მესამე ძალა; ჩვენ, მეცნიერები, ზუსტად შევაფასებთ რისკფაქტორებს, რომელთა მიხედვითაც დღეს უკვე ჩრდილოკავკასიური ენები მინორიტარულ ენათა რიგს მიეკუთვნება და საბოლოო ასიმილაციისაკენ მიექანება; ჩვენ შევქმნით მეცნიერულ საფუძვლებს, წანამძღვრებს იმისათვის, რომ კავკასიის ყოველი ხალხის, ამ ხალხების ყოველი ადამიანის გულსა და ტვინამდე მივიდეს ეს განგაში, აღძრას მასში ეროვნული იდენტობის ტკივილი და ამ გრძნობამ გააზრებული ქმედებისაკენ განაწყოს ყოველი.

Ц. Барамидзе (Тбилиси)

**Вступительное слово на Международной научной конференции „Кавказская цивилизация: интердисциплинарные исследования”**

Уважаемые участники и гости конференции!

.... Разрешите приветствовать Вас в связи с началом работы Международной научной конференции. Мы, кавказцы, – дети гор. На протяжении всей нашей истории, конечно, с небольшими различиями, но в целом одинаково мы вьём гнезда на склонах Кавказских гор. Мы говорим на родственных языках, у нас единое этнокультурное наследие, все мы на одной земле живём и под одним небом ходим, и история у нас одна, и современность одна, и будущее у нас должно быть общим. Друг без друга мы ничто, исторический вихрь сметёт нас на свалку истории. А каждый народ, исчезнувший с лица земли, и каждый умерший язык, – это утраченные человечеством знания о мире, которые никогда не восполнятся. Мы уже лицом к лицу столкнулись с этой опасностью. Эта опасность приблизилась к порогу нашего дома, если она уже не переступила этот порог, а таких примеров, к сожалению, довольно много на Кавказе. Память об исчезнувших языках и народах, о хурритах, урартийцах, лелегах, албанцах, убыхах, жаннах побуждает нас к действию, обязывает нас сделать шаг навстречу друг другу и в том случае, если в результате инспирации внешних сил проливается братская кровь и невозможной кажется проявление терпимости. Именно поэтому нам следует заботиться о спасении и сохранении кавказской цивилизации, без чего долговечной окажется политика «разделяй и властвуй», а от кавказской цивилизации останется только территория. Именно территория притягивала на Кавказе взоры завоевателей всех времен и мастей. На протяжении всей нашей истории не было случая, когда какой-либо завоеватель желал завоевать на Кавказе только какую-то одну страну, скажем, Картли, но не хотел идти на Албанию. Такого никогда не было. У нас одна единая история. У нас одна общая история.

Наука признает существование кавказской цивилизации, и каждый классификационный признак сохранился на Кавказе и поныне, несмотря на то, что перевалы Кавказа покоряли как ближние, так и дальние империи. Было ясно, что тот, кто обладал ключами от Кавказа, контролировал Восток и Запад, Север и Юг. Такой была геополитическая судьба Кавказа, такой она является сегодня, и такой она будет и в будущем. Трагедия Кавказа определяется ее географией. По воле исторической судьбы Кавказом значительно больше было потеряно, чем приобретено.

Среди интегральных признаков Кавказа самым сильным оказался нематериальный, в частности культурно-цивилизационный интегральный признак, кавказский менталитет, кавказские ценности, а остальные два, а именно геополитический и геоэкономический, оказались менее устойчивыми для самих кавказцев. На протяжении всей нашей истории мы не смогли добиться ни геополитической, ни геоэкономической интеграции. Именно поэтому внешние силы успешно использовали то, что мы не могли разумно использовать.

Почему мы не смогли этого сделать, в чем заключалась наша историческая ошибка?

У нас же была и есть сильная доминантная матрица – мы кавказцы. Культурно-цивилизационный интегральный признак смог лишь прочно запечатлеться в памяти кавказской идентичности. Но именно это и спасло нас, и именно это не воспринималось пришедшими на Кавказ захватчиками. Однако несмотря на свою самобытность, культурно-цивилизационный интегральный признак смог стать гарантом для геоэкономической и геополитической интеграции. В кавказской цивилизации неизменным было только пространство –

пространство, протянувшееся между двумя морями, которое исторически выполняло и выполняет функцию BORDERLAND, роль коридора, моста между Востоком и Западом, здесь сталкивались друг с другом интересы империй, но иногда эти интересы здесь и терпели крушение. Сюда проникали элементы более восточной, чем западной культуры, которые быстро становились кавказскими, ибо весьма сильной была кавказская доминантная матрица, значимыми были кавказские ценности – адыгэ хабзэ, нохчала, нравственные кодексы, адаты, дял которых высшим мерилom был человек.

Географическое пространство Европы периодически менялось, но неизменными оставались интересы интеграции. Европейские ценности по своему происхождению являются кавказскими. Преодолев вековые противоречия, Европа, наконец, на рубеже двадцатого и двадцать первого веков обрела то, что для кавказских народов было органичным на протяжении веков и чему следовали больше, чем какой-либо Конституции. Именно эти ценности были положены Европой в основу «Европейского дома», в который мы так стремимся вернуться. По этой логике мы возвращаемся в свой дом, к собственным историческим ценностям, и думаем, что эти ценности чужие и мы сейчас должны к ним приобщиться. Интегральный признак ценностей стал для Европы предпосылкой для геоэкономической и геополитической интеграции. Кавказ же сегодня не может этого сделать, так как субъекты Кавказа находятся в ином политическом пространстве, кавказский народ еще не готов для осознания необходимости интеграции, кавказские народы сегодня не борются за такое будущее. Более того, преобладает крайне нигилистический настрой по отношению к единому Кавказскому дому, каждая стена которого – это отдельный народ. Однако иногда эти стены вместо того, чтобы поддерживать друг друга, разжигают псевдоэтноконфликты и чужими руками разрушают то, что дано нам Господом. Нами забыта неумолимость истории, мы живем только сегодняшним днем и не желаем проникнуть в будущее. Мы забываем о том, что идея более долговечна, чем какой-либо режим. Эта идея прошла сквозь века. И она будет жить до тех пор, пока хотя бы один народ или же даже один человек будет стремиться ее осуществить. Свободу никто не преподнесет нам на подносе, Для ее завоевания нужно приложить много усилий, пролить немало пота, а этого никто не сделает вместо нас.

Мы, участники Конференции, выложим кирпичом стену того Дома, который строится тысячелетиями и который называется «Кавказским домом». На завершение этого строительства уйдет еще много времени и энергии, но он обязательно завершится. Этого требуют исторические закономерности и историческая неизбежность. Главное состоит в том, насколько правильно мы сможем оценить возможности кавказских народов в создавшейся реальности, как мы будем бороться за возрождение старой, но полной жизненной энергии цивилизации, как мы оценим вклад тех поколений, которые приносили себя в жертву ради кавказской идеи.

Мы изучаем и исследуем кавказскую цивилизацию, ее мультилингвизм и мультикультурализм, ее биомногообразие, ее полезные ископаемые и ресурсы, ее геополитические и геоэкономические перспективы, ее псевдоэтноконфликты, мы разрушаем навязанные нам стереотипы, нигилистические настроения, согласно которым мы, кавказцы, не можем найти общего языка, если между нами не стоит третья сила. Мы сможем разрушить стену взаимного отчуждения и обязательно протянем друг другу руки. То, что не смогли сделать мы, сможет сделать будущее поколение. Для этого должны быть использованы все ресурсы, в том числе кавказские адаты, согласно которым противоречия между двумя братьями улаживает третий брат, а не третья сила. Мы, ученые, точно оценим риск-факторы, согласно которым северокавказские языки сегодня уже стоят в ряду миноритарных языков и очень близки к окончательной ассимиляции. Мы создадим научные основы, способствующие пробуждению в народах Кавказа, в каждом представителе кавказских народов боли национальной идентичности, что должно побудить каждого к осознанным деяниям.

Разговоры о том, что царская, а затем Советская Россия агрессивными военными действиями и агрессивными территориально-административными и аграрными реформами нанесла значительный урон кавказской цивилизации, теряют всякий смысл, если по-новому не будут переосмыслены будущие перспективы Кавказа как единого региона, Кавказа как единого организма. Эти перспективы, судя по сегодняшнему дню, не совсем обнадеживающие. Сегодня, когда на международной геополитической доске в руках крупных политических игроков пешками могут оказаться даже такие крупные субъекты, как Украина и Иран, эта реальность ставит большой вопросительный знак относительно кавказского вопроса. Сегодня я не вижу на Кавказе ни одного

субъекта, который так глобально рассматривал бы этот вопрос и предпринимал бы какие-либо конкретные шаги по укреплению взаимосотрудничества. Кавказский вопрос сегодня не ставится и он не решается самим кавказским народом, ничего уже не говорю о государственных структурах, кавказский вопрос разрабатывается только за пределами Кавказа. Следовательно, из-за инертности кавказцев, судьба Кавказа находится не в их руках. К какому результату пришел Кавказ исторически в результате такого подхода знаем мы, ученые. К какому политическому пространству не принадлежали бы субъекты Кавказа, они в первую очередь являются странами Кавказского региона и поэтому они должны интегрироваться друг с другом. Возможно, сегодня Грузия или какая-либо другая страна имеют больше перспектив и обязанностей, чем другие кавказские страны, но это вовсе не говорит об их особом положении. Вспомним другое время, когда северо-западный Кавказ – Черкесия и северо-восточный Кавказ – проливали кровь, а Орбелиани гордился героическими делами «Дагестанских гор». Эти дела оплакивал только Илья Чавчавадзе, только он был носителем идеи единого Кавказа: «Когда же настанет то время, когда народы Кавказа объединятся вокруг общей идеи и будут стремиться к общей цели», – писал он в своем произведении «Призрак». Нами, кавказцами, должна быть осмыслена главная историческая ошибка: скажем, в этой войне не смогли объединиться Восток и Запад, а Юг вовсе ушел от исторической ответственности. Такими были ошибки в истории Кавказа в прежние эпохи, но эти же ошибки повторяются и сейчас. Актуальными остаются идеи царя Парнаваза, Леонтия Мровели, Ильи Чавчавадзе, Иванэ Джавахишвили, Арнольда Чикобава, Константина Гамсахурдия и других. Сегодня это жизненная задача нашего поколения.

Думаю, что настало время, когда мы должны понять, что псевдотноконфликты в Карабахе, Абхазии и Самачабло не принесут успеха ни одному этносу, не поможет ни саммит Минска и никакой другой, для обеих сторон конфликты завершатся крахом. В этом противостоянии победит другая сила, а именно инспиратор.

Правда, государственные институты по определенным причинам не желают да и не могут решить этот вопрос, однако существует сила, являющаяся творцом истории. И это народ. Если народ осмыслит свое будущее и решит действовать, то его не сможет остановить никакая система и никакой режим. В кавказских нравственных кодексах, в адатах, в исторических формах быта и культуры, которые, к счастью, ни один из пришельцев не смог до конца уничтожить, содержатся большие ресурсы для гражданских институций и именно их следует привести в действие, так как изменения снизу всегда заканчиваются изменениями сверху и всегда в пользу интересов нижних слоев.

Пока мы, абхазцы, грузины, осетины, азербайджанцы и армяне не осознаем, что мы дети одного народа и что у нас земля уходит из-под ног, пока мы не научимся видеть взаимные интересы, не научимся прощать друг друга и не разрушим остатки советских жизненных и моральных стереотипов поведения, у нас не будет перспектив для создания желаемого единства – Кавказ не сможет принадлежать самому себе и осуществлять свои геополитические, геоэкономические и культурно-цивилизационные функции до тех пор, пока он будет оставаться пешкой на геополитической доске, а пешку история довольно часто выбрасывает на свалку истории.

Я говорю о геополитике и геоэкономике потому, что только полноценное функционирование этих двух векторов может способствовать правильному функционированию третьего, на мой взгляд, главного вектора, в частности культурно-цивилизационного вектора.

Кавказ обладает богатыми природными ресурсами, поэтому страны Кавказа могут приносить друг другу взаимную пользу путем реального использования этих ресурсов: мы должны разрушить сложившиеся стереотипы, будто у нас вообще ничего нет.

Страны Кавказа могут выполнять функцию ключа и замка на международной геоэкономической арене (например, Грузия и Азербайджан), так как они могут выполнять мега-геополитические энерготранзитные функции. Геоэкономические транзитные пересечения должны осуществляться в четырех направлениях: с севера на юг (например, энергоресурсы с севера на юг), с востока на запад (Баку – Джейхан), однако это не должно быть за счет суверенитета стран – субъектов Кавказа, находящихся на геоэкономической орбите, и здесь Россия не должна говорить Европе, что она в любой момент может перекрыть энерготранзит, например здесь же, около Гори. Однако, к сожалению, сегодня реальность такова, ибо, как я уже говорила, сегодня субъекты Кавказа не объединены общими интересами и они ищут пути спасения не в Кавказском регионе, а вне Кавказа.

Кавказ обладает геополитическими ресурсами. Мы должны разбить стереотипы, будто мы не можем распоряжаться собственной судьбой и мы обязательно должны быть пешками в руках большого политического игрока. И, наконец, среди мировых цивилизаций Кавказ является одной из самобытных цивилизаций, жизненные энергии которой сходны с древом жизни Кавказа: история обломала ей ветки, однако сердце его не перестало биться, да и корни остались нетронутыми. Кавказ вновь может удивить мир до сих пор неоткрытыми тайнами, Зезвой и Мзией, своей письменностью как одним из важнейших критериев цивилизации, новыми и новейшими открытиями, которые будут представлены на нашем форуме. Все эти открытия являются культурно-цивилизационными, однако хочу отметить, что культурно-цивилизационный параметр не может существовать отдельно без двух важнейших параметров, а именно без геополитических и геоэкономических параметров. Если мы добывали и обрабатывали железо, то, следовательно, оно имело сферу своего использования, если мы создали культуру, которая была древнее культуры Урука, то значит мы имели взаимоотношения с другими культурами.

Геополитические, геоэкономические факторы вместе с культурно-цивилизационными факторами создают триединую систему и при выпадении из этой системы хотя бы одного звена, опасность будет угрожать единству цивилизации. Перед такой опасностью оказалась когда-то кавказская цивилизация и перед такой опасностью стоит она и сейчас.

Хочу со всей скромностью, а не по-менторски (я не имею на это права) обратиться к ученым, чтобы благодаря их усилиям междисциплинарные исследования, а также наука как мерило истины стали служить делу изучения и спасения Кавказской цивилизации и обновлению ее функций. Им следует пересмотреть лживую советскую историографию и создать правдивую историю Кавказской цивилизации. Однако мы уже опоздали. Хочу обратиться к нынешнему и будущему руководству Кавказских стран: учтите нашу историческую судьбу и сообразно с этим действуйте в дальнейшем, и если вам будет трудно, то пусть Господь поможет вам.

Хочу обратиться к кавказским народам и сказать, что история выбросит нас из одного гнезда, если в этом гнезде мы не будем строить наше будущее. Сегодня весь мир как-будто ввязался в войну цивилизаций – вспомним события на Ближнем Востоке, который весьма близко находится от нас, однако не существует вечной войны. Европа в своем лоне породила фашизм и сама задушила его в своем сознании. Только после этого она смогла построить Дом, основанный на системе ценностей. Жители этого Дома могут открыть нам двери. Но они не могут вместо нас построить наш дом. Нам следует разрушить в нашем сознании советские или царистские стереотипы, что мы являемся туземцами, диким народом, и сделать дальнейшие шаги по взаимодействию и сотрудничеству. Становится ясно, что осуществление геоэкономических и геополитических задач наносило ущерб культурно-цивилизационному феномену. Мы сами создаем историю и если мы ее не создадим, если мы не напишем ее, то мы будем сброшены с корабля истории.

Хочу обратиться к молодому поколению всех стран Кавказа: вы являетесь теми ростками, которые выросли из корней, а не на обломанных ветвях древа жизни Кавказа. Именно поэтому вы питаетесь истинной кавказской ментальностью, которая основана на толерантности и мирном сосуществовании. Молодежь Грузии родилась свободной и никто не сможет вернуть ее в рабство. Постройте новый Кавказ, в котором все страны будут равны и который обеспечит правдивое осуществление принципа регионализации, сопутствующей глобализации. Спасите музей народов, не дайте Горе языков превратиться в музей и покрыться пылью истории. Вдохните в Кавказ новую жизнь. Всем надо понять, что наше географическое положение – это не наше несчастье, а перспектива функционирования Кавказа на международной арене. Сейчас все эти рассуждения могут показаться абсурдом, миражом, однако преодолите нигилизм, который вбивают нам в голову, сделайте необходимые шаги и как только мы приблизимся к миражу, то окажется, что это реальность.

Будущее в ваших руках.

6-10. 09.2015 Мestia

არქიმანდრიტი ილარიონი – გიორგი ჭიღლაძე (თბილისი)

ქართული ანბანისა და ციფრების შესახებ

მოკრძალებით ვუძღვნი ჩვენს პატრიარქს,  
უწმიდესსა და უნეტარეს „ილია<sup>9</sup>“-ს

*„სადა არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სადა არს  
გამომეძიებელი იგი ამის სოფლისა? ანუ არა განაცო-  
ფაა ღმერთმან სიბრძნე იგი ამის სოფლისა?“*

*რამეთუ ვინაიფიან სიბრძნითა მით ღმერთისაიფა ვერ  
იღნა სოფელმან სიბრძნითა თუსითა ღმერთი, ჯერ-იხინა  
ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისაიფა ცხოვრება  
მორწმუნეთა მათ“.*

*(პავლე მოციქული. 1 კორ. I, 20-21)*

გასული საუკუნის 90-იან წლებში მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, კათოლიკოს-პატრი-  
არქ ილია მეორის ღოცვა-კურთხევით მაშინდელმა ბათუმ-შემოქმედელმა ეპისკოპოსმა იობმა ზემო  
აჭარაში სხალთის მონასტრის წინამძღვრად დამადგინა. 1993 წლის დასაწყისიდან 2000 წლის გა-  
ზაფხულამდე, მცირე ინტერვალების გამოკლებით, ამ მონასტერში ვმსახურობდი. ეს იყო ჩემი პირ-  
ველი ნაბიჯები საეკლესიო ცხოვრებაში და ყველა სიახლეს დიდი ინტერესით ვეცნობოდი.

სადმერთო ლიტურგიის დროს, როდესაც მთავრდება კათაკმეველთა კვერქისი და იწყება  
მართალთა მსახურება, იშლება ოდიკი. ოდიკი მართკუთხა ფორმის თეთრი ტილოა, რომელზეც  
გამოსახულია მაცხოვრის გარდამოსხნა და შიგ ჩადებულია წმინდა მოწამის ნაწილი. ოდიკი  
იკურთხება პატრიარქის მიერ და ეს კურთხევა დამოწმებულია მისი ხელმოწერით. ყოველი წირ-  
ვის დროს, როდესაც ოდიკის გაშლას ვიწყებდი, პირველი, რაც ყურადღებას იქცევდა, ეს იყო  
სწორედ პატრიარქის ხელმოწერა: „ილია<sup>9</sup>“, ანუ „ილია მეორე“. თავდაპირველად მხოლოდ იმას  
ვფიქრობდი – მართლაც, როგორ ჰგავს ასომთავრული „ბან“ ციფრ 2-ს. შემდეგ, თანდათან გამიჩ-  
ნდა აზრი, რომ იქნებ ეს მსგავსება არ არის შემთხვევითი და დავიწყე სხვა ასომთავრული ასოე-  
ბის შედარება მათი შესაბამისი მარტივი რიცხვების ციფრებთან. დიდი იყო ჩემი გაოცება, როდეს-  
აც აღმოვაჩინე, რომ არა მარტო „ბან“, არამედ ქართული ანბანის ყველა პირველი ცხრა ასო  
მსგავსია ე. წ. არაბული ციფრებისა. წლების შემდეგ გადავწყვიტე, მეცადა, შეძლებისდაგვარად  
დამემუშავებინა ეს თემა და ახლა თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს ჩემი მცირე „გამოკვლევა“.   
წინდაწინ ვითხოვ შენდობას არაპროფესიონალიზმისა და იმ სავარაუდო შეცდომებისათვის, რომ-  
ლებიც ალბათ თან ახლავს გამოუცდელი ავტორის ამ ნაწარმოებს.

ქართული ანბანისა და ციფრების შესახებ

ციფრებს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ – 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 0 – „არაბულ ციფრებს“ ვუ-  
წოდებთ, რადგან ისინი ევროპელებმა არაბებისაგან გადმოიღეს. მაგრამ თვითონ არაბები ამ ციფ-  
რებს „ინდურს“ უწოდებდნენ, ხოლო ათობით სისტემაზე დაფუძნებულ არითმეტიკას – „ინდურ ან-  
გარიშს“ („ქისაბ ალ-ჰინდ“). ინდური ციფრების წარმოშობას ვარაუდობენ ინდოეთში არაუგვიანეს  
V საუკუნისა. ამავე პერიოდში ვარაუდობენ ცნება „ნულის“ (ინდურად „შუნია“) შემოტანას.

VII საუკუნიდან, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, არაბეთი უძლიერეს ქვეყნად იქცა. არაბებმა დაიპყრეს მეზობელი სახელმწიფოები და თანმიმდევრულად დაიწყეს თავიანთი გავლენის სფეროს გაფართოება. 712 წელს ისინი ინდოეთში შეიჭრნენ, სადაც გაეცნენ ანგარიშის განსხვავებულ სისტემას და შეითვისეს იგი. მოგვიანებით ანგარიშის ამ სისტემაში გამოყენებულ გრაფიკულ ნიშნებს „არაბული ციფრები“ დაარქვეს.

ციფრები შედარებისათვის:

თანამედროვე არაბული ინდური

0	۰	۰
1	۱	१
2	۲	२
3	۳	३
4	۴	४
5	۵	५
6	۶	६
7	۷	७
8	۸	८
9	۹	९

არაბული ციფრები 4, 5 და 6 მოცემულია ორ ვარიანტად, მარცხნივ არაბული, ხოლო მარჯვნივ – სპარსული.

ინდური ანგარიში პოპულარული გახდა IX საუკუნის დიდი სპარსი სწავლულის ალ-ხორეზმის (787 – დაახლ. 850 წწ.) მიერ, რომლის ერთ-ერთი ნაშრომია წიგნი „ინდური ანგარიშის შესახებ“ (მასვე უკავშირდება ტერმინები: „ალგორითმი“ და „ალგებრა“). თავის ტრაქტატში „ინდური რიცხვები“ ალ-ხორეზმმა პირველმა აღწერა ეს სისტემა. ამ სიახლემ მასზე იმდენად დიდი გავლენა მოახდინა, რომ მან არაბული დამწერლობის შეცვლაც კი დააპირა (ე.ი. შეეცვალათ წერის არაბული წესი და ნაცვლად მარჯვნიდან მარცხნივ მიმართულებისა ეწერათ მარცხნიდან მარჯვნივ, ინდოელების მსგავსად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითონ ინდოელებმა წერის ასეთი წესი შემოიღეს ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნიდან). ალ-ხორეზმი თავის ნაშრომში იძლეოდა რჩევას, რომ ანგარიშის დროს ცარიელი წრე დაესვათ იმ ადგილას, სადაც იგულისხმებოდა „არაფერი“. ასე გაჩნდა არაბულ ხელნაწერებში ციფრი „0“, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ მისი ლათინური სახელით ნული (ლათ. „ნულუს“ – არარა).

ეს ის პერიოდია, როდესაც არაბეთის ხალიფატი ბატონობს მაშინდელი მსოფლიოს უდიდეს ნაწილზე, მათ შორის – ევროპის ქვეყნების გარკვეულ ტერიტორიებზე. არაბებმა ერთდროულად დაიპყრეს ევროპა და აზია. ხალიფატის ასეთმა გაფართოებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ესპანეთის ორი ნაწილის – ისლამური კორდოვის ხალიფატისა და ქრისტიანული ბარსელონას საგრაფოს მჭიდრო ურთიერთობამ აქამდე უცნობი მეცნიერული მეთოდები ევროპელი სწავლულებისათვის ხელმისაწვდომი გახადა. რომის პაპი სილიბისტრო II (999 – 1003წწ.) ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც შენიშნა რა „არაბული“ ციფრების უპირატესობა, დაიწყო მათი დანერგვა ევროპულ მეცნიერებაში. პაპი სილიბისტროს შესახებ ცნობილია, რომ იგი, ჯერ კიდევ უბრალო ბერობაში, მუსულმანურად გადაცემული დადიოდა კორდოვის ბიბლიოთეკებში (ამ დროს მას იცნობდნენ, როგორც ორილიაკელ ფრანგ ბერ ჰერბერტს). იგი ფლობდა ბერძნულ, არაბულ და ებრაულ ენებს და ეცნობოდა რა ხელნაწე-

რებს, დაუცხრომლად ეძიებდა ახალ და ახალ ცოდნას. ჰერბერტს განსაკუთრებით დიდი ინტერესი აღუძრა ახალმა ციფრებმა. გაიგო რა, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი ამ ციფრების შესახებ, იგი დაბრუნდა კორდოვიდან და თან წაიღო ხელნაწერები. მომავალი პაპი ცდილობდა, ეს სიახლე გაეზიარებინა ყველასათვის, რისთვისაც რეიმსში კათოლიკურ ევროპაში პირველი ჰუმანიტარული სასწავლებელი დააარსა.

XII საუკუნეში ხუან სევილიელმა ლათინურად გადათარგმნა ალ-ხორეზმის ტრაქტატი „De numero indorum“. მომდევნო საუკუნეში კი, როცა ინდური ნიშნები ფართოდ გახდა ცნობილი, ახალ სისტემას უწოდეს ალგორითმი (ალ-ხორეზმი). ოდნავ მოგვიანებით, შუა საუკუნეების ერთ-ერთმა გამორჩეულმა მათემატიკოსმა ლეონარდო პიზელმა, იგივე ფიბონაჩიმ (1180 – 1240), სცადა პრაქტიკაში დაენერგა ციფრი „0“ – ფიბონაჩი ცნობილი გენუელი ვაჭრის შვილი იყო და ახალგაზრდობაში, ალჟირში ყოფნის დროს, გაეცნო ინდო-არაბულ ანგარიშს, ვინაიდან ამ ანგარიშის გარეშე სავაჭრო ოპერაციების წარმოება შეუძლებელი იყო. შემდგომში, თავის ტრაქტატში „Liber Albaci“, რომელიც 1202 წელს გასაჯაროვდა, მან, ვაჭართა ცხოვრებისეული მაგალითებით, ხატონად აღწერა ანგარიშის ამ სისტემის უპირატესობა. ფიბონაჩის შეთავაზებული ანგარიშის მეტოდი იტალიაში სწრაფად დამკვიდრდა. ვისაც სურდა ბანკირი, ვაჭარი, არქიტექტორი ან მეზღვაური გამხდარიყო, ყველა სწავლობდა არაბულ ანგარიშს, რაც თავისთავად ნიშნავდა ციფრის – „0“ აღიარებას. 1585 წლიდან ანგარიშის ინდო-არაბულ სისტემაში შემოვიდა წილადის ცნება. ამავე წელს სწავლულმა სიმონ სტევიმამ გამოაქვეყნა თავისი მცირე ტრაქტატი „De Thiende“, სადაც მრავალნიშნა რიცხვების ჩასაწერად გამოიყენა ე. წ. ინდექსები, იგივე ციფრები, რომლებიც ერთეულს, ათეულს, ასეულს და ა. შ. ეწერებოდა ზემოდან ან გვერდით, წრეში.

XVII საუკუნიდან წილადი რიცხვების ჩასაწერად შემოიღეს მძიმე (ან წერტილი), რომელიც გამოყოფს რიცხვის მთელ ნაწილს წილადისაგან, რის შედეგადაც ევროპაში სტევინის ინდექსაცია უარყოფილ იქნა. ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ანგარიშის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება დასრულდა.

როგორც ვხედავთ, ევროპელები და დანარჩენი მსოფლიო უკვე რამდენიმე საუკუნეა, სარგებლობენ ციფრებით, რომლებიც ყველაზე მეტად პრაქტიკული, მოსახერხებელი, მარტივი და, ამასთანავე, სრულყოფილია. თავისთავად იბადება კითხვა, როგორ მოახერხეს ინდოელებმა შეექმნათ ეს ნიშნები? ან შექმნილია კი ისინი მათ მიერ თუ მიიღეს ვინმესგან? ეს კითხვები ჯერჯერობით პასუხგაუცემელია. უბედვრესი დროიდან ბოლო საუკუნეებამდე თითქმის ყველა ერი რიცხვების ჩასაწერად ანბანის ასოებს იყენებდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა ინდო-არაბული ციფრების წინასახე (თუნდაც ვთქვათ – „მატრიცა“) რომელიმე ძველ ანბანში მოგვეძებნა.

მიიხსენია, რომ პირველი ანბანი დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე 3500 წლის წინ შეიქმნა იმ ხალხთა მიერ, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე სახლობდნენ და ერთ-ერთ სემიტურ ენაზე ლაპარაკობდნენ. ასევე მიხნეულია, რომ პირველი ჩვენამდე მოღწეული ანბანი (კონსონანტური ანბანი) ფინიკიელებმა შექმნეს. ჩვ. წ. აღ-მდე 3000 წლის წინ ფინიკიური ანბანი ორი მიმართულებით გავრცელდა: აღ-

Vowels	Hindi	Punjabi	Bengali	Gujarati
A	अ म	ਅ ਮ	অ ম	અ મ
Aa	आ मा	ਆ ਮਾ	আ মা	આ મા
I	इ मि	ਇ ਮਿ	ই মি	ઇ મિ
Ee	ई मी	ਈ ਮੀ	ঐ মী	ઈ મી
U	उ सु	ਉ ਸੁ	উ সু	ઉ સુ
Oo	ऊ सू	ਊ ਸੂ	ঊ সু	ઊ સૂ
E	ए मे	ਏ ਮੇ	এ মে	એ મે
Ey	ऐ मै	ਐ ਮੈ	ঐ মৈ	ઐ મૈ
O	ओ मो	ਓ ਮੋ	ও মো	ઓ મો
Ou	औ मौ	ਔ ਮੌ	ঔ মৌ	ઔ મૌ
Un'	अं स	ਅੰ ਸ	—	અં સ
An'	अँ सँ	ਅੰ ਸੰ	অঁ সঁ	અં સં



მოსავლეთით სხვა სემიტური ტომების წარმომადგენელ ხალხებში (არაბული და ებრაული დამწერლობები) და დასავლეთით – ძველ საბერძნეთში.

ვინაიდან ციფრებს ვუწოდებთ არაბულს, ხოლო არაბებმა ისინი ინდოელებისაგან მიიღეს, შედარება დავიწყოთ სწორედ ამ დამწერლობებით. ბრაჰმი (სანსკრ. ब्रह्मी, Brāhmī) - ინდური დამწერლობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა. წერის მიმართულებაა მარცხნიდან მარჯვნივ. ბრაჰმი მიიჩნევა თითქმის მთელი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ადგილობრივი დამწერლობების წინაპრად, თუმცა, შუა საუკუნეებში, თვითონ ეს დამწერლობა დაივიწყეს. XVIII საუკუნეში რამდენიმე ლინგვისტის მცდელობით (რომელთა შორისაც აღსანიშნავია ინდოელი ნუმიზმატი ჯეიმს პრინსეპი), იგი ხელახლა გაიშიფრა. ბრაჰმის საფუძველზე ჩამოყალიბდა ინდური დამწერლობის სამი განშტოება: ჩრდილოეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია რამდენიმე მათგანი:

ამ დამწერლობათა გრაფიკაში შეიძლება შევამჩნიოთ ციფრებთან მიმსგავსებული ფორმები, მაგრამ რადგანაც ისინი „ბრაჰმიდან“, ამიტომ ჩვენი ინტერესის საგანს, როგორც მათი წინაპირობა, ეს უკანასკნელი წარმოადგენს.

ბრაჰმის წარმოშობის შესახებ განსხვავებული ვერსიები არსებობს. ინდოელ მეცნიერთა ნაწილს სჯერა, რომ იგი ადგილობრივი წარმოშობისაა. ზოგიერთი მათგანი ამის დასტურად მიიჩნევს პროტონდური დამწერლობის ნიმუშებს (III-II ათასწლ. ჩვ. წ. აღ-მდე), რომლებიც აღმოჩენილ იქნა ქალაქების ჰარაპისა და მოხენჯო-დაროს არქეოლოგიური გათხრების დროს. არაინდოელი მეცნიერები კი, უფრო მეტად, ემხრობიან ვარაუდს, რომ „ბრაჰმი“ წარმოშობილია არამეული ანბანიდან, რის დამამტკიცებლადაც ისინი მიიჩნევენ ასოთა დიდი რაოდენობის მსგავსებას. ეს დამწერლობა, სავარაუდოდ, შეიქმნა ჩვ. წ. აღ-მდე VIII ან VII საუკუნეში.

### ბრაჰმი

𑀅	a	𑀆	jha	𑀇	pa
𑀈	o	𑀉	n̄a	𑀊	pha
𑀋	i	𑀌	ṭa	𑀍	ba
𑀎	u	𑀏	ṭha	𑀐	bha
𑀑	e	𑀒	ḍa	𑀓	ma
𑀔	ka	𑀕	ḍha	𑀖	ya
𑀗	kha	𑀘	ṇa	𑀙	la
𑀚	ga	𑀛	ta	𑀜	va
𑀝	gha	𑀞	tha	𑀟	śa
𑀠	ḥa	𑀡	da	𑀢	ṣa
𑀣	ḥha	𑀤	dha	𑀥	sa
𑀦	ja	𑀧	na	𑀨	ha

„ბრაჰმის“ გრაფიკათა შედარებისას ინდურ ციფრებთან, მართლაც, შეინიშნება რამდენიმე მსგავსება. აგალითად: „𑀅“ „ma“ ბგერის გრაფიკის ფორმა თითქმის იდენტურია ინდური ციფრისა 4, ასევე „𑀆“ „ta“ ბგერისა – 6, „𑀏“ „tha“ – 0. შეიძლება გვეფიქრა, რომ ინდოელებმა ეს გრაფიკები შეუსაბამეს ციფრებს, მაგრამ მაშინ დაისმის კითხვა, რატომ არ არის შესაბამისობა ციფრებისა და ასონიშნების განლაგებათა შორის? მათი ურთიერთმიმართება იმდენად არასტრუქტურულია, ხოლო ფონემები იმდენად განსხვავებული (მაგ: „𑀅“ „ma“ ბგერას საერთო არაფერი აქვს ციფრ 4-ის ინდურ სახელთან „ჩატურ“ ან „ჩარჰ“), რომ წარმოუდგენელია, ეს ანბანი მივიჩნიოთ ციფრების წინაპირობად. მით უმეტეს, ცნობილია, რომ ინდოეთში ციფრები არსებობდნენ ასონიშნების პარალელურად, მათგან დამოუკიდებლად.

როგორც აღიარებულია, არაბული დამწერლობა არამეულიდან განვითარდა. ხოლო რაც შეეხება არამეულს, იგი ფინიკიური დამწერლობიდან მოდის. არაბული დამწერლობა ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, შეიძლება ინტერესის საგანს არც წარმოადგენდეს, რადგან არაბებმა ციფრები, როგორც ვიცით, ინდოელებისაგან გადმოიღეს, მაგრამ მაინც ვცადოთ შედარება.

არაბული სისტემის გრაფიკებში არის რამდენიმე ნიშანი, რომლებიც შეიძლება მივამსგავსოთ ციფრებს. ესენია: პირველი ნიშანი „𐤀“, რომელიც ეკვივალენტურია ფინიკიური „ალფა“-ისა და გრაფიკულად ჰგავს ციფრ 1-ს, მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის კიდევაც 1. „𐤁“, რომელიც გრაფიკულად ჰგავს თანამედროვე ციფრ 6-ს, ასევე „𐤂“-ს, რომელიც გრაფიკულად ჰგავს

ძველ ინდურ და სპარსულ ციფრს 4 და „ჰ“ „ვაე“, რომელიც გრაფიკულად ჰგავს დღევანდელ 9-ს. ხომ არ არის აღნიშნული მსგავსება ძველი სემიტური წერითი სისტემის ციფრებთან კავშირის გამოძახილი? არაბული სისტემა თავისთავად ვერ იქნება ციფრების მშობელი, იმიტომ რომ მასში გრაფემა-ფონემები და მათი რიცხვითი მნიშვნელობები მოუწესრიგებელი და ქაოტურია.

ფინიკიურ დამწერლობას მიაკვლიეს XIX საუკუნეში. მკვლევართათვის უცნობია მისი სათავე. ვარაუდობენ, რომ ის მომდინარეობს ეგვიპტური იეროგლიფებიდან, მაგრამ, ამავე დროს, ვერ პოულობენ მნიშვნელოვან არგუმენტებს ამის დასამტკიცებლად. ფინიკიურ წერით სისტემაში ნამდვილად შეინიშნება ციფრების მსგავსი ასონიშნები. ამ დამწერლობაში 22 ასოა. მათ შორის ყველაზე თვალშისაცემია „ჰეთ“ ფონემის გრაფიკული ნიშნის „𐤀“-ს მსგავსება ციფრ 8-სთან. მისი რიცხვითი მნიშვნელობაც 8-ის ტოლია. ასევე შეიძლება ითქვას „𐤁“ „ბეთ“ ნიშანზე, რომელიც გრაფიკულად წააგავს და რიცხვითი მნიშვნელობითაც უტოლდება 2-ს, „დალეთ“ ფონემის ნიშანი „𐤂“ წააგავს და უტოლდება 4-ს, „ზაინ“-ის გრაფემა „𐤃“, რომლის მსგავსებაც 7-თან უფრო კარგად ჩანს ებრაულში (არამეულიდან) „ז“, რიცხვითი მნიშვნელობით 7. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსება საკმაოა. ვინაიდან ჩვენი ინტერესის საგანს ამ შემთხვევაში მხოლოდ მარტივი რიცხვები წარმოადგენენ, შედარებისათვის ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს მხოლოდ პირველი ცხრა ასონიშნისათვის.

ფინიკიური ანბანი და მისი დამოკიდებულება სხვა ანბანებთან:

ფინიკიური ასოები	დასახ.	მნიშვნ.	ქართული	სხვა შესაბამისი ასოები					
				ებრ.	არაბ.	ბერძნ.	ლათინური	კირილ.	
		<u>āleph</u>	ხარი	ა	א	ا	Αα	Aa	Аа
		<u>bēth</u>	სახლი	ბ	ב	ب	Ββ	Bb	Бб, Вв
		<u>gīmel</u>	აქლემი	გ	ג	ج	Γγ	Cc, Gg	Гг
		<u>dāleth</u>	კარი	დ	ד	د	Δδ	Dd	Дд
		<u>hē</u>	ფანჯარა	ე	ה	ه	Εε	Ee	Ее, Ее
		<u>wāw</u>	კავი	ვ	ו	و	(Ff), Yu	Ff, Uu, Vv, Ww, Yy	Уу
		<u>zayin</u>	იარაღი	ზ	ז	ز	Zz	Zz	Зз
		<u>hēth</u>	ღობე	ჰ	ח	ح	Hh	Hh	Ии
		<u>tēth</u>	ბორბალი	თ	ט	ط	Θθ		Фф

როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული გრაფემების გარდა, ძნელია მოიძებნოს სხვა მსგავსება. თუმცა, გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ ათასწლეულების შემდეგ გრაფიკული ნიშნები გარკვეული ფორმით დაშორდნენ თავიანთ საწყის მოხაზულობას.

ძველი ბერძნული ასოები თითქმის არ განსხვავდებიან ფინიკიური ასო-ნიშნებისაგან. ასე რომ, მათი ცალკე განხილვა საჭიროდ არ მივიჩნევთ. რაც შეეხება ახალ ბერძნულ ასოებს, ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ „Δ“, „Ζ“, „Η“ და „Θ“ ასო-ნიშნებმა შეინარჩუნეს მოხაზულობაც და რიცხვითი მნიშვნელობებიც.

ლათინურ ანბანში ასო-ნიშანთა თანმიმდევრობა აღარ ემთხვევა წინამორბედ ანბანებს. მაგალითად, „Z“ ნიშანი ამ ანბანში სულ ბოლოშია გადანაცვლებული და რიცხვითი მნიშვნელობაც 7 აღარ შეესაბამება. ამასთანავე ვიცით, რომ ლათინურ დამწერლობაში სრულიად სხვა სახის ციფრები გამოიყენებოდა.

რაც შეეხება დამწერლობის სხვა სახეებს (პიქტოგრაფიული, იდეოგრაფიული, ე. წ. ლურსმული და ა. შ.), აგრეთვე ანბანებს, რომელთა გრაფემები სრულიად განსხვავდებიან ციფრებისაგან და, მითუმეტეს, რომელთა შემქმნელების ვინაობებიც კი ცნობილია, მათ გვერდს ავუვლით, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ისინი ციფრების წინაპირობა ვერანაირად ვერ იქნებიან.

დამწერლობათა შორის გამოირჩევა ქართული ანბანი. ქართული ანბანი, პირველ რიგში, განსაკუთრებულია იმით, რომ იგი ერთია და ამასთანავე სამსახოვანი. ეს გარემოება ამ ანბანს უკვე თავისთავად ანიჭებს მისტიკურ ხასიათს (შდრ. წმ. სამების დოგმატი). როგორც ცნობილია, ქართული ანბანის საფუძველი ასომთავრულია, ხოლო ნუსხა-ხუცური და მხედრული ასომთავრულიდანაა ნაწარმოები. თუ ამ მოსაზრებას მართებულად მივიჩნევთ, მაშინ გაგვიჭირდება, ავსხნათ ის გარემოება, რომ სხვა ძველ ანბანებში მოიძებნება შედარებით „ახალ“ ფორმად მიჩნეული მხედრული ასო-ნიშნების იდენტური გრაფემები. მაგალითად გამოდგება თუნდაც ინდური ბენგალური და გუჯარათული დამწერლობების „ა“, „ე“, „ი“, „ო“ და „უ“ ასო-ნიშნები, რომლებიც თითქმის ზუსტი ასლებია მათივე შესაბამისი ქართული მხედრული გრაფემებისა. თუმცა ეს საკითხი ჩვენს თემას სცილდება და სხვა კვლევის საგანს წარმოადგენს.

ქართულ ასომთავრულ, ნუსხა-ხუცურსა და მხედრულ ანბანებში იდეალურად არის განხორციელებული პირობა – ერთ ფონემას - ერთი გრაფემა, ე. ი. თითოეულ ბგერას გააჩნია საკუთარი გრაფიკული ნიშანი. ამასთან ერთად, ეს ანბანი ერთადერთია ანბანთა შორის, სადაც ყველა გრაფემას სტრუქტურულად, მოწესრიგებულად შეესაბამება რიცხვითი მნიშვნელობები ვიდრე 10000-მდე. გამონაკლისი 23-ე ასო-ნიშნის „**Ⴀ**“-„უნ“-ის გარდა, რომელსაც ჩვენ კვლავ დაუბრუნდებით.

თუ დავაკვირდებით ქართულ ანბანს, ერთი შეხედვითაც კი შესამჩნევია პირველი ცხრა ასო-ნიშნის გრაფიკული მსგავსება მათ შესაბამის ციფრებთან. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ასომთავრული „**Ⴀ**“, ნუსხა-ხუცური „**Ⴁ**“, მხედრული „**Ⴂ**“- „ან“, პირველი ასო, რიცხვითი მნიშვნელობით ერთი. ალბათ ყველა გრაფიკოსი დაგვემოწმება, რომ მხოლოდ ხელის გამარტივებული მოძრაობაა საჭირო, რათა ამ გრაფემიდან მივიღოთ თანამედროვე ციფრ 1-ის სიმბოლო. მაგ:

ႠႠႠ...1

...

აღსანიშნავია, რომ ფინიკურ დამწერლობაში ამ ბგერის გრაფემა - „**𐤀**“ ხარის იდეოგრაფია და სახელიც ხარისა აქვს „ალფა“. ქართული „**Ⴀ**“ გრაფემა კი სრულიად დამოუკიდებელია ფინიკურისაგან, განსხვავდება რა მისგან როგორც გრაფიკულად, ასევე იდეოგრაფიულად. ბერძნულ ანბანში მას შენარჩუნებული აქვს ფორმაც და სახელიც, თუმცა, არც იდეოგრაფიულად და არც ფონეტიკური მნიშვნელობით ბერძნული „ალფა“ ხარის აღარ უკავშირდება, გამოხატავს

რა მხოლოდ „ა“ ბგერის გრაფიკულ სიმბოლოს. „...ბერძნული ანბანის პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამა არ არის, ხოლო ასო-ნიშნის სახელი „ალფა“, რა თქმა უნდა, ხარს არ ნიშნავს, არამედ სემური „ალფა“-ის ბერძნული ფორმაა, დაკარგული აქვს სემური დედნის მნიშვნელობა და შინაარსი – „ალფა“ ბერძნულ ანბანში პირობით ასო-ნიშნად და ასო-ნიშნის პირობით სახელად არის ქცეული“ (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 90-91), ხოლო ქართული გრაფემა, რომელიც მთვარის კულმინაციის იდეოგრამაა (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 165), ანბანშიც, რიცხობრივადაც და დროის აღრიცხვის სხვადასხვა სისტემებშიც ინარჩუნებს „პირველის“ ანუ „1“-ის მნიშვნელობას, წარმოადგენს რა პირველი ზოდიქოს, პირველი წლის, პირველი თვის, პირველი კვირის, პირველი დღის, პირველი ჟამის (საათის) სიმბოლოს.

მეორე ასო „**ღ**“, „**ყ**“, „**ჩ**“ – „ბან“, **ღ 22 ... 2**..., რიცხვითი მნიშვნელობით ორი.

ამ გრაფემის შესაბამისი ფინიკიური „ბეთ“ „**𐤁**“ ნიშანიც რიცხობრივად 2-ს უტოლდება, მაგრამ, გრაფიკული მოხაზულობით, დღევანდელი ციფრ 2-ის მაწარმოებელი აშკარად ქართული „**ღ**“ გრაფემაა, რომლის ქვემო ნაწილიც, 2-იანის მსგავსად, მიმართულია მარჯვენა მხარეს, ფინიკიური გრაფემის საპირისპიროდ, რაც ქართველი მეცნიერის რამაზ პატარიძის, სავსებით მართებული მოსაზრებით, გამოწვეულია წერის სემიტური წესის (მარჯვნიდან მარცხნივ) საწინააღმდეგო (მარცხნიდან მარჯვნივ) ანუ ქართული მიმართულებით (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 179).

მესამე ასო „**ღ**“, „**ყ**“, „**ჩ**“ – „გან“, რომლის მსგავსებაც ციფრთან 3 ასევე უდავოა: **ღ 3 ... 3**, რიცხვითი მნიშვნელობით სამი.

აღსანიშნავია, რომ ეს ასო-ნიშანი ფინიკიურ ანბანში აღინიშნება „**𐤁**“ გრაფემით და გამოითქმის ფონემით „გიმელ“, რაც ნიშნავს „აქლემს“. ძნელია, მოიძებნოს მსგავსება აქლემსა და ფინიკიურ გრაფემას შორის (თუმცა აქლემი ერთკუზიანიცაა). ხოლო ასომთავრული „გან“ და მისი შესაბამისი ციფრი „**3**“ მართლაც მოგვაგონებენ აქლემს.

ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა რიგით მეოთხე, „ღონ“ ბგერის გრაფემა „**ღ**“, „**ღ**“, „**ღ**“. რომლის თავდაპირველი სახის (ყელის გარეშე – ივ. ჯავახიშვილი) ზუსტი ანალოგია ინდური ციფრი „**४**“ „ჩარჰ“ ანუ „ჩატურ“ 4. მისი რიცხვითი მნიშვნელობა არის კიდევ „ოთხი“. ამ გრაფემას ძალზე წააგავს (უფრო სწორად მისი პრიმიტიული ფორმაა) ფინიკიური და, შესაბამისად, სხვა დამწერლობებში გადასული „დალეთ“ ანუ „დელტა“ ფონემის გრაფიკული ნიშანი:

**𐤄 4**

მეხუთე „ენ“ ფონემის გრაფიკული ნიშნის „**ღ**“, „**ღ**“, „**ღ**“ ტრანსფორმაცია ციფრ 5-ის აღმნიშვნელ სიმბოლომდე კარგად ჩანს ინდური ციფრის „**५**“ „პანჩა“ ანუ „პანჯ“ (რიცხვითი მნიშვნელობით ხუთი) ფონზე:

**५ 5**

მექვსე „ვინ“ „**ღ**“, „**ღ**“, „**ღ**“ ასოს მხოლოდ შებრუნებით დაწერა გვაძლევს ინდურ ციფრს „**६**“ „შაჰ“ ანუ „შაშ“ რიცხვითი მნიშვნელობით „ექვსი“.

**६ 6**

სავარაუდოდ, ამ ციფრის შემობრუნება გამოიწვია მისმა მსგავსებამ უკვე არსებულ სიმბოლოსთან „3“, „ტრი“ ანუ „ტრა“ „სამი“.

მეშვიდე „ზენ“ ფონემის გრაფიკული ნიშანი „ზ“, „ზ“, „ზ“ უფრო მეტად მსგავსია დღევანდელი ციფრ 7-ისა, ვიდრე ინდური „სატ“ ანუ „საპტა“ „7“ სიმბოლო, რომელიც მოხაზულობით აშკარად ენათესავება ქართულ გრაფემებს.

## ზსსს...7

მეოთხე გრაფემაზე არანაკლებ საინტერესოა რიგით მერვე „ჰე“, „ჰ“, „ჰ“ „ასო-ნიშანი, რომელიც ანალოგია ფინიკიური „მ“ „ჰეთ“ გრაფემისა და რიცხვითი მნიშვნელობითაც მისი ეკვივალენტურია – რვა. ამ გრაფემათა იდენტობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საშუალო ფინიკურ ანბანში „ჰეთ“ ფონემის გრაფიკული ფორმა „ჰ“ მსგავსია ქართულისა „ჩ“, იმ განსხვავებით, რომ მისი განივი ტოტი მიმართულია მარჯვნიდან მარცხნივ, ქართულის საპირისპიროდ, რაც, ისევე როგორც „9“ და „9“ გრაფემათა შემთხვევაში, აუცილებლად განპირობებულია წერის მიმართულებით. (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 189).

აქ შეიძლება დამატებით ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი ციფრ „8“-ს მიიჩნევს ნაწარმოებად ლათინური სიტყვიდან „ოცტო“, რაც ნიშნავს „რვას“ (თითქოსდა ამ სიტყვის ორი „ო“ გრაფემის შეერთებით მიიღეს ეს სიმბოლო). ამ საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტას ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ზემოთ მოყვანილი ფინიკიური „ჰეთ“ ფონემის გრაფიკული გამოსახულება „მ“ თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ რვიანის აღმნიშვნელ სიმბოლოს ანბანში სხვა ციფრებზე გაცილებით მეარი საფუძველი აქვს. ამასთან ერთად, ეს მსავსება საკმაო მიზეზს იძლევა ვიფიქროთ, რომ ევროპელებს ინდურ-არაბული ციფრები პირდაპირ, რევიზიის გარეშე, არ მიუღიათ. სავარაუდოდ, მათ ეს ციფრები შეაჯერეს რომელიმე ძველ ანბანთან (ან ციფრებთან, რომელთაც მანამდე იყენებდნენ) და დახვეწეს ისინი. ამით შეიძლება აიხსნას დღევანდელი ციფრის „8“ უფრო მეტად მსგავსება ფინიკურ „მ“ „ჰეთ“ გრაფემასთან, ვიდრე ინდურში მისსავე ეკვივალენტურ „8“ „აშტა“ ანუ „ატჰა“ ნიშანთან. ასევე საფიქრებელია, რომ ევროპელებისათვის (შეიძლება არაბებისთვისაც) ინდურ ციფრებზე უფრო მეტად საინტერესო სიახლე ათობით სისტემაზე დაფუძნებული ანგარიში და არაფრის აღმნიშვნელი „0“ სიმბოლო იქნებოდა, რადგან შეუძლებელია, რომ ახალი სიმბოლოების შემოღებამდე, მათ არ ჰქონოდათ სხვა სახის გრაფიკული ნიშნები რიცხვების გამოსახატავად, თუნდაც ჩვენთვის უცნობი ის ციფრები, რომლებითაც ანგარიშობდა პითაგორა (VI ს. ჩვ.წ.ად.-მდე).

რა შეიძლება ვთქვათ რიგით მეცხრე „თან“ „ტ“, „თ“, „თ“ გრაფიკულ ნიშანზე? ეს გრაფემა ანალოგიურია შუმერული იდეოგრამისა „ტ“, რომელიც ნიშნავს „თვალს“ (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 190). ქართულ ენაში ეს სიტყვა ადამიანის მხედველობის ორგანოსთან ერთად „ბორბალსაც“ აღნიშნავს. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ქართული ენა კარგად იცნობს როგორც შუმერულ „თვალს“, ასევე თავისი გრაფემის ფინიკურ ანალოგს – „⊗“ „თეტ“ ასო-ნიშანს, რომელიც „ბორბალს“ განასახიერებს. ფინიკიური გრაფემიდანაც შეიძლებოდა მიგველო დღევანდელი 9-იანის სიმბოლო, მაგრამ, ამ მხრივ, ქართულ გრაფემას „ტ“ აშკარად დიდი უპირატესობა გააჩნია. მსოფლიოში ყველა ბავშვი, ვისაც ათამდე თვლა და ციფრების ჩაწერა უსწავლია, კითხვაზე, თუ რომელი ციფრი შეიძლება იყოს ამ ნიშნით გამოსახული? ალბათ, უყოყმანოდ უპასუხებს, რომ ეს არის „9“ (ცხრა).

## ტოტ 9

ქართული ანბანის პირველი ცხრა ასო-ნიშნის ზემოთ წარმოდგენილი შედარება მათ შესაბამის ციფრებთან საკმაოდ მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ დღემდე ჩვენთვის ნაცნობ ანბანთა შორის იგი ყველაზე მეტადაა მათთან ახლოს. შეიძლება ვთქვათ, ალბათობა იმისა, რომ ქართული ანბანი დღეს არსებული ციფრების წინაპირობაა, სხვა ანბანებთან შედარებით, გაცილებით დიდია.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამტკიცებს არაფრის აღმნიშვნელი სიმბოლოს, ციფრ „0“-ის, საკითხი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალ-ხორეზმის რჩევით ინდურ ანგარიშში შემოვიდა ცარიელი წრე ანუ ნული, ინდურად „შუნია“. მაგრამ როგორ გაჩნდა თვითონ იდეა არაფრის ასე გამოსახვისა? თუ განვაგრძობთ ამ ციფრის შესაბამისი გრაფემის ძებნას, ვნახავთ, რომ არცერთი ანბანი, გარდა ქართულისა, არ იცნობს ასეთი ფორმის ნიშანს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობით (თუ არ ჩავთვლით თითქმის ყველა მათგანში არსებულ „0“ გრაფემას, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა 70). ქართულ ასომთავრულ ანბანში კი გრაფიკული ნიშანი „0“ „უნი“, რომელიც 38 გრაფემას შორის ერთადერთი შედგენილი ნიშანია, არა მარტო იმეორებს ციფრ „ნულის“ ფორმას, არამედ სიდიდითაც უდრის მას – არაფერს, რადგანაც არ გააჩნია რიცხვითი მნიშვნელობა. (ის ფაქტი, რომ „0“ ერთადერთი შედგენილი ნიშანია, ხაზს უსვამს მის უადრეს საჭიროებას, კერძოდ, დროის აღრიცხვის ქართულ სისტემაში (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ.), მთვარის კალენდარისათვის, შეიძლება ეს ორი გრაფემით გამოსახული ნიშანი თვის იმ დღეებს აღნიშნავდეს, როდესაც ცაზე მთვარე არ ჩანს (ახალმთვარეობა ანუ ე. წ. „ჰეკატეს დღეები“). დღევანდელ ანბანში „0“-ის რიგითი 23-ე ადგილიც პირობითია, რადგან ჩვენთვის აქამდე ცნობილ ძველ ქართულ ანბანურ რიგებში (მაგ. დავათის სტელაზე) ეს ნიშანი ცალკე არ ფიგურირებს. მთვარის სიღერული – 27 და სინოდური – 29 დღიანი თვისათვის, თუ „უნი“ თვის უმთავრეს დღეებს აღნიშნავს, სავარაუდოდ, აღმოჩნდება უფრო ძველი ანბანური რიგი, სადაც „0“-ის ადგილი 28-ე იქნება, ე. ი. „ჩინ“-ის წინ, მით უფრო, თუკი თვითონ „ჩინ“-ი ახალი მთვარის გამოჩინებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მარტივად აიხსნება, თუ რამ განაპირობა „0“ ნიშნის ორი გრაფემით გამოსახვა, რადგან უჩინარი მთვარის პერიოდი, საშუალოდ, სწორედ ორი დღე-ღამეა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ანალოგიური შემთხვევა გვაქვს სხვა ანბანებშიც, სადაც იგივე, ორი გრაფემით გამოსახული ნიშანი „ოუ“ [„ოჟ“] გვაძლევს იგივე ერთ ბგერას – „ს“, რაც უეჭველად მეტყველებს მათ საერთო საფუძველზე). აქვე აღსანიშნავია ამ ბგერის ფონეტიკური მსგავსება შესაბამისი ციფრის ინდურ სახელთან: „შუნია“ ანუ „უნი“. ეს სიტყვა, „შუნიატა“ (სანსკრ. „शून्यता“, ჩინ. „კუნ“, იაპ. „კუ“, სიტყვასიტყვით „სიცარიელე“), ბუდისტურ სწავლებაში ერთ-ერთი მთავარი ცნებაა, რომელიც გამოხატავს „მყოფობის არ არსებობას“ პიროვნებისა თუ მოვლენებისათვის, ანუ საგანთა საკუთარი ბუნების არ არსებობას, ის რასაც „მიზეზი არ გააჩნია“, ის რაც „აზროვნებისა და შემეცნების მიღმაა“, ის რაც „არ გაჩენილა“, ის რასაც „განზომილება არ აქვს“. სხვა კონტექსტში ეს ტერმინი გამოიყენება როგორც „აბსოლუტი“. ასევე აღსანიშნავია, რომ ფონემა-გრაფემა, ასო-ბგერა „უნი“ არა მარტო ანგარიშში, გრამატიკულადაც ყველაფერს ანულებს, არაფრად აქცევს. საკმარისია, იგი გამოჩნდეს ნებისმიერი ზედსართავი სახელის წინ, რომ არა თუ შეცვალოს, არამედ მთლიანად გააქროს მისი მნიშვნელობა (მაგ: მოკვდავი – უკვდავი). ასეთი მაგალითები იმდენად ბევრია ქართულ ენაში, რომ მათი აქ მოყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენს (იქნებ ის ფაქტიც არ არის შემთხვევითი, რომ ინგლისურ ენაში პრეფიქსი „un“ იმავე ფუნქციას ასრულებს რასაც „უნ“-ი ქართულში). თუ შევადარებთ ქართულ ანბანს სხვა ძველ ანბანებთან, დავინახავთ, რომ „უნ“-ი თითქოს გადაულახავ ბარიერად ქცეულა მათთვის. ეს ანბანები სწორედ ამ ასო-ბგერამდე მისდევენ ქართულს, ხოლო შემდეგ ქრებიან.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება (ჩვენ შეგნებულად ავუვლით გვერდს და ზედმეტად არ შევაწუხებთ იმ უცხოტომელის სულს, რომელსაც მკრეხელურად, განზრახ თუ უნებლიედ, ქართველოფობი „მეცნიერები“, ყოვლად უსაფუძვლოდ, მიაწერენ ამ ანბანის შექმნას).

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ლეონტი მროველი, ქართული მწიგნობრობის შექმნას იბერიის პირველ მეფეს, ფარნავაზს, უკავშირებს (IV-III სს. ჩვ. წ. აღ-მდე). თავის ნაწარმოებში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ იგი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ წამოვიდა ქართველთა წინაპარი, ბიბლიური ნოეს შვილთა შვილი, თარგამოსი შუამდინარეთიდან: „... იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყენეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა (სავარაუდოდ, ეს ხდება ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის დასაწყისში. არქიმანდრიტი ილარიონი). და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით, და დაემკვიდრა ორთა მათ მათა შუა კაცშეუვალთა არარატისა და მასისსა. ... ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავალით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია“ („ქართლის ცხოვრება“. I. თბილისი, 1955 წ.). ამის შემდეგ მროველი მოგვითხრობს, თუ როგორ მოხდა დაპირისპირება თარგამოსის შთამომავალთა შორის, რამაც ტრადიციების მოშლა და რელიგიურ-კულტურულ ღირებულებათა ცვლილება გამოიწვია: „... ხოლო ვითარცა მოკუდა მცხეთოს, ძე ქართლოსისი (ქართლოსი იყო ძე თარგამოსისა, თარგამოსი – ძე თარშისა, თარში – ძე იაფეტისა, იაფეტი – ძე ნოესი. არქიმანდრიტი ილარიონი), შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და ჰხდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოსს, ძესა მცხეთოსისა არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატყვებულ იყო საყდართა ქართლოსისთა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლება ქართლოსიანთა. ... და მას ჟამსა დაივიწყეს ღმერთი, დამბადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსვლავთა ხუთთა, და მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი“, ე. ი. ქართველებმა დაივიწყეს ძველი, მამა-პაპათა ცხოვრების წესი და შესაბამისად დაკარგეს ის ცოდნა, კულტურა, რაც მანამდე ტრადიციულად გადმოეცემოდათ. თუ გავაცნობიერებთ, რომ კულტურა არის იმ ღირებულებათა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც ხდება ერის იდენტიფიკაცია (განმარტება ჩემია, არქიმანდრიტი ილარიონი), წარმოვიდგენთ, რა საშიშროების წინაშე დადგა იმ დროს ქართველი ერი. უფრო მეტიც, როგორც მროველი გადმოგვცემს, ქართველებმა თითქმის საკუთარი ენაც კი დაკარგეს, რადგან: „იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი (მტერთაგან დევნილ-შევიწროებულნი, თავშესაფარად მოსული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, არქიმანდრიტი ილარიონი), და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა.“ საქართველოს ისტორიაში ეს პერიოდი ერთ-ერთი უმძიმესია. თავისთავად ცხადია, ერს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე უღვას ყოფნა-არყოფნის საკითხი, უძნელდება შეინარჩუნოს საკუთარი მონაპოვარი, თუნდაც, მემკვიდრეობით მიღებული ღირებულებები. ასეთი განსაცდელების ჟამს უმთავრესია ბრძოლა გადარჩენისათვის, ხოლო ყველა სხვა პრობლემა მეორეხარისხოვანია. სწორედ ამ დროს ისტორიის ასპარეზზე ჩნდება მეფე ფარნავაზი (IV-III სს. ჩვ. წ. აღ-მდე). იმავე წყაროს მიხედვით: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცულია კიდევ ერთი, შეიძლება ითქვას, ტრადიციული ცნობა ქართული დამწერლობის სადაურობა-წარმოშობის შესახებ. ეს ცნობა დაცული ყოფილა კათალიკოს ანტონი II-ის კუთვნილ წიგნში „მატიანე შემეცნებათა“. 1822 წელს, ანტონ კათალიკოსის პეტერბურგში ყოფნის დროს, თეიმურაზ ბაგრატიონს ამოუწერია ეს ცნობა ანტონ კათალიკოსის კუთვნილი წიგნიდან, ხოლო 1836 წელს მარი ბროსემ თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, სადაც ეს ცნობაც მოიპოვება, გამოაქვეყნა ფრანგულად. სამწუხაროდ, ეს მეტად მნიშვნელოვანი, ქართული ტრადიციული ცნობა ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის შესახებ უსამართლოდ იყო მივიწყებული და მას ხელმეორედ მიაკვლია გურამ შარაძემ. ეს ცნობა გვაუწყებს: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ჟამთაცა შინა. ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილთა. ესე იგი, ქურუმთა მათ, რომელთაცა

უხუცესთა და ხვეის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერძთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი. ფარნავაზმან წერილთა მათთაგან განწყო მხედრობისათვის თვისისა მხოლოდ ხელით წერილი განყოფილნი ასონი და არა სხვით რაითამე. მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველსა უამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“. (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 17).

მროველი ამბობს, რომ ფარნავაზმა შექმნა „მწიგნობრობა ქართული“. ანტონ კათალიკოსის „მატიანეზე“ დაყრდნობით, ამ სიტყვების გაგება სხვადასხვაგვარად შეიძლება, კერძოდ: ა) - ფარნავაზმა შექმნა ანბანი, რაც ჩვენის აზრით საკამათო საკითხია და ბ) - ფარნავაზმა შემოიღო ქართული განათლება, აღადგინა რა და გაასაჯაროვა დაგიწყებული ქართული ანბანი. ამ მოსაზრებას ეთანხმება მეცნიერთა ერთი ნაწილი, მათ შორის დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი. მისი სიტყვებით: „ქართული ანბანის თვით მოსახულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება, წარმართობის ხანის არ იყოს. არამცთუ ქართული დამწერლობა წარმართობის ხანის უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის“ (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 35).

საკუთრივ ფარნავაზის შესახებ მითი და სინამდვილე ერთმანეთშია არეული. არ არის გამორიცხული, რომ იმ „განძში“, რომელიც მან იპოვა და რომელიც ფაქტობრივად გახდა მისი გამეფების გარანტი, იგულისხმებოდეს არა მარტო მატერიალური სიმდიდრე, არამედ ის დაგიწყებული, გადამალული ცოდნაც, რასაც ეფუძნებოდა ქართული ცნობიერება და რომელიც დამწერლობის გარეშე წარმოუდგენელია.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ბოლო დრომდე, და შეიძლება ახლაც (როდესაც უკვე აღმოჩენილია გაცილებით ძველი დროის (დავათის, ნეკრესის) ქართული წარწერები), ზოგი მეცნიერი რატომღაც დარწმუნებულია, რომ ქართული ანბანი ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებშია შექმნილი. კერძოდ, იმ მოსაზრებით, რომ ახალი სარწმუნოების, ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად საჭირო გახდა ახალი ანბანის შექმნა და რომ მას საფუძვლად უდევს ბერძნული ანბანი. ეს შესედულებები ძალზე უსაფუძვლო და, თუ გნებავთ, დამამცირებელია ქართული ანბანისათვის, რადგანაც იგი არა მარტო ბერძნულ, არამედ ყველა ძველ და ახალ ანბანზე გაცილებით მოწესრიგებული და სრულყოფილია. ინგლისელი მეცნიერის, უილიამ ედუარდ დავიდ აღენის, სიტყვებით: „ქართული ანბანი საოცრად სრულყოფილი საშუალებაა ამ ენის სხვადასხვაგვარ ბეგრათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად; ასოები ყოველ განსხვავებულ ბეგრას ნათლად და ზუსტად გადმოსცემენ და ამ მხრივ მას ვერცერთი სხვა ანბანი ვერ შეედრება“ (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 56). ივანე ჯავახიშვილი, ეხება რა ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს, ამბობს: „მეცნიერთა მთელი რიგი, მათ შორის ბერძნული პალეოგრაფიის კარგი მცოდნე პროფ. გარდტჰაუზენიც, ფიქრობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ქართული ანბანი... ბერძნული ანბანისაგან არის წარმომდგარი. ამ აზრის სიმართლისათვის შესაძლებელია ის გარემოებაც იყოს გამოყენებული, რომ ქართული ანბანის წესრიგი თავიდან ოცდამეექვსე ასომდე, ორი გამონაკლისის გარდა, გასაოცრად უდგება ბერძნულისას. მაგრამ ეს დებულება რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ანბანი VII საუკუნეში ქ. წ. (ჩვ. წ. აღ-მდე, არქიმანდრიტი ილარიონი) უნდა ყოფილიყო წარმომდგარი, მაინცდამაინც (ყოველშემთხვევაში, არქიმანდრიტი ილარიონი) VI საუკ-ზე (ჩვ. წ. აღ-მდე, არქიმანდრიტი ილარიონი) უწინარეს უნდა გვეგულისხმა შედგენილად, რადგან ამ დროიდან მოყოლებული ბერძნულში დიგამმა ანუ ვავ, რომელსაც ანბანში მეექვსე ადგილი ეკავა, უკვე აღარ იხმარებოდა. ქართულ ანბანს კი სწორედ მეექვსე ასოდვე „ვ“ აქვს და, თუ ქართული ანბანი მართლაც ბერძნულიდან წარმოდგა, ცხადია, იგი მხოლოდ ისეთ დროს შეიძლება(ოდა) წარმოშობილიყო, როდესაც ეს ბეგრა და ასო თვით ბერძნულშიაც იხმარებოდა, ე. ი. VIII-VII სს-ში (ჩვ. წ. აღ-მდე, არქიმანდრიტი ილარიონი)“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, თბილისი, 1949., გვ. 203).

შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება: სწორედ იმ მიზეზის გამო, რომ დაიხვეწა და მოწესრიგდა ვილაც ძალიან ჭკვიანი კაცის (ან კაცების) მიერ, გახდა ქართული ანბანი ასეთი სრულყოფილი.



მაშინ დავსვათ კითხვა: რატომ არ მოხდა ანალოგიურად ძველი ბერძნულიდან ნაწარმოები სხვა ანბანური სისტემების (იტალიკური წერითი სისტემები) შემთხვევებში? (იხ.: თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა. თბილისი, 1989). ეს წერითი სისტემები (თუმცა კი მათი ენები უფრო მსგავსია ბერძნულსა, ვიდრე ქართულს), არქაული ლათინურის ჩათვლით ან პირდაპირ იმეორებენ ძვ. ბერძნულ ასო-ნიშნებს, ან, უარეს შემთხვევაში, ნაწილობრივ ნაკლებლოვანებას ან დეგრადაციას განიცდიან. თავისთავად ისმება კითხვა: რატომ არ წარმართა ევოლუციის პროცესი ყველა ანბანისათვის თანაბარი კანონზომიერებით?

კაცობრიობის ისტორიაზე წარმოდგენა ძირფესვიანად შეიცვალა XIX საუკუნიდან. ეს განაპირობა ახალი „მოდერნების“, ევოლუციის თეორიის გაბატონებამ. მას შემდეგ, აგერ, უკვე მეორე საუკუნეა, რაც მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი (საბედნიეროდ არა აბსოლუტური უმრავლესობა) უპირობოდ ღებულობს ამ თეორიას და, შესაბამისად, ცდილობს, დაამტკიცოს „დარვინის ჭეშმარიტება“ და არა სინამდვილე, როგორც ასეთი.

ჩვენს დროში, განსხვავებული რასის ადამიანთა გენეტიკური კვლევების საფუძველზე, დადგენილია, რომ მთელი კაცობრიობა წარმოშობილია ერთი პიროვნებისაგან (ამ აღმოჩენას სენსაციურს უწოდებენ, თუმცა, ათეული საუკუნეებია, წმინდა წერილი ამას გვასწავლის). ანთროპოლოგები ვარაუდობენ, რომ კაცობრიობის საერთო წინაპარი აფრიკიდანაა. საიდანაც არ უნდა იყოს წარმოშობით და თუნდაც მიაბიტიურად ჩავთვალოთ, რომ ერთ-ერთი ცოცხალი ორგანიზმის ევოლუციური განვითარების შედეგად გაჩნდა ჩვენი პირველი წინაპარი, მაინც ცხადია, რომ კაცობრიობის ისტორიის რაღაც ეტაპზე მისი შთამომავლობა ერთ ენაზე ლაპარაკობდა. ალბათ ერთი იყო იმდროინდელი, თუნდაც პრიმიტიული, ურთიერთობის საშუალებებიც და, მათ შორის, წერითი სისტემაც.

წერითი სისტემების, მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და განვითარების შესახებ ფუნდამენტური ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ქართველ მეცნიერს თამაზ გამყრელიძეს. აკაკი შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემულ მის წიგნში „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა“ ყველა ის საკითხი, რაც უკავშირდება ზოგადად დამწერლობას და კერძოდ ანბანურ სისტემას, სრულყოფილად, მაღალ მეცნიერულ დონეზეა განხილული და გადმოცემული. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ბატონ თამაზს, როდესაც იგი ამბობს: „ყოველი დამწერლობის სათავეში... დგას კონკრეტული პიროვნება ან, შესაძლებელია, პიროვნებათა ჯგუფი, ამ დამწერლობის შემქმნელი, რომელიც ერთიანი გეგმის მიხედვით ადგენს ახალ წერით სისტემას გარკვეული წერილობითი პროტოტიპის საფუძველზე. ...ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება ისე, თითქოს თავდაპირველად იქმნება რამდენიმე ნიშანი, რომლებსაც შემდგომ კიდევ რამდენიმე ემატება; ამას კიდევ რაღაც რაოდენობა ერთვის და ა. შ., სანამ ხანგძლივი ევოლუციის პროცესში არ მიიღება საკმაოდ სრული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხერხდება ამა თუ იმ ენაზე ტექსტის ჩაწერა. წერილობითი სისტემა, რამდენადაც იგი დამწერლობას წარმოადგენს, იმთავითვე სრული სისტემის სახით ყალიბდება... და ამ აზრით არის სწორედ წერილობითი სისტემის შექმნა „ერთდროული აქტი“, განხორციელებული კონკრეტული პიროვნების თუ პიროვნებათა ჯგუფის ერთიანი შემოქმედების შედეგად“ (გვ. 121).

მაშ, სად უნდა ვეძებოთ ის „წერილობითი პროტოტიპი“, რომელიც საფუძველად დაედო ქართულ ანბანს? ყველა ძველი ანბანური დამწერლობის – ფინიკური, არამეული (თუ სხვა სემიტური), ძვ. ბერძნული, არქ. ლათინური, ბრაჰმი და ა. შ. – შედარებისას თვალნათელია, რომ მათ გააჩნიათ საერთო საფუძველი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი გვეუბნება: „ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს. არამცთუ ქართული დამწერლობა წარმართობის ხანის უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის“ (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ. 35). განიხილავს რა გრაფიკათა მოხაზულობას, კერძოდ ასომთავრული „გან“-ის შესახებ,

იგი ამბობს: „ამ ასომ მსგავსი მოხაზულობა შეინარჩუნა თითქმის ყველა მონათესავე დამწერლობაში – ებრაელთა, უძველეს არამეულში და თვით ფაჰლავურშიც კი. თუმცა ბერძნულში ეს ასო მარჯვნივ არის გადმობრუნებული და მისი მოხაზულობაც წვეტკუთხოვანის მაგიერ სწორკუთხოვანად არის ქცეული, მაგრამ უძველეს ბერძნულ წარწერებში, მაგ., კრიტოსის, მელოსისა და ნაქსოსის წარწერებში, ეს ასო ბერძნულში მარცხნივ მიქცეული იწერება და იმავე სახით, როგორც ფინიკიელთ ჰქონდათ. ქართული „განიც“ მარცხნივ არის მიბრუნებული და ამ მხრივ ის ამ ასოს ძველ გამოხატულებას იცავს. მაგრამ სხვებისაგან, ჯერ ერთი, მერმინდელი (ე. ი. გვიანდელი, არქიმანდრიტი ილარიონი) ბერძნულის მსგავსად, სწორკუთხოვანი მოყვანილობით განიწევა, მეორე მხრით, თავისი ქვევით ჩამოშვებული ცხვირით, თანაც მარცხნივ წაზიდული ხან აკიბული, ხან ქვემოთკენ მოხრილი კუდი. თუ ამგვარი კუდი არცერთ სხვა დამწერლობის შესატყვის ასოს არა აქვს, ქართული „განის“ მსგავსი ქვევით ჩამოშვებული თითქმის სწორკუთხოვანი მოყვანილობის ცხვირი სამართული დამწერლობის სათანადო ასოსაც მოეპოვება. ესეც საყურადღებო გარემოებაა და იქნებ იმის მომასწავებელივე, რომ შესაძლებელია, მსგავსი მოყვანილობის „განი“ საერთო წარმომშობელ ანბანშიაც ყოფილიყოს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. თბილისი, 1949, გვ. 206). ხოლო ასომთავრული „დონ“-ის შესახებ ამბობს, რომ: „...ქართული „დონი“ ბერძნულს მხოლოდ ტანის ასწვრივი მდებარეობით მიაგავს, ფინიკიურს იმით, რომ ტანს ყელი აქვს, ხოლო საბაურს გარდიგარდმო სახით. ის არსებითი განსხვავება, რომელიც, მსგავსებასთან ერთად, ჩვენს „დონს“ ზემოდასახელებულ ანბანებთან შედარებით ემჩნევა, ცხადყოფს, რომ ქართული „დონი“ არცერთი მათგანის უშუალო განვითარება არ უნდა იყოს, არამედ მათთან ერთად [მას] საერთო წინაპარი უნდა ჰყავდეს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია. თბილისი, 1949, გვ. 209). შეუძლებელია, ეს შეხედულებები არ გაგრძელდეს დანარჩენ გრაფემებზეც; ასე რომ, დიდი მეცნიერის მიხედვით, ქართულ ანბანს თავისი უძველესი, თვითმყოფადი სახე აქვს.

არსებობს მოსაზრება, რომ დამწერლობამ ევოლუციური გზა განვლო პიქტოგრამებიდან ანბანამდე, კერძოდ, ძველქანაანური დამწერლობის აღმოჩენილ ფრაგმენტებს მიიჩნევენ ე. წ. „შუალედურ რეოლად“ სინაის დამწერლობასა (რომელიც იეროგლიფებთან ერთად რამდენიმე გრაფემის ჩანასახსაც შეიცავს) და ფინიკიურ ანბანს შორის. თუმცა, ეს თეორია, არგუმენტების სიმცირის გამო, თეორიადვე რჩება და იგივე უხერხულობას უქმნის მის მომხრეებს, რასაც ე. წ. „გარდაშვადი სახეობების“ არ არსებობის ფაქტი ცოცხალი ორგანიზმების ევოლუციური განვითარების გზით წარმოშობის იდეოლოგიებს. ამასთანავე, ისევე ჩნდება კითხვა: რატომ არ განიცადეს იგივე გარდაქმნა პიქტოგრამებმა სხვა დამწერლობებშიც? (აქ, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ანბანური დამწერლობის ჩამოყალიბებას და არა პიქტოგრამების იდეოგრამებად ფორმირებას). ხომ უსაფუძვლო და წარმოდგენელია, ვინმე შეეცადოს იმის დამტკიცებას, რომ იაპონელები, ჩინელები და ა. შ. სხვა დანარჩენი ერები, რომლებიც დღემდე დამწერლობის ამ სახეს იყენებენ, ვერ განვითარდნენ? შეიძლება პირიქითაც კი ითქვას, რომ მათ სამყაროს უფრო ფაქიზად აღქმა სწორედ ასეთი დამწერლობის შედეგად ჩამოუყალიბდათ, ვინაიდან პიქტოგრამებისა და იდეოგრამების წაკითხვა გაცილებით მეტ ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს მოითხოვს, ვიდრე ასო-ნიშნებისა და მათი მეშვეობით გადმოცემული მზა აზრის გაგება. ამასთანავე, გაუგებარია, რატომ დარჩა უძველესი ცივილიზაციის აკვანი – ეგვიპტე – საკუთარი ანბანის გარეშე? ნუთუ საუკუნეების მანძილზე ვერ მოახერხეს ეგვიპტელებმა იეროგლიფებიდან ასო-ნიშნების შექმნა? უფრო ლოგიკური იქნება, ვთქვათ, რომ იმ ერებს, რომელთაც აირჩიეს აღნიშნული წერიტი სისტემები, ამით არანაირი უხერხულობა არ შექმნიათ და, ალბათ, არც კი უცდიათ შეეცვალათ ისინი. უხსოვარი დროიდან დღემდე იეროგლიფები დარჩნენ იეროგლიფებად, პიქტოგრამები, მაქსიმუმ, ტრანსფორმირდნენ იდეოგრამებად, ანბანები კი, რომელთა გრაფემებმა და ფონემებმაც შეიძლება განიცადეს გარკვეული გრაფიკულ-ფონემატური ცვლილებები, იყვნენ და კვლავაც რჩებიან ანბანებად, სისტემური თვალსაზრისით.

ფაქტი, რომ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ქართული ანბანით შესრულებული უძველესი წერილობითი ნიმუშები, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს ანბანი არ არსებობდა. წარმოდგე-

ნაც კი შეუძლებელია, რომ ერმა, რომელმაც დღევანდელ განვითარებულ ქვეყნებზე რამდენიმე საუკუნით ადრე მოჭრა მონეტა („კოლხური თეთრი“ VI-III სს. ჩვ. წ. აღ-მდე), თავისი ფულადი ერთეული, წერა-კითხვა არ იცოდა?! თვით ამ მონეტებზეც არ არის წარწერა, რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, რომ ანბანი, რომელიც არის ხატი სიტყვისა, ითვლებოდა წმინდად, საკრავლურად და ყოფით ცხოვრებაში არ გამოიყენებოდა. ისევ დავესესხებით თამაზ გამყრელიძეს, ზემოთხსენებულ ნაშრომში იგი ამბობს: „... ასტროლოგიური წარმოდგენები დამწერლობასთან კავშირში თავს იჩენს ზოგ უძველეს ორიგინალურ წერით სისტემაში, რომლებიც ღვთაებრივი ძალის პროდუქტად არის მიჩნეული როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ცივილიზაციებში. განსაკუთრებით ძლიერია წერის მისტიკური ძალა იმ საზოგადოებათა წარმოდგენებში, სადაც დამწერლობა ქურუმთა სპეციალური კასტის კუთვნილებას წარმოადგენდა. იმ საზოგადოებებში, სადაც წერა ფართოდ ვრცელდება და საზოგადოებრივ კუთვნილებად იქცევა, დამწერლობას არ უკავშირდება ის მისტიკური წარმოდგენები, რაც მთელი რიგი აღმოსავლური ცივილიზაციებისთვისაა დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, ბერძნული ფილოსოფიისათვის უცხოა წარმოდგენები წერის მისტიკური ძალისა და დამწერლობის ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ“ (გვ. 44). რაც შეეხება ქართულ დამწერლობას, მიუხედავად იმისა, რომ იგი, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ მეფე ფარნავაზის დროს, ჩვ. წ. აღ-მდე IV-III საუკუნეებში იქცა „საზოგადოებრივ კუთვნილებად“, დღესაც კი, ჩვენს დროში, ასომთავრული და ნუსხა-ხუცური ანბანებით მხოლოდ ქართული ეკლესია სარგებლობს, ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის და დანარჩენი მსოფლიოსათვის კი ეს ანბანები, სამწუხაროდ, უცნობია.

როდესაც ანბანების შესახებ ვსაუბრობთ, შეუძლებელია, არ ვახსენოთ ბაბილონი, ქალაქი, სადაც, წმინდა წერილის თანახმად, მოხდა ენათა აღრევა.

როგორც მეცნიერები ვარაუდობენ Βαβυλών, ბუბ (Babel)... დასახელებები მცდელობაა იმ სახელის სხვა ენაზე გადმოცემისა, რომელსაც თვითონ ბაბილონელები უწოდებდნენ ამ ქალაქს – „Bābili(m)“. ძველ შუმერულ წყაროებში „ბაბილონი“ არ მოიხსენიება. შუმერულად მას ერქვა სახელი, რომელიც გადმოიცემა ლოგოგრამით „KÁ.DINGIR.RAKI“, სადაც KÁ ნიშნავს კარს, DINGIR ღვთაების სახელია, RA კუთვნილებას აღნიშნავს, ხოლო KI – დასახელებულ ადგილს, ე. ი. „ქალაქი, სადაც არის ღმერთთან მისასვლელი კარი. ეს სახელი, რა თქმა უნდა, ესმინება ბიბლიურ ისტორიას, იმ შემთხვევას, როდესაც ერთენოვანი მსოფლიოს მეფემ, ნებროთმა, სწორედ აქ, ამ ქალაქში გადაწყვიტა აეშენებინა გოდოლი (კარი) ღმერთთან მისასვლელად. როგორც ბიბლიიდან ვიცით, ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა, რადგანაც, უფლის განგებით, მოხდა ენათა აღრევა. მაშ რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ ეს მოვლენა დაეჩრდილა და ამ ქალაქისათვის სახელი შეეცვალათ?

მიიხვევა, რომ ტოპონიმი „babil(a)“ არასემიტური წარმოშობის უძველესი (პროტოეფრატული, არ გამოირიცხება – შუმერული) ენის სიტყვაა, რომლის მნიშვნელობაც მეცნიერთათვის უცნობია. სხვა ენებში, ბიბლიური ისტორიის გავლენით, ამ სახელმა „აღრევის“ მნიშვნელობა შეიძინა. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქართულ ენაში სიტყვა „ბაბილო“ ნიშნავს „მაღალ ვენახს“ (საბა), ხოლო „ბაბილონი“ ამ სიტყვის მრავლობითი ფორმაა, ე. ი. დასახელება „ბაბილონი“ (ქალაქის შემთხვევაში) აუცილებლად ნიშნავს „მაღალი ვენახების (ბაღების) ქალაქს“, რაც, სავარაუდოდ, პირდაპირ კავშირშია მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებასთან, ბაბილონის დედოფალ სემირამიდას (დაახ. IX ს. ჩვ. წ. აღ-მდე) „დაკიდულ ბაღებთან“. მართალია, ამ ბაღების გაშენებას მეფე ნაბუქოდონოსორს (VI ს. ჩვ. წ. აღ-მდე) მიაწერენ მისი მეუღლის, დედოფალ ამიტასათვის, მაგრამ ფაქტია, რომ ძველი ბერძნები ამ საოცრებას „სემირამიდას ბაღების“ სახელით მოიხსენებენ. ეს გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ მეფე ნაბუქოდონოსორმა თავისი მეუღლისათვის მხოლოდ განაახლა სამი საუკუნის წინ (შეიძლება უფრო ადრეც, სხვა რომელიმე მბრძანებლის მიერ) დედოფალ სემირამიდასთვის გაშენებული (ან იმ დროსაც განაახლებული) ბაღები, ის დაკიდული (მაღალი ვენახები) ბაღები, რომელთა გამოც ამ უძველეს ქალაქს ნაცვლად „KÁ.-DINGIR.RAKI“-სა ეწოდა „ბაბილონი“. აქ შეიძლება წინააღმდეგობას წავაწყდეთ იმ მხრივ, თუ

რომელი საუკუნიდან გვხვდება ახალი დასახელება, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ წერილობით წყაროებში ძველი ქალაქი ახალი სახელით იყოს მოხსენიებული. ყოველ შემთხვევაში, სსენებულ თეორიას საფუძვლიანად გააჩნია არსებობის უფლება.

რაც შეეხება უხსოვარი დროიდან შემორჩენილ ნიშნებს სულიერი და კულტურული კავშირებისა, იმ შემთხვევისათვის, რომ აუცილებლად დაისმება კითხვა: თუ დავუშვებთ, რომ ციფრების ფორმირება და დროის ანგარიშის სხვადასხვა სისტემების ჩამოყალიბება მართლაც ქართული ანბანიდან მოხდა, როგორ აღმოჩნდნენ ციფრები ინდოეთში? პასუხი ამ კითხვაზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ სავარაუდოა. პრეისტორიულ ქართულ კულტურას ინდურ კულტურასთან რომ უძველესი ფესვები აკავშირებს, ეს კარგად ჩანს ქართულ ფოლკლორში, მაგალითად, უძველეს ცეკვა „ფერხულში“. ფერხულის დროს მოცეკვავეები დგანან წრეზე და როდესაც გარე წრე ტრიალებს საათის ისრის მიმართულებით, შიდა წრე ტრიალებს საწინააღმდეგო მხარეს და, პირიქით, რაც, სავარაუდოდ, გამოხატავს სამყაროს ბრუნვას და ცაზე ცდომილების, ანუ პლანეტების საწინააღმდეგო მოძრაობას. ეს ცეკვა აშკარად ატარებს საკულტო მსახურების ნიშნებს და ერთ-ერთი იმ შეძახილთაგან, რაც ამ რიტუალის დროს გაისმის, ეს არის წარმართული „ღვთაებების“, „რა“-სა და „რამა“-ს, სადიდებელი: „ჰარი რა, ჰარი რამა“, რომელიც სრულდება საოცარი რიტმების (დოლი) თანხლებით. აქ შეიძლება „რა“ იგივე „რამა“-ს შეკვეცილი ვარიანტია, მაგრამ ამას ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, გადაშვებები მნიშვნელობა არ აქვს. სიტყვა „ჰარი“, რომელსაც ინდოელები დღესაც იყენებენ რიტუალების დროს, მარტო მათი საკუთრება რომ არ არის, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ქართულ ფოლკლორში ის ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვაა (მაგ. „ჰარი ჰარალე“ – ასევე სადიდებელი წარმართული „ღვთაება“ „ჰარალესი“), ხოლო ქართული ფოლკლორის იდენტურობა არაგისთვის საეჭვო არ არის. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ანბანი (და, შესაბამისად, ციფრები) უშუალოდ უკავშირდებოდა საკულტო მსახურებას, მივაღწეოთ, რომ სავსებით შესაძლებელია, საქმე გვქონდეს წინაისტორიული პერიოდის საერთო დირებულებებთან, საიდანაც მოხდა წარმოშობა დღეს არსებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურებისა. ეს მოსაზრება კი უფრო ამტკიცებს ვარაუდს უძველესი ერთიანი მსოფლიოს ერთი ენისა და საერთო ანბანის შესახებ, იმ „წერილობითი პროტოტიპისა“, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო ყველა სხვა ანბანურ დამწერლობას. აღნიშნული მოსაზრება სრულ თანხმობაშია ენებისა და ერების შესახებ ბიბლიურ გადმოცემასთან, რომლის მიხედვითაც, ბაბილონის მისტერიის შემდეგ, მოხდა ერთენოვანი საზოგადოების დაშლა და გაფანტვა მთელ მსოფლიოში (აქვე აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართული ენა დანარჩენ ენებს „უცხო ენებს“ უწოდებს. ტერმინი „უცხო“, შესაძლოა, ნიშნავდეს „არაცხებულს“ ე. ი. „არაუფლისმიერს“, „არაკურთხეულს“, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღვიქვათ შეურაცხყოფად ან დამცირებად სხვა ენებისა. იქნებ ეს მხოლოდ იმის მანიშნებელია, რომ თვითონ ქართული ენა არის „ცხებული“?).

ვერცერთი თეორია და მოსაზრება მანამდე ვერ გაცდება საკუთარ სტატუსს, სანამ ფაქტებით არ დამტკიცდება. ზუსტი მეცნიერებების შემთხვევაში (ფიზიკა, ქიმია...) ეს გზა ექსპერიმენტია (თუმცა ზოგ შემთხვევაში ექსპერიმენტი შეუძლებელია და აღიარება ხდება მხოლოდ იმის დამიხედვით, თუ რამდენი მეცნიერი იზიარებს ან არ იზიარებს მოცემულ თეორიას. მაგ., ე. წ. „დიდი აფეთქების“ თეორია). ისტორიისა და ენათმეცნიერების შემთხვევაში თეორიას ამტკიცებს არქეოლოგიური მიღწევები (არტეფაქტები, რომლებიც მოიპოვება არქეოლოგიური გათხრების შედეგად). მოცემულ შემთხვევაშიც, ვიდრე არ აღმოჩენილა რაიმე სახის მტკიცებულებები, შეუძლებელია ისაუბრო ყოველივე ზემოთქმულის ჭეშმარიტებაზე. ერთადერთი, რაც შეგვიძლია დასაბუთებულად ვთქვათ, ესაა ფაქტი, რომ: „...ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოქმედმა კარგად იცის კლასიკური ბერძნული დამწერლობის ასო-ნიშნების სემური გრაფიკული პროტოტიპები. ვარაუდად ამ ცოდნის საფუძველზე შეიძლება აიხსნას იგივე სემური გრაფიკული პროტოტიპის ქართული გრაფიკული ნაირსახეობა. ქართული ასომთავრული დამწერლობის შემოქმედისათვის ცნობილია როგორც ბერძნული გრაფიკული ერთეული, ასევე ამ გრაფიკული ერთეულის ფინიკური გრაფიკული პროტოტიპი“ (რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბილისი, 1980 წ., გვ.

190). ჩვენ დავამატებთ, რომ ქართული ანბანის შემქმნელი ზედმიწევნით, სრულყოფილად ფლობდა ცოდნას არა მარტო სხვა ანბანებისა, არამედ ე. წ. „ინდურ-არაბული“ ციფრების შესახებაც (შესაბამისად, ამ ციფრებს უფრო ღრმა წარსულში აქვთ ფესვები, ვიდრე დღესდღეობით მიიჩნევა). ხოლო თუ დავუშვებთ ე. წ. „წერილობითი პროტოტიპის“ არსებობას, მაშინ გამოდის, რომ ეს ანბანი ან თვითონ არის პროტოტიპი სხვა ანბანებისა და ციფრებისათვის ან, დღემდე ცნობილ ანბანთა შორის, ყველაზე ახლოს დგას ჯერ კიდევ უცნობ პროტოტიპთან. აქედან გამომდინარე: ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ენაა და შესაბამისად, ქართული ანბანი – წერიითი სისტემების ერთ-ერთი უძველესი ფორმა.

**Archimandrite Hilarion (Giorgi Chighladze) (Tbilisi)**

### **Regarding the Georgian Alphabet and Numbers**

*I dedicate this work to His Holiness and Beatitude, Patriarch Ilia II, with enormous respect*

Where is the wise? Where is the scribe? Where is the disputer of this world? Hath not God made foolish the wisdom of this world?

For after that in the wisdom of God the world by wisdom knew not God, it pleased God by the foolishness of preaching to save them that believe.

Ap. Paul. I Cor. 1:20-21.

I was appointed as the abbot of Skhalta Monastery in Zemo Achara through the prayers and blessing of His Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch Ilia II in the 1990's, by Bishop Job, who was then overseeing the Diocese of Batumi and Shemokmedi. I served in this monastery from the beginning of 1993 to the spring of 2000 with the exception of small intervals. These had been my first steps in the ecclesiastical life, becoming acquainted with everything with a great interest.

During the Divine Liturgy, the antimimension is unfolded when the Litany for the Catechumens is drawing to a close and the Service of the Righteous begins. The antimimension is a rectangular white piece of fabric on which Christ has been pictured after being taken down from the Cross, with a relic of a holy martyr placed inside of it. The antimimension is blessed by the Patriarch, confirmed through his signature. Every time during the Liturgy, when I began unfolding the antimimension, the first thing to capture my attention was precisely the Patriarch's signature: „ილია Բ“, or “Ilia II”. In the beginning I had thought how the „Բ“-“ban” of the Asomtavruli script really resembled the numeral “2”. Following this, a thought gradually came to me that perhaps this similarity is not accidental and I began to compare other letters from the Asomtavruli script with their corresponding numeric figures. I was greatly amazed after discovering that not only “ban”, but the first nine letters of the Georgian alphabet are similar to the so-called Arabic numerals. After many years, I made the decision to try and work on this topic as much as I was able, thus my little “research project” has come before your judgment. I first of all ask forgiveness for the lack of professionalism and for those hypothetical errors which probably accompany such a work by an inexperienced author.

I reverentially dedicate this to our Patriarch, His Holiness and Beatitude “Ilia Բ”.

### **Regarding the Georgian Alphabet and Numerals**

The numerals known as 1,2,3,4,5,6,7,8,9, and 0 are called Arabic numerals, because the Europeans had adopted them from the Arabs. But the Arabs themselves had called these numerals “Hindu”, whereas arithmetic that had been founded on the decimal system was called the “Hindu Computation” (Kisab Al-Hind).

The emergence of Hindu numerals is estimated to have taken place in India not later than the 5<sup>th</sup> century. There is a hypothesis that the concept of “zero” (“shunya” in Hindu) had also been introduced during this same period.

Starting from the 7<sup>th</sup> century Arabia became a very strong country militarily and politically. The Arabs had gained control over the neighboring states and begun to expand their sphere of influence in a sequential manner. They invaded India in the year 712, where they became acquainted with a different system of computation, adopting it as their own. The graphic symbols used in this computational system were called “Arabic numerals” a while later.

Numerals for Comparison:

Modern	Arabic	Hindu
0	•	o
1	١	१
2	٢	२
3	٣	३
4	٤ ٥	४
5	٥ ٦	٥
6	٦ ٧	٦
7	٧	٧
8	٨	٨
9	٩	٩

The Arabic numerals 4,5, and 6 have been shown in two versions, on the left is the Arabic, whereas the Persian is on the right.

The Hindu calculation system became popular in the 9<sup>th</sup> century through Al-Khwarizmi, the great Persian mathematician (787-to about 850). One of his books is “On the Calculation with Hindu Numerals” (the terms “algorithm” and “algebra” are also connected to him). Al-Khwarizmi first described this system in his treatise “Hindu Numerals”. This innovation had such a great influence upon him, that he even made the intent to change the Arabic script as well (i.e. to change the Arabic rule of writing, with the writing running from left to right instead of from right to left, like the Hindus. It must be noted that the Indians themselves had adopted this rule of writing since the 3<sup>rd</sup> century B.C.). In his work, Al-Khwarizmi had recommended that an empty circle be written in the place where “nothing” was implied when making a calculation. Thus the numeral “0” appeared in Arabic manuscripts, which is known by the Latin name “nullus” (nothing).

This is the period when the Arabic caliphate had control over a large portion of the world, including the territory of certain European countries. The Arabs had captured Europe and Asia in one fell swoop. Such an expansion of the caliphate was beneficial for scientific and cultural connections between the East and the West. Unknown scientific methods became available for erudite European scholars through the close relationship of two parts of Spain – the Islamic Caliphate of Cordoba and the Christian Kingdom of Barcelona. When the Roman Pope Sylvester II (999-1003) was one of the first ones to note the superiority of the Arabic numerals, he began to implement them into European science. Regarding Pope Sylvester, it is known that he went to the libraries in Cordoba disguised as a Muslim, when he was yet a simple monk (at this time, he was known as Gerbert d'Aurillac). He had mastered the Greek, Arabic, and Hebrew languages and he tirelessly searched for new knowledge, when

getting acquainted with manuscripts. Gerbert was especially interested by the new numerals. When he had gained all there was to know regarding these numerals, he departed from Cordoba, taking some manuscripts along with him. The future Pope tried to share this new knowledge with everyone, with him founding the first humanitarian center of learning in Catholic Europe in Rheimes as a result.

Juan of Seville translated the treatise by Al-Khwarizmi “De numero indorum” into Latin in the 12<sup>th</sup> century. In the following century, however, when the Hindu symbols had become widely known, the new system was called an algorithm (Al-Khwarizmi). Just a little while later, one of the most distinguished mathematicians of the Middle Ages, Leonardo of Pisa, also known as Fibonacci (1180-1240), tried to implement the numeral “0” into practice. Fibonacci was the son of a well-known Genoese merchant and became acquainted with the Hindu-Arabic system in Algeria as a youth, because carrying out merchant operations was impossible without this calculation system. Afterward, he described the superiority of this calculation system in a pictorial format using examples from the life of merchants in his treatise “Liber Abaci”, which was published in 1202. The calculation method proposed by Fibonacci became quickly established in Italy. Whoever desired to be a banker, merchant, architect, or sailor studied the Arabic system, which implied the acknowledgment of the numeral “0”. The concept of fractions was introduced into the Hindu-Arabic system of calculation from the year 1585. The erudite Simon Stevin had published his minor treatise “De Thiende” in the same year, where he had used the so-called indices, or numerals in order to write down numbers consisting of many figures, which were written above or on the side of single units, tenths, hundredths, and so on, in a circle.

The decimal point was introduced in the 17<sup>th</sup> century in order to write numeric fractions, separating the whole number from the decimal fraction. Stevin's indexation fell out of favor in Europe as a result of this. After all this, it is possible to say that the formation of the modern system of calculation had reached its completion.

As it seems, it has already been a few centuries since the Europeans and the rest of the world have been taking advantage of numerals; a very practical, convenient, simple, and also perfected system. A question naturally presents

itself – How did the Hindus manage to create these signs? Were they created by them or had they taken them from someone? These questions are unanswerable for the time being. Almost every ethnic group has used the letters of an alphabet in order to write down numerals since ancient times until the last few centuries. Thus, it seems logical to have conducted a search for the prototype (although “matrix” could be said) of the Hindu-Arabic numerals in one of the ancient alphabets.

It is held that the first alphabet had been created about 3,500 years B.C., by a group of people that had lived on the shore of the Mediterranean Sea and spoke in one of the Semitic languages. There is also the supposition that the Phoenicians had created the first surviving alphabet (a consonantal alphabet). The Phoenician alphabet was disseminated 3,000 years B.C. in two directions: in the East among people representing other Semitic tribes (the Arabic and Hebraic scripts) and in the West – in ancient Greece.

Since these are called Arabic numerals, whereas the Arabs had adopted them from the Hindus, a comparison should commence precisely with these scripts. Brahmi (Sans. ब्राह्मी, Brāhmī) is one of the oldest types of the Hindu writing

Vowels	Hindi	Punjabi	Bengali	Gujarati
A	अ स	ਅ ਮ	অ ষ	અ મ
Aa	आ सा	ਆ ਮਾ	আ ষা	આ મા
I	इ सि	ਇ ਮਿ	ই সি	ઇ મિ
Ee	ई मी	ਈ ਮੀ	ঈ মী	ઈ મી
U	उ सु	ਉ ਸੁ	উ সু	ઉ મુ
Oo	ऊ सू	ਊ ਸੁ	ঊ সু	ઊ મુ
E	ए मे	ਏ ਮੇ	এ মে	એ મે
Ey	ऐ मै	ਐ ਮੈ	ঐ মৈ	ਐ ਮੈ
O	ओ मो	ਓ ਮੋ	ও মো	ઓ মো
Ou	औ मौ	ਔ ਮੌ	ঔ মৌ	ਔ ਮੌ
Un'	अं सं	ਅੰ ਸੰ	—	અં ਸં
An'	अँ सं	ਅੰ ਸੰ	অঁ ষঁ	અં ਸં



system. The writing direction is from left to right. Brahmi is considered to be the forerunner of the indigenous scripts of almost the entirety of southern and southeastern Asia, although this script itself had been forgotten during the Middle Ages. It was re-deciphered through the efforts of a few linguists (the most notable among them is the numismatist James Prinsep) during the 18<sup>th</sup> century. Three branches of the Hindu script were formed based on Brahmi: the northern, southern, and southeastern. A few of them are shown in the chart below:

It is possible to pick out the forms resembling numerals in this chart for the scripts, but because these have been produced from “Brahmi”, the subject of interest is represented by the latter as their precursor.

There are different theories in existence regarding the origins of Brahmi. One group of Indian researchers believe it is of local origin. Some of them have considered examples of a proto-Hindu script (2<sup>nd</sup> - 3<sup>rd</sup> mill. B.C.) as proof of this, which had been discovered during the archaeological excavations of the cities of Harappa and Mohenjo-daro. Non-Hindu researchers however, are more particular to the theory that “Brahmi” had originated from the Aramean alphabet, with the similarity of a great number of letters confirming this. This script had hypothetically been created during the 7<sup>th</sup> or 8<sup>th</sup> century B.C.

### Brahmi:

When comparing the graphemes of Brahmi to the Hindu numerals, a few similarities can really be picked out. For example: The grapheme form for the sound “ma” is almost identical to the Hindu numeral 4, as well as “ta” to the numeral 6, and “tha” to the numeral 0. It may have been possible to think that the Hindus had appropriated these graphemes to the numbers, but yet another question presents itself: Why is there no equivalency between the orderings of the numbers and the letters? Their interrelation is so unstructured, whereas the phonemes are so different (ex.: the sound “ma” has nothing in common with the Hindu name for the numeral 4 “chatur” or “charh”), that it is inconceivable for this alphabet to be considered as a precursor to the numerals. Even more so, it is known that the numerals were in existence along side, but independently of the letters.

There is the recognition that the Arabic script had developed from the Aramaic, whereas in regard to Aramaic, its origins are based in the Phoenician script. In this case, the Arabic script might not represent a subject of interest, since it is known that the Arabs had borrowed the numerals from the Hindus, but a comparison should be attempted.

11. *Dzhidalaev N.S.* Turkism in Dagestan languages: Experience the historical and etymological analysis. – M.: Nauka, 1990 – 248 p.

12. *Hazity Meliton*. Iron hæzna: æmbisændtæ. 1-ar chinyg. – Tskhinvali: Tsykura –Dzæudzhyhæu: Orion, 2013 – 352 p.
13. *Ierusalimskaya A.A.* Alanian world on the Silk Road (Moshchevaya Balka – Historical and Cultural Complex VIII-IX centuries.) // Culture of the East. Antiquity and the early Middle Ages. – L. – P. 151-162.
14. *Ierusalimskaya A.A.* Caucasus on the Silk Road. Product temporary exhibition. St. P: 1992 – 72 p.
15. *Ierusalimskaya A.A.* On the North Silk Road in the early Middle Ages // Soviet archeology, 1967, № 2. P. 55-78.
16. Iron adæmon argæuttæ (IAA), Volume 2, Tskhinvali. – 1960.
17. Iron ævzadzhyæmbaryngænændzyrduat4 tomæy / Gæbæraty Nikalayyi umæyag redaktsiyæ; Uæræseyy zonædty Academy; Dzæudzhyhæuy zonadon center; Hussar Iriston zonad-irtasæn Institute. – M.: Nauka, 2007. V.2. B – K'. – 2010. – 486 p.
18. *Kuznetsov V.A.* Alano-Ossetian etudes. – Vladikavkaz, 1993. – 184 p.
19. Mah dug (MD) [a magazine], № 2, Dzæudzhqæu. – 1949.
20. *Miller V.F.* In the mountains of Ossetia. Vladikavkaz: Alania, 1998. – 520 p.
21. *Noskova Z.A.* Alania silk origin of the word in the Russian language // Questions of Iranian and Alanian Studies. – Vladikavkaz, 1990. – 59 p.
22. Ossetian (Digorian) folk sayings / from the collection of G.A. Dzagurova. – 2nd ed. – Vladikavkaz: Publishing and printing company named after V.Gassiev, 2011. – 376 p.
23. Ossetian proverbs / Comp. I. Aylarov, Gadzhinova R., R. Ktsoeva. – Vladikavkaz: II, 2006. – 712 p.
24. Ossetian proverbs / Comp. K.TS. Gutiev. Ordzhonikidze: Ir, 1976. – 160 p.
25. Ossetian proverbs / Comp. Z.V. Abaeva. Tskhinvali: Gosizdat South Ossetia, 1962. – 142 p.
26. Ossetian-Russian dictionary / 5th ed. / Bigulaev B.B., Gagkaev K.E., T.A. Guriev et al. – Vladikavkaz: Alania, 2004. – 540 p.
27. Ossetian-Russian dictionary. 3rd enlarged edition. With grammar sketch of the Ossetian language V.I. Abaeva. – Ordzhonikidze: Ir, 1970. – 720 p.
28. *Plity Hariton*. Uælihizy kadæg. – Dzæudzhyhæu. 1950.
29. *Studenetskaya E.N.* Clothing of the North Caucasus XVIII-XX centuries. – M.: Nauka, 1989.– 288 p.
30. *Takazov F.M.* Digor-Russian dictionary. – Vladikavkaz: "Alania", 2003. – 736 p.
31. The legends of the Narts / Trans. from Ossetian lang. Yu. Libedinskii. – 4th ed. – Tskhinvali: Iriston, 1981. – 400 p.
- 32.

## List of Abbreviations

### Languages and dialects:

Abaz. – Abaza  
 Abkh. – Abkhazian  
 Avar. – Avarian  
 Adyg. – Adyghe  
 Az. –Azerbaijanian  
 Arab. – Arabian  
 Eng. – English  
 Balk. –Balkarin  
 Veynah. –Veynah  
 Hung. – Hungarian  
 Georg. – Georgian  
 Darg. – Dargin  
 Dig. –Digor dialect of Ossetian language  
 Olcel. –Old Icelandic  
 IE – Indo-European  
 Ind. – Indian  
 Iron. – Iron dialect of Ossetian language  
 Kab. – Kabardian  
 Kumyk. –Kumyk  
 Kurd. – Kurdish  
 Lak. – Lak

*Lat.* – Latin

*Lezg.* –Lezgian

*Manch.* –Manchurian

*Mong.* – Mongolian

*Nog.* –Nogai

*Pers.* – Persian

*Pskov.* – Pskov dialect of Russian language

*Rus.* – Russian

*Turk.* – Turkish

*F.* – French



**ე. ბესოლოვა** (ვლადიკავკაზი)

**ფ. აბაევა** (ვლადიკავკაზი)

## **ენის ლექსიკა, როგორც ინტერკულტურულ ურთიერთობათა ასახვა**

### **რეზიუმე**

ე. ბ. ბესოლოვას და ფ. ა. აბაევას სტატია „ენის ლექსიკა, როგორც ინტერკულტურულ ურთიერთობათა ასახვა“ ეძღვნება ოსური ლექსიკური ფონდის ფორმირებაზე დიდი აბრეშუმის გზის გაგვიწივს, მასში განხილულია აბრეშუმის შესატყვისები ოსური ენის დიალექტებში (და ზოგ. კავკასიურ ენებში), აბრეშუმის გზის მნიშვნელობის ასახვა ნართების ეროვნულ სარიტუალო ტექსტებში.

საყოფაცხოვრებო ლექსიკონში, რომელიც ასახავს კავკასიის ხალხების ყოველდღიური ცხოვრებას, შესაძლებელია მოვახდინოთ რეკონსტრუქცია არა მხოლოდ წარსულის, აწმყოსა და ტრადიციებისა, არამედ რეგიონალ ენათა ლექსიკური და სემანტიკური თავისებურებებისა. ოსური ენის უხვი ლექსიკა, დაკავშირებული აბრეშუმის სახელებთან, ადასტურებს, რომ აბრეშუმში კავკასიაში წარმოადგენდა სოციალური სტატუსის მარკერს გარკვეულ ისტორიულ პერიოდში.

კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აბრეშუმის გზას, როგორც მოვლენათა მთელ კომპლექსს, რაც განისაზღვრება, არა მხოლოდ მასთან დაკავშირებული ვაჭრობის, ეკონომიკისა და პოლიტიკის, არამედ დიდია მისი როლი სულიერი განვითარების, მატერიალური კულტურის, რელიგიისა და ხელოვნების სფეროებში.

რ. ზექალაშვილი (თბილისი)

ფატიკური კომუნიკაციის ფუნქციურ-პრაგმატიკული ანალიზი პერსონაჟთა  
მეტყველებაში  
(დავით კლდიაშვილის პიესებისა და მოთხრობების მიხედვით)

ადამიანის, როგორც სოციალური არსების, უპირველესი მოთხოვნებია სხვა პიროვნებებთან ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაცია. საუბარი არასოდეს არ შედგება მხოლოდ რელევანტური ინფორმაციის შემცველი რეპლიკებისაგან. ზოგჯერ მისი დანიშნულება კომუნიკანტებთან ურთიერთობის დამყარება ან შენარჩუნებაა. „ვერბალური კომუნიკაცია – კოგნიტიური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა – გულისხმობს მეტაკომუნიკაციის არსებობას ანუ ენობრივ საშუალებათა გამოყენებას ამ გაცვლა-გამოცვლის რეგულირებისთვის, კერძოდ კი, ფატიკურ მეტაკომუნიკაციას, რომელშიც რეალიზებულია ენის ფატიკური ფუნქცია – ენობრივ საშუალებათა დანიშნულება სამეტყველო კონტაქტის დამყარების, მხარდაჭერისა და შეწყვეტისათვის“ (მატიუხინა 2004).

ენის ფატიკური ფუნქციისა და ფატიკური კომუნიკაციის გამოყოფა შესწავლას განსაკუთრებით შეუწყობ ხელი სამეტყველო აქტების თეორიის ჩამოყალიბებამ, რომელშიც პირველად დაისვა საკითხი გამონათქვამების კლასიფიკაციის შესახებ ილოკუციური ძალის მიხედვით (სიორლი 1986, 195-222). გამოიყო 5 ტიპის აქტი:

1. რეპრეზენტატივები (ასერტივები ანუ მტკიცებითი აქტები): შეტყობინება, გაკიცხვა, პროგნოზირება, კვალიფიკაცია, აღიარება...
2. კომისივები (ვალდებულებები): დაპირება, ფიცი, გარანტირება...
3. ღირექტივები: თხოვნა, აკრძალვა, რჩევა, ინსტრუქცია, მოწოდება...
4. დეკლარატივები: დანიშვნა პოსტზე, ომის ან ზავის გამოცხადება, ეკლესიიდან მოკვეთა, რაინდად კურთხევა, პარტიაში მიღება, წოდების მინიჭება ადამიანისთვის ან სახელობისა – დაწესებულებისთვის...
5. ექსპრესივები (რ. იაკობსონმა ამ უკანასკნელს უწოდა ემოტივები), რომლებიც გამოხატავენ არა ინფორმაციას, არამედ გრძნობებსა და ემოციებს. ესაა მადლობა, სინანული, სიხარული, მილოცვა, ბოდიში... შესაბამისობა გამონათქვამსა და სინამდვილეს შორის მათთვის არაა არსებითი, რადგანაც ექსპრესივის საბაზი (ის, რასაც ვულოცავთ, რისთვისაც მადლობას ან ბოდიშს ვიხდით და ა. შ.), წარმოადგენს არა ძირითად შინაარსს, არამედ ასეთი სამეტყველო აქტის წინაპირობას – მის პრესუპოზიციას (იხ. ენციკლ.).

ტერმინი *ფატიკური* მოდის ბერძნული სიტყვისგან „*ლაპარაკი*“ < “*phanai*” (*phēmi* < *მე ვლაპარაკობ*) ← *phatos*. ენის ფატიკურ ფუნქციაზე პირველად ყურადღება გაამახვილა რ. იაკობსონმა, მაგრამ ცნების *phatic communion* შემოტანა (1923) უკავშირდება პოლონელი სოციოლოგის, ანთროპოლოგისა და ეთნოლოგის, ბრონისლავ მალინოვსკის, სახელს. მისი განმარტებით, ფატიკური კომუნიკაცია არის „მეტყველების სახეობა, რომლის დროსაც სიტყვათა უბრალო გაცვლით იქმნება ერთად მყოფობის კავშირი“ (მალინოვსკი 1972: ციტირება შემდეგი ნაშრომის მიხედვით: დემენტიევი 1999, გვ. 37). მეცნიერი კონტაქტის დამამყარებელ ფუნქციას იკვლევდა სხვა ასპექტით და განავრცო მოცემული მოვლენის ჩარჩოები.

ფატიკური კომუნიკაცია (*phatic communication*) მოიცავს სამეტყველო აქტებს, რომლებიც მხოლოდ სოციალურ ფუნქციას ასრულებენ, განსხვავებით ინფორმაციისგან, შეტყობინებებისგან, ბრძანებებისგან და ა.შ. ამ ფენომენის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მე-20 საუკუნის ბოლოს, მას შემდეგ, რაც გაიზარდა ინტერესი სამეტყველო ინტერაქციის კოგნიტიური და

პრაგმატიკული ასპექტებისადმი. ფატიკური ფუნქცია, რ. იაკობსონის თვალსაზრისით, გულისხმობს სამეტყველო ინტერაქციის საორგანიზაციო ასპექტს. „ტ. გ. ვინოკურის შემდეგ სამეტყველო კომუნიკაციის ფატიკური შემადგენლის კვლევა დაიწყო, როგორც მრავალფუნქციური სამეტყველო მოვლენისა, რომელიც მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა: ინტერაქციის ფორმალური ორგანიზაცია (კონტაქტში შესვლა, მისი გამყარება და შემოწმება); ფატიკა, როგორც ფატიკური ურთიერთობა, ფატიკური მეტყველება, კონცეპტირებული ურთიერთქმედების კონტაქტურ ასპექტზე, სოციალური ურთიერთობების რეგულაციებზე“ (ფედოტოვა 2004, გვ. 3). მანამდე ლინგვისტიკურ კვლევებში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ე. წ. „ლაპარაკს ლაპარაკისთვის“ და თითქოსდა არაფრისმთქმელ სასაუბრო კლიშეებს. კოგნიტიური და ლინგვოპრაგმატიკული კვლევების წინ წამოწვევამ გაზარდა ინტერესი ამ ტიპის კომუნიკაციისადმი, რომელიც დიალოგური მეტყველების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ამ ტიპის კვლევებში მ. ბახტინის<sup>1</sup> თეორიის მიმდევრებმა. ეს ეხება სამეტყველო ჟანრების (სუ) სისტემატიზაციასა და აღწერას. ცალკე გამოიყო ფატიკური სამეტყველო ჟანრებიც (ფსუ). ამ სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს რუსულ საენათმეცნიერო სკოლას<sup>2</sup>.

დიალოგურ მეტყველებაში, როგორც ადამიანური კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმაში, საკმაოდ დიდი ადგილი უკავია სწორედ ფატიკურ ენობრივ ერთეულებს. ამიტომაც, ვფიქრობთ, მისი შესწავლა საჭიროა როგორც ბუნებრივ, ისე მოდელირებულ ტექსტებში (მხატვრულ ლიტერატურაში). ტიპური ფატიკური კომუნიკაცია არის სხვადასხვა ცხოვრებისეული სიტუაციის დროს გამოყენებული გამონათქვამები: მისალმება, მოკითხვა, ქათინაურის თქმა, მადლობა, ბოდიში, დალოცვა, დაჩივლება, საუბარი ამინდის შესახებ და სხვ.

ქართულ ენათმეცნიერებაში ამ თვალსაზრისით საინტერესო კვლევებია ჩატარებული ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ, ფრანგულ და სპარსულ ენებთან შეპირისპირებით<sup>3</sup>. ცხადია, ტიპოლოგიური ასპექტი კიდევ უფრო ავლენს ენის ლინგვოკულტუროლოგიურ სპეციფიკას, მაგრამ სასურველია ასევე ფატიკური კომუნიკაციის სახეობებისა და გამონათქვამების ექსპრესიულ-ლინგვისტური საშუალებების საფუძვლიანად შესწავლა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. ამასთანავე გასათვალისწინებელია როგორც ცოცხალი სასაუბრო ენის, ისე მხატვრული ტექსტების მონაცემები. საშურად გვესახება საქართველოს ცალკეული კუთხეების ენობრივ მონაცემთა შედარება, რადგან ფატიკურ კომუნიკაციაში ვლინდება ადამიანთა ტემპერამენტი, ხასიათი, კომუნიკაბელურობის უნარი, შეხედულებები, სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკა და სხვ. მთავარი კი ყველა შემთხვევაში ისაა, რომ მოსაუბრეს სურს გამოხატოს ყურადღება, პატივისცემა, სიბოლო, თანაგრძნობა თანამოსაუბრისადმი (ცხადია, არ ვგულისხმობთ წყველის ფორმულებს, რომელთა ფატიკურობა ამ მხრივ შეიძლება სადავოც აღმოჩნდეს).

მიუხედავად იმისა, რომ უცხოურ ლინგვისტიკაში ბევრი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა ამ სფეროში, არ არსებობს ფატიკურ ერთეულთა ყველასთვის მიღებული ერთიანი კლასიფიკაცია. აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება იმაშიც, თუ რომელი ენობრივი ერთეული ჩაითვალოს ფატიკურად და რამდენად გამოადგება ყველა ენას ერთი და იგივე დაჯგუფება. ქართული ენისთვის მისაღებად მიგვაჩნია ირ. დემეტრაძის ნაშრომში გამოყოფილი 9 ფატიკური ჯგუფი (იხ. დემეტრაძე 1996): მისალმება, გამომწვიდობება, მადლიერება, მობოდიშება, დაპატივება, შეთავაზება, დალოცვა/მილოცვა, თანაგრძნობის გამომხატველი გამოთქმები, ქათინაურები<sup>4</sup>.

<sup>1</sup> შემდგომ კვლევებზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მ. ბახტინის შრომებმა (ბახტინი 1996).

<sup>2</sup> ვ. გოლდინის, ტ. შმელოვის, მ. ფედოსიუკის, ა. ბარანოვის, ტ. მატკევეას, ნ. ორლოვასა და სხვათა ნაშრომები.

<sup>3</sup> იხ. ლ. ვოქსაძე, ირ. დემეტრაძე (1992), ირ. დემეტრაძე (1996), ნ. ცერცვაძე (2007), მ. მჭედლიშვილი (2009; 2010), ე. გოგალაძე (2006) და სხვ.

<sup>4</sup> საინტერესო მასალა მოიძია და გააანალიზა ამ საკითხთან დაკავშირებით იმერულ დიალექტში ეკ. Vა-წაძემ (2012). მან განიხილა ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებში შემავალი ფატიკური კომუნიკაციის ერთეულები იმერულ დიალექტურ ტექსტებში (წყველის ფორმულების ჩათვლით).

ფატიკური კომუნიკაციის შესწავლის დროს უპირატესობა ენიჭება ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს, ცხადია, საინტერესო სალექსიკონო მასალაც, მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭიროა მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების შესწავლაც, რადგან მათში უაღრესად მდიდარი მასალა მოიძებნება. ანალიზის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მწერლის წარმომავლობაზე, ნაწარმოების ჟანრსა და თემატიკაზე, პერსონაჟების ხასიათზე, ავტორის მიზანდასახულებაზე და სხვ. ცხადია, ლინგვისტიკური კვლევის ობიექტი მუდამ იყო მხატვრული ნაწარმოებები, მაგრამ ეს ტექსტები ბუნებრივი არაა, მწერლის პრიზმაშია გარდასახული და მხატვრულ ჩანაფიქრს დაქვემდებარებული. ყველა ეს ასპექტი გასათვალისწინებელია მაგალითების განხილვის დროს. კვლევისთვის განსაკუთრებით საინტერესოა პიესები, რადგან მათში ჭარბობს დიალოგები და პერსონაჟთა მეტყველება ბუნებრივთან მიხედვითია.

ამ თვალსაზრისით მდიდარ საანალიზო მასალას იძლევა დავით კლდიაშვილის პიესები (და ზოგიერთი მოთხრობაც), რადგან მათში მოქმედი პირობების რეპლიკები საოცრად მდიდარი, მრავალფეროვანი და ბუნებრივია. ავტორის ენობრივი სამყარო ძალზე საინტერესოა, დიალოგის მონაწილეთა მეტყველების თავისებური კოლორიტი იქმნება არა მარტო დიალექტური გრამატიკული ფორმებითა და ლექსიკით, არამედ ფატიკური ენობრივი კლიშეებითა და ფრაზებით. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კლდიაშვილის პერსონაჟები ერთმანეთს საუბრის გულისთვის უფრო ელაპარაკებიან, ვიდრე სხვა ღირებული ინფორმაციის გადასაცემად. მათ დიალოგებში გამოყენებულია ფატიკური კომუნიკაციის უამრავი ერთეული: მიმართვა, მისალმება, გამომწვიდობება, მოკითხვა, სააღერსო სიტყვები, ფიცილის ფორმულები, მადლობა, მობოდიშება, მიპატიუბა, თხოვნა, დალოცვა, მილოცვა, ქათინაური და სამეტყველო ეტიკეტის გამომხატველი სხვა ფრაზები. თვალში საცემია სააღერსო სიტყვების, ფიცილის ფორმულებისა და დალოცვის სიჭარბე. პერსონაჟთა კომუნიკაციურ სტრატეგიაში ხშირად გამოიყენება ხაზგასმული თვითდამცრობა ადრესატის განდიდებისა და მისადმი განსაკუთრებული პატივისცემის გამოსახატავად. დ. კლდიაშვილს ზუსტად აქვს გადმოცემული იმერული სპეციფიკა ქართულ სამეტყველო ეტიკეტში და ხაზს უსვამს პერსონაჟთა არტისტულობას, გადაპრანჭულ თავაზიანობას, მისწრაფებას, გამოხატონ კეთილგანწყობა და ემპათია<sup>5</sup>, თუნდაც ეს მთლად გულწრფელი არ იყოს.

დ. კლდიაშვილის პიესებსა და მოთხრობებში<sup>6</sup> ასახულია ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციები. გადატაკებული აზნაურების უკიდურესი სიდუხჭირე ერთგვარ კონტრასტს ქმნის მათს დარბაისლურ მეტყველებასთან, ხოლო სხვებთან თავის მოწონება და რეალური ვითარების დამაღვის სურვილი აძლიერებს ტრაგიკომიკურობის ეფექტს. ისინი უდიდესი თავაზიანობით ესაუბებიან ერთმანეთს, მოიკითხავენ, ქათინაურებს ეუბნებიან, თავს იწონებენ უცხოებთან, ტრაბახობენ, ახლობლებთან კი ბედავენ საკუთარ გასაჭირზე საუბარს, წუწუნებენ, უჩივიან გაუსაძლის ცხოვრებას და ა. შ. ესაა მათი ყოველდღიური ყოფის შემადგენელი ნაწილი.

ენობრივი ფორმის თვალსაზრისით დიდ ადგილს იკავებს განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები: მიმართვები, შორისდებულები, მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები, მოდალური სიტყვები. დიალოგები ძალიან ახლოსაა ბუნებრივთან. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა კომუნიკანტთა რეპლიკები თავიდან ბოლომდე ფატიკურია. თვალში საცემია, რომ ამგვარ ენობრივ ერთეულებში ხაზგასმულია მოუბარი პირის სურვილი, ასიამოვნოს თანამოსაუბრეს, გამოხატოს მისადმი სიყვარული, პატივისცემა, სითბო, ყურადღება (Tundac გულში სულ სხვას ფიქრობდეს). ეს ერთგვარი გაორება და კონტრასტი რეალურ დამოკიდებულებასა და ფატიკური კომუნიკაციით გამოხატულ შორის ამაფრებს სიტუაციას და ტრაგიკომიკურობის ელფერს ანიჭებს მის ნაწარმოებებს.

ვოკალური მიმართვებში მოსაუბრე უამრავი საქებარი ეპითეტით ამკობს თანამოსაუბრეს, ხაზს უსვამს მის პოზიტიურ თვისებებს (ზოგჯერ არარსებულს), იყენებს ქათინაურის ელემენტებსაც (განსაკუთრებით – პიესაში „დარისპანის გასაჭირი“<sup>7</sup>: ჩემო ბატონო/ბატონო ჩემო, ჩემო მწკა-

<sup>5</sup> **ემპათია** – სხვების თანაგრძნობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაგების უნარი.

<sup>6</sup> მაგალითები ციტირებულია დ. კლდიაშვილის 1995 წლის ორტომეულის მიხედვით (კლდ. 1995).

<sup>7</sup> საილუსტრაციო მასალის უმეტესი ნაწილი დამოწმებულია დ. კლდიაშვილის პიესიდან „დარისპანის გასაჭირი“, ნაწილი კი – „ირინეს ბედნიერებიდან“ (იხ. კლდ. 1995, II).

ლობელი, ჩემო მაცხოვრებელი, ჩემო მაცოცხლებელი, ჩემო ცხონება, ჩემო სინათლე, შე დალოცვილო, ჩემო ღმერთო, ჩემო ყველაფერო...

შეიძლება შეგეხვდეს საკუთარი სახელი პოსტპოზიციურ კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად, რითაც ხაზი ესმება ახლობლურ და თბილ ურთიერთობას: *პელაგია ჩემო, დარისპან ჩემო, ოსიკო ჩემო, პავლე ჩემო, მართა ჩემო; ბატონო ვილიამე, ბატონო აბესალო; ჩვეულებრივია, რომ ქალსაც მიმართონ ბატონოთი: ბატონო მართა, ბატონო ეკა, ბატონო ირინე; "ბატონობით" მიმართვაზე ერთ-ერთი პერსონაჟი მოკრძალებით პასუხობს: თვითონ ბატონო და ხელმწიფე!*

დიאלოგში ხშირადაა ჩართული საალერსო სიტყვები, რომლებშიც გამოხატულია მზადყოფნა საკუთარი თავის შეწირვისა სხვისთვის: *შენ გენაცვალე; შენ სულს ვენაცვალე; შენ დაგენაცვალე; შენ დაგენაცვალა მამიდაშენი; შენ დაგენაცვალე მაგ მოქარგულ ენაში; შენ არ მომიკვლე; შენი ჭირი შემიყაროს; დარისპანი ნუ მომიკვდება; თქვენ ნუ მომიკვდებით; შენი ჭირი შეეყარა შენს დედას!..*

ჩართულ ეტიკეტურ ფრაზებში გამოხატულია მოუბარი პირის სურვილი, რაც შეიძლება სასიამოვნო რამ უთხრას თანამოსაუბრეს, შეაქოს ის, შეამკოს ქათინაურით, ხაზი გაუსვას მათს სიახლოვესა და სიყვარულს: *დიდად სასიამოვნოა; ისემც კაი დაგემართოსთ; თუ ძმა ხარ; თუკი შემიძლია რამე, ბატონი ბბანდები; არ დაგიმალავ, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ, შეხვალ ჩემს გასაჭირში; დიდი ღვთის წყალობაა, თქვენ ნუ მომიკვდებით; ჩემი თავიც გამსახუროსთ; შენ სინათლიან თვალებში რომელი უფრო მოუხდება?; ბატონო ვილიამე, შენი სულის ჭირი, ერთი ღეკური, ღეკური, თუ გიყვარდეს; იცოცხლეთ, მთხოვნელები ბევრი დამიდიოდეს, შენი ჭირი შემიყაროს; აბესალო, შენი ჭირი შეეყარა შენს დედას; ერთობ გამხარებია, შენ ნუ მომიკვდები; შენ დაგენაცვალე; შენი ჭირი შემიყაროს; ჩემო კარგო მამა, შენს სულს ვენაცვალე; ნეტავი შენი კარგა ყოფნით, აგეცილებია მაგისათვის მაშინ.*

ადამიანები გარეგნულად გულისთადად ესალმებიან ერთმანეთს, მოიკითხავენ, თითქოს გულწრფელ კმაყოფილებას, სიხარულს გამოთქვამენ, თუკი სხვის წარმატებას ან კარგ ამბავს გაიგებენ, სინამდვილეში კი სრულიად საპირისპიროს გრძნობენ. მისალმების ერთ-ერთი მაგალითია: *ოხ, ბატონ პელაგიას ვახლავართ! თუ სახლში შემოდიან, ლოცავენ: აქა მშვიდობა!*

მოკითხვა ძალზე გადაპრანჭული და ხაზგასმით თავაზიანია: *"რაგა მშვიდობით, შენ გენაცვალე? – ვახლავართ, მართა ჩემო, ჩემი რძალი ხომ კარგადაა? – მადლობელი ვარ; ვართ ისე, მართა ჩემო, რავარც მოგახსენება ჩვენისთანების ამბავი"; "ივლიტა ხომ კარგადაა, შენ გენაცვალე? – გმადლობთ, კარგად ვახლავსთ"; „სხვებრ ხომ მშვიდობით, ჩემო მზახალო! – ჩემს მშვიდობით ყოფნას თქვენი ჭირი წაუღია!"*

გამომშვიდობებაც ზედმეტად რიტუალურია: *მშვიდობით ბბანდებოდეთ, შვიდობით; მშვიდობით, შენი ჭირი, შვიდობით ბრბანდებოდეთ...*

დ. კლდიაშვილის პერსონაჟები ხშირად უბოდიშებენ ერთმანეთს: სუფრაზე პურ-მარილის სიმწირისთვის: *უკაცრავად ვარ ასე მცირედისათვის, მარა რაც გაგვეწყობოდეს; შეკითხვის დასმისთვის: მომიტყვევთ, ნუ მიძრახავთ ჩემს უზრდელობას; ბევრი ლაპარაკისთვის: შეგაწუხეთ მეტის ლაპარაკით, მგონი; თუკი სტუმარი წასვლას დააპირებს, ზოგჯერ პირფერობით გამოთქვამენ ღრმა წუხილს: *ოჰ, ღმერთო მომკალი; სხვადასხვა ყოფით სიტუაციაში: მაპატიეთ, ბატონო; არა, ჩემო ბატონო, რატომ ნებულობთ! უკაცრავად, თქვენთან უკაცრავად; ღმერთო მომკალი, გაწყენინეთ განა; მაპატიეთ, ბატონო ონისიმე; ნურას უკაცრავად, ბატონებო, ასე მიგატოვებთ; უკაცრავად შეწუხებთ სათვის!; თუ უკაცრავად არ ვიქნები; უკაცრავად ვარ, ბატონო სამსონ, ვწუხვარ...**

მადლობა ცალკეც არის გამოყენებული და სხვა ფატიკურ აქტებთან ერთადაც (ბოდიში, დალოცვა და სხვ.): *გმადლობთ, მადლობას მოგახსენებთ, მადლობელი ვარ, დიდად მადლობელი ვარ...*

დალოცვა: *ღმერთმა იმედი ნუ მოვიშალოს! აქა მშვიდობა! შენ გაშორა ღმერთმა ეს დღე! ღმერთმა სიკეთე გმატოსთ! ღმერთმა მოგცეთ, ჩემო ბატონო! ღმერთმა კეთილად გარონიოთ, ჩემო ბატონო! თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა ათას წელიწადს! ისემც კაი დაგემართოსთ! გაგაბედნიეროს, შვილო, ისე, რავარც შენ გუნებას ენატრებოდეს! არაფერი გეწყინოს, ჯვარი დავწერე! ჩემი თავიც გამსახუროსთ! ღმერთმა იმედი ნუ მოვიშალოს!*

ფიცილის ფორმულებით პერსონაჟი ნათქვამის ჭეშმარიტებას თითქოს სარწმუნოობას მატებს, ახსენებს თანამოსაუბრეს მათი ურთიერთობის სიწმინდეს ანდა საკუთარ თავს უსურვებს რამე საშინელებას, თუკი ეს სიმართლე არ აღმოჩნდება: *ძმობას გვიცავარ; ისე მე ვიცოცხლო; ვიყვე შეჩვენებული, თუ ჭეშმარიტებას არ მოგახსენებდეთ; ის შენი კაი დედა ნუ მოგიკვდება, აბესალო, ვიყვე ღვთისაგან შეჩვენებული, თუ შენ ამაში არ ცდებოდე! შენც არ მომიკვდე, ძმობას გვიცავარ, ვიქტორ! გაფიცებ ემაწვილკაცობას; აბესალო, ძმობას გაფიცებ; მიშველე, ძმობას გაფიცებ! გეფიცებით, ტყვილა იფიქრეთ; გაფიცებ ამ შენს ძვირფას, პატიოსან მამას; გაფიცებ შენს საყვარელს დედ-მამას, მითხარი; გეფიცები, ვიქტორ, უმაგისოდ ერთ წუთას გაძლება არ შემოიძლია! ისე მე ვიცოცხლო, თქვენ არ დაგიფიცავთ; მამა ზეციერმა ნუ შემასწროს ნურაფერ სიკეთეს, თუ მე რამე დანაშაულობა მიმიძღვრეს თქვენი შვილის, თქვენი ოჯახის წინაშე...*

იშვიათადაა თხოვნა გამოხატული მარტივად, მხოლოდ გთხოვ ზმნით. ხშირად ის შეიცავს სააღერსო სიტყვებს ან დაფიცებას თანამოსაუბრის მიმართ, რითაც მოუბარი ხაზს უსვამს, რამდენად ფასეულია მისთვის ამ თხოვნის შესრულება: *გაფიცებ დედ-მამას, მითხარი; გაფიცებ დედ-მამას, შენს სულს დავენაცვლე! საუკუნო მოსამსახურედ გამიხადე! თუ ჩემი ძმობა გწამს, თუ რაიმე პატივისცემა გაქვს ჩემი; მოისხი ჩემი შვილების მადლი; იცხონე სული; მოისხი ჩემი შვილების მადლი! გვედრები, თავი დამანებო! ბატონო ფილიპე, შენი სულის ჭირიმი, ერთი ლეკური, ლეკური, თუ გიყვარდე! ბატონო ირინე, უმორჩილესად გთხოვთ, ორი წამი მითავაზოთ; თუ ჩემი ძმობა გწამს, – შენ ნუ მომიკვდები, ძალიანია! ნუ, ნუ, თუ ღმერთი გწამთ; თუ კაცის სიბრალული გაქვთ...*

დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი სტილისტიკური ხერხია ლიტოტესი (ბერძნული სიტყვისაგან *litotēs* – უმნიშვნელობა, ზომიერება). ესაა „მხატვრული ხერხი, პიპერბოლის საპირისპირო – რისამე ან ვისიმე დამცრობა (მისი ამაღლების მიზნით)“ (იხ. უსლ), მეორე განმარტების თანახმად, ლიტოტესი არის „ცრუ დამამცრობელი გამონათქვამი, რომელიც მაშინ გამოიყენება, როცა სურვილი აქვთ, რომ ამ დამცრობით კიდევ უფრო აამაღლონ საგანი“ (იხ. ვიკიპედია). ამ დროს გამოყენებულია მოჩვენებითი (ყალბი) დამამცრობელი გამონათქვამი. ლიტოტესის ერთ-ერთ სახეობად შეიძლება ჩაითვალოს გამიზნული თვითდამცრობა ადრესატისადმი პატივისცემის ხაზგასანმელოდ<sup>8</sup>.

დ. კლდიაშვილის პიესებში მოუბარი პირი ხშირად საკუთარ თავს უწოდებს *უბედურს, უტვინოს, ბებერს, დედაბერს, ჭკუამოკლეს, გამოჩერჩეტებულს, უგუნურს, სულელს*. მაგალითად, “დარისპანის გასაჭირში“ მოქმედი პირი საკუთარ თავზე ამბობს: *მე უტვინო; მე უბედური; დავბერდი მე უბედური; ნაცარში ამოვლიგნილი დედაბერი; ნუ შემრისხავ ჩემი ჭკუამოკლეობისათვის; ჩემს გამოჩერჩეტებულობისაგან, ნუ გეწეინება ჩემი უგუნურობა და სისულელე; ღმერთო მომკალი, ფუი ჩემს მახსოვრობას... ბუნებრივია, იმავე დამამცრობელი სიტყვებით თანამოსაუბრემ რომ მიმართოს თავად მას, ეს უკვე შეურაცხყოფელი იქნება, დაირღვევა ეტიკეტური ნორმები და შეიძლება კონტაქტის საბოლოო შეწყვეტაც კი გამოიწვიოს.*

პიესებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ღვთისადმი მიმართვა დახმარებისა და შეწვევის სათხოვნელად: *ღმერთო ჩემო; ღმერთო, შემეწიე; ღმერთო, შემიბრალე; ღმერთო, ნუ შემშლი! თუ ღმერთი გწამთ; თუ ღმერთმა ქნა; იცის ღმერთმა; დიდი ღვთის წყალობაა! კაი მოგცეთ ღმერთმა; ღმერთმა მოგცეთ, ჩემო ბატონო! ღმერთმა გაგვახაროს; ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოს! ღმერთო, რატომ არ მომკლავ! ღმერთო, მოხედე ჩემს გაჭირვებულ ქვრივ-ოხრობას; ღმერთო, აღირსე ბედი ჩემს ნატალიას! ღმერთო, ბედნიერი და კეთილი თვალით შეახედვინე ჩემი შვილისათვის! ღმერთო, შენ დასწევლე ყოველი მავნე და ბოროტი სული! ღმერთო, კეთილად დააბოლავე ჩვენი მგზავრობა! ღმერთმა სიკეთე გმატოს! ღმერთმა მიცოცხლოს თქვენი თავიც, ბატონო სამსონ! ღვთის გული-სათვის შემეწიე; დასწევლა ღმერთმა; ღმერთო მომკალი, გაწყენინეთ განა! შენ გაშორა ღმერთმა ეს დღე, ჩვენ რომ გვაღვია; ღმერთმა კეთილად გარონიოთ, ჩემო ბატონო! მარა ღმერთმაც იცის და*

<sup>8</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მაგალითები იხ. **ომიაძე**, 2000.

კაცმა; რა ღმერთი გიწყობა! არ მოასწრებს მავათ ღმერთი ამას! ოხ, ღმერთო ჩემო, ყოველს ჩემს კეთილს შეახვედროს ღმერთმა მაგისტანა ოჯახის მოყვარული; ვიყვე ღვთისაგან შეჩვენებული (ღმერთის შემცველი მყარი გამონათქვამების შესახებ იხ. შამელაშვილი-ზექალაშვილი, 2001, გვ. 281-287).

სტუმრის მიპატიუების დროს მასპინძელი თავსაც კი აბეზრებს მას ხვეწნით, უნდა აჩვენოს, რამდენად ბედნიერი იქნება ამ სტუმრობით, რამდენად დიდი პატივი იქნება ეს მისთვის: (დარისკ. ვას.) „იმედია, ...თქვენც მცემთ პატივს და ოჯახს გამინათლებთ თქვენი წვევით, პატივისცემა ჩემს კისერზე იყვეს“; „დიდად მესიამოვნებოდა, რომ არ აჩქარებულყოფით“...

გავისენოთ სოლომან მორბელაძის გადამცემებული ხვეწნა-მუდარა სტუმრისადმი დ. კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობიდან (იხ., კლდიაშვილი, 1995, I), როცა სახლში სოლომანს გასამასპინძლებლად არაფერი აქვს. მეველის მოსვლა მას სულაც არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც უნდა მასპინძლის მოვალეობების შესრულება: „გული რომ გაგიკეთე, იმიტომ მტოვებ, შე კაცო?!“ სტუმარი დარჩენაზე უარს ეუბნება და ბოდიშობს: „აჰ, შენ არ მომიკვდე, მე დარჩენა არ შემეძლოს... უსათუოდ ახლავე უნდა წავიდე! – გაიწია პლატონმა“. სოლომანი თავისას არ იშლის და ისევ ეხვეწება სტუმარს: „შენ არ მომიკვდე, მე შენ არ გაგიშვა! ბიჭო! – დაიბახა სოლომანმა: – პლატონის ცხენს უნავირი მოხადე!“ პლატონი ისევ უარობს და მიიწევს წასასვლელად: „შენ არ მომიკვდე, შენ, სოლომან, მე დარჩენა არ შემეძლოს! – და პლატონი უკან-უკან იხევდა, სოლომანის ხელებიდან თავის ხელის განთავისუფლებას ცდილობდა. – სახლში მაქვს დაბარებული, უსათუოდ მოვალე ამადამ-თქვა, და რომ არ მივიდე ჯავრით მოკვდებიან... გამიშვი, შენი ჭირიმი... შემომალამდე, მერე ვეღარ ვივლი!“

მასპინძელი შეუვალა და თითქოს ძალზე გულწრფელად ეპატიუება პლატონს: „დაგაწვენ, დაგახურავ, დაგაძინებ... დილით ადრე აღვები და წახვალ, შე კაცო!“ სტუმარი იძულებულია მოიბოდიშოს: „მომიტყვეთ, ნუ მიძრახავთ ჩემს უზრდევლობას... მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“ სოლომანი ისე შეიჭრა სტუმართმოყვარე მასპინძლის როლში, რომ გულწრფელად განაწყენდა: „ღმერთმანი, ერთობ მოვიღხენდი, იმისთანა გუნებაზედ ვარ, მარა, თუ ჩემთან არ გესიამოვნება ერთი სტაქანი ღვინის დაღვევა, ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს, ჩემო პატონო!“ პლატონი ხან ბოდიშობს, ხან მადლობას იხდის და გულითადად ემშვიდობება სოლომანს: „შავას რატომ ამბობ, კაცო?! დრო არა მაქვს, თვარა ამდენი ხვეწნით რავა შეგაწუხებდი!.. მადლობელი ვარ... მადლობელი ვარ!.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“

სახლში შემობრუნებული სოლომანი კი ცოლს ამას ეუბნება: „არ მომკლა ამ უხეირომ თავისი გაუთავებელი ხვეწნით!.. სული ამომართვა კინალამ ოჯახდაქცეულმა!“ თან სტუმარს მოისხენიებს დამამცირებელი სიტყვებით (უხეირო, ოჯახდაქცეული), რაც მოწმობს მისი სტუმართმოყვარეობის არაგულწრფელობას. ცოლისა და სოლომანის ბოლო რეპლიკები საბოლოოდ გვარწმუნებს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ აუცილებელი რიტუალი ყოფილა და არა გულითადი მიპატიუება, სტუმრის პატივისცემის სურვილი: „აბა, რომ ეპატიუებოდი იმ კაცს, მისატანად რა გვეულებოდა სახლში?! ნეტავი შენ კუდაბზიკობა არ გჭირდეს და სხვა არა მინდა რა!.. რომ დარჩენილიყო, რას აპირობდი?!“ სოლომანის პასუხი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ყველაფერი მოჩვენებითი და არაგულწრფელი ყოფილა: „ერთი-ორი შეპატიუებით რავა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს... შევეპატიუე, ვალი მოვიხადე... ისე ხომ ვერ გავუშობდი, ასე არ მეთქვა... იმის შეგეშინდა, რომ არაფერი გვაქვს?! თუ არ გვაქვს – გვექნება, გვექნება!“ (კლდ. 1995, I, გვ. 51-53).

“გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს“ – ეს ფრაზა მოწმობს ფატიკური კომუნიკაციის პირობითობას: სოლომანი მასპინძლის როლს თვალის ასახვევად თამაშობს და სახლშიც ბუტაფორიული სუფრა ეგულება. სტუმარი მართლა რომ დარჩეს, დ. კლდიაშვილის პერსონაჟს საამისოდ არაფერი არა აქვს სახლში, მაგრამ იხტიბარს არ იტყვის და ამას საკუთარ თავთანაც არ აღიარებს.

როგორც საანალიზო მასალა მოწმობს, რომ პერსონაჟთა მეტყველება დავით კლდიაშვილის პიესებსა და მოთხრობებში დატვირთულია ფატიკური კომუნიკაციური ერთეულებით, განსაკუთრებით ეხება ეს სააღერსო სიტყვებს, ფიცილის ფორმულებს, მოწვევებით თვითდამცრობას, მობოდიშებასა და მოკითხვას. ეს ანიჭებს მეტყველებას განსაკუთრებულ (იმერულ) კოლორიტს, მატებს პერსონაჟებს სახასიათო შტრიხებს, ამას გარდა, ხაზს უსვამს დაპირისპირებას ნათქვამსა და რეალურ ვითარებას შორის. თითქოს პერსონაჟი არტისტულიც კია, ცდილობს ასიამოვნოს სხვას, გამოხატოს თანაგრძნობა, სითბო, სიყვარული, ერთგვარი ემპათია (ხშირად ხელოვნური და მოწვევებითი), რაც კიდევ უფრო აძლიერებს სიტუაციის ტრაგიკომიკურობას. ავტორი მაქსიმალური ბუნებრივობით ასახავს იმერულ პერსონაჟებს, მათი ურთიერთობისა და მეტყველების დამახასიათებელ შტრიხებს.

შეიძლება ითქვას, რომ ფატიკური კომუნიკაცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამოირჩევა საერთოქართული (ან საერთოქართველური) ნიშნებითაც, თუმცა ვლინდება გარკვეული კუთხური სპეციფიკაც. ამიტომ ცალკე განსახილველია ამ კუთხეთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციური ვერბალური საშუალებები და მყარი ფატიკური ფორმულები როგორც ბუნებრივ საუბრებში (სხვადასხვა დიალექტურ გარემოში), ისე მხატვრულ ნაწარმოებებში – ქართველი მწერლების მოდელირებულ დიალოგებში. როგორც განხილულმა მაგალითებმა დაადასტურა, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია დ. კლდიაშვილის ნაწარმოებების პერსონაჟთა მეტყველებას.

#### ლიტერატურა:

- ბახტინი 1996: Бахтин М. М., Собрание сочинений в пяти томах. Том 5. Москва.
- გოგალაძე 2006: გოგალაძე ე., ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო აქტების შესახებ სპარსულში: საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXII, 2006, თბილისი, გვ. 86-93.
- გოქსაძე, დემეტრადე 1992: გოქსაძე დ., დემეტრადე ირ., ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფის თავისებურებანი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბილისი, 1992, 4, გვ. 133-137.
- დემენტიევი 1999: Дементьев В. В., Фатические речевые жанры // Вопросы языкознания, 1999, № 1, გვ. 37-55: <http://rudocs.exdat.com/docs/index-292452.html>
- დემეტრადე 1996: დემეტრადე ირ., ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი განსხვავებანი (თანამედროვე ქართული და ინგლისური ენების მასალაზე): საკანდ. დისერტ., თბილისი.
- ენციკლ. – Энциклопедия Кругосвет: [http://www.krugosvet.ru/enc/gumanitarnye\\_nauki/lingvistika/RECHEVO\\_AKT.html?page=0,3](http://www.krugosvet.ru/enc/gumanitarnye_nauki/lingvistika/RECHEVO_AKT.html?page=0,3)
- ვაწაძე 2012: ვაწაძე ეკ., ფატიკური კომუნიკაცია სალიტერატურო ენასა და დიალექტში: XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი, 2012, გვ. 28-30.
- ვიკიპედია: <http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%9B%D0%B8%D1%82%D0%BE%D1%82%D0%> 0
- მალინოვსკი 1972: Malinowski B., *Phatic Communion: Communication in Face-to-Face Interaction*. Harmondsworth, 1972.
- მატიუხინა 2004: Матюхина Ю.В., Развитие системы фатической метакоммуникации в английском дискурсе 16–20 вв, Харьков, 2004: <http://31f.ru/author-abstract/50-avtoreferat-razvitie-sistemy-faticheskoy-metakommunikacii-v-anglijskom-diskurse-16-20-vv.html>
- მჭედლიშვილი 2009: მჭედლიშვილი მ., ფატიკური კომუნიკაციის ფუნქცია “მისაღმების“ და “დამშვიდობების“ ფორმებში (ფრანგული, ესპანური და ქართული ენების მასალებზე): საენათმეცნიერო ძიებანი. თბილისი, 2009, ტ. XXIX, გვ. 156-164.
- მჭედლიშვილი 2010: მჭედლიშვილი მ., ფატიკური კომუნიკაციის ვერბალური ტიპები (ფრანგული, ესპანური და ქართული ენების მასალებზე): Scripta manent. საქართველო. სამეცნიერო ჟურნალი/დია დიპლომატიის ასოციაცია. თბილისი, 2010, 1 (5), გვ. 77-82.
- ომიადე 2000: ომიადე ს., ყოფითი რიტორიკის ერთი პერიფრაზული სახეობის შესახებ: თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, წიგნი მეოთხე. თბილისი, 2000.



სიორლი 1986: Серль Дж. Р., Косвенные речевые акты: Новое в зарубежной лингвистике. Москва, 1986, Вып. XVII, გვ. 195-222.

უსლ: უცხო სიტყვათა ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=23021>.

ფედოტოვა 2004: Федотова В. Ю., Функционально-прагматическая характеристика фатических стратегий французского языка. Пятигорск:

[http://www.academia.edu/4311946/THE\\_APPELATIVE\\_STRATEGY\\_IN\\_SPEECH\\_INTERACTION\\_](http://www.academia.edu/4311946/THE_APPELATIVE_STRATEGY_IN_SPEECH_INTERACTION_)

შამელაშვილი-ზეკალაშვილი 2001: შამელაშვილი-ზეკალაშვილი რ., სიტყვა “ღმერთი“ მიმართვასა და შე-სიტყვებებში ქართულ ენაში: ქართველური მემკვიდრეობა. ქუთაისი, 2001, ტ. 5, გვ. 281-287.

ცერცვაძე, 2007: ცერცვაძე ნ., ფატიკური კომუნიკაცია და მისი ტიპოლოგია იტალიურ ენაში (თანამედ-როვე იტალიური ენის მასალაზე). თბილისი: გამომც. “თბილისი“.

### **ლიტერატურული წყარო:**

კლდ. 1995, I, II: დ. კლდიაშვილი, თხზულებანი 2 ტომად (I ტ. – მოთხრობები; II ტ. – მემუარები, პიესე-ბი), შემდგ.-რედ.: თ. აბულაძე, ჯ. ღვინჯილია, გ. ჯავახიძე. თბილისი: საქართველო.

Р. Зекалашвили (Тбилиси)

**Функционально-прагматический анализ фатической коммуникации в речи персонажей  
(по пьесам и рассказам Давида Клдиашвили)**

Первейшей потребностью человека как существа социального является его вербальная или невербальная коммуникация с другими лицами. Как известно, беседа не может состоять только из реплик, содержащих релевантивную информацию. Иногда назначение ее в том, чтобы установить или поддержать общение с коммуникантами. «Вербальная коммуникация – осуществление обмена когнитивной информацией предусматривает наличие метакоммуникации – использования языковых средств для регулирования этого обмена, в частности – фатическую метакоммуникацию, в которой реализуется фатическая функция языка – предназначенность языковых средств к установлению, поддержанию и размыканию речевого контакта» (Матюхина 2004).

Выделению фатической функции языка и изучению фатической коммуникации особенно способствовало формирование теории речевых актов, в которой впервые был поставлен вопрос о классификации высказываний по их иллокутивной силе (Серль 1986, с. 195-222). Было выделено 5 типов актов:

1. Репрезентативы (ассертивы – доказательные речевые акты): сообщение, обсуждение, прогнозирование, квалификация, признание...
2. Комиссивы (обязательства): обещание, клятва, гарантирование...
3. Директивы (побудительные речевые акты): просьбы, запреты, советы, инструкции, призывы...
4. Декларативы: назначение на пост, объявление войны или перемирия, отлучение от церкви, посвящение в рыцари, прием в партию, присвоение звания человеку или имени учреждению...
5. Экспрессивы (Р. Якобсон называл их эмотивами) выражают не информацию, а эмоции и чувства, определенное психологическое состояние говорящего (чувство благодарности, сожаления, радости, извинения и т.п.). Соответствие между высказыванием и действительностью для них не существенно, поскольку повод для экспрессива (то, с чем мы поздравляем, за что благодарим или извиняемся и т.п.), составляет не основное содержание, а предпосылку такого речевого акта – его пресуппозицию (см. Энцикл.).

Термин «*фатический*» происходит от греческого слова «*говорить*» < «*phanai*» (*phēmi* < я говорю) ← *phatos*, на фатической же функции языка первым заострил внимание Р. Якобсон. Введение понятия *phatic communication* (фатическое общение) связано с именем британского социолога, антрополога и этнографа польского происхождения Бронислава Малиновского (1923). По его определению, это такая разновидность речи, которая «отражает заложенное в самой природе человека стремление к созданию «уз общности» между людьми и часто выглядит как простой обмен словами» (Малиновский 1972, цитир. по работе: Дементьев 1999, с. 37). Он исследовал контактоустанавливающую функцию в другом аспекте, и расширил рамки данного явления.

Фатическая коммуникация включает в себя речевые акты, выполняющие только социальную функцию, в отличие от информаций, сообщений, приказов и т.д. Изучению этого феномена особое внимание было уделено в конце 20-го века, после того, как возрос интерес к когнитивным и прагматическим аспектам речевой интеракции. Фатическая функция, с точки зрения Р. Якобсона, подразумевает организационный аспект речевой интеракции. «Вслед за Т.Г. Винокур, фатическую составляющую речевой коммуникации начали изучать как

многофункциональное речевое событие, включающее такие аспекты, как формальная организация интеракции (вступление в контакт, его поддержка и проверка); фатика как фатическое общение, фатическая речь, сосредоточенная на контактном аспекте взаимодействия, на регуляции социальных отношений» (Федотова 2004, с. 3). До сих пор в трудах по лингвистике не уделялось достаточного внимания т.н. «беседе ради беседы» и на первый взгляд ничего не говорящим разговорным клише. Благодаря выдвигению на первый план когнитивных и лингвопрагматических исследований вырос интерес к коммуникациям этого типа, являющимся неотъемлемой составной частью диалоговой речи в различных коммуникативных ситуациях.

В исследованиях этого типа значительных успехов достигли последователи теории М.М. Бахтина<sup>1</sup>. Это касается систематизации и описания речевых жанров (*РЖ*). Отдельно были выделены также фатические речевые жанры (*ФРЖ*). В этой области значительные достижения имеет русская лингвистическая школа<sup>2</sup>.

В диалоговой речи как в самой распространенной форме человеческой коммуникации довольно большое место занимают употребляемые именно для фатических целей языковые единицы. Поэтому, по нашему мнению, ее следует изучать как в естественных, так и в моделированных текстах. Типичной фатической коммуникацией являются высказывания, употребляемые в различных жизненных ситуациях: приветствие, осведомление о жите-бытье, комплименты, благодарность, извинение, благословение, беседа о погоде и др.

В грузинском языкознании в этом направлении проведены интересные исследования с сопоставлением с английским, итальянским, французским и персидским языками<sup>3</sup>. Очевидно, что типологический аспект еще больше выявляет лингвокультурологическую специфику языка. Желательно также основательно изучить виды и экспрессивно-лингвистические средства выражения фатической коммуникации в грузинском литературном языке и диалектах. При этом необходимо учитывать данные как живого разговорного языка, так и художественных текстов. Представляется целесообразным также сравнение языковых данных разных уголков Грузии, поскольку при фатической коммуникации выявляются темперамент, характер, коммуникабельность, взгляды, особенности речевого этикета. А главное, что во время такой коммуникации говорящий старается проявить внимание, уважение, теплое отношение и сочувствие к своему собеседнику (мы, разумеется, не имеем в виду формул проклятий, фатичность которых с этой стороны может оказаться спорной).

Несмотря на то, что в зарубежной лингвистике в этой области создано немало интересных трудов, приемлемой для всех единой классификации фатических единиц все еще не существует. Нет единогласия и в вопросе о том, какую языковую единицу следует считать фатической. Нам думается, что для грузинского языка наиболее удачными являются 9 фатических групп, выделенных И. Деметрадзе (см. Деметрадзе 1996): приветствие, прощание, благодарность, извинение, приглашение, предложение, благословение/поздравление, сочувствие, комплименты.<sup>4</sup>

При изучении фатической коммуникации предпочтение отдается образцам живой речи, определенный интерес представляют словарные данные, но, по нашему мнению, необходимо также изучение образцов художественной литературы, так как они содержат богатый материал. При анализе внимание следует заострить на происхождении писателя, жанре и тематике произведения, характерах персонажей, поставленной автором цели и др. Конечно, художественные произведения всегда являлись объектами лингвистического исследования, однако, такие тексты не являются естественными, они переданы сквозь призму автора и подчинены художественному замыслу. Все эти аспекты необходимо принять во внимание во время рассмотрения примеров.

Наиболее интересными для исследования нам представляются пьесы, так как в них преобладают диалоги, а речь персонажей приближена к естественной. Пьесы (и некоторые рассказы) Давида Квдиашвили предоставляют интересный в этом смысле материал для анализа, поскольку реплики действующих в них лиц отличаются удивительным многообразием и естественностью. Язык автора богат, своеобразный колорит речи

<sup>1</sup> Нужно подчеркнуть большое значение **М.М.Бахтина** для последующих исследований (см. Бахтин 1996).

<sup>2</sup> Гольдин В.Е., Шмелев Т.В., Федосюк М.Ю., Баранов А.Г., Матвеева Т.В., Орлова Н.В. и др.

<sup>3</sup> см. Гоксадзе Л., Деметрадзе И.(1992), Деметрадзе И. (1996), Церцвадзе Н. (2007), Мчедlishvili М. (2009, 2010), Гогаладзе Е. (2006) и др.

<sup>4</sup> Интересный материал по этому вопросу проанализировала в имеретинских диалектических текстах Е. Вацадзе (2012).

участников диалога складывается не только благодаря диалектным грамматическим формам и лексике, но и с помощью фатических фраз и языковых клише. Иногда создается впечатление, что персонажи Квдиашвили разговаривают друг с другом скорее ради самой беседы, чем для передачи сколько-нибудь важной информации. В их диалогах используется огромное количество единиц фатической коммуникации: обращение, приветствие, прощание, осведомление о жите-бытье, ласкательные слова, формулы клятв, благодарность, извинение, приглашение, просьба, благословение, поздравление, комплимент и другие фразы речевого этикета. Бросается в глаза обилие ласкательных слов, формул клятв и благословений. В коммуникативной стратегии персонажей часто встречается подчеркнутое самоуничижение для возвеличивания адресата и выражения особого уважения к нему. У Д. Квдиашвили точно передана специфика имеретинского диалекта в речевом этикете и подчеркивается артистичность персонажей, жеманная вежливость, стремление выразить расположение и эмпатию<sup>5</sup>, хотя это может быть и не совсем искренне.

В пьесах и рассказах Д. Квдиашвили отображены повседневные жизненные ситуации. Крайняя бедность обнищавших дворян создает некий контраст с их высокопарной речью. Этот трагикомический эффект еще усиливается их желанием покрасоваться перед другими и скрыть истинное положение вещей. Они с превеликой вежливостью приветствуют друг друга, справляются о жите-бытье, рассыпаются в комплиментах, бахвалятся и стараются показать себя перед незнакомыми, в присутствии же родных брюзжат, говорят о своих бедах, жалуются на невыносимую жизнь и т.д. И это является частью их ежедневного бытия.

С точки зрения языковой формы большое место занимают обособленные слова и выражения: обращения, междометия, устойчивые фразеологические единицы, модальные слова. Диалоги в текстах весьма близки к естественным. Имеют место случаи, когда все реплики коммуникантов фатичны. Бросается в глаза, что в подобных языковых единицах подчеркнуто желание говорящего угодить собеседнику, выразить ему свое уважение, теплое отношение, внимание, любовь (даже если в душе он думает совсем другое). Это раздвоение и контраст между истинным и проявленным при фатической коммуникации отношениями обостряют ситуацию и придает произведениям трагикомический оттенок.

При вокативном обращении говорящий щедро осыпает своего собеседника хвалебными эпитетами, подчеркивает его положительные качества (порой несуществующие), используя для этого и комплименты (особенно в пьесе Д. Квдиашвили «Невзгоды Дариспана»)<sup>6</sup>: *ჩემო ბატონო/ბატონო ჩემო*<sup>7</sup> (мой господин), *ჩემო მწყაღობელო/ჩემო მაცხოვრებელო/ჩემო მაცოცხლებელო* (благодетельница моя), *ჩემო ცხონებავ* (спасение ты мое), *ჩემო სინათლე* (свет ты мой, свет очей моих), *შე დალოცვილო* (благословенная ты моя), *ჩემო ღმერთო* (бог ты мой), *ჩემო ყველაფერო* (ты мое все)... Ответ на обращение *ბატონო* (господин): *თვითონ ბატონო და ხელმწიფე*! (Сам ты мой господин и повелитель!)..

В обращениях имена собственные встречаются вместе с постпозиционными притяжательными местоимениями, чем подчеркиваются близкие и теплые взаимоотношения: *პელაგია ჩემო* (моя Пелагия, досл. Пелагия моя), *დარისპან ჩემო* (мой Дариспан, досл. Дариспан мой) *ოსიკო ჩემო* (мой Осико), *მარტა ჩემო* (моя Марфа), *ბატონო აბესალო* (господин Абесало); характерно употребление обращения *ბატონო* (господин) даже к женщинам: *ბატონო მარტა* (госпожа Марфа, досл. господин Марфа), *ბატონო ირინე* (Госпожа Иринэ, досл. господин Иринэ), *ბატონო ეკა* (госпожа Эка, досл. господин Эка)..

В диалог часто включены ласкательные слова, в которых выражена готовность принести себя в жертву ради другого: *შენ გენაცვალე*<sup>8</sup>, *შენ დაგენაცვლე* (досл. пусть твое горе перейдет на меня), *შენ დაგენაცვლა მამდაშენი* (досл. пусть твое горе перейдет на твою тетю), *Sen suls venacvale* (досл. пусть я

<sup>5</sup> Эмпатия – способность сопереживать другим и понимать их психологическое состояние.

<sup>6</sup> При переводе мы пользовались изданием Д. Квдиашвили (1956, перевод: Н. Чхеидзе), но порой предпочитаем дословный перевод, чтобы точнее передать семантику фатических языковых фраз.

<sup>7</sup> Фразы преимущественно из пьесы Д. Квдиашвили «Невзгоды Дариспана» (Клд. 1956, с. 293-316), также из пьесы «Счастье Ирины», см. (Клд. 1956, с. 260-292).

<sup>8</sup> В переводе использованы русские ласкательные обращения: *родная, родненькая, голубушка, голубка, голубчик, матушка, кума, сударыня, милая, милая моя, сударыня*, а в оригинале употреблены близкие этим словам по содержанию, но непереводаемые грузинские фатические фразы.

უმრუ за твою милую душу), შენ დაგენაცვლე მავ მოქარგულ ენაში (до чего ж люблю твою кудрявую речь), შენი ჭირი შექეყაროს (досл. пусть твоя болезнь перейдет на меня), დარისპანი ნუ მომიკვდება (клянусь вам, досл. пусть Дариспан умирает долго), შენ არ მომიკვდე (клянусь тебе, досл. не умирай ты у меня), აბესალო, შენი ჭირი შექეყარა დედას! (Абесало, пусть твоя болезнь перейдет на твою мать), თქვენ ნუ მომიკვდებით (клянусь вам, досл. живите вы у меня долго, не умирайте вы у меня)...

Во включенных этикетных фразах четко проявляется желание говорящего сказать собеседнику что-то приятное, расхвалить его, осыпать комплиментами, подчеркнуть их особую близость: დიდად ხასიაძოვნოა (очень приятно), კიი დაგემართოსო! (пусть все у тебя будет хорошо, дай Бог вам благ), თუ ძმა ხარ (да будь моим братом), ბატონი ბბბბბბბ (пусть будет по-твоему, досл. будь моим господином, повелитель ты мой), თუკი შემოძლია რამე (если я в силах что-либо делать), არ დაგიძლავ, ჩემი სისხლ-ხორცი ხარ (не буду скрывать, ты моя кровь и плоть), შეხვალ ჩემს გასაჭირში (ты войдешь в мое положение), დიდი ღვთის წყალობაა, თქვენ ნუ მომიკვდებით (это божья милость, дай Бог вам долго жить), ჩემი თავიც გამხსჯროსო (пусть я стану вашим слугой), შენ სინათლიან თავლებში რომელი უფრო მოუხდება? (прикинь своим верным глазом, что лучше придется ей), ერთობ გამხარებია, შენ ნუ მომიკვდები! (я очень рад, живи ты долго и вечно!).

В текстах использованы фразы, содержащие приветствие, осведомление о житье-бытье, прощание, благодарность, извинение, благословение и др.

Приветствие: Люди внешне сердечно приветствуют друг друга, осведомляются о житье-бытье, выказывают как будто искреннее удовольствие, радость при известии об успехах другого или услышав хорошую новость, хотя на самом деле часто испытывают противоположные чувства: ოხ, ბატონ პელაგიახ ვახლავართ! (ох, здоровья желаю вам, госпожа Пелагия). Если кто-то входит в дом, благославляет всех словами: Мир дому сему!

Осведомление о житье-бытье: «რაგა მშვიდობით, შენ გენაცვალე? (ну как живете можете?), ვახლავართ, მართა ჩემო (спасибо, живем господней милостью!), ჩემი რძალი ხომ კარგადაა? (моя невестка, надеюсь, здорова?), მადლობელი ვარ, ვართ ისე, მართა ჩემო (я благодарна вам, живем по-маленьку, моя Марфа), რაგარც მოგეხსენება ჩვენისთანების ამბავი (как надлежит нашему брату, бедняку)»; «ივლიტა ხომ კარგადაა, შენ გენაცვალე? – გმადლობთ, კარგად ვახლავხმ»(как Ивлита, надеюсь, хорошо, родненькая? \_ спасибо, ей хорошо живется)...

Прощание ритуально и подчеркнуто жеманно: მშვიდობით ბბბბბბბბბ (прощайтесь, оставайтесь с миром), შვიდობით, შვიდობით, შენი ჭირიმე (с миром, прощай, душечка)...

Персонажи Д. Квдиашвили часто извиняются друг перед другом: за скудость накрытого стола: უკაცრავად ვარ ასე მცირედიხათვის, მარა რაც გაგეწყობოდეს (извините меня, пожалуйста, за такую малость, но что подделаем); за то, что обратились к собеседнику с вопросом: მომიტყუეთ, ნუ მოძრახავთ ჩემს უზრდელობას... (извините меня за мою невежливость); за то, что сами много говорят: შევაწუხეთ მეტის ლაპარაკით, მგონი!.. (наверное, я надоела Вам моими разговорами); выражают большое огорчение, если гость собирается уходить: ოჰ, ღმერთო მოძკალი (ой, Боже, убей меня, почему я не умру); მბატოეთ, ბატონო (извиняюсь я, господи нмой); В разных житейских случаях: არა, ჩემო ბატონო, რატომ ნებულობთ!(нет, мой господин, почему вы это подумали?); უკაცრავად, თქვენთან უკაცრავად (извиняюсь я перед вами, извиняюсь); ღმერთო მოძკალი, გაწყენბეთ განა (Боже, убей меня, я Вас обидела, да?); უკაცრავად, უკაცრავად!(извините меня, извините) и т.п.

Благодарность редко встречается отдельно, в чистом виде, порой там-же употреблены извинение, благословение и др.: გმადლობთ (спасибо), მადლობას მოგახსენებთ (позвольте мне высказать мою благодарность), მადლობელი ვარ (я благодарна вам), დიდად მადლობელი ვარ (я вам очень благодарен) ...

Благословение: აქა მშვიდობა! (мир дому сему!), შენ გაშორა ღმერთმა ეს დღე! (Боже, упаси тебя от такого дня!), ღმერთმა მოგცეთ, ჩემო ბატონო! (Дай Бог вам всякого блага, господин мой!), ღმერთმა კეთილად გარბინოთ, ჩემო ბატონო! (И да благословит вас Бог и да осветит ваш путь, мой господин);

*ღმერთმა სიკეთე ვმატოსო! (Пусть прибавит вам Бог всякого добра); ისემც კაი დავემართოსო! (дай Бог тебе всякого блага); გაგაბედნიეროს, შვილო, ისე, რავარც შენ გუნებას ენატრებოდეს! (будь счастлив, сынок, как ты сам себе пожелаешь!); ღმერთმა იმედი ნუ მოვიშაგლოს! (Дай Бог тебе надежды!); თქვენი თავი მოცოცხლოს ღმერთმა ათას წელიწადს! (дай Бог тебе жить тысячу лет!); არაფერი გეწეობოს, ჯვარი დაგწერე! (Не обижайся, Бог с тобой)...*

Формулами клятв персонаж как бы прибавляет достоверность истинности сказанного, напоминая собеседнику о святости их взаимоотношений; иногда он желает себе какой-нибудь беды в наказание, если это не окажется правдой: *ძმობას გვიცავარ (я клянусь именем нашего братства), ისე მე ვიცოცხლო (дай мне Бог жить долго, коль я...); ვიყვე შეზვევებული, თუ ჭეშმარიტებას არ მოვასხენებდეთ (будь я проклят, если же я не говорю истину); შენს თავს ვვიცავ (клянусь твоей жизнью!); ის შენი კაი დედა ნუ მოვიკვდება, აბესალო (заклинаю тебя именем твоей матери, Абесало); გავიცებ შენს საყვარელს დედ-მამას (заклинаю тебя именем твоих любимых родителей); მიშველე, ძმობას გავიცებ! (помоги, заклиная тебя именем нашего братства)...*

Просьба редко выражена просто, употребляя лишь глагол *proшу*. Она часто содержит ласкательные слова или клятву, чем говорящий подчеркивает, насколько важно для него исполнение этой просьбы: *გავიცებ დედას, მოსხარო! (Hu матерью твоей заклиная, скажи), გავიცებ დედ-მამას, შენს სულს დავენაცვლე! (матерью и отцом твоим заклиная, да возрадуется душа твоя), საუკუნო მოსამსახურედ ვამიხადე! (сделайте меня на век вашим слугой), თუ ჩემი ძმობა გწამს (если ты веришь в мое братство), თუ რაიმე პატივისცემა გაქვს ჩემი (если ты хоть капельку уважаешь меня), მოისხი ჩემი შვილების მადლი (во имя моих детей), შემეწიე... ღვთის გულისთვის შემეწიე... ღმერთი შეგეწევა! (Пособи мне... ради господа бога пособи... тогда и Бог тебя пособит!)... ბატონო ირინე, უმორხოვლესად ვთხოვთ! (Госпожа Иринэ, покорно вас умоляю!); გვედარები, თავი დამანებო! (умоляю тебя, оставь меня в покое)...*

მახვილიანი სისტემის განხილვისას უნდა მივიღოთ მხედველობაში როგორც მახვილის ადგილი, ასევე მისი ბუნება. მახვილის ბუნებაში იგულისხმება მისი ხასიათი. ამ თვალსაზრისით მახვილი შეიძლება იყოს დინამიკური, რაც შედგება გარკვეული მარცვლის საარტიკულაციო გაძლიერებით, და ტონური, როცა მახვილიანი მარცვალი განსხვავდება დანარჩენებისაგან ხმის რელატიური სიმაღლით. აქ ხაზგასმული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ ხმის რელატიური სიმაღლესთან (სხვა უმახვილო მარცვლებთან შედარებით), სახელობრ ისეთთან, რომელიც ვერ იზომება მუსიკალური შკალის მიხედვით.

ზოგადად მიღებული არის მოსაზრება, რომ მახვილი დადესტნური ენების უმეტესობაში არის შედარებით სუსტი, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვეულებრივ გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე თანამედროვე ქართულში ან სხვა ქართველურ ენებში. მეორე მხრივ, უფრო სუსტია აფხაზურ-ადიღურ ენებთან შედარებით.

გაბატონებულია დინამიკური მახვილი, თუმცა ზოგ ენაში განვითარდა ტონური მახვილი. აქ შესაძლებელია ორი შემთხვევა- ანუ გარკვეულ ენაში მახვილი ატარებს მხოლოდ ტონურ ხასიათს ან ტონური და დინამიკური მახვილი თანაარსებობენ. მაშინ მახვილიანი მარცვალი არა მხოლოდ საარტიკულაციოა გაძლიერებული, არამედ ერთდროულად მისი ტონური მახვილი უფრო მაღალია დანარჩენი მარცვლებისაგან.

ამ პირველ მდგომარეობასთან საქმე გვაქვს ჰუნზიბურში [ბოკარიევი 1967 : 474] და ანდიური ენის მუნების თქმაში [ცერცვაძე 1965 : 26-27].

ორივე მახვილის ტიპის თანაარსებობა დასტურდება რუთულურში, სადაც დინამიკური მახვილის და ტონის დაკავშირება იწვევს მარცვლის ხმოვნის სიგრძის შთაბეჭდილებას, მაგ.:

რუთ. ე.დუ.მი > [ე.დუ.მი] „ადამიანი“ [ჯეირანიშვილი 1967 : 581].

თუმცა სხვა მკვლევრების შეხედულებით ამოსავალი არის დინამიკური მახვილი, რომელიც დღევანდელ ენაში თანდათან გადადის ტონურში [იბრაჰიმოვი : 1978]. ამის გარდა ასეთივე მოვლენა დადასტურებულია საკუთრივ ლეზგიურში [გაიდაროვი, გიულმაგომედოვი, მეილანოვა, ტალიბოვი 2009 : 85-93].

დიდოურშიც, როგორც მიჩნიათ, ფონეტიკური თვალსაზრისით დადასტურებულია ტონური მახვილი, მაგრამ ეს არის ასე ძალიან სუსტად გამოხატული, რომ არავითარ როლს არ თამაშობს [არდოტელი 2007 : 30].

სხვა დადესტნურ ენებში ცნობილია მხოლოდ დინამიკური მახვილი.

ზემო თქმული იყო, რომ მაგ. რუთულურში მახვილიანი მარცვლის ხმოვანი ექვემდებარება ფონეტიკურ გაგრძელებას. ზოგი ავტორის მიხედვით ასეთივე პროცესი ხდება აგრეთვე სხვა ენებში, როგორიცაა ლაკური [მურყელინსკი 1967 : 490], არჩიული [კახაძე 1979 : 15] და წახური [ტალიბოვი 1967 : 593], მაგ.:

ლაკ. ხ`უნ.ტ:უ [ხ`უნ.ტ:უ] „მთა“

არჩ. დ`ო.ზურ [დ`ო.ზურ] „დიდი“

წახ. ქ`ეტ.ა.ლას [ქ`ეტ.ა.ლას] „დარქმევა“

ბუნებრივია, რომ ზემოხსენებულ მაგალითებში ხმოვნის გაგრძელება წარმოადგენს წმინდა ფონეტიკურ მოვლენას და ამ ხმოვნის სიგრძეს არ აქვს ფონოლოგიური ღირებულება.

ჯერ უნდა მივაქციოთ ყურადღება თანამახვილის მოვლენას, რომელიც ზოგ დადესტნურ ენაში (და არა მხოლოდ), როგორც ჩანს, საკმაოდ გავრცელებულია [არდოტელი 2009 : 77-78].

თანამახვილი არსებობს სამი ან სამზე მეტი მარცვლებისაგან შედგენილ სიტყვებში და გაცილებით უფრო სუსტადაა გამოხატული, ვინემ მთავარი მახვილი. თანამახვილის მდებარეობა ცვალებადია, მაგრამ ცნობილი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ჩვეულებრივ მოსდევს მთავარ მახვილს, მაგ.:

წახ. ქ`ეტ.ა.ლას [თანამახვილი მეორე მარცვალზე თავიდან] „დარქმევა“

წახურულში თანამახვილი დაფიქსირდა მეორე მარცვალზე თავიდან [თალიბოვი 1967 : 593].

თანამახვილი შეიძლება ეცემოდეს სუფიქსულ მარცვალზე, მაგ.:

ლოდ. ლა.დ`ა. ა [სახ.მხ.] ლა.დ`ა. ა-ბ`ე [სახ.მრ.] „მოზვერი“ [არდოტელი 2009 : 77].

მომავალი კვლევებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება თანამახვილის ფუნქციონირების გაგება და მისი ისტორიული წარმოშობის გაკვლევა. განსაკუთრებით საჭიროა პასუხი კითხვაზე, როგორია თანამახვილისა და მთავარი მახვილის ურთიერთმიმართება, თუ ეს თანამახვილი ზოგ შემთხვევაში არ იყო ამოსავალი.

აქცენტურის სისტემის მოქმედების მთლიანი გაგებისათვის და მახვილისა ანდა თანამახვილის ბუნების განსასაზღვრავად აუცილებელი იქნება ექსპერიმენტული კვლევების ჩატარება.

დადესტნურ ენათა უმრავლესობის მახვილი ხასიათდება შედარებითი თავისუფლებით, რომელიც ზოგ ენაში ექვემდებარება შეზღუდვას.

როგორც ჩანს სრული დაფიქსირება მოხდა მხოლოდ ხინალულურში, სადაც მახვილი მოუდის ძირის პირველ მარცვალზე [დეშერევი 1967 : 661] და უდიურში, რომელშიც მახვილი, როგორც წესი, ეცემა უკანასკნელ მარცვალს [ფანჩიძე, ჯეირანიშვილი 1967 : 677]. რაც შეეხება უდიურ ენას, ძალიან ძნელია შეფასება, ეს ცნობები სარწმუნოა თუ არა, ვინაიდან ზემოხსენებული ნაშრომის გარდა უდიური მახვილის საკითხი დღემდე შესწავლილი აღარ იყო. გვიანდელ გრამატიკებში [ჯეირანიშვილი : 1971]; [ლოლუა : 2010] ამაზე საუბარი არ არის.



გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში მახვილის დაფიქსირება შეიძლება ახსნილი იყოს აზერბაიჯანული ენის ზეგავლენით, თუმცა ეს მთლიანად დამაჯერებელი არ არის, რადგან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამოყენებულ სხვა ლეზგიურ ენებში, სახელდობრ, კრიწულსა და ბუღუზურში, შემონახულია ამოსავალი მახვილის მოძრაობა.

გარდა ამისა აღუღური მახვილიც მთლიანად დაფიქსირდა მეორე მარცვალზე თავიდან. ფლექსიურ დაბოლოებათა ანუ დერივაციული სუფიქსების დამატებისას მახვილის ადგილი რჩება უცვლელი, მაგ.:

აღ. ტი.კ`ა [სახ.მხ.] ტი.კ`ა- დი [მოთხ.მხ.] „ლუკმა“

აღ. რად [სახ.მხ.] რად-`არ [სახ.მრ.] „მზე“ [მაჰომეტოვი 1970 : 19]

ყველაზე თავისუფალი და მოძრავი მახვილით, ამ მნიშვნელობით, რომ იქ არავითარი ტენდენციები დაფიქსირებისადმი ხელშესახები არ არის, ხასიათდება ხუნძურ-ანდიური ქვეჯგუფის ენები ხუნძურისა და საკუთრივ ანდიურის სახით, დიდოური ქვეჯგუფის ფარგლებში კი-ბეკიტური, ხინუხური და ჰუნზბური. ლეზგიურ ენათა შორის, ფაქტობრივად თავისუფალი და მოძრავი მახვილი, იქნებ, დამახასიათებელია მხოლოდ არჩიბულისათვის [კახაძე 1979 : 15], თუმცა მეორე მხრივ სხვა მონაცემების მიხედვით, ყველაზე ხშირად მახვილიანია თავკიდური მარცვალი, დანარჩენი მარცვლები კი გაცილებით უფრო იშვიათად [ხაიდაკოვი 1967 : 609].

სხვა დადესტნურ ენებში მახვილის თავისუფლება ნაწილობრივ შეზღუდულია, რაც შეპირობებულია ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტორებით.

ფონეტიკური ფაქტორები მოიცავს მარცვლის აგებულებას, შემაღენელი მარცვლების დახურულობას და ღიაობას და მარცვლების რაოდენობას.

ხელმისაწვდომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ურთიერთობა მარცვლის აგებულებას და მის მახვილს შორის იშვიათად იყო მსჯელობის საგანი.

ხვარშიულში, სიტყვებში, რომლებიც შედგებიან ერთზე მეტი ღია მარცვლისაგან, მახვილი მოდის მეორე მარცვალზე ბოლოდან:

ი.დო „დედამიწა“ ხუ.ხუ. ტ`არი „ქუხილი“

იმ შემთხვევაში, როცა მარცვალთაგან ერთი დახურულია, მახვილი ეცემა სწორედ ამ მარცვალს:

კ.ი.მ ა „კვერცხი“ დო.ზ`ოლ „ძვალი“

როგორც ჩანს, ერთზე მეტ დახურულ მარცვალთა შემცველი სიტყვების არსებობა ფონოტაქტიკურად დაუშვებელია და ამის საფუძველზე გამართლებულია დასკვნა, რომ მეტრულად მძიმე მარცვალი მიიზიდავს მახვილს [ხალილოვა 2009 : 34-37].

მახვილის ასეთივე მიდრეკილება დახურული მარცვლის მიმართულებით თავს იჩენს საკუთრივ ანდიურში, მაგ.:

ანდ. ლად`ორ [CV.CVC] „ხევი“ ად`ამ [V.CVC] „ხალხი“ ბე.ღ`ირ [CV. CVC]“ ირემი“ ჰ`არ.ჰუ [CVC.CV]“ თვალი“ ბ`ორ.ცცი [CVC.CV] „მოვარე“

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ მაგალითებში მახვილიანი მუდამ არის დახურული მარცვალი.

თუ სიტყვა შეიცავს ერთზე მეტ დახურულ მარცვალს, მახვილი, როგორც წესი, მოუდის ამ უკანსაკნელში, მაგ.:

ანდ. ლენ. :`ურ [CVC.CVC] „ფქვილი“ [ცერცვაძე 1965 : 26-27]

მსგავსი მოვლენა ცნობილია ლაკურშიც, მაგ.:

ლაკ. ზ`უნ.ტ`უ [CVC.CV] „მთა“- აქაც მახვილიანია დახურული მარცვალი [მურყელინსკი 1967 : 490].

რაც შეეხება სხვა დადესტნურ ენებს, მარცვალსა და მახვილს შორის ურთიერთობის საკითხს ესაჭიროება გადრმავებული კვლევები.

არაერთ დადესტნურ ენაში მახვილის მდებარეობას აქვს კავშირი კუთვნილების გარკვეულ მორფოლოგიურ კატეგორიასთან და მორფოლოგიური სისტემის ფარგლებში, მის ფუნქციასთან.

ნომინალურ მორფემათა შორის მახვილი შეიძლება იყოს ბრუნვის კატეგორიის განმასხვავებელი საშუალება, მაგ.:

ხვარშ. ხ`იჰე [სახ.მხ.] ხიჰ`ე [ირიბ ბრუნვათა ძირი] „ძროხა“ [ხალილოვა 2009 : 55]

ხუნდ. მ`უჰ.რულ [სახ.მრ] მუჰ.რ`ულ [ნათ.მხ.] „მთა“ [მიქაილოვი : 1959]

ხუნძურში ცნობილია აგრეთვე მოთხრობითის ორი ტიპის განსხვავება.

ორივე ტიპს მოეპოვება მახვილიანი დახასიათება. პირველში მახვილი მოუდის სახელურ ძირ-ზე, მეორეში კი ბრუნვის ნიშანზე, მაგ.:

ჰორ [სახ.მხ.] ჰ`ო.რალ` [მოთხ.მხ.] ანუ ჰუ.რ`უ.ცა [მოთხ.მხ.] „მდინარე“ [მიქაილოვი : 1959]

ზემოხსენებული მოთხრობითის ფორმებით მიქაილოვის მიხედვით პირველი უნდა იყოს „ახალი“ და მეორე „არქაული“ [მიქაილოვი : 1959].

ყველაფრის მიუხედავად მახვილის ადგილის ცვლილება გაცილებით უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზმნურ სისტემაში, როგორც სიტყვათწარმოებაში, ასევე ფორმათწარმოებაში, მაგ.:

თაბ. უ.დ`უ . ნუ [ნამყჰ პ.მხ.] `უ.დუ . ნუ [ნამყ.მიმღ.] „გამოსვლა“ [მაჰომეტოვი 1965 : 41].

უნდა გავამახვილოთ, ყურადღება იმაზე, რომ ასეთი შემთხვევები, როცა გარკვეული გრამატიკული კატეგორია მარკირებულია მხოლოდ პროსოდიულად დადესტნურ ენათა მასალაში, ძალიან იშვიათია. უხშირესად მახვილი წარმოადგენს მხოლოდ მარკირებულობის დამატებით საშუალებას, რომელიც თანაარსებობს სათანადო აფიქსთან ანუ ხმოვანთა მონაცვლეობასთან ერთად, მაგ.:

ხუნდ. რ`ე .ტი გაჩერება [ზმნა] რე .ტ`ენ გაჩერება [ადგილი]

როგორც ჩანს, ნაზმნარი სახელი იწარმოება როგორც ბოლოსართის, ასევე ამ ბოლოსართზე მახვილის გადაწვევის მეშვეობით, მაგ.:

ხუნდ. `უ.რი.ზე [მოკლე მოქმედების ზმნა]ჲ

ერ`ე.ზე [გრძელი მოქმედების ზმნა]ჲ „დაბანება“. [მიქაილოვი : 1959]

ამ მაგალითში გვაქვს მახვილის გადაწვევა ზმნური ძირის ხმოვანთა მონაცვლეობასთან ერთად, მაგ.:

ბოთლ. ამბურ [სახ.მხ.] ამბურ-დ`ე [სახ.მრ.] „სახურავი“

აქ მახვილი გადაიტანება მრავლობითის ნიშანზე [გუდავა 1962 : 17-18].

როგორც ზოგადად ცნობილია, იმ ენებში, რომლებშიც მახვილი თავისუფალია, ჩვეულებრივ მას მოეპოვება აგრეთვე სემანტიკური მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია, რაც დასტურდება დადესტნურ ენებშიც, მაგ.:

ხუნდ. რა.ჰი „ალაფი“ რუა.ჰი „სიტყვა“ [არდოტელი 2009 : 75].

მაგრამ ხელმისაწვდომ სპეციალურ ლიტერატურაში ციტირებულია ძალიან ცოტა ასეთი მინიმალური წყვილის მაგალითი. ზოგ ენაში მახვილი, თუმცა თავისუფალია, სიტყვათა მნიშვნელობის განსასხვავებლად ხმარებული არ არის, მაგ. ბუეიტურსა [ბოკარევი, მაღიევა 1967 : 457] და ჰუნზიბურში [ბოკარევი 1967 : 474].

როგორც ჩანს, დადესტნური მახვილი გამოყენებულია მეტნაწილად არა სემანტიკური, არამედ მორფოლოგიური კატეგორიების განსხვავების გამოსახატავად.

ამ საკითხს სჭირდება დამატებითი კვლევები.

ზემოხსენებული მაგალითები გვიჩვენებს, რომ მახვილს უჭირავს მნიშვნელოვანი ადგილი დადესტნურ ენათა მორფოლოგიურ სისტემაში-როგორც ბრუნვაში, ასევე უღვილებაში. ახლა უმნიშვნელოვანეს კვლევით ამოცანას წარმოადგენს დადესტნურ ენათა აღწერითი შესწავლისას მახვილის დაწვრილებითი ანალიზი.

უკანასკნელ წლებში გამოცა რამდენიმე ლექსიკონი, რომლებშიც აღნიშნულია მახვილის ადგილი, რაც ეჭვიმუტანლად გაადვილებს მომავალ მუშაობას, მაგრამ ამის მიუხედავად მხედველობაში

უნდა იყოს მიღებული არა მხოლოდ მახვილის მდებარეობა სიტყვის სალექსიკონო ფორმაში, არამედ მისი ცვალებადობა პარადიგმის ფარგლებში.

მეორე საფეხური იქნება აქცენტური სისტემების შედარება და საზიარო თვისებათა მოძებნა ჯერ სინქრონულ-ტიპოლოგიურ ნიადაგზე, მერე დიაქრონული თვალსაზრისით. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება შესატყვის სიტყვათა და მორფემათა შესწავლა, რაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოგვცემს ფუძემდებელი მახვილის ადგილის შესაძლებლობას.

რაც შეეხება მახვილის სისტემის ისტორიულ-შედარებით ანალიზს თანამედროვე კვლევების გათვალისწინებით შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე ზოგადი ვარაუდის წარმოდგენა, რომელიც ეყრდნობა, სხვათა შორის, ტიპოლოგიურ მონაცემებს.

რადგან იბერიულ-კავკასიურ (მათ შორის ნახურ-დაღესტნური ჯგუფის) ენათა უმეტესობისათვის დამახასიათებელია თავისუფალი და მოძრავი მახვილი, შეიძლება მივიღოთ და შევება, რომ ასეთივე მდგომარეობა არსებობდა აგრეთვე საერთო იბერიულ-კავკასიურ და საერთო-(ნახურ)დაღესტნურ ფუძე-ენაში. დროთა განმავლობაში ზოგ ენაში დაიწყო მახვილის დაფიქსირების პროცესი.

დღემდე ჩატარებული კვლევების მიხედვით ცნობილია, რომ უძლიერესი მახვილის თავისუფლებით ხასიათდება ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფი, სადაც მისი შეზღუდვა მოხდა მხოლოდ ხუნძურში, ანდიურში, დიდოურში და ხვარშიულში. ასეთივე ტენდენცია ხელშესახებია ლაკურსა და დარგუულში. მიდრეკილება მახვილის სტაბილიზაციისადმი ყველაზე გამოხატულია ლეზგიურ ჯგუფში. თუმცა, არჩიბული მახვილი ოტია კახაძის მიერ მიჩნეული იყო თავისუფლად, მოძრავად, ხაიდაკოვის მიხედვით კი, გაბატონებულია თავიდაური აქცენტუაცია. მახვილის დაფიქსირების პროცესი დასტურდება კრიწულში, აღულურში, ლეზგიურში, რუთულურში, თაბასარანულსა და წახურში მახვილი მრავალ შემთხვევაშია დაფიქსირებულია (განსაკუთრებით მეორე მარცვალზე თავიდან), თუმცა ამოსავალი თავისუფალი ადგილის კვალი ჯერ კიდევ შემონახულია.

ზოგ სიტყვაში დაშვებულია ორნაირი აქცენტუაცია, რაც ასაბუთებს, რომ მახვილის დაფიქსირების პროცესი მიმდინარეობს ენაში ამჟამადაც. ხინალულურსა და უდიურში მახვილი დაექვემდებარა სრულ დაფიქსირებას ადგილისა. ხინალულურში ეს არის შინაგანი განვითარება, მაგრამ უდიურში უნდა მიეწეროს აზერბაიჯანული ენის გავლენას. რაც შეეხება დანარჩენ იბერიულ-კავკასიურ ენებს, მახვილისთვის ამოსავალი თავისუფალი ადგილი დღემდე შემონახა აფაზურ-აბაზურში, მაგრამ ჩერქეზულსა და, ნაწილობრივ, აგრეთვე უბიხურში [კუმახოვი 1967 : 694] მოხდა მახვილის დაფიქსირება. სრულ დაფიქსირებას დაექვემდებარა ქართველურ ენათა მახვილი.

მახვილის სისტემის ისტორიულ-შედარებით ასპექტებზე მსჯელობისას არ შეიძლება დავივიწყოთ იმის შესახებ, რომ მახვილი იყო მთავარი მიზეზი უამრავი ბევრითი ცვლილებისა, რომელიც ენებმა განიცადეს განვითარების მანძილზე. განსაკუთრებით ხმოვანთა სისტემის მხრივ იმ გაგებით, რომ უმახვილო პოზიცია ხელს უწყობდა ხმოვნის გაუჩინარებას. ამის საფუძველზე ივარაუდება, რომ დაღესტნურ ენათა ამოსავალი მახვილი უნდა ყოფილიყო გაცილებით უფრო ძლიერი [არდლოტე-ლი 2009 : 78-79]. აქედანაც გამომდინარეობს, რომ ამოსავალი მახვილის მდებარეობით შეიძლება შეპირობებული იყოს თანამედროვე ენებში არსებული ხმოვანთა მონაცვლეობის შემთხვევები.

მომავალ კვლევებში საჭირო იქნება მახვილის დაფიქსირების პროცესის გარდამავალი საფეხურების შესწავლა რომ შეგვეძლოს ვუპასუხოთ შეკითხვას: რა ფაქტორებითაა შეპირობებული ეს მოვლენა?

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი წერტილია მახვილის დაფიქსირება რომელიმე შეზღუდულ სიტყვათა ჯგუფში (მაგ. ყოველდღიურ ენაში უხშირესად გამოყენებული სიტყვები) და მერე ეს ტენდენცია განზოგადდება მთელ ენაში, მაგრამ რჩება ბევრი დეტალი განსახილველად.

მახვილის საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე ნასესხობათა აქცენტუაციის თავისებურებებს. ამ შემთხვევაში შეიძლება მივუთითოთ სამ მთავარ ტენდენციაზე:

1) თითოეულ ენაში ნასესხ ლექსიკაში უცვლელად შემონახულია წყარო ენის ამოსავალი მახვილი.

2) თითოეულ ენაში მოხდა ნასესხობათა სრული ფონეტიკური ადაპტაცია და ამის შედეგად როგორც ნასესხები, ასევე ძირეული სიტყვების მახვილი გაერთიანდა.

3) ადრინდელი ნასესხობანი ექვემდებარება ასეთივე მახვილის კანონზომიერებებს, რომლებიც დამახასიათებელია ძირეული ლექსიკისათვის. გვიანდელ და თანამედროვე ნასესხობებში ინახება ორიგინალური სიტყვის მახვილი. დროის მანძილზე შეიძლება ხელშესახები იყოს მახვილიანი სისტემის ზოგადი პრინციპის თანახმად გაერთიანების ტენდენცია. ამ პროცესის პირველ საფეხურს წარმოადგენს მახვილის ადგილის რყევა.

პირველი შემთხვევა ხდება იშვიათად. კრიწულში ნასესხობანი აზერბაიჯანელისაგან ინარჩუნებენ ორიგინალურ მახვილს სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე [საადვეი 1967 : 629].

ხუნძურში ნასესხობათა მახვილი დამოუკიდებელია თითოეული სიტყვის ამოსავალ მახვილზე წყარო ენაში და მუდამ მოულის მეორე მარცვალს თავიდან.

როგორც ცნობილია, ხუნძური მახვილი დაფიქსირებული არ არის, მაგრამ მისი თავისუფლება შეზღუდულია მეორე მარცვალზე თავიდან.

ნასესხობებში მახვილი დამკვიდრდა მაქსიმალურად დაშორებულ მარცვალზე, მაგ.:

ხუნძ. ბაჟ.ღი < რუს. ბრი.კა „ქარხანა“ ზა.დ`ან „ადამიანი“ [მიქაილოვი : 1959]

ლუზიურ ენაში ძველ ირანულ, არაბულ და თურქულ ნასესხობებში მახვილი ეცემა მეორე მარცვალზე თავიდან ზოგადი პრინციპის მიხედვით. ასეთივე კანონზომიერებებს ემორჩილება ადრინდელი ნასესხობანი რუსულიდან. მხოლოდ გვიანდელი ნასესხობანი ინარჩუნებს ამოსავალ რუსულ მახვილს, მაგ.:

ლუზგ. ფა.ბრ`იკ < რუს. ფა. ბრი.კა „ქარხანა“ [ადრინდელი ნასესხობა]

აქ უმახვილო პოზიციის გამო გაუჩინარდა ამოსავალი ბოლოკიდური ხმოვანი -ა.

ლუზგ. ბრი.გა.დ`ირ < რუს. ბრი.გა.დ`ირ [გვიანდელი ნასესხობა] „გამგე“, „ხელმძღვანელი“ აქ შემონახულია ორიგინალური რუსული მახვილის ადგილი.

ზოგ არაბულ-ირანულ-თურქულ ნასესხობებს ახასიათებს ორგვაროვანი აქცენტუაცია. ხშირად შემონახულია ამოსავალი მახვილი, თუმცა მახვილი მეორე მარცვალზე (ზოგადი ლუზიური პრინციპის მიხედვით) აგრეთვე დაშვებულია.

ეს შეეხება განსაკუთრებით სიტყვებს, რომლებიც დაბოლოებულია სუფიქსებზე:

-კარ, -ბაზ და -დარ მაგ.:

ლუზგ. ხ`ა.ბარ-დარ ანუ ხა.ბარ-დ`არ „მოამბე“

ლუზგ. ხა.`ინ-კარ ანუ ხა.ინ-კ`არ „გამყიდველი“ [გაიდაროვი და სხვა 2009 : 85-93]

ხინალულურში ნასესხებ სიტყვებში მახვილიანია ძირის პირველი მარცვალის ზოგადად მიღებული პრინციპის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ მოხდა ნასესხობათა სრული ადაპტაცია, მაგ.:

ხინალ. კხ`ა.ზეტ < რუს. გა.ზუ `ე.ტა „გაზეთი“ [დუშერევი 1967 : 661]

ნასესხებ სიტყვათა აქცენტოლოგია თავისთავად წარმოადგენს ძალიან საინტერესო კვლევით საკითხს და გამოავლენს მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვანია აგრეთვე ენობრივი ტიპოლოგიის თვალსაზრისით. ნასესხობათა ადაპტაციის პროცესებს და მათთან დაკავშირებულ ფონეტიკურ ცვლილებებს ესაჭიროება დეტალური განხილვა. განსაკუთრებით საინტერესოა ნასესხობათა აქცენტუაცია იმ ენებში, სადაც მახვილი დაუფიქსირებელია. ეჭვი არ არის, რომ დადგენილი ენათა მასალაში ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

დრამად ვარდარწმუნებული, რომ მახვილის სისტემის ფუნქციონირების სრულ გარკვევას დადგენილი ენებში შეუძლია ძალიან დიდი როლის შესრულება ამ ენათა როგორც აღწერითი, ისე ისტორიულ-შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით.

**ლიტერატურა:**

- Языки народов СССР, т. IV. Иберийско-кавказские языки. Москва, 1967;
- Гайдаров Р. и др., Современный лезгинский язык. Москва, 2009;
- Ибрагимов Г. Х., Рутульский язык. Москва, 1978;
- Магомедов А. А., Агульский язык. Москва, 1970;
- Магомедов А. А., Табасаранский язык. Тбилиси, 1965;
- Микайлов Ш. И., Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов. Махачкала, 1959;
- არდოტელი ნ., დიდოური ენა. თბილისი, 2007;
- არდოტელი ნ., ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკა. თბილისი, 2009;
- აზმაიფარაშვილი ლ., ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი). თბილისი, 2010;
- ცერცვაძე ი., ანდიური ენა. თბილისი, 1965;
- გუდავა ტ., ბოთლისური ენა. თბილისი, 1962;
- კახაძე ო., არჩიული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის. თბილისი, 1979;
- ლოლუა რ., უდიური ენა (გრამატიკული ანალიზი, ტექსტები, ლექსიკონი). თბილისი, 2010;
- ჯეირანიშვილი ე., უდიური ენა (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი). თბილისი, 1971;
- halilova Z., Grammar of Kwarshi. Leiden, 2009;
- Kodzasov S., Caucasian: Daghestanian languages, s. 995-1020 [in:] van der Hulst H. ed., Word Prosodic Systems in the Languages of Europe. Berlin – New York, 1999;

**R. Kanarkowski (Cracow)**

### **Towards historical-comparative accentology of Daghestanian languages**

The present paper is devoted to general questions pertaining to the accentology of Daghestanian languages and the most important future research tasks in this field.

As it is known studies of any language and its phonetical structure cannot be confined to description of the vocalic and consonantic system, but so called suprasegmental features such as accent or intonation should also be investigated.

One fact must attract our attention- although almost all Daghestanian languages have been quite meticulously described, including their phonetic and phonological systems, moreover numerous papers devoted to various problems of the historical-comparative phonetics have been published, prosodic phenomena so far have not been studied in a more detailed manner. Comparative research of the accentual system from typological as well as historical point of view lack in Daghestanian linguistics. This paper presents the contemporary state of art and the most important future research tasks in this field.

In those descriptive grammars of Daghestanian languages which have been published up to now the problem of accent has not been taken into consideration at all (ex. in “Grammar of Khinalugh language” by I. Desheriev) or was only very tentatively, in several remarks signalised (ex. in Archi grammar by O. Kaxadze or in Karata grammar by Z. Magomedbekova). The accentual system has been more detailedly analyzed only in some grammar (ex. Andic grammar by I. Cercvadze or Avar grammar by A. Chikobava and I. Cercvadze). It is very difficult to carry out typological and historical-comparative research due to very limited synchronic data.

While studying accentual system place of accent as well as its character should be taken into account. From this point of view accent can be dynamic or tonal. Dynamic accent consists in articulatory strengthening of syllable. Tonal accent is expressed by the relative height of syllable. It is here to be underlined that it is only relative height of the syllable which cannot be measured according to musical scale.

It is a widely accepted opinion that in the majority of Daghestanian languages accent is quite weak albeit it usually is much stronger than in contemporary Georgian or other Kartvelian languages. On the other hand it is weaker if compared to Abkhaz-Adyghe languages.

In the Daghestanian family dynamic accent is absolutely predominant, although tonal accent has developed in several languages. In such languages two possibilities exist - the accent can be only tonal or tonal and dynamic accent can coexist. In the second case stressed syllable is not only strengthened but simultaneously its pitch is higher than that of the remaining syllables.

The first case takes place in Hunzib (Bokarev 1967 : 474 ) and in Munib dialect of Andi (Cercvadze 1965 : 26-27). The second one is confirmed in Rutul, where the coexistence of tonal and dynamic accent causes an acoustic impression of vowel length:

Rut. e.d'e.mi > [e.d'ē.mi] “man” [Jeiranishvili 1967 : 581]

But according to other researchers primary accent was dynamic and it gradually changes into tonal accent in the contemporary language [Gaydarov et al. 2009 : 85-93].

From phonetical point of view tonal accent exists also in Dido, but it is so weak, that cannot play any role in phonological or morphological system [Ardoteli 2007 : 30].

In the remaining Daghestanian languages only dynamic accent is known.

As it was pointed out above the vowel of a stressed syllable is subjected to lengthening in Rutul. According to some authors a similar phonetical process can be confirmed also in other languages such as Lak [Murqelinski 1967 : 490], Archi [Kakhadze 1979 : 15] or Tsakhur [Talibov 1967 : 593]:

Lak. z'un.t:u [z'ūn.t:u] „mountain”

Archi d' o.zur [d'ō.zur] „big”

Tsakh. q<sup>h</sup>e.ɸ'a.las [q<sup>h</sup>ē.ɸ'a.las] „to call”, „to name”

It is obvious that in all above quoted examples the lengthening of the vowel is purely phonetical phenomenon and has not any phonological value.

Our attention should be paid also to the problem of secondary stress, which is quite frequently encountered in Daghestanian (and other Ibero-Caucasian) languages [Ardoteli 2009 : 77-78].

The secondary stress can exist in polysyllabic words and it is much more weakly expressed than the main stress. The place of the secondary stress is changeable but it usually follows the main stress as it can be inferred from the below examples:

Tsakh. q<sup>h</sup>e.ɸ'a.las [the secondary stress is situated on the second syllable from the beginning]  
“to name”, “to call”

In Tsakhur the secondary stress was fixed on the penultimate syllable [Talibov 1967 : 593].

In some languages secondary stress can also fall on a suffix syllable:

Ghod. γa.d'a.ça [Nom. Sg.] γa.d'a.ça-b'e [Nom. Pl.] “ox” [Ardoteli 2009 : 77]

Full understanding of the functioning of the secondary accent within the frame of the Daghestanian prosodic system and explaining of its origin will be an important task for future investigations. Especially, it is necessary to answer the question, whether the secondary accent (in the contemporary languages) was not the primary one from diachronic point of view and what is mutual relation between the main and the secondary stress.

Experimental research will have to be carried out in order to entirely understand the functioning of the accentual system and determine the genuine character of the main and the secondary stress.

In the majority of Daghestanian languages the stress is characterised by relative freedom, which in some of them may be subjected to limitations. It appears that full fixation of stress has taken place only in Khinalugh, where the stress falls on the initial root syllable [Desherev 1967 : 661] and in Udi, in which mainly final syllable is stressed [Pantshvidze, Jeiranishvili 1967 : 677]. As far as Udi language is concerned, it is very difficult to evaluate, whether this piece of information is reliable, because apart from the above mentioned paper so far accentual system of Udi has not been investigated. There is no mention about these questions in the later published grammars of Udi by [Jeiranishvili: 1971] and [Lolua: 2010].

It cannot be excluded that in this case the fixation of the stress may be elucidated as the result of Azeri influence, but on the other hand such an explanation is not entirely convincing since in other Lezgian languages, which are spoken on the territory of Azerbaijan, namely in Krits and in Budukh primary movability of the stress has been maintained.

The Aghul accent has also been fully fixed on the second syllable from the beginning and its position remains unchangeable when flexional or derivative morphemes are added to a word:

Agh. ti.k'a [Nom. Sg.] ti.k'a-ji [Erg. Sg.] “morsel”

Agh. ray [Nom. Sg.] ray-ar [Nom. Pl.] “sun” [Mahometov 1970 : 19]

The most movable and free accent, which does not demonstrate any tendencies towards fixation, characterises almost all the Avar-Andi languages except for Avar and proper Andi as well as Bezhta, Khinukh and Hunzib within the frame of Dido group. As it seems amongst Lezgian languages free and movable stress is typical only to Archi [Kakhadze 1979 : 15], although on the other hand according to other data in Archi initial syllable is most frequently stressed, the remaining ones much more seldom [Khaidakov 1967 : 609].

In all the remaining Daghestanian languages freedom of the accent is at least to some extent limited, which is conditioned by phonetical or morphological factors.

Among phonetical factors can be enumerated amount and structure of constituent syllables and their closeness or openness. Mutual relation between syllable and its stress has rarely been discussed in the accessible special literature.

For instance in Khvarshi words which contain more than one open syllable the stress falls on the penultimate syllable:

č'i.do "earth" xu.xu.t̃a.ri "thunder"

If one of the syllables is close, the close one is stressed:

k'i.m'ač "egg" λo.z'ol "bone"

As it appears words containing more than one close syllable are not permitted according to phonotactic rules. On the grounds of the aforementioned one can arrive to conclusion that in Khvarshi the syllable which is metrically heavy attracts the stress [Khalilova 2009 : 34-37].

Similar phenomenon can be confirmed also in Andic:

And. γa.d'or [CV.CVC] "ravine" a.d'am [V.CVC] "people" be.l'ir [CV.CVC] "deer" h'ar.ku [CVC.CV] "eye" b'or.ççi [CVC.CV] "mond" [Cercvadze 1965 : 26-27]

As we can see from the above provided examples the close syllable is always stressed. In the words which are composed of more than one close syllable stress usually falls on the ultimate one:

And. len.š'ur [CVC.CVC] "flour" [Cercvadze 1965 : 26-27]

similarly as in Lak:

Lak. z'un.t'u [CVC.CV] "mountain"

Here also the close syllable is stressed [Murqelinski 1967 : 490].

As far as other Daghestanian languages are concerned the problem of the existence of connections between stress and syllabic structure requires more detailed investigation.

In numerous Daghestanian languages position of the stress is strictly connected to morphological category of the respective word. On the level of nominal morphology accent can be used as the mean of differentiation of case category:

Khwar. z'i.he [Nom. Sg.] zi.h'e- [the stem of oblique cases] "cow" [Khalilova 2009 : 55]

Av. m'uo.rul [Nom. Pl.] muo.r'ul [Gen. Sg.] "mountain" [Mikailov : 1959]

In Avar the distinction between two types of ergative is known and these are marked only by stress position. In the first type the stress falls on nominal stem, in the second one on the case ending:

Av. ωor [Nom. Sg.] ω'or.al' [Erg. Sg.] or ωu.r'u.c:a [Gen. Sg.] "river" [Mikailov : 1959]

The aforementioned two types of ergative are regarded as so called "new" and "archaic" respectively [Mikailov : 1959].

However, the stress plays much more essential role in verbal flexion and derivation:

Tab. u.d'uč°.nu [3 Sg.perfect] 'u.duč°.nu [perfect participle] "to go out"

[Mahometov 1965 : 41]

We have to underline that in Daghestanian languages very rarely happens that a grammatical category is marked only prosodically. As a rule accent is only an additional exponent of a morphological category apart from affixes or vowel alternation:

Av. r'eš.ti [verb] "to stop" reš.t'en [place] "stop"

Deverbal nouns are formed by adding a suffix as well as moving the stress on the suffix syllable.

Av. č'u.ri.ze [short action verb]<sup>2</sup> če.r'e.ze [long action verb]<sup>3</sup> "to wash" [Mikailov : 1959]

In the above quoted example a vowel alternation is observed in the verbal root apart from the movable stress.

Botl. am.bur [Nom. Sg.] am.bur-d'e [Nom. Pl.] "roof" [Gudava 1962 : 17-18]

Here the stress is moved on the suffix of plural.

As it is generally known in these languages, where accent is free, it can be used for differentiation of lexical meaning, which is also the case in Daghestanian languages:

Av. ra.ω'i "prey" r'a.ωi "word" [Ardoteli 2009 : 75]

but in accessible special literature very small amount of such minimal pairs is quoted. Moreover, in some languages the stress, although free and movable, cannot be used for semantic differentiation as it is the case in Bezhta [Bokarev, Madieva 1967 : 457] or Hunzib [Bokarev 1967 : 474].



As it seems in Daghestanian languages the stress can be distinctive mainly on morphological level but more seldom on the semantic one.

These questions require additional research. The aforementioned examples show us that the stress takes very important place in Daghestanian morphological system in nominal as well as in verbal categories. For further research it will be crucial to carry out detailed synchronic description of these languages taking into account a thorough analysis of their accentual system.

In the last years dictionaries of several Daghestanian languages were published in which the place of the stress is noted. Undoubtedly, it will make much easier future investigations but it must be remembered that it would be absolutely insufficient to take into consideration only the place of the stress in basic form of a word. Variability of the stress within the frame of flexional paradigm is also to be taken into account.

The second stage must be comparative analysis of the accentual systems and the search for mutual similarities, at first from synchronic-typological point of view and then from the diachronic one. The object of the investigation must be here mainly inherited words and morphemes. It can be assumed that in such a manner it will become possible to reconstruct the proto-Daghestanian accentual system.

As far as historical-comparative analysis of the stress in Daghestanian (and other Ibero-Caucasian) languages is concerned the present-day state of the art enables us only to present some basic assumptions which are largely grounded on typological data.

Since free and movable stress is typical to most Ibero-Caucasian languages (including Nakh-Daghestanian) it can be supposed that the same stress must have existed in Daghestanian proto-language. In the course of time the stress was subjected to fixation in some languages.

As far as it can be evaluated on the ground of up to now carried out research the strongest freedom of the accent characterises Avar-Andi-Dido group, where only in Avar, proper Andic, proper Dido and Khvarshi its freedom has been somehow limited. The same is visible in Lak-Dargwa group. The tendency towards stress fixation is most intensely expressed in Lezgian languages. Although the stress in Archi was considered free and movable by Otia Kakhadze, according to Khaidakov the initial accentuation is predominant. The process of stress fixation is confirmed in Krits. In Aghul, proper Lezgian, Rutul, Tabasaran and Tsakhur the stress has been fixed in many instances (mainly on penultimate syllable) but numerous traces of the primary free accentuation have been preserved until now.

In some words two different patterns of accentuation are permitted which can prove that the process of stress fixation is still ongoing in contemporary language.

The stress in Khinalugh and Udi has been entirely fixed. In Khinalugh it is undoubtedly an internal development but in Udi it has to be ascribed to the influence of the neighbouring Azeri language.

As far as the remaining Ibero-Caucasian languages are concerned, primary freedom of the stress has been up to now preserved in Abkhaz-Abaza but in Adyghe-Kabardian and partially also in Ubykh stress fixation has taken place. The Kartvelian (and Georgian) stress has been fully fixed.

While discussing on historical-comparative aspects of the Daghestanian stress it cannot be forgotten that the influence of the stress was the cause of numerous sound changes which have taken place during the course of language development, especially within vocalic system, because stressless position is conducive to disappearing of a syllabic vowel.

It is generally assumed that the primary stress in Daghestanian must have been much stronger than today [Ardoteli 2009 : 78-79]. From the above mentioned follows also that vowel alternations which are observed in contemporary Daghestanian languages can be conditioned by the position of the primary (proto-Daghestanian) accent.

In further research thorough investigation of the process of stress fixation, including its transitional stages, will be indispensable in order to answer the question by what factors is caused this phenomenon. It can be assumed that the point of departure might have been stress fixation in some, very limited group of words (for example in those words which were most frequently used in every day communication) and then this tendency was generalized in the whole language. However, many details require meticulous investigation.

Saying about the stress our attention must also be paid to various peculiarities of the accentuation of borrowings. It can be pointed at three main tendencies:

- 1) unchanged original stress is preserved in a borrowed word
- 2) a loan word is subjected to full phonetic adaptation and consequently it is stressed in the same manner as inherited words
- 3) older borrowings are subjected to general rules of accentuation typical to the respective language but in younger and present-day loan words the stress of the source language is preserved but the tendency towards stress fixation according to general rules can be clearly observed also in the latter. In such a case full stress stabilization is often preceded by the stage at which accentuation can be changeable- two variants are permissible.

As for aforementioned three main tendencies, the first is rarely observed. For instance in Krits in Azeri borrowings the primary Azeri stress on ultimate syllable has been maintained [Saadiev 1967 : 629].

In Avar the accentuation of loan words is independent of the stress of the respective word in source language. The stress always falls on the second syllable from the beginning.

As it is commonly known, the stress in Avar is not fixed but its freedom is limited to the second syllable from the beginning. So, in borrowings the stress has been fixed on the furthest permissible syllable:

Av. baω.l'i "sweet cherry" ωa.d'an "man" [Mikailov : 1959]

In proper Lezgian the stress falls on the second syllable from the beginning (according to the general rule) in older Iranian, Arabic and Turkish borrowings. Older Russian loan words also follow the same principle, only in some late borrowings from Russian the stress of the source language has been preserved:

Lezg. fa.br'ik < Russ. f'a.bri.ka "factory" [older borrowing]

Since the primary end vowel -a was situated in the unstressed syllable, it has disappeared.

Lezg. bri.ga.d'ir < Russ. bri.ga.d'ir "chief" [late borrowing]

The original Russian accent has been here preserved. [Gaidarov et al. 2009 : 85-93]

In some Arabic, Iranian and Turkish borrowings two patterns of the accentuation are permitted, the original accentuation of the source language as well as the "new" Lezgian stress fixed on the second syllable from the beginning. It is mainly the case of the words which end with suffixes: -kar, -baz and -dar:

Lezg. x'a.bar-dar or xa.bar-d'ar "journal"

Lezg. xa.in-kar or xa.in-k'ar "seller"

[Gaidarov et al. 2009 : 85-93]

In Khinalug full phonetic adaption of the borrowings has taken place and all these words are stressed on the first syllable of the stem as it is also the case in the inherited lexicon:

Khin. k<sup>x</sup>a.zet < Russ. ga.z'e.ta "newspaper" [Desheriev 1967 : 661]

The accentuation of loan words in itself poses a very interesting question for further research and can provide us with data which can be very important for Ibero-Caucasian as well as general typological linguistics.

Processes of the adaptation of borrowings and phonetic changes which are connected with them require thorough investigation. The accentuation of loan words is of paramount interest especially in these languages where the stress is free and movable. It is beyond doubts that in Daghestanian linguistics a lot is still to be done in this field of research.

I am profoundly convinced that full comprehension of the functioning of the acentual system will become a great contribution to the Daghestanian descriptive as well as historical-comparative linguistics.

<sup>1</sup> The present paper was delivered [in Georgian] at the III International Congress of Caucasiologists, Tbilisi, 23-26 October 2013.

<sup>2</sup> глагол краткого действия

<sup>3</sup> глагол длительного действия

**Literature:**

- Языки народов СССР*, т. IV- *Иберийско- кавказские языки*, Москва, 1967.
- Гайдаров Р. и др., *Современный лезгинский язык*, Москва, 2009.
- Ибрагимов Г. Х., *Рутульский язык*, Москва, 1978.
- Магометов А. А., *Агульский язык*, Москва, 1970.
- Магометов А. А., *Табасаранский язык*, Тбилиси, 1965.
- Микайлов Ш. И., *Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов*, Махачкала, 1959.
- Ardoteli N., *The Dido language*, Tbilisi, 2007 [in Georgian]
- Ardoteli N., *Historical-comparative phonetics of Avar-Andi-Dido languages*, Tbilisi, 2009. [in Georgian]
- Azmaiparashvili L., *The Antsukh dialect of Avar language (grammatical analysis, texts, vocabulary)*, Tbilisi, 2010. [in Georgian]
- Cercvadze I., *The Andic language*, Tbilisi. 1965 [in Georgian].
- Gudava T., *The Botlikh language*, Tbilisi, 1962 [in Georgian].
- Kakhadze O., *The Archi language and its position within the cognate languages of Daghestan*, Tbilisi. 1979 [in Georgian].
- Lolua R., *The Udi language (grammatical analysis, texts, vocabulary)*, Tbilisi. 2010 [in Georgian].
- Jeiranishvili E., *The Udi language. Grammar. Chrestomathy. Vocabulary.*, Tbilisi. 1971 [in Georgian].
- Khalilova Z., *A Grammar of Kwarshi*, Leiden, 2009.
- Kodzasov S., *Caucasian: Daghestanian languages*, s. 995-1020 [in:] van der Hulst H. ed., *Word Prosodic Systems in the Languages of Europe*, Berlin - New York, 1999.

**Р. Канарковски (Краков)****К вопросу сравнительно-исторической акцентологии дагестанских языков****Резюме**

Главной задачей этой работы является сравнительный анализ акцентуации дагестанских языков на основе доступных синхронических данных. В работе принято во внимание как место ударения, и его подвижность, так и его смысловоразличительные функции на морфологическом и семантическом уровне.

Хотя большинство дагестанских языков уже хорошо изучено, вопросы, связанные с ударением, очень редко становились предметом исследования.

В истории развития дагестанского ударения четко прослеживается тенденция к стабилизации. Первоначальное свободное и подвижное ударение (напр. в андийском) переходит в посредственный этап, на котором подвижность ударения ограничена до второго слога от начала (напр., в аварском), а в последней фазе ударение зафиксировано, хотя различные следы первоначальной подвижности и свободы сохранились до сих пор (напр., в табасаранском).

По моему мнению, сравнительно-историческое исследование просодической системы дагестанских языков, реконструкция их первоначального вокализма и объяснение звуковых изменений, обусловленных влиянием ударения, может дать нам возможность реконструировать систему ударения дагестанского языка-основы.

Нет сомнений, что проблема ударения дагестанских языков требует детальной разработки.

Настоящая работа представляет собой одну попытку решения этого вопроса.

რ. ლოლუა (თბილისი)

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემის თავისებურებანი. კონსონანტიზმი

უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა, ბევრი მახასიათებლის გამო, მონათესავე ენების ფონოლოგიურ სისტემათაგან განსხვავდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ უდიურ ენაში, სოფ. ზინობიანის მეტყველების გამოკლებით, აბრუპტიული თანხმოვნები გადავიდნენ პრერუპტივებში, რაც უდიურს მნიშვნელოვნად განასხვავებს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათაგან. ახლომონათესავე ლეზგიურ და სხვა დაღესტნურ ენებთან შედარებით, უდიური ენის ფონოლოგიური სისტემა გამარტივებულია: უდიურს ახასიათებს ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა სამეულგებრივი სისტემა (მჟღერი-ფშვინვიერი-პრერუპტივი – ნიჯურსა და ვართაშნულ მეტყველებაში; მჟღერი-ფშვინვიერი-აბრუპტივი – სოფ. ზინობიანის მეტყველებაში) და სპირანტთა წყვილგებრივი სისტემა (მჟღერი – ყრუ); არ დასტურდება ინტენსიური ფონემები; არ დასტურდება არათუ ლაბიალიზებული ან დენტოლაბიალიზებული თანხმოვნები, არამედ ლაბიალური კომპლექსებიც; შეინიშნება უკანაენისმიერ თანხმოვანთა სიმცირე სხვა ლეზგიურ და დაღესტნურ ენებთან შედარებით – უდიურს არ მოეპოვება დაღესტნურ ენათა უმეტესობისათვის დამახასიათებელი წინაველარული სპირანტები; არ გვხვდება აგრეთვე მჟღერი უგულარული აფრიკატი; ამას გარდა, არ დასტურდება ფარინგალური სპირანტები, ე.წ. ლარინგალური აბრუპტივი და ჩქამიერი ლატერალური თანხმოვნები (თუმცა ლატერალები, არჩიბულის გარდა, არც ერთ სხვა ლეზგიურ ენაში არ დასტურდება).

უდიური ენის თანხმოვანთა კრებისითი ტაბულა

სერია		ჩქამიერი									სონორი			
		ხშული						სპირანტი			არანაზალი		სონანტი	
		ხშულ-მსკდომი				აფრიკატი								
		მჟღერი	ყრუ			მჟღერი	ყრუ		მჟღერი	ყრუ	ნაზალი	ვიბრანტი	მკერდითი	აპროქსიმანტი
ფშვინვიერი	პრერუპტივი		აბრუპტივი	ფშვინვიერი	პრერუპტივი		აბრუპტივი							
ლოკალური რიგი	ა	ფ	ფა	ა	მჟღერი	ფშვინვიერი	პრერუპტივი	აბრუპტივი	მჟღერი	ყრუ	ნაზალი	ვიბრანტი	მკერდითი	აპროქსიმანტი
წყვილბავისმიერი											მ			[ჟ]
კბილბავისმიერი									ვ	ფ				
წინაენისმ.	კბილსმიერი	ღ	თ	თა	ტ						ნ		ჩ	
	წინაუნისმიერი				[ძ]	ც	ცა	წ	ზ	ს				
	შუაუნისმიერი												რ	
	უკანაუნისმიერი					ჰ	ჩ	ჩა	ჭ	ჟ	შ			
შუაენისმიერი														ღ
უკანაენ	წინაველარული	გ	ქ	ქა	კ									
	უგულარული					ვ	ვა	ყ	ღ	ხ				
ლარინგალური									ჰ					

შენიშვნა: [...] კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ფონემის სტატუსის არმქონე ბგერები.

უდიურ ენაში დაცულია ყველა ის თანხმოვანი, ქართულში რომ გვაქვს. ამას გარდა, უდიურს მოეპოვება: სონანტი *ჲ*; დენტოლაბიალური *ჟ*; უგულარული *ჰ*.

უდიური ენის კონსონანტური სისტემა, ბგერითი შედგენილობის თვალსაზრისით, ერთგვარად არის წარმოდგელები ორსავე კილოში (ნიჯურსა და ვართაშნულში).

უდიური ენის თანხმოვნები არსებითად ისეთივეა, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. ტაბულაში მოყვანილ თანხმოვანთა თავისებურებები ზოგადად ცნობილია. წარმოგიდგენთ საილუსტრაციო მასალას:

ჩქამიერი თანხმოვნები

სშულ-მსკდომები

წვეილბაგისმიერი (ბილაბიალური) სშულები

ბ. ბაბა (ვართ.) „მამა“; ბიბი „ხიდი“; ბულ „თავი“; ბეს „კეთება“...

ფ. ფოფ „თმა“; ფუფ „წიფელი“; ფულ „თვალი“; ფოთი „გოჭი“...

ჰ/ფ. ჰა „ორი“; ჰი „სისხლი“; ჰეპ „აკენის ლეიბი“; ჰური „მკედარი“...

კბილსმიერი (დენტალური) სშულები

დ. დდა „მამიდა“; დიდი „გველი“; დდალ „მამალი“; დდა „ნედლი“...

თ. თთი „თათი“; თთბლ „ზარმაცი“; თთქი „მელია“; თე „არა“...

ტ/თ. ტამ „გემო“; ტანა „ფეთვი“; ტატ „ბუზი“; ტეალ „კალია“...

წინაველარული (უკანაენისმიერი) სშულები

გ. გა „ადგილი“; გონ „ფერი“; გოგ (ვართ.) „ცა“; გუგელ „ჭოტი“...

ქ. ქალ „დიდი“; ქეჰე „მუაჰე“; ქო „სახელი“; ქულ „ხელი“...

კ/ქ. კეკე „მუხლი“; კაშა „თითი“; კიწი „ცოტა“; კოკოწ „ქათამი“...

აფრიკატები

წინანუნისმიერი (წინაველარული, სისინა) აფრიკატები

[ქ]. ამჟამად უდიურში *ქ* აფრიკატი გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ნასესხებ სიტყვაში. ევბ. ჯეირანიშვილი ამ ფონემას სულ ოთხ სიტყვაში იმოწმებს: ძაბრი „ძაბრი“, ხაბლ „ფოთოლი“, მანძილ „მანძილი“ და ღანძილ „ღანძილი“. ამასთან, მკვლევარი აღნიშნავს, რომ ოთხივე მაგალითში *ქ* აფრიკატს ფაკულტატურად *ზ* სპირანტი ენაცვლება: ზაბრი; ზაბალ; მანზილ; ღანზილ (ჯეირანიშვილი 1971: 13). ვლ. ფანჩვიძეს ამ აფრიკატით ორი სიტყვა მოჰყავს: ღანძილ „ღანძილი“ და ძეტი „ზეთი“ (ფანჩვიძე 1974: 27); ვ. გუკასიანის ლექსიკონში გვხვდება: ბირინძ „ბრინჯი“; ღანძილ „ღანძილი“; ღანძილულ „ღანძილიანი ადგილი“; ძაბური „ძაბრი“; ძახ „მარცხენა“, „მარცხნივ“; ქარამუხ „საფლავი“, „სასახელი“ (გუკასიანი 1974).

ც. ცაც „ეკალი“; ცეც „ჩრხილი“; ცილ „თესლი“; ციცო „ყვავილი“...

წ/ც. წაბლ „წაბლი“; წი „სახელი“; წირი „წიწილა“; წეთ „ზეთი“...

უკანანუნისმიერი (უკანაველარული, შიშინა) აფრიკატები

ჯ. ჯანჯარ „მგელი“; ჯეჰერ „ბაგე“; ჯოგ „ცალკე“; კეჰე „მუაჰე“...

ჩ. ჩალი „თეგზი“; ჩეჩ „ფიჭა“; ჩო/ჩო „სახე“; ჩუბუხ „ცოლი“...

ჭ/ჩ. ჭაბუგ „ტყე“; ჭან „კარაქი“; ჭაჭი „შაშვი“; ჭოჭა „წითელი“...

უფუღარული აფრიკატები

ვ. ვაზუნ 'ვარსკვლავი'; ვაჲ „ღია“; ვო „ხუთი“; ვოჲლა „კვერცხი“...  
ყ/ვჲ. ყა „ოცი“; ყი „შიში“; ყომ „ნათესავი“; ყოყ „სახელო“...

სპირანტები

კბილბაგისმიერი (დენტოლაბიალური) სპირანტები

ვ. ვაზტ „დრო“; ველ „თხა“; ვიზი „ძმა“; ვიწ „ათი“; ვუჲ „ცხრა“...  
ფ. ფი „ღვინო“; ფაზიშტა „ანგელოზი“; ეჭან „თქვენ“; ფუ „ჰაერი“...

წინანუნისმიერი (წინააღვეოლარული, სისინა) სპირანტები

ხ. ხუ „მე“; ზილო „რკინა“; ზორ „ძალა“; ზარაზამთარ „ბზობა“...  
ს. სა „ერთი“; სს „ხმა“; სევჩე „მახლი“; სეჲნე „დედამთილი“...

უკანანუნისმიერი (უკანააღვეოლარული, შიშინა) სპირანტები

ქ. ქე „კვა“; ქომოხ „წისკვილი“; ქოლულ „ზაფხული“...  
შ. შავატ „ღამაზი“; შელ „კარგი“; შეშ „პური“; შეჲ „დათვი“...

უფუღარული სპირანტები

ღ. ლ „ღღე“; ზელ „მიხე“; ლარ „ვაჟი“, „ბიჭი“; ლო „ტყემალი“...  
ხ. ხა „ძაღლი“; ხე „წყალი“; ხობ „სამი“; ხინარ „ქალიშვილი“...

ლარინგალური სპირანტი

ჰ. ჰაზარ „ათასი“; ჰასო „ღრუბელი“; ჰინტ „ინდაური“; ჰავეჭ „ქინძი“...

სონორები

მ. მარალ „ირემი“; მი „სიცივე“; მიზი „ხბო“; მიზ „ენა“; მიღ „რვა“...

ნ. ნანა „დედა“; ნელ „ცრემლი“; ნეშეშ „ყვითელი“; ნიკო „ბურთი“...

რ. რ ბგერა უდიურ ენაში აბსოლუტურ ანლაუტში თითქმის არ გვხვდება (თუ არ ჩავლით რამდენიმე ნასესხებ სიტყვას, მაგ., რაშ „რაში“), ხოლო ინლაუტსა და აუსლაუტში რ ბგერის პოზიცია მყარია, მაგ., თურ „ფეხი“; ზორ „ძალა“; ტური „ძაფი“; ფორთხეს „მოთმენა“...

ღ. ლალ „მუნჯი“; ლშო „ქორწილი“; ლო „ღამი“; ბულ „თავი“...

ჲ. ჲან „ჩვენ“; ჲეზა „სიხე“; ჲუ „რბილი“; ჲყ „გზა“; ჲემიშ „ნესეი“...<sup>1</sup>

[შ]. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, უდიურში დასტურდება ბილაბიალური სონანტი ჟ. ვლ. ფანჩიძე მიიჩნევს, რომ ეს ბგერა უ//ო და ა ხმოვანთა შორის ვითარდება და მას შემდეგ სიტყვაფორმებში იმოწმებს: შონო-ჟ-ალ „ისიც“ (ADD); კუჟა „სახლს“ (DAT); ზუ-ჟ-ალ „მეც“ (ADD) (ფანჩიძე 1974: 25, 28, 39). ბუნებრივია, ამ ბგერას უდიურში არ მოეპოვება ფონემური ღირებულება.

**აბრუპტიულ თანხმოვანთა საკითხი უდიურ ენაში**

უდიურ ენაში აბრუპტიულ თანხმოვანთა არსებობასთან დაკავშირებით რამდენიმე ურთიერ-თგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა:

<sup>1</sup> ევგ. ჯეირანიშვილის აზრით, უდიურში ორი სახის ᲁ გვხვდება. პირველი თანხმოვანთა პალატალიზაციის შედეგადაა წარმოქმნილი, ხოლო მეორე – ი ხმოვნის დასუსტებითაა მიღებული (ჯეირანიშვილი 1971).

ზოგი მკვლევრის აზრით, უდიურს სამი აბრუპტივი (ყ, წ, ჭ) და სამი პრერუპტივი (ქ, ფ, თ) მოეპოვება.<sup>2</sup>

ვლ. ფანჩვიძის, ევგ. ჯეირანიშვილის, ვ. გუკასიანისა და ზოგიერთი სხვა მკვლევრის აზრით კი, უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ დასტურდება პრერუპტივები და მასში მხოლოდ აბრუპტივებია წარმოდგენილი: პ, ტ, კ, ყ, წ, ჭ, [ჭჟ]. ამას გარდა, ვლ. ფანჩვიძე აღნიშნავს, რომ უდიურში დასტურდება ე.წ. ნახევარ-აბრუპტივები (“მეთხე რიგის ხშულები”; „საშუალი ბგერები” – ყ, კ, პ, ტ<sup>3</sup>), რომლებსაც, ვლ. ფანჩვიძის აზრით, „ჯერ არ მიუღიათ ფონემატური ღირებულება” (ფანჩვიძე 1974: 30-31). ამასთან ერთად, მკვლევრის მოსაზრებით: „პ, ტ, კ, ყ სმენითი შთაბეჭდილების მიხედვით უდიურში ნაკლებად მკვეთრებია, ვიდრე, მაგალითად, ქართულ-ქართველურში” (ფანჩვიძე 1974: 30-31).

სრულიად განსხვავებული თვალსაზრისი წარმოგვიდგინა ბ. თალიბოვიმა. მკვლევრის აზრით, უდიურ ენას საერთოდ არ მოეპოვება აბრუპტივები. ამ მოსაზრების გამოთქმის დროისათვის, როგორც მიიჩნევს მისი ავტორი, ვართაშნულ კილოში აბრუპტივთა დეგრადაციისა და პრერუპტივებში გადასვლის პროცესი უკვე დასრულდა, ხოლო ნიჯის დიალექტში – დასრულების სტადიაში იყო (თალიბოვი 1967: 176-180, 186-194).

მოგვიანებით, ვ. გუკასიანმა გაიზიარა ბ. თალიბოვის მოსაზრება (გუკასიანი 1973).<sup>4</sup>

ბ. თალიბოვის მოსაზრება ნაწილობრივ არნ. ჩიქობავამაც გაიზიარა: „საყურადღებოა ბ. თალიბოვის დაკვირვება: მკვეთრებს უდიურში პრერუპტივები ცვლისო. პრერუპტივებს ნებისმიერ პოზიციაში ვიპოვიოთ”, თუმცა მკვლევარი აღნიშნავს, რომ „კახეთში – სოფ. ოქტომბერში დასახლებული უდიების მეტყველებას მკვეთრები დაუცავს, ქართული მეტყველება ამას ხელს უწყობდა” (ჩიქობავა 1979: 70-71).

ჩვენი დაკვირვებითაც, სოფ. ზინობიანის უდიურ მეტყველებას შემოუნახავს აბრუპტივები. უფროსი თაობის წარმომადგენელთა მეტყველებაში წ და ჭ აფრიკატები მკვეთრად გამოითქმის, ხოლო ყ, კ, პ და ტ ბგერები ზოგიერთ პოზიციაში (ძირითადად – აუსლაუტში) შესუსტებული ჩანს, თუმცა არა იმდენად, რომ ისინი პრერუპტივებად მივიჩნიოთ. საშუალო და უმცროს თაობათა მეტყველებაში კი ყველა აბრუპტივი მკვეთრად გამოითქმის, დაახლოებით ისევე, როგორც ეს არის ქართულში.

ამას გარდა, საშუალება მოგვეცა დაკვირვებოდით ქ. ოლუხის (ყოფ. ვართაშენი) და სოფ. ნიჯის უდიურ მეტყველებას.<sup>5</sup> ჩვენი აზრით, აქ ბ. თალიბოვის მოსაზრება გასაზიარებელია. უფრო მეტიც: ნიჯურში პრერუპტივების აბრუპტივებში გადასვლა დასრულებული ჩანს და, ამასთან ერთად, შეინიშნება ფშვინვიერი-არაფშვინვიერი დაპირისპირების ნეიტრალიზაციის ტენდენცია. თუ

<sup>2</sup> ა. ღირი უდიურ ენაში *ჩ, ჭ და ც ბგერებს აღნიშნავს, რომელთაც ქართულ წ, ჭ, ყ და სომხურ ჭ, ძ ასო-ბგერებს ადარებს, ხოლო ი, ტ, კ ბგერები რუსულ ი, ტ, კ ასო-ბგერებთანაა შედარებული, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ მკვლევარი უდიური ენის ფონოლოგიურ სისტემაში სამ აბრუპტივს და სამ პრერუპტივს გამოიყოფს (ღირი 1904: 2).*

<sup>13</sup> Translated from the Avar "Haji son of Denga".

<sup>14</sup> **Tindi** (Avar. *Тинди*) - historical region of mountain Avaria, on the right bank of the river Andi-or (now within Tsumadinsky district RD).

<sup>15</sup> **Tomural** (Churmut) - historical region in the south of the mountain Avaria (eastern part Tlyaratinsky district RD). The region has had several names: Tomural, Tomurda (by Avar. *ТIомур* - "roof") or Churmut (Avar. *ЧIурмурт*). The latter name usually used in the South Caucasus.

<sup>16</sup> **Antsukh** - historical region in the south of the mountain Avaria, the upper river. Avar-Or / Avar Koisu (now the western part of the Tlyaratinsky district and may Bezhta district RD).

<sup>17</sup> We are talking about a population that lived east of the river basin. Jurmut and Hwan-op in the mountains of Dagestan.

<sup>18</sup> Can translate differently: *Shelves*.

**ტ. მ. აიტბეროვი** (მაჰჩაყალა)

**შ. მ. საფიზოვი** (მაჰჩაყალა)

**ერეკლე II-ის წერილები ხუნძეთის თემებისადმი (ჭამალაღი, ტინდი, თომურაღი)  
(XVIII ს-ის მე-2 ნახევარი)**

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიის ავტორებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ უარყონ რიგი კავკასიოლოგის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ქართულ-ხუნძური ურთიერთობების ისტორიაში მხოლოდ პერმანენტული მტრობა იყო.

ქართულ-ხუნძური ურთიერთობების ისტორიაში, ზოგი კავკასიოლოგის კონცეფციის მიხედვით, მხოლოდ პერმანენტული მტრობა იყო. წინამდებარე სტატიის ავტორებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ უარყონ აღნიშნული კონცეფცია. არ არის იმის საჭიროება, რომ მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის გამოკვლევები „შეფასდეს“ ან „გადაფასდეს“. ისტორიული დოკუმენტების შესწავლა არსებულ შეხედულებათა გადასინჯვის საშუალებას იძლევა. კერძოდ, შესაძლებელი ხდება კავკასიური სისხლის სამართლის ქრონიკის გამოიჯვანა იმ სახელმწიფოებრივი პოლიტიკისაგან, რომელსაც ატარებდნენ ქართველი და ხუნძი მეფეები, ნუცალები, მხედართმთავრები.

ერეკლე II (სტატიაში მოხსენებული სამი წერილის მიხედვით), ქვეყნის წინაშე მდგარი სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების გადასატრედად, სათანადო ანაზღაურების საფუძველზე, ხშირად იზიდავდა რაზმებს ხუნძეთიდან. როგორც ირკვევა, მოწვეული რაზმები მონაწილეობას დებულობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს გარეშე მტრებთან ბრძოლაში, აგრეთვე, კონტროლის გაძლიერებაში ავტონომიურ ნაწილებზე, სადაც მოსახლეობა მუსულმანური იყო, ეს განსაკუთრებით ითქმის ერევნისა და განჯის სახანოებზე.



## ზ. გუმაშვილი (თელავი)

### ნახების ცივილიზაციამდელი საზოგადოება და მათი განსახლების არეალი

ჩვენ მიერ განსახილველ საკითხში აღსანიშნავია, რომ ჩვენები კავკასიელი აბორიგენები, ძირძველი კავკასიელები არიან.

ისტორიისთვის ცნობილია, რომ კავკასია ძველად ხშირად გამოიყენებოდა დამპყრობლების მიერ გეოპოლიტიკურ „კარად“ აზიიდან ევროპაში და ევროპიდან აზიაში. ამ კარებიდან გადიოდნენ კიროს სპარსელის, ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგის ხანის, თემურლენგის მეომრები. აქ ფართო და მნიშვნელოვანი ადგილია სახელოვანი „აბრეშუმის გზისა“.

ამასთან ერთად, კავკასიასთან სრულად დაკავშირებულია კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების პროცესები, მათ შორის ყურადღებას ვამახვილებთ იმაზეც, რომ კავკასია - რეგიონი, ქვეყანა, სადაც წარმოდგენილია მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგია: ქრისტიანობა, ისლამი, იუდაიზმი, ბუდიზმი.

კავკასია ვერ გაექცა მსოფლიოს პოლიტიკურ-სამართლებრივი განვითარების პროცესებს. აქ ჩვენ გვხვდება უნიკალური იურიდიული მოვლენა, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ კავკასია - მსოფლიოს რეგიონი, ქვეყანა, სადაც მისი ხალხი ფეოდალურ-არისტოკრატიულ მმართველობის სისტემიდან (სომხები, ქართველები, აზერბაიჯანელები, დაღესტნელები, ოსები, ჩერქეზები...) ცხოვრობდნენ მეზობლად ასეთივე კავკასიურ ხალხთან, რომლებმაც ჯერ სოციალური განვითარების საწყის საფეხურებზე არ იცოდნენ წოდებრივი დაყოფა და დადგნენ რა სამხედრო-რესპუბლიკური დემოკრატიის გზაზე თავიანთი წინანდელი თავადების მიმართ შეინარჩუნეს მხოლოდ ტრადიციული პატივისცემის ურთიერთობა. კერძოდ, ჩვენები განთავისუფლდნენ თავიანთ თავადებისაგან, როგორც წოდებისაგან, 250 წლით ადრე, ვიდრე ეს განახორციელა იმამმა შამილმა დაღესტანში (მონობის, ბატონყმობის გაუქმებით და ფეოდალური არისტოკრატიის განდევნით).

კავკასია - მსოფლიოს რეგიონი, ქვეყანა, რომლის სახელით ანთროპოლოგიამ თეთრ რასას კავკასიური რასა უწოდა.

როგორც ცნობილია, პირველად სიტყვა „კავკასია“ გვხვდება ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და დრამატურგის ესქილეს ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“ (თითქმის 500 წლის წინ ჩ. წ. აღმდე). მანვე აღნიშნა, რომ „ბერძნულ მითოლოგიაში“ რანკე-გრავესის მიხედვით, რომ სახელწოდება „კავკასია“, სავარაუდოდ, წარმოიშვა ბერძნული სიტყვისაგან „კაუ კაუს“, რაც ნიშნავს „ღმერთების სამფლობელოს“.

მითითებები ჩრდილოკავკასიურ ხალხზე სხვადასხვა დასახელებით გვხვდება მატრიანებში და ძველი მწერლების ნაშრომებში, სადაც ისინი ასახელებენ კავკასიას მრავალი ტომისა და ენის სამშობლოდ. ენების სხვადასხვაობამ არ შეუშალა ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ჩათვალონ თავიანთი თავი როგორც ერთიანი ერი და ერთობლივად დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა. როცა VII-VI საუკუნეებში ახალ ერამდე სკვითების უზარმაზარმა სამეფომ, რომლის ძალაუფლება გაგრძელდა ბუღლი იყო აზიიდან ცენტრალურ ევროპამდე, დაიპყრო კავკასიაც, ჩრდილოკავკასიელი ხალხი თავიანთ საზოგადოებრივ და სახელმწიფო-ადმინისტრაციული ინსტიტუტების საფუძველზე წარმატებით იცავდნენ საკუთარ შინაგან ავტონომიას სკვითების სამეფოს შემადგენლობაშიც. საუბარია

ჩრდილო-კავკასიის ხალხების მაღალ ცივილიზებულ კულტურაზე, იმ დროს საკმაოდ განვითარებულ სახელმწიფო ინსტიტუტებზე.

კავკასია ჯერ კიდევ კაცობრიობის ცივილიზაციის ალიონზე ჩამოყალიბდა ადამიანის ცხოვრების კერად, მისი კულტურის გენეზისად. ენათმეცნიერები და არქეოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძველად (III-II ათასწლეული ჩვენ წ. აღ-მდე) კავკასიელები წარმოადგენდნენ ეთნოენობრივ და კულტურულ ერთიანობას, მათ ჰქონდათ ფართო განსახლების არეალი, ე. ი. ცხოვრობდნენ როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე ამიერკავკასიაში. ეს ეხება როგორც ჩეჩნებს, ისე სხვა ჩრდილო კავკასიის ხალხებსაც.

ამასთან ერთად, ძველი სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდა ურთიერთობა ჩეჩნებთან, ჩამოყალიბდა ამიერკავკასიაში. ეს ურარტუა (IX-VI ს. ჩ. წ. აღ-მდე). დროთა განმავლობაში ჩეჩნების წინაპრებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ ამიერკავკასიაში, ასიმილაცია განიცადეს და შევიდნენ სომხების, აზერბაიჯანელების და ქართველების სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ჩრდილოეთ კავკასიაზე საუბრისას, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ჩეჩნეთი, არქეოლოგიის მონაცემებით, დასახლებული იყო პოლეოლითის ეპოქიდან (ტბა კაზენოი-ამ). პროფესორი კ.ხ. ჩოქაევი წერს: „როგორც ადასტურებს მეცნიერება, კავკასიური ხალხები მივიდნენ წინა აზიიდან, სადაც არსებობდა ცივილიზებული სახელმწიფო ურარტუ, რომელშიც შედიოდნენ კავკასიელი ხალხები და მათთან ერთად ვაინახების შორეული წინაპრებიც.“

ცნობილი მკვლევარი ვ. პ. ალექსეევი თავის კვლევებში ამტკიცებს, რომ ხურიტო-ურარტუ წარმოადგენს ჩეჩნების არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ენობრივ წინაპრებს. სსრკ ისტორიის ბოლო გამოცემაში აღნიშნულია, რომ ურარტუს ენა, როგორც ხურიტული, ეკუთვნის განსაკუთრებულ ენობრივ ოჯახს, ყველაზე ახლოს მასთან დგას ნახურ ენათა ჯგუფი, მათ შორის ჩეჩნური ენა.

აკადემიკოს გ. მელიქიშვილის აზრით: „ძველად ადიღურ-ჩეჩენურ-ლეზგიური ტომი იყო გავრცელებული არა მხოლოდ ჩრდილოეთით მთავარი კავკასიური ქედიდან, ამასთანავე, როგორც ჩანს, სამხრეთით ამიერკავკასიიდან და კიდევ უფრო სამხრეთითაც. ამიერკავკასიის სამხრეთ ტერიტორიაზე გეგვდება სახელების რიგი, სადაც აღმოჩენილია საოცარი სიხლოვე იმ სახელებთან, რომლებიც დამოწმებულია მოგვიანებით ადიღურ-ჩეჩენურ-ლეზგიურ გარემოში“. ცნობილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი ამტკიცებდა: „აღმოსავლეთი საქართველო ოდესღაც დასახლებული იყო ჩეჩნური და დაღესტნური ტომებით“. ჩეჩენი მეცნიერი ს. მ. ჯამირზაევი ხაზს უსვამს, რომ „თანამედროვე ნახების წინაპრები და კავკასიის სხვა ძირძველი ეთნოსები (ქართველები, აფხაზ-ადიღები, ხუნძები, ლაკები, დარგუები, ლეზგინები და ა.შ.) ნეოლითის დროიდან, შეიძლება, უფრო ადრეც. II ათასწლეულის შუა ხანებამდე, ჩვენს წ. აღ-მდე იკავებდნენ კავკასიის უდიდეს ტერიტორიას.“

რაც შეეხება ჩეჩნეთის თანამედროვე ტერიტორიას, აღსანიშნავია, რომ საყოველთაოდ აღიარებულ ტერიტორიაზე მათი გამოჩენა და ჩამოყალიბება ჩეჩნური ეთნოსის სახით მოხდა ნაშხაში (ნახშა//ნაშახი). ის იკავებს თანამედროვე ჩეჩნეთის მთლიან მთიან ნაწილს, როგორცაა: მაისთი, მალხისთი, ხილდეხა, თერლა, აქხა, გალაი და განსაკუთრებით ნაშხა (გარდა თანამედროვე შატლის, ჭებერლოს, შაროს, ვედენოს და ნოჟაიურთის რეგიონისა). ეს მიწები ნაშხოს წარმომადგენლებმა დაიკავეს მოგვიანებით, ბარის ტერიტორიებთან ერთად.

დაახლოებით ჩვენს წ. აღ-მდე IV ათასწლეულის ბოლოს, ბრინჯაოს ადრეული პერიოდიდან, ადამიანის დასახლება იწყება ჩრდილოეთ კავკასიაში. აქ, როგორც წინა აზიის ჩრდილოეთ ნაწილში და ამიერკავკასიაში, ვრცელდება მტკვარ-არაქსის კულტურა. მან მიიღო სახელწოდება უფრო შესწავლილი ძეგლებიდან მტვრის და არაქსის ნაპირებზე ამიერკავკასიაში. ამ კულტურის მატარებლები დაკავებულნი იყვნენ მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით, ცხოვრობდნენ კომპაქტურად, ავითარებდნენ ალებ-მიცემობას, ვაჭრობას.

გეოგრაფიული გარემოს რაციონალური სამეურნეო ათვისების პროცესი გრძელდებოდა პალეოსტინიდან თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთამდე. იმ ეპოქის ადამიანი გამუდმებით ისწრაფვოდა ახალი დასამუშავებელი მიწებისა და საძოვრების ათვისებისაკენ, რაც სრულდებოდა სხვადასხვა

ტომთა ინტენსიური განსახლებით აღნიშნულ არეალში, რომლებიც იყვნენ წინა აზიის ქვეყნებიდან, შუამდინარეთიდან, იყვნენ მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი და მათი განსახლების პროცესი მიმდინარეობდა სამხრეთიდან ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიაში. უზარმაზარ ტერიტორიაზე შეიქმნა ტიპოლოგიურად ერთიანი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კულტურა. აღნიშნულ პროცესს ეხამებოდა მეტალურგიული წარმოების ერთიანი ბაზის ჩამოყალიბება. ჩრდილო კავკასიაში ამ პერიოდში თითქმის ერთდროულად ხდებოდა ათვისება როგორც ბარის, ისე მაღალმთიანეთისა.

ლოგიკურად გვეჩვენება ის გარემოება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე ჩამოყალიბებას იწვევს ლოკალური ვარიანტები, რომლებიც ადგილობრივი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩეოდა. ასეთი იყო, მაგალითად, ჩრდილო-აღმოსავლეთი ახერბაიჯანი (აღბანეთი), დაღესტანი და ჩეჩნეთი. ამ რეგიონების მოსახლეობის რელიგიურ შეხედულებებში მთავარ როლს ასრულებდნენ მოსავლის, მზისა და ოჯახის მფარველი კულტები.

ჩვენს წ. აღ-მდე III ათასწლეულში ჩრდილო კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი მოსახლეობა მჭიდრო შეხებაში შედის მაიკოპის კულტურის მატარებელ მოსახლეობასთან. ეს შეხება არ იწვევს მათ ურთიერთდაპირისპირებას. პირიქით, ეს პროცესი სრულდება შერეული კულტურის მქონე დასახლებების წარმოშობით, რომელსაც მოსდევს მათი სულიერი შეხედულებების სინთეზიც.

ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში მიმდინარეობს ბელად-მომხვეჭელთა ანუ სათემო ხელმძღვანელთა ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესი. ამას თან სდევს ქონებრივი დაყოფის ნიშნები და საზოგადოების ცალკეული ფენების ინტერესთა დაპირისპირება.

ეს პროცესები კიდევ უფრო დაახტარა კავკასიაში და მესოპოტამიაში სამხრეთი ურალიდან, ურალისპირეთიდან არიული მეცხოველე ტომების შემოჭრამ. მათ შექმნეს საფუძვლები ცენტრალიზებული მმართველობის სისტემის შექმნისათვის ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნეში კავკასიელ ხალხთა ტომებით დასახლებულ ამ რეგიონებში.

საფიქრებელია, რომ დაღესტნური და ნახურენოვანი ტომების მიგრაცია ჩრდილო კავკასიაში და უკან ამიერკავკასიაში - ეს არ იყო ერთჯერადი აქტი. ეს გახლდათ თანდათანობითი გადაადგილება ხურიტო-ურარტული მოსახლეობისა უფრო უკეთეს და მოსახერხებელ მიწის ნაწილზე. ამ მოსახლეობის დიდი ნაწილი დარჩა ამიერკავკასიაში და ასიმილაცია განიცადა კახეთის, აღბანეთის და სომხეთის ახალგაზრდა სახელმწიფოს მოსახლეობასთან, რომელიც წარმოიქმნა ნაირი-ურარტუს დაშლის შედეგად მის ტერიტორიაზე.

ნახური ტომების პირველი ტალღის კავკასიის მისადგომებთან შემოსვლა მიმდინარეობდა ჩვ. წ. აღ-მდე II ათასწლეულში. სწორედ ამ ეპოქაში, როგორც ისტორიულ ლიტერატურაშია ხაზგასმული ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთელ ტერიტორიაზე არსებობდა კავკასიის ქედის ჩრდილო კალთების თითქმის ყველა რაიონისათვის (გარდა დაღესტნისა) დამახასიათებელი ერთიანი ე.წ. ჩრდილო კავკასიური კულტურა, რომელიც ხასიათდება მწარმოებლური ძალების სწრაფი ზრდით, კერძოდ, სპილენძისა და ბრინჯაოს წარმოების განვითარებით.

მეორე მიგრაციულმა ტალღამ ჩეჩნეთამდე, სავარაუდოდ, მიადწია ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულში, ადრეული რკინის ეპოქაში და ყობანის კულტურის გაფურჩქვნის პერიოდში. შესაძლებელია ამ კულტურის გაფურჩქვნა სწორედ ახალმოსულებთან იყოს დაკავშირებული.

და, ბოლოს, მესამე, ყველაზე დიდი მიგრაციული ტალღა დაკავშირებული უნდა იყოს ურარტუს სახელმწიფოს დაცემასთან. ამ ტალღას, შესაძლოა, ჩეჩნეთამდე მიედწია ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულის მეორე ნახევარში. ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში ნახები საკმაოდ მყარად დაფუძნდნენ კავკასიის მთებსა და მთების მისადგომებთან ყუბანიდან მდინარე სულაკამდე. და სრულიადაც არაა გასაკვირი, რომ საყოველთაოდ ცნობილი რომაელი გეოგრაფი სტრაბონი, უფრო ადრე კი ისტორიკოსი პლუტარქე, აღნიშნავენ ამ ტერიტორიაზე გარგარების ტომთა არსებობაზე... აქვე, კავკასიის ჩრდილოეთ კალთებზე ასახლებს მათ პლინიუსი და გეგარებს უწოდებს.

ნახური ტომები მიიწვედნენ წინ უძველესი ხალხების მიერ გათელილი გზებით, უკან ტოვებდნენ კავკასიის მთებს დასავლეთიდან, ამასთანავე, თავიანთ ნაკვალევზე ტოვებდნენ მრავალრიცხოვან ტოპონიმებს და ეთნონიმებს, რომელთა უმეტესობას აქვს ტენდენცია გამეორებისა კავკასიის მთებსა და მთების მისადგომებთან. არინ-ბერდი, არტახა, არხან, ალბან, ჭოროხი, კოლხიდა (კელხიდუ), შარო (აფხაზეთში), ანაპა, კუბან, მაშუკ, კუმა (გუმა), კურა (კურახი), ბაშ-ლამ (ყაზბეგი), ტაიმაშკა, ტომისკა (დემიშკა), ძარაშკა (ზარაშკა), გარგარეი, სოდი, ტუსკი, სანარი.

დადესტნური ტომები მიიწვედნენ დერბენდის კარების გავლით და იჩქერიასთან შეხვდნენ ნახურ ტომებს. წარიმართა ჩრდილოკავკასიურ-ყობანური და კაიაკენტ-ხარაჩოვესკის კულტურათა ჩამოყალიბების ტენდენცია.

ეს მოვლენა განსაკუთრებით გამოკვეთილად აისახა იმ ნახების კულტურაზე, რომლებიც დასახლდნენ ტერიტორიაზე, სადაც დღეს სახლობენ ჩეჩნები და ინგუშები. უნდა ითქვას, რომ ძირძველი, აბორიგენი მოსახლეობა ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიისა, აგრეთვე, იყო ნახური მოდგმისა და იგი მოსულებში მტერს არ ხედავდა.

ამრიგად, ვაინახთა სახელმწიფო ინსტიტუტების წარმოშობა და ჩამოყალიბება უკავშირდება უძველეს ეპოქას ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულს. ვაინახთა (ჩეჩენთა და ინგუშთა) სახელმწიფოებრიობა იქმნებოდა სხვა მონათესავე ხალხებთან ერთად მათი წინაპრების განსახლების არეალის რაღაც გამოკვეთილ ნაწილში.

### 3. Гумашвили (Телави)

#### Доцивилизационные общества нахов и ареал их расселения

В части исследуемого нами вопроса следует напомнить, что чеченцы являются одним из древних народов, аборигенами Кавказа, т.е. коренным народом – кавказцами. Кавказ является особым ареалом цивилизации. Кавказ – страна древнейших народов мира, ландшафтных и климатических контрастов, от континентальных до субтропических, вечных снегов и гор. На Кавказе был прикован к скале герой греческой мифологии Прометей.

Истории известно, что Кавказ – древнейшее и часто использовавшиеся завоевателями геополитические «ворота» из Азии в Европу и из Европы в Азию. Через эти ворота проходили войны Кира Персидского, Александра Македонского, Чингисхана, Тамерлана. Здесь широкий и значительный участок знаменитого «Шелкового пути».

Вместе с тем с Кавказом в полной мере связаны всемирные процессы цивилизационного развития человечества, среди которых следует обратить внимание на то, что Кавказ – регион, страна, где представлены все мировые религии: христианство, ислам, иудаизм, буддизм.

Не обошли Кавказ и всемирные процессы политико-правового развития. Здесь мы встречаем уникальные юридические явления, суть которых состоит в том, что Кавказ – регион мира, страна, где его народы с феодально-аристократической системой правления (армяне, грузины, азербайджанцы, дагестанцы, осетины, кабардинцы, адыго-черкесы) жили по соседству с такими же кавказскими народами, которые еще на ранних ступенях социального развития не знали сословного деления и стали на путь военно-республиканской демократии, сохраняя к своим бывшим князьям лишь традиционно уважительное отношение. В частности, чеченцы избавились от своих князей, как сословия, на 250 лет раньше, чем это осуществил имам Шамиль в Дагестане (отменив рабство, крепостное право и изгнав феодальную аристократию).

Кавказ – регион мира, страна, по имени которой антропология назвала белую расу кавказской расой.

Согласно изысканиям известного экономиста Р.И. Хасбулатова, впервые слово «Кавказ» встречается в трагедии «Прикованный Прометей» у древнегреческого историка и драматурга Эсхила (около 500 лет до новой эры). Им же отмечено, что в «Греческой мифологии» Ранке-Гравес пишет, что название «Кавказ», вероятно, происходит от греческих слов, «Кау Казос», что означает «трон богов» (выделено мною – З.Г.), возможно, это объясняет происхождение слова «Кавказ»<sup>1</sup>.

Ссылки на северокавказские народы под разными наименованиями встречаются в летописях и трудах древних писателей – греков, римлян, арабов, персов, армян и грузин. Все они называли Кавказ родиной многих племен и языков. Однако это разнообразие языков не мешало северокавказским народам считать себя как бы одним народом и совместно отстаивать свою независимость. Когда в VII–VI вв. до новой эры огромное царство скифов, распространившее свое господство от Азии до Центральной Европы, *завоевало и Кавказ, северокавказские народы на основе своих общественных и государственно-административных институтов, успешно отстаивали свою внутреннюю автономию в составе скифского царства*. Речь идет о высокой цивилизационной культуре народов Северного Кавказа еще до новой эры, о довольно развитых по тем временам государственных институтах.

<sup>1</sup> Хасбулатов Р.И. Чужие (Историко-политический очерк о чеченцах и их государственности). Кремль и российско-чеченская война. М.: ИД «Грааль», 2003. С. 11-12.

*Кавказ еще на заре человеческой цивилизации стал очагом обитания человека, генезисом его культуры.* Языковеды и археологи пришли к выводу, что в древности (до III-II тыс. до н.э.) кавказцы представляли собой этноязыковое и культурное единство, и имели широкий ареал расселения, т.е. проживали как на Северном Кавказе, так и Закавказье. Это относится также к чеченцам и к другим народам Северного Кавказа. При этом древнее государство, имеющее отношение к чеченцам, сложилось в Закавказье. Это Урарту (IX-VI вв. до н.э.). С течением времени предки чеченцев, проживавшие в Закавказье, ассимилировались и вошли в состав армянского, азербайджанского и грузинского государств.

Говоря о Северном Кавказе, необходимо подчеркнуть, что древняя Чечня по данным археологии, была заселена с эпохи палеолита (озеро Кезеной-Ам). Профессор К.З. Чокаев пишет: «Как свидетельствует наука, кавказские народы пришли из Передней Азии (так утверждают академики А.С. Чикобава, И.Н. Мещанинов, Н.Я. Марр, И. Манандзян, И. Пиотровский, проф. Н.М. Немировский, А. Тромбетти, Г.Н. Меликишвили и другие). Там располагалось древнее цивилизационное государство Урарту, куда входили кавказские народы, и вместе с ними и далекие предки вайнахов»<sup>2</sup>.

Известный исследователь В.П. Алексеев в своих исследованиях подтверждает, что Хуррито-Урарты представляют собой не только физических, но и языковых предков чеченцев<sup>3</sup>. В последнем издании материалов по истории СССР отмечается о том, что урартский язык, как и хурритский, принадлежит к особой языковой семье, наиболее близким к ним является современный чеченский язык<sup>4</sup>.

По мнению академика Г. Меликишвили: «В древности адыгейско-чечено-лезгинские племена были распространены не только к северу от Главного Кавказского хребта, но, по-видимому, и к югу от Закавказья и еще южнее... На территории к югу от Закавказья мы встречаем ряд названий, обнаруживающих поразительную близость к названиям, засвидетельствованным позднее в адыгейско-чечено-лезгинской среде»<sup>5</sup>. Всемирно известный грузинский ученый, академик И. Джавахишвили утверждал: «Восточная Грузия некогда была заселена чеченскими и дагестанскими племенами»<sup>6</sup>. Ученый-чеченец С.М. Джамирзаев подчеркивает, что: «Предки современных нахов и других коренных этносов Кавказа (грузин, абхазо-адыгов, аварцев, лакцев, даргинцев, лезгин и т.д.) со времен неолита наиболее ярко и, возможно, гораздо и раньше, до середины II тысячелетия до новой эры, занимая огромную территорию Кавказа (Северный Кавказ и Закавказье) и Передней Азии в лице хурритских племен (или генетически родственного им народа), составляли одно этнокультурное, языковое целое»<sup>7</sup>.

Что касается современной территории Чечни в историческом плане, то следует отметить, что *общепризнанной территорией зарождения и формирования чеченского этноса является Нашха (Нахша)*. Она занимала всю горную часть современной Чечни, куда входили: Мйайста, Маьлхиста, Хилдехьа, Терла, Аьккха, Галай и собственно Нашха (кроме современных Шатойского, Чеберлойского, Шаройского, Веденского и Ножай-Юртовского районов), земли которых выходцами из Нашха были освоены позже, так же, как и земли на плоскости.

*Нахи - это собирательное, общее название всех нахских племен и союзов - туалов (длавлон), содов - исадиков (садой), санаров (цанарой), тусков и цупани (цова - тушин) и близкородственных саргареев, а также дурдзуков, цупани - цова-тушин, аккизов - аккинцев, нашавы, хувай - хой.*

*Примерно с конца IV тыс. до н.э. в период ранней бронзы обитание человека распространяется на Северный Кавказ.* Здесь, как и в северной части Передней Азии и в Закавказье распространяется куро-аракская культура. Она получила название по наиболее изученным выразительным памятникам на берегах Куры и Аракса в Закавказье<sup>8</sup>. Носители этой культуры занимались земледелием и скотоводством, вели оседлую жизнь, развивали ремесла и торговлю. Процесс рационального хозяйственного освоения географической среды простиралось от

<sup>2</sup> Чокаев К.З. Куда идет корень вайнахов // Журнал «Орга». 1968. № 4.

<sup>3</sup> Алексеев В.П. Становление человечества. 1984. М.: Политиздат.

<sup>4</sup> Материалы по истории СССР: Для семинар. и практ. занятий: Учеб. пособие для вузов по спец. "История" / Под ред. А.Д. Горского. - М.: Высшая школа, 1989.

<sup>5</sup> Меликишвили Г.А. К вопросу о древнейшем населении Грузии. Тбилиси, 1959. С. 120.

<sup>6</sup> Джавахишвили И.А. Историко-этнологические проблемы Грузии, Кавказа и Ближнего Востока. Тбилиси, 1950. С. 248.

<sup>7</sup> Джамирзаев С.М. Древняя история чеченцев – нохчий. Грозный. 2009. С.21.

<sup>8</sup> См.: Ахмадов Я.З. История Чечни с древнейших времен и до конца XVIII века. М., 2001. С. 64.

Палестины и до современной Карачаево-Черкессии. Постоянный поиск новых, удобных для посевов земель, пастбищных угодий, другие естественные потребности людей той эпохи сопровождались интенсивным расселением племен - носителей куро-аракской культуры из стран Передней Азии, Междуречья в Закавказье и Северный Кавказ. На огромной территории была создана типологически единая по своим признакам *земледельческо-скотоводческая культура*. Данному процессу способствовало наличие единой базы металлургического производства. На Северном Кавказе в этот период в равной мере осваивались как долины и предгорья, так и высокогорье, обладавшее в достаточной степени влажностью.

Естественным представляется то обстоятельство, что на обширной территории распространения *куро-аракской культуры*, стали складываться локальные варианты с характерными чертами местных особенностей: Северо-Восточный Азербайджан (Албания), Дагестан и Чечня. Ведущую роль в представлениях и религиозных верованиях населения данных регионов играли культы плодородия, солнца и домашнего очага.

*В III тысячелетии до н.э. на Северном Кавказе население куро-аракской культуры входит в тесное соприкосновение с населением майкопской культуры. Оно не приводит к противостоянию, а завершается образованием поселений смешанной культуры. Происходит синтез и в области духовных представлений.*

На этом этапе в системе общественных отношений происходит выделение родовой верхушки или вождей-завоевателей. При этом отчетливо стали выделяться признаки имущественного расслоения, противоречия интересов различных слоев общества.

Подобные процессы были ускорены проникновением на Кавказ, в Закавказье и Месопотамию арийских скотоводческих племен Южного Урала и Приуралья. Они обусловили формирование системы централизованного управления, начиная с I тыс. до н.э. на землях, населяемыми племенами кавказских народов.

Здесь следует за основу взять точку зрения, согласно которой *миграция нахоязычных и дагестанских племен на Северный Кавказ и обратно в Закавказье* - это не единовременный акт, а постепенное (волна за волной) передвижение на более удобные земли части хуррито-урартского населения. Большая часть ее осталась в Закавказье и ассимилировалась в Кахетии, Албании и Армении, молодого государства, сформировавшегося на территории уже распавшегося Нахири-Урарту.

*Первая волна* нахских племен в Предкавказье происходила еще во II тысячелетии до н.э. Именно в эту эпоху, как отмечается в исторической литературе: «На всей территории Чечено-Ингушской АССР существовала единая почти для всех районов северного склона Кавказского хребта (кроме Дагестана) так называемая *северокавказская культура* (курсив наш – З.Г.), характеризующаяся резким подъемом производительных сил и в частности развитием металлургии меди и бронзы».

*Вторая миграционная волна*, вероятно, достигла Чечни в начале I тысячелетия до н.э., в эпоху раннего железа и расцвета знаменитой кобанской культуры. Возможно, расцвет этой культуры и был связан с новыми пришельцами.

И наконец, *третья, самая мощная волна* могла быть связана с падением государства Урарту. Она могла достигнуть Чечни во 2-ой половине I тысячелетия до н.э. В III веке до новой эры нахи прочно обосновались в горах и предгорьях Кавказа от Кубани до Сулака. И неудивительно, что знаменитый римский географ Страбон, живший на рубеже нашей эры, а ранее и историк Плутарх упоминают здесь племя гаргареев. Здесь же, на северных склонах Кавказского хребта, размещает их и Плиний, называя их гегарами.

Нахские племена двигались проторенными древними народами дорогами, огибая Кавказские горы с запада, оставляя за собой многочисленные топонимы и этнонимы, большинство из которых имеют тенденцию повторяться в северных предгорьях и горах Кавказа: Арин-Берд, Арцаха, Арран, Албан, Чорохи, Колхида (Келхиду), Шаро (в Абхазии), Анапа (Анапхья), Кубань (Гуоба), Машук (Мошукьо), Кума (Гума), Кура (Курахи), Шат-лам - Эльбрус, Баш-лам (Казбек), Тайнашка, Тамиска (Темешка), Дзарашка (Зларашка), гаргареи, соды, туски, санары.

Дагестанские племена двигались через Дербентские (Каспийские) ворота и встретились с нахскими племенами в Ичкерии. Произошло как бы наложение северокавказско-кобанской и каякентско-хорочоевской культур.

Это явление ярко отразилось именно на культуре тех нахов, которые заселили территорию, занимаемую сейчас чеченцами и ингушами. Надо сказать, что и коренное, аборигенное население Центрального и Северо-Восточного Кавказа также было нахоязычным, и оно не видело в пришельцах врагов<sup>9</sup>.

Таким образом, *зарождение и формирование государственных институтов нахов (чеченцев и ингушей) относится к древней эпохе - I тысячелетию до н.э. Государственность нахов (чеченцев и ингушей) создавалась вместе с другими родственными народами в определенной части обширного ареала расселения их предков.*

### **Литература:**

1. Хасбулатов Р. И., Чужие (Историко-политический очерк о чеченцах и их государственности). Кремль и российско-чеченская война. М.: ИД «Грааль», 2003. С. 11-12.
2. Чокаев К. З., Куда идет корень вайнахов // Журнал «Орга». 1968. № 4.
3. Алексеев В. П., Становление человечества. 1984. М.: Политиздат.
4. Материалы по истории СССР: Для семинар. и практ. занятий: Учеб. пособие для вузов по спец. "История" / Под ред. А.Д. Горского. - М.: Высшая школа, 1989.
5. Меликишвили Г. А., К вопросу о древнейшем населении Грузии. Тбилиси, 1959. С. 120.
6. Джавахишвили И. А., Историко-этнологические проблемы Грузии, Кавказа и Ближнего Востока. Тбилиси, 1950. С. 248.
7. Джамирзаев С. М., Древняя история чеченцев – нохчий. Грозный. 2009. С.21.
8. См.: Ахмадов Я. З., История Чечни с древнейших времен и до конца XVIII века. М., 2001. С. 64.
9. См.: Яндарбиев Х. Ш., Об ареале расселения нахских племен во II тысячелетии до нашей эры – в I тысячелетии новой эры // Вестник Чеченского института повышения квалификации работников образования. Вып. 2 (9). Грозный. 2005. С. 71-76.

## **Z. Gumashvili (Telavi)**

### **Nakhs society before the civilization and the borders of their accommodation**

#### **Resume**

„Nakhs society before the civilization and the borders of their accommodation” is the article in which Chechens are represented as one of the oldest nation with the other cohabitants in Caucasus.

According to the research by the famous economist R. I. Khasbulatov. the word „Caucasus” first was mentioned in the tragedy of Greek dramatist Esqile - „Chained Promete” He highlights that in Greek mythology the word Caucasus comes from the Greek words and meand „God’s Kingdom”.

In the Second part of the article he talks about settlement and movement of people and tribe in VII-VI.

In the article as an example he uses the point of view of the famous researchers as A. Chikobava. I. Meshchaninov. N. Mary, I. Manandziani, I. Piotrovski, G. Melikishvili and others about formation the Kingdom of Urartu the state included Caucasian people as well as ancestors of Vainakh.

One of the most interesting in the article is Migration process of Nakh tribes to the South Caucasus. it happened step by step, people headed for the North Caucasus and during the migration part was confluence with population of Kakheti, and pothers with Armenian population and some assimilated with Albanian people.

---

<sup>9</sup> См.: Яндарбиев Х.Ш. Об ареале расселения нахских племен во II тысячелетии до нашей эры – в I тысячелетии новой эры // Вестник Чеченского института повышения квалификации работников образования. Вып. 2 (9). Грозный. 2005. С. 71-76.



ო. ვემაგურიძე (თბილისი)

**წოვათუშების საქართველოში XVII ს-ში გადმოსახლების შესახებ არსებული  
მოსაზრებების კრიტიკული განხილვა**

შესავალი. წოვათუშთა წარმომავლობის დადგენა დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება, რასაც ბოლო წლებში გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომიც ადასტურებს.

სხვადასხვა ხალხის ეთნიკური წარმომავლობის დადგენა, თუკი მას ადგილი უახლოეს წარსულში არ ჰქონდა და არც დოკუმენტურადაა დადასტურებული, ძალზე რთული საკითხია. ხშირად დასკვნის გაკეთება მხოლოდ ვარაუდის დაშვებით არის შესაძლებელი და არა დანამდვილებითი (აპრიორი) მტკიცებით.

მაგალითისთვის შეგვიძლია ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი დავასახელოთ. უამრავი მასალის მიუხედავად (წოვათუშებთან შედარებით, რა თქმა უნდა), ეს საკითხი ბოლომდე დღესაც არ არის გარკვეული. არსებობს უამრავი ვერსია. შესაბამისად, ამ ვერსიების აწონ-დაწონისას, მეცნიერები ფრთხილად საუბრობენ, ვარაუდებს გამოთქვამენ და გარკვეულ ალბათობებსაც უშვებენ. ეს ასეც უნდა იყოს. ასე უნდა ხდებოდეს ობიექტური კვლევის არსებობის პირობებში. მაგრამ, სამწუხაროდ, წოვათუშების ეთნოგენეზის შემთხვევაში ასეთი მიდგომა მეორეხარისხოვნად მიიჩნევა და მეცნიერთა გარკვეული ნაწილი (ვ. ელანიძე, რ. თოფჩიშვილი და სხვ.) მათი თვალთახედვით საბოლოოდ დადგენილ და ჩამოყალიბებულ და, რაც მთავარია, მცდარ პასუხებს გვთავაზობს.

წოვათუშების წარმოშობისა და ენის შესახებ არაერთი ნაშრომი დაწერილა. როგორც ხშირად ხდება, ეს საკითხიც, სამწუხაროდ, იდეოლოგიური ჩარჩოს ფარგლებს ვერ სცდება. ამის ძირითად საფუძვლად ორი პრინციპი გვევლინება: “ობიექტურობის სახელით” და “ჩადმათუშური მიდგომა”. მათ შესახებ ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

წოვათუშებზე დაწერილი ნაშრომების ავტორები შეგვიძლია ორ პირობით ჯგუფად დავყოთ: პირველი, რომელიც წოვათუშების ავტოქტონობას ან საკმაოდ ადრეულ პერიოდშივე თუშეთში განსახლებას ამტკიცებს ვ. მელიქიშვილი, ა. შანიძე, ასევე წოვათუშში მეცნიერები: ა. ბერთლანი, ა. შახელიშვილი და სხვა. ხოლო მეორე ჯგუფი, რომელიც ამტკიცებს, რომ წოვათუშები წოვათაში საკმაოდ გვიან ჩასახლდნენ, ვ. ელანიძე, გ. ცოცანიძე, რ. თოფჩიშვილი და სხვა.

ჩვენი სტატიის მიზანს არ წარმოადგენს პირველი ჯგუფის ავტორთა მოსაზრებების ვრცლად განხილვა, რადგან მიგვაჩნია, რომ მათ ნაშრომებში ისტორიული რეალობა საკმაოდ ობიექტურად არის ასახული და, ამდენად, ძირითადად მათ მეორე ჯგუფის ავტორთა შეხედულების კრიტიკული განხილვის კონტექსტში მივმართავთ. აქ კი პირველი ჯგუფის ავტორთა მოსაზრებებს მოკლედ მიმოვიხილავთ და ქვემოთ, საკითხის გაშლის დროს, კვლავ დაუფრუნდეთ.

მართალია, ვ. მელიქიშვილს სპეციალურად არ უკვლევია წოვათუშების წარმოშობის საკითხი, მაგრამ მიაჩნდა, რომ ხალხის ხსენებული ჯგუფი შუამდინარეთიდან რამდენიმე ათასწლეულის წინ გადმოდის დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე. გიორგი მელიქიშვილის მიერ რედაქტირებულ საქართველოს ისტორიის ნარკვევების პირველ ტომში ნათქვამია, რომ ტერმინი “წოვა” (ურარტული “ცუვა”, სომხური „წოვჟ“, ანტიკური წყაროების “სოფენე”) პირდაპირ იმეორებს წოვათუშების სახელს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. ტომის რედაქტორი ვ. მელიქიშვილი. თბილისი, 1970, გვ. 79.

ს. მაკალათია საკმაოდ ზედაპირულად ეხება წოვათუშთა წარმოშობის საკითხს, იგი თვლის, რომ „ჩრდილო კავკასიიდან მათი გადმოსახლება არაუგვიანეს VIII-IX საუკუნეებში უნდა ვივარაუდოთ, რადგან წაროს აკლდამებში ნაპოვნი ნივთები ჩრ. კავკასიაში დერგავსის და კომუნტის არქეოლოგიური აღმოჩენების მსგავსია<sup>2</sup>“.

წოვათუშების ეთნოგენეზის შესახებ არ არსებობს არც ერთი ყოველმხრივ ჭეშმარიტი წყარო. ამ შემთხვევაში არ არის საუბარი სუბიექტურობა-ობიექტურობაზე (რაც მეტ-ნაკლები დოზით ყველა ნაშრომს ახასიათებს); იგულისხმება ძველი პერიოდის მეცნიერთათვის დამახასიათებელი უცილობელი ნაკლი – ფაქტებისა და ცნობების სიმწირე, რაც ხშირად, პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულების მიუხედავად, არასწორი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ხელთ არ არის არც ერთი წერილობითი წყარო, რომელშიც შეგხვდებოდით ასე თუ ისე დაზუსტებულ ცნობებს წოვათუშთა წარმოშობის შესახებ.

შექმნილ ვითარებაში არასწორი იქნებოდა თუშეთის (და თუშების) ვახუშტისეულ აღწერაზე საუბრისას ტექსტის მხოლოდ ამ კონკრეტულ ნაწილს შევეხოთ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მთელი ნაშრომის სტრუქტურა და სხვა მხარეების აღწერაც. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტორები და მოტივები, რომლებიც დიდ მეცნიერს თავის კვლევაში აქვს გამოყენებული. ამ მხრივ საყურადღებოა სვანეთის აღწერაც. ვახუშტის აზრით, მეფე საურმაგმა სვანები გადმოსახლა ძურძუკეთიდან. ეს, რასაკვირველია, მცდარი შეხედულებაა, მაგრამ აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ვახუშტის მცდელობას, ახსნას სვანების ბილინგვიზმი და დაადგინოს მათი წარმომავლობა. ისტორიკოსი სვანების სახელს შიფრავს ამგვარად: “სავანე“-თი - ეს არის მხარე, რომელიც საურმაგმა სვანებს გადასცა. როგორც ჩანს, ვახუშტის სვანური ენაც ქართულისგან დამოუკიდებლად მიიჩნია და წერს, რომ მათ საკუთარი ენაც გააჩნიათ და ქართულიც იციან<sup>3</sup>.

გარდა ამისა, ვახუშტი რამდენიმე მხარის აღწერისას აუცილებლად ახსენებს მოგვიანებით ჩამოსახლებულ ხალხებს. მაგალითად, ქციის ხეობის აღწერისას ამბობს, რომ ქციის აქეთ-იქით სახლობენ მაჰმადიანი ელები, რომლებიც შასეფიმ (როგორც ჩანს, იგულისხმება შაჰ სეფი I (1629-1642)) ჩაასახლა<sup>4</sup>.

როგორც თვალნათლივ ჩანს, ვახუშტი ბატონიშვილი ცდილობს, ცნობები მოგვაწოდოს უკლებლივ ყველა არაქართული ეთნოსის ჩამოსახლებაზე (სვანებიც მას არაქართულ ეთნოსად მიიჩნია) და, იმავდროულად, ამ კუთხით არაფერს ამბობს წოვათასა და ფარსმანის ხეობაზე. მათ შესახებ ვკითხულობთ: “ხოლო რომელნი არიან მხარეთა ქისტთა და დიდილუთა, უწყიან ენანი უფროს მათგანი. გარნა ფარსმანის ხევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი<sup>5</sup>“. თუკი ეს ხალხი გადმოსახლებულია, მით უმეტეს, ისეთ გვიანდელ პერიოდში, რომელშიც თვით ვახუშტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, მას ამის შესახებ, სავარაუდოდ, ექნებოდა ინფორმაცია. საუბარია რამდენიმე ათასი ადამიანის გადმოსახლებაზე, რაც უყურადღებოდ ნამდვილად არ დარჩებოდა, მით უმეტეს, რომ ვახუშტი შეეცდებოდა, სხვა ხალხთა მსგავსად, აეხსნა მათი ორენოვნება თუ უცხოენოვნება. თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით, ვახუშტის დამოკიდებულებას მაინც ვხვდებით დიდოეთის აღწერისას, სადაც იგი წერს, რომ “თუშნი და დიდონი, უკეთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი<sup>6</sup>“. აქ მკვლევარი თითქოს თუშების ეთნიკური წარმომავლობის საკითხს წყვეტს კიდევ. ვიმეორებთ, რომ ისევე, როგორც სვანებთან მიმართებაში, შესაძლოა თუშების მიმართაც სულაც არ იყოს ეს სწორი შეფასება და ისინი არ ეკუთვნოდნენ ჩრდილოკავკასიურ ეთნიკურ ერთობას, მაგრამ ვახუშტი მისთვის ხელმისაწვდომი მასალიდან გამომდინარე ასე თვლის.

<sup>2</sup> ს. მაკალათია. თუშეთი. თბილისი, 1983, გვ. 21.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 378.

<sup>4</sup> იქვე. გვ. 324.

<sup>5</sup> იქვე. გვ. 555.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955, გვ. 552.

წყაროთა სიმწირისა და ბუნდოვანების მიუხედავად, მეორე ჯგუფის ავტორები ხელაღებით ამტკიცებენ საკუთარ ვერსიას, რაშიც ისინი საკმაოდ დიდ მიზანდასახულობასაც ავლენენ არა მხოლოდ წოვათუშებზე საუბრისას. სხვა საკითხების განხილვის დროსაც ისინი შესაძლებლობას არ უშვებენ, რომ არ აღნიშნონ წოვათუშების ჩენჩეთიდან თუ ინგუშეთიდან გვიანდელ პერიოდში გადასახლება-შემოკვდლების საკითხი.

თანმიმდევრულად განვიხილოთ ეს ვერსიები და მათ დასაცავად მოხმობილი არგუმენტები.

წოვათუშების წარმოშობისა და განსახლების ანალიზი რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ერის ეთნიკური წარმომავლობის დადგენისას აუცილებელია უამრავი ფაქტორის გათვალისწინება. რ. თოფნიშვილის მონოგრაფიაში “წოვა-თუშები“ ავტორი წოვათუშების თუშეთში გაცილებით გვიან დასახლების შესახებ მოგვითხრობს, თუმცა, ვ. ელანიძისგან განსხვავებით, წოვათუშებს სრული ინგუშობისთვის ვერ იმეტებს და მოჰყავს მათი ქართველობის ამსახველი ვერსია: თუ როგორ გაემართა ხუთი ქიზიყელი და ერთი მატნელი მწვემისი ოჯახებით ჯერ თიანეთში, შემდეგ ფშავის გომეწრის ხეობაში. იქიდან ისინი გადავიდნენ ინგუშეთში, სადაც ერთი კაცი კიდევ დაემატათ და . . . ასე იშენენ წოვათუშები (უფრო სწორად, მათი წინაპრები, ვინაიდან ჯერ წოვათამდე არ მისულან). რამდენიმე თაობის შემდეგ ხალხის ეს ამორფული გაერთიანება ინგუშებმა თავისი მიწიდან განდევნეს (სადოვრების დაკავების გამო) და ჯგუფიც ჩენჩეთში გადავიდა, სადაც რამდენიმე ადგილი გამოიცვალა და იქიდან თუშეთში, პირიქითის ხეობის სამ სოფელში – ჰელო-ტონთო-გირევიში გადასახლდა. აი, მხოლოდ აქედან გადავიდნენ ისინი წოვათაში ბასტრიონის ბრძოლიდან მესამე წელს (წოე იყო პირველი, ვინც წოვათაში დასახლდა).<sup>7</sup> ეს ვერსია რ. თოფნიშვილმა მოისმინა ერთ-ერთი წოვათუშისგან, ა. ჩარხოშვილისგან, მიიღო იგი როგორც ურყევი ჭეშმარიტება და თავისი თეორიის ქვაკუთხედად აქცია. ვერსია ვერსიად იყოს. რ. თოფნიშვილს უფრო კარგად რომ ეკვლია, წოვათუშებისგან სხვა ვერსიებსაც მოისმენდა, არანაკლებ ფანტასტიკურს და ზოგს – უფრო გამართულსაც და ლოგიკურსაც, მაგრამ ამ ვერსიით, ალბათ, ის მოისმინა, რისი გაგებაც თავიდანვე უნდოდა.

ცნობილია, რომ თქმულებების ანალიზისას სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო და ეს ეხება, როგორც ერთი პოზიციისა ასევე საპირისპირო მოსაზრების გამამყარებელ გადმოცემებსაც. მაგალითად, ნ. ვოლკოვასათვის აღმოსავლეთ ახიელებს ჩაუწერინებიათ გადმოცემა, რომლის მიხედვით “ოდეს-დაც ახიელები, შამიდან წამოსულები, დასახლდნენ ყაზბეგის მთის ძირში, მაგრამ, ბაცავი-გურჯებთან მტრობის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ”<sup>8</sup>... ზოგადად, არ შეიძლება ინგუშეთ-ჩენჩეთში დევნილი წოვათუშების შესახებ არსებული თქმულების ცალსახად გაზიარება და სიმართლედ გამოცხადება და ყაზბეგის მთიდან ბაცებების (წოვათუშების) მიერ ინგუშების განდევნის შესახებ არსებული თქმულების იგნორირება.

ახიელთა გადმოცემაში წოვათუშები საპირისპირო როლში გვევლინებიან. ამ ორი თქმულებიდან – რომელს უნდა ვერწმუნოთ? ორივე ხალხის მესხიერებაშია შემორჩენილი და ისიც კი რთული სათქმელია, რომელიმე მათგანი მაინც თუ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მსგავსი გადმოცემები ძალზე ბევრია და ხშირად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული. ასე, რომ მხოლოდ ერთ მათგანზე დაყრდნობა შეცდომაში შეგვიყვანს. არ არის გამორიცხული, რომ ყველა მათგანი მცდარიც იყოს.

აქ ურიგო არ იქნება, თუ გავისხენებთ ინგლისელი ისტორიკოსის ედვარდ ჰელეტ კარის მოსაზრებას ისტორიკოსის მიერ ფაქტების მოძიება-შერჩევასთან დაკავშირებით: “ისტორია დადასტურებული ფაქტების კრებულაა. სხვადასხვა დოკუმენტების, ხელნაწერების თუ სხვა სახით წარმოდგენილი ფაქტები ისეთივე ხელმისაწვდომი და თვალსაჩინოა ისტორიკოსისათვის, როგორც დახლზე გასაყიდად ჩამწკრივებული თევზი. ისტორიკოსები აგროვებენ მათ, მიაქვთ სახლში, შემდეგ კი ისეთ შეჭამანდს ამზადებენ და გეთავაზობენ, როგორიც თვითონ აწყობთ”<sup>9</sup>.

<sup>7</sup> რ. თოფნიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 28.

<sup>8</sup> Волкова, Н. Г. Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII — начале XX в. Москва, 1974. стр. 143.

<sup>9</sup> ე. ჰ. კარი, რა არის ისტორია?. თბ., 2001 გვ. 38

ჯერ კიდევ თუკიდევ არ ენდობოდა ერთი ადამიანის მონაყოლს და მის გადამოწმებას ყოველთვის ცდილობდა ან, ყოველ შემთხვევაში, აღნიშნავდა მაინც, ეს ფაქტი დაუზუსტებელიაო. ნამდვილად გასაკვირია, რომ XXI საუკუნეში ვინმეს ამის შესენება სჭირდება.

წოვათუშების წინაპრების მოგზაურობის მარშრუტის დაწვების სავარაუდო თარიღი უნდა მივაკუთვნოთ XV საუკუნეს (როგორც რ. თოფჩიშვილი წერს, არა უადრეს XV საუკუნისა, შეიძლება უფრო გვიანაც კი). ამის შემდეგ, XVI საუკუნეში, ისინი სახლდებიან პირიქითი თუშეთის რამდენიმე სოფელში, ხოლო XVII საუკუნეში – წოვათაში.

დავაკვირდეთ XIX საუკუნეში წოვათაში ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის შედეგებს: 1831 წ. – 1531; 1886 წ. – 1533<sup>10</sup>. 55 წლის მანძილზე წოვათის მოსახლეობის საერთო რაოდენობა სულ 2 სულით გაზრდილა (აქვე აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რამდენიმე ოჯახი ჩანს წოვათაში მიგრირებული), რაც დაახლოებით 0.13%-იანი ზრდაა. შევადაროთ იგი ამ პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ზრდის დინამიკას: 1832 – 897 000; 1886 – 1 512 000<sup>11</sup>. როგორც ვხედავთ, ამავე პერიოდში საქართველოში მოსახლეობის ზრდის 69%-იანი მაჩვენებელი (615 000 სული) ფიქსირდება.

ბუნებრივია, მთის პირობებში ბართან შედარებით მოსახლეობა უფრო ნელა იზრდება მკაცრი ბუნებრივი პირობების, მტერთან ბრძოლის (ამ პერიოდში მიმდინარეობდა შამილის ომები) თუ სხვა მიზეზების გამო, ამიტომ წოვათის მოსახლეობის ზრდის დაბალი ტემპი გასაკვირი სულაც არაა. გასაკვირი ის ფაქტია, თუ XV საუკუნიდან (ისიც ყველაზე ადრეულ შემთხვევაში) 1831 წლამდე პერიოდში, როგორ მოახერხა 7-მა მეცხვარემ, საკუთარი ოჯახების ჩათვლით ოცდაათიოდე ადამიანმა, ქცეულიყო 1500 (!) სულიან თემად. გამოდის, რომ წოვათუშთა რაოდენობა 50-ჯერ!!! გაიზარდა, რაც 5 000%-იანი ზრდაა.

რაც შეეხება მსოფლიო მოსახლეობის მატებას ჩვენთვის საინტერესო პერიოდში: 1500 წელს ვარაუდობენ 500 მილიონ ადამიანს, 1820 წელს კი – 1 მილიარდს. ანუ სულ რაღაც 100%-იანი მატებაა. შევადაროთ ეს რიცხვი 5 000%-ს! განსხვავება აშკარა და თვალსაჩინოა.

მსგავსი რიცხვების გაცნობის შემდეგ ჩნდება კითხვა: თუკი XIX საუკუნემდე წოვათუშები ასეთი ტემპით იზრდებიან, რატომ ჩამოვიდნენ XIX საუკუნეში 5 000%-დან 0.13%-მდე? არგუმენტად სხვადასხვა მხრიდან წოვათაში ადამიანების შეკავლება ვერ გამოდგება, რადგან, აღწერების მიხედვით, XIX საუკუნეშიც ვხედავთ ახლად ჩასახლებულ ქისტურ და ხევსურულ ოჯახებს და ეს 0.13%-იანი ზრდა სწორედ მათი ჩათვლით გვაქვს. ან რატომ არ მრავლდებოდა მთის სხვა კუთხეების მოსახლეობა? მარტო წოვათაში გარბოდნენ თავის შესაფარებლად? ის კი არა, წოვათიდან მიგრირებული გვარებიც არსებობენ და ესეც მთის მოსახლეობის მატება-კლების ბუნებრივი დინამიკაა. ყველა კუთხეში გვაქვს გაქცევა/გადასახლება-მიღების ფენომენი და ის ზრდის საერთო მაჩვენებელზე არსად ანომალური გავლენას არ ახდენს.

ზემოთ უკვე ვახსენეთ ჩაღმათუში მეცნიერების დამოკიდებულება წოვათუშების წარმოშობასთან, რომელიც ინგუშეთიდან მათი გადმოსახლების ვერსიას ეფუძნება. ამის მიხედვით, წოვათუშები ჯერ პირიქითში (ჭონთიო, გირევი) ცხოვრობდნენ (შემონახულია წოვათუშთა სასაფლაოც). შემდეგ კი, ადგილების სიმცირის გამო, ჩაღმათუშებმა ისინი წოვათაში გაუშვეს. სხვათა შორის, ინგუშეთიდანაც ამ მიზეზით გამოდევნეს, ჩენეთიდანაც და პირიქითიდანაც. ნუთუ ასე მარტივად გასადევნ, გადასახლებულ ხალხს ჰგავდნენ წოვათუშები? პირიქითიდან გადასახლების მოსაზრებას მეცნიერები ამყარებენ წარსულში არსებული შემთხვევით, როდესაც წოვათუშებს მიცვალებულები ჭონთიო-გირევიში გადაჰყავდათ დასაკრძალად. ამ ფაქტის არსებობას, რასაკვირველია, ვაღიარებთ, მაგრამ სულ სხვა და უფრო რაციონალური მიზეზებით ვხსნით (შესაძლოა ეს ცალკეულ გვართან იყოს დაკავშირებული და მთელ თემზე არ ვრცელდებოდეს).

<sup>10</sup> რ. თოფჩიშვილი, წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 9.

<sup>11</sup> [http://www.geogcn.ge/gc/main\\_nationalities\\_georgia/georgians/](http://www.geogcn.ge/gc/main_nationalities_georgia/georgians/)

ძალზე ამდებელი ისტორიაა, როდესაც წოვათუშებს მიცვალებულები წინაპართა სასაფლაოზე პირიქითში გადაჰყავდათ, მიუხედავად რთული გზისა და ამინდისა (გადასვენების ეს ტრადიცია მას შემდეგ შეწყდა, რაც ერთ-ერთი პროცესია მეწვერმა წაიღო). თუკი ასეთი პატივისცემით ექცეოდნენ საკუთარი წინაპრების ხსოვნას, თოფნიშვილის და ელანიძის ლოგიკით ჩვენეთიდან გადმოსულ წოვათუშებს იქაც უნდა ჰქონოდათ წინაპართა სასაფლაოები და უფრო ძველიც, შესაბამისად, უფრო მეტად პატივისცემის და რატომ ჩვენეთში არ გადაჰყავდათ წოვათუშებს მიცვალებულები, უფრო დიდი მანძილის გამო ეზარებოდათ? და იმ ფაქტს როგორ ავხსნით, რომ შირაქში გარდაცვლილი წოვათუშები წოვათაში აჰყავდათ დასაკრძალად, რისთვისაც ერთი კვირის სავალ მანძილს გადიოდნენ. იქნებ ჩვენ-ინგუშების ემინოდან და მუდმივი მტრობის ნიადაგზე ისინი წოვათუშებს უფლებას არ აძლევდნენ წინაპრების სასაფლაოები მოეხსნებინათ? ამავდროულად თურმე კეთილმეზობლური ურთიერთობაც ჰქონდათ, იმიტომ რომ ვ. ელანიძე სხვაგვარად ვერ ხსნის თუშეთში აუცხელი ვაინახური ტოპონიმების არსებობას.

თუკი XIX საუკუნეში წოვათუშთა რაოდენობასა და თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე არსებულ გამრავლების მსოლოდ 0.13%-იან მაჩვენებელს გაითვალისწინებთ, არავითარი საფუძველი არ გვექნება, ვივარაუდოთ, თითქოს ეს მაჩვენებელი წინა საუკუნეებში უფრო მეტი იყო (XVII-XVIII საუკუნეები ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ეტაპია საქართველოს ისტორიაში, მათ შორის, გამრავლების კუთხით და არათუ გამრავლება, მოსახლეობის კატასტროფულ კლებასთანაც კი გვაქვს საქმე). ამ ფაქტს აღნიშნავს რ. თოფნიშვილიც: „1830 წელს სოფელი საგირთა ღვარსა და მეწვერს წაუღეკავს. ღვარცოფსა და მეწვერს საგირთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ამოუწვევტია. დანარჩენი სოფლების მოსახლეობა კი იმავე პერიოდში შავ ჭირს გაუნახევრებია.“<sup>12</sup> ამდენად, გამოდის, რომ წოვათუშთა რაოდენობა წარსულში უფრო მეტიც კი უნდა ყოფილიყო.

შესაბამისად, სრულიად წარმოუდგენელია იმაზე ლაპარაკი, თითქოს ამდენი წოვათუშში პირიქითი თუშეთის მსოლოდ სამ სოფელში დასახლდა: ნებისმიერ სოფელს მთაში გააჩნია მოსახლეობის რაოდენობის საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმი, რომელზე მეტს ის უბრალოდ ვერ დაიტევს და ვერ გამოკვებას. ჭონთიო-ჰელო-გირევის მაქსიმალურ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის ბოლოს არსებული მონაცემები, რადგან ამ დროს მოსახლეობის გამრავლების კუთხით თუშეთშიც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. აღნიშნულ პერიოდში ზემოთ ხსენებულ სოფლებში ცხოვრობდა 70-80 ოჯახი და ეს ადგილი დამატებით რამდენიმე ასეულ ოჯახს ნამდვილად ვერ მიიღებდა. ამრიგად, ჩრდილოეთიდან შემოფარებული წოვათუშებისთვის დროებითი თავშესაფრის მიცემა ჭონთიოსა და გირევიში არსებული სასაფლაოების არსებობით ნამდვილად ვერ აიხსნება.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ვ. ელანიძის უმთავრესი არგუმენტი, რაც, მისი აზრით, წოვათუშების ინგუშეთიდან გადმოსახლებას უსვამს ხაზს.

1657 წელს მოსკოვში მივლენილი თუშეთის ელჩობის განცხადებაში ნათქვამია, გამაგრებულ ადგილებში, მთებში, სამ თემად ვცხოვრობთო ვ. ელანიძე თვლის, რომ ხსენებულ სამ თემში უპირობოდ ითვლება გომეწარი, პირიქითი და ჩაღმა (ეს დასკვნა კი იქიდან გამომდინარეობს, რომ 1657 წლისთვის წოვათის თემის არსებობას თავად ავტორი გამოირიცხავს და ლოგიკურად დარჩენილ სამ თემში გომეწარს, პირიქითს და ჩაღმას გულისხმობს). ამის დასადასტურებლად იქვე მოჰყავს 1837 წელს თუშების მიერ ბარონ როზენისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც ამჯერად უკვე ნამდვილად დასახლებული სამი თემი – გომეწარი, პირიქითი, ჩაღმა – დახმარებას ითხოვს.<sup>13</sup> ავტორი წოვათის თემის უგულებელყოფას ხსნის იმ მიზეზით, რომ წოვათუშები ალვანში არიან ჩასახლებულნი, მაგრამ იმავე ნაშრომში მოჰყავს ფაქტი, რომლის მიხედვითაც წოვათუშები ზაფხულს მაინც მთაში ატარებდნენ და გარკვეული რაოდენობა წოვათაში ზამთარშიც რჩებოდა. კახეთში წოვათუშების საბოლოო ჩასახლებაც და, შესაბამისად, წოვათის საბოლოო მიტოვებაც, უამრავი წყაროს მიხედვით, მსოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება. ე. ი. საქმე გვაქვს სამი დარჩენილი თემის მიერ

<sup>12</sup> რ. თოფნიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 10.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 141.

წოვათის შეგნებულ უგულებელყოფასთან. ისიც შესაძლებელია, ელჩობასა (ისიც იმ ალბათობის დაშვებით, რომ ეს სამი თემი ნამდვილად პირიქითი, გომეწარი და ჩაღმა) და როზენისადმი მიწერილი წერილის ავტორებს განსხვავებული მიზნები ჰქონდეთ და წოვათუშების სახელით არ საუბრობდნენ. ამ მიზეზის ბოლომდე გარკვევა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ XIX საუკუნეში წოვათის თემი ნამდვილად არსებობს. გარდა ამისა, XVII საუკუნის განცხადებაში რაიმე მოვლენის თუ დასახლების მოუხსენიებლობა განა ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ იგი არ არსებობს?

რომელიმე საკითხის არმოსხენიების, გამოტოვების, არარსებობის კარგი მაგალითია „ორ ქვაზედ დაწერილი გუჯარი“, რომელიც კახეთის მეფე არჩილის (1664-1675) დროსაა გაცემული. მასში საუბარია თუშებისთვის, კონკრეტულად კი “ერთობით თუშებისთვის, წოვას და ჩაღმისთვის”<sup>14</sup>, აღენისა და მიმდებარე ტერიტორიების გადაცემაზე. აქ “ჩაღმა“, სავარაუდოდ (ასევე ფიქრობს ვ. ელანიძეც), ჩაღმის თემს უნდა გულისხმობდეს. ვინაიდან ორი დანარჩენი თემი ამ ნაწყალობევაში არ მოიხსენიება, განა ეს უცილობლად იმას ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ არ არსებობენ და ეს ადგილები არ არის დასახლებული? რასაკვირველია – არა. ამგვარი არმოსხენიება სულ სხვა მიზეზებით უნდა იყოს გამოწვეული, რასაც, “გუჯარში” არსებული მწირი ინფორმაციიდან გამომდინარე, ზუსტად ნამდვილად ვერ დავასახელებთ.

შესაბამისად, ელჩობის განცხადებაში ნახსენები სამი თემი სულაც არ ნიშნავს, რომ არ არსებობს მეოთხე, მეხუთე და თუნდაც მეათე თემი.

წოვათუშების წარმოშობისა და განსახლების ანალიზი ენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით. ფაქტი, რომელზეც თვალს ვერც ერთი, მათ შორის, ჩაღმათუში, მკვლევარი ვერ დახუჭავს, არის ის, რომ ჩაღმის, გომეწარისა და პირიქითის თემებში უამრავი წოვათუშური ტოპონიმი გვხვდება. ამ ფაქტის შესახებ საუბრობს ვ. ელანიძეც და მაგალითისთვის ასახელებს რამდენიმე მათგანს: ცოკალთა, დადიკურთა, დიკლო, ომალო, ხისო და სხვ. აღიარებს რა თუშეთის მთელ ტერიტორიაზე არსებული წოვათუშური ტოპონიმების არსებობას (ამავდროულად, წოვათუშურთან ერთად ნახურ და დიდლოურ ენებს მოიხსენიებს, რომ მკითხველს მაინცდამაინც წოვათუშური არ მოხვდეს ყურში და არ ჩათვალოს წოვათუშების კუთვნილებად), ის ამ ფაქტს კეთილმეგობრული და მეზობლური ურთიერთობით ხსნის<sup>15</sup>.

აკაკი შანიძეს მოჰყავს თ. უთურგაიძის ციტატა (რაც ეხმიანება იმავე ვ. ელანიძის შეხედულებას): “უდავოა, რომ წოვების მეზობლობას თუშურ კილოზე საკმაოდ შესამჩნევი კვალი დაუტოვებია” და აგრძელებს: “არა, მეზობლობას კი არა, არამედ ქართულად მოუბარი თუშების მამა-პაპებიც ძველად იმავე ენაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც შემოჰრჩა წოვა-თუშებს და რომელმაც დანარჩენ თუშეთში ადგილი დაუთმო ქართულს”<sup>16</sup>.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიაში არ გვხვდება შემთხვევა, როცა მეზობელი ხალხის მიწაზე უცხო ენაზე არსებული ტოპონიმები მხოლოდ კეთილმეზობლური ურთიერთობების საფუძველზე შექმნილიყოს. ვიმეორებთ, საქმე გვაქვს არა ერთ და ორ ტოპონიმთან, არამედ რამდენიმე ათეულთან. ასეთი მასობრივი გავრცელება მხოლოდ იმ კონკრეტულ ენაზე (ამ შემთხვევაში, წოვათუშურზე) მოსაუბრე ხალხის დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრების პირობებშია შესაძლებელი.

ა. შანიძის მოსაზრებიდან გამომდინარე, თუშეთში ჩაღმათუშების დასახლების შემდეგაც კი, ისტორიული სახელები რიგ ადგილებში კვლავ უცვლელი გვხვდება. თუკი პირიქითის ხეობაში ამის ახსნა შეიძლება ახლო მეზობლობით, ძალზე მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობითა (ეს ფაქტორიც, რასაკვირველია, გასათვალისწინებელია) და ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან გადმოსულების სიმრავლით, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით სხვა ორი თემის – გომეწარის და ჩაღმას შესახებ.

ამასთანავე, საყურადღებოა ა. ბერთლანის მოსაზრებაც: “გარდა ამისა, თუშეთის (და არა მარტო თუშეთის) ტოპონიმთა წარმოებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია -გო, -ლო, -ჩო მაწარმოებლებს (ხმოვნის გრძელი კორელატი), რომლებიც, თ. უთურგაიძის აზრით, ნახური წარმომავლობი-

<sup>14</sup> ვ. თაყაიშვილი, ორ ქვაზედ დაწერილი გუჯარი. „ცნობის ფურცელი“. 1901, №1362, გვ. 4.

<sup>15</sup> ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1988, გვ. 209-210.

<sup>16</sup> ა. შანიძე, თუშები. “მნათობი”. 1972, №2, გვ. 104.

საა” და „თვით თუშ- ძირის სემანტიკა უტოლდება ჩეჩნურ, მაშასადამე, ნახურ სემანტიკას “შემოგარენი.”<sup>17</sup>

აკაკი შანიძე სრულიად ნათლად და არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ უძველეს დროში თუშეთის მთელი ტერიტორია წოვათუშთა წინაპრებით იყო დასახლებული: “ჩაღმა-თუშების ქართულში უხვად ურევია ელემენტები, რომლებიც უტყუვრად მოწმობს, რომ ერთ დროს მათი მამა-პაპანიც წოვა-თუშურად ლაპარაკობდნენ და შემდეგ თანდათან გადმოვიდნენ ქართულზე. ასეთი ელემენტებია, უპირველეს ყოვლისა, ადგილის სახელები, ფონეტიკური მოვლენები და შემდეგ ცალკეული სიტყვები.”<sup>18</sup>

წოვათუშები არ ხმარობენ ჩაღმათუშურ კილოში არსებულ ქართულ სიტყვებს და ლიტერატურული ქართულით საუბრობენ. სამაგიეროდ ჩაღმათუშები ხმარობენ წოვათუშურ სიტყვებს, ანუ აქ საქმე გვაქვს ჩაღმათუშების მიერ წოვათუშურიდან აღებულ კალკთან. შევადაროთ ეს ფაქტი იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით XVII საუკუნეში თუშები (ჩაღმათუშები) თითქოს რამდენიმე ასეულ/ათას წოვათუშს იფარებენ და მოწყალეების სახით აძლევენ წოვათას. ამ შემთხვევაში გაუგებარია, თუ როგორ შეიძლება, ეს ფაქტი ჩაღმათუშურ ტოპონიმიკაზე ასახულიყო.

ჩაღმათუშურ კილოზე წოვათუშურის (ნახურის) გავლენა მხოლოდ ლექსიკური ერთეულებით არ შემოიფარგლება. როგორც უთურგაიძე ამბობს, “ნახურის კალკად მიგვანჩია თუშურისა და ხეცურულის საზოგადო და საკუთარ სახელთა მიმართვის თავისებური ფორმები, რითიც ისინი მკაფიოდ განირჩევიან ლიტერატურული ქართულისა და დანარჩენი კილოებისგან...”<sup>19</sup> და ამავე დროს, “მიმართვის თუშურ და ბაცბურ ფორმებში შეიმჩნევა ხმოვანთა დაგრძელებისა და დავიწროების გარკვეული კანონზომიერება.”<sup>20</sup>

ჩეჩნურ-ინგუშურად და წოვათუშურად მოლაპარაკეთა საკუთარ ენებზე ერთმანეთთან კომუნიკაცია, დღევანდელი მდგომარეობით, საკმაოდ გართულებულია. არის თუ არა შესაძლებელი, რომ სულ რაღაც 300 წლის წინ გადმოსულ წოვათუშებსა და დანარჩენ ვაინახურ ენებს შორის მსგავსი სხვაობა წარმოქმნილიყო? გარდა ამისა, წოვათუშური არ ამჟღავნებს რაიმე განსაკუთრებულ მსგავსებას ცალკე აღებულ ჩეჩნურთან და მის დიალექტებთან, ასევე ინგუშურთან. მეტ-ნაკლები სხვაობით მსგავსება გვხვდება ორივე ენასთან მიმართებაში, რაც გვაძლევს საფუძველს, განვაცხადოთ: არც ერთი ამ კონკრეტული მხარიდან (ჩეჩნეთი და ინგუშეთი) წოვათუშები არ წამოსულან და ენებს შორის კავშირი მხოლოდ შორეული ნათესაობის დამადასტურებელია და არა სამიოდე საუკუნის წინ მათი რომელიმესგან გამოყოფისა.

საყურადღებოა, აგრეთვე, XVI საუკუნის რუსეთის ელჩობაში ნახსენები ტოპონიმი ფუძით „ბაც“, რომელსაც ნ. ვოლკოვას ნაშრომში ვხვდებით: „1589-1590 წლებით დათარიღებულ რუსეთის ელჩობას თავად ზვენიგოროდსკის მეთაურობით რეკომენდაციას უწევენ, რომ საქართველოში შემდეგი მარშრუტით წავიდეს: „на Метцкие гребни, на Шихово племя, на Амалееву землю, на Батцкие гребни (т. е. горы)”<sup>21</sup>. ამის გამო, ნ. ვოლკოვა თვლის, რომ ბაცბები (წოვათუშები) XVI საუკუნის მიწურულს უკვე თუშეთში ცხოვრობდნენ.

რ. თოფჩიშვილი ხსენებული მსჯელობის შესახებ წერს: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მსჯელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან “ბაცის” ვაინახები უწოდებდნენ არა მხოლოდ წოვა-თუშებს (ბაცბებს), არამედ ქართულენოვან თუშებსაც.”<sup>22</sup> რასაც ჩვენის მხრივ კატეგორიულად არ ვეთანხმებით. რატომ ეძახდნენ ვაინახები ზოგადად თუშებს ბაცბებს? და დღეს რატომ ეწოდებათ მხოლოდ წოვათუშებს ბაცბები? ხომ უნდა ჰქონდეს ყოველივე ამას ახსნა? ამ კითხვაზე პასუხის გა-

<sup>17</sup> ა. ბერთლანი. წოვათის ნისლეები (ხანდაზმული ნაფიქრალი). თბილისი, 2009, გვ. 32.

<sup>18</sup> ა. შანიძე. თუშები. “მნათობი”. 1972, №2, გვ. 104.

<sup>19</sup> თ. უთურგაიძე. ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბილისი, 1966, გვ. 75.

<sup>20</sup> იქვე. გვ. 81.

<sup>21</sup> Волкова Н. Г., БАЦБИЙЦЫ ГРУЗИИ (ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ), «Советская этнография», #2 1977 г. с. 138.

<sup>22</sup> როლანდ თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 31.

ცემას კი რ. თოფჩიშვილი თავს არიდებს! ხომ არ განხდებოდა ეს დასახლება შემთხვევით? სავარაუდოდ თუშეთში ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც ვაინახები ბაცბებს ეძახდნენ და ეს ხალხი უნდა იყოს წვეულებები, რადგან არასოდეს არცერთი ჩაღმათუშური თემის მიმართ არავის უხმარია ეთნონიმი ბაცავი.

მეცხვარეობის განვითარება თუშეთში და მისი კავშირი წვეულებითა ეთნოგენეზთან. ჩვენ მიერ ნახსენები მეორე ჯგუფის ავტორები, რასაკვირველია, თვლიან, რომ თუშეთი უძველესი დროიდან დასახლებულია დღევანდელი ჩაღმათუშების წინაპრებით და, შესაბამისად, იქ წვეულებების არსებობასაც უარყოფენ. ვცადოთ, თუშეთში მცხოვრები უძველესი მოსახლეობის წარმომავლობას კონკრეტული მაგალითებით მოვიხილოთ ნათელი.

თუშეთში მეცხვარეობის განვითარებასთან დაკავშირებული უმთავრესი საკითხი შემდეგი ფორმულირებით შეიძლება დაისვას: წვეულებები და, განსაკუთრებით, ალაზნისთავი აღიარებულია, როგორც საუკეთესო საძოვრების მქონე ადგილი. ამას მოწმობს როგორც XIX საუკუნეში არსებული მონაცემები, თუშეთში მეცხვარეობის სიტყვები და საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული ცხვრის ფარების სიმრავლე, ასევე პირადი დაკვირვების შედეგად მიღებული შთაბეჭდილება. როგორ შეიძლება, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს მოსულთათვის დაეთმოთ საუკეთესო ადგილი და თვითონ შედარებით მწირი ადგილები დაეტოვებინათ?

წვეულებათა-ალაზნისთავის უპირატესობას განამტკიცებს მათი კახეთის ბართან სიახლოვე. ალაზნისთავიდან ცხვარი ორ დღეში პანკისის ხეობაშია, მაშინ, როდესაც პირიქითიდან და ჩაღმადან 3-4 დღე მაინც სჭირდება კახეთში მოხვედრას. ალაზნისთავი-წვეულებათა შედარებით უსაფრთხოცაა. რასაკვირველია, იმ პერიოდში მთის არც ერთი ადგილი არ იყო ბოლომდე დაცული, მაგრამ პირიქითის ხეობას უშუალოდ ესაზღვრება ჩეჩნეთი, ჩაღმას კი – დაღესტანი და თავდასხმის უპირველეს ობიექტს სწორედ თუშეთის ეს ტერიტორიები წარმოადგენდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ აღწევდა თავდასხმელი თუშეთის სიღრმეში. დაისმის კითხვა: რატომ უნდა შეენარჩუნებინათ “დიდი ხნის მანძილზე” თუშეთში მცხოვრებ ჩაღმა თუშებს შედარებით უფრო სასიფათო და მწირი ადგილები და საუკეთესო საძოვრები ე. წ. “შემოკედლებული” წვეულებებისთვის დაეთმოთ? ჩვენთვის ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა.

გარდა ამისა, საყოველთაოდ ცნობილია თუშური ცხვარი, თუშური (გუდის) ყველი, თუშური ქული, რაც მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთანაა დაკავშირებული. უკვე საუკუნეებია, რაც თუშები ცხვართან ერთად ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, რადგან ზამთრის პირობებში თუშეთში დიდი რაოდენობით ცხვრის შენახვა შეუძლებელია. სამაგიეროდ, შესაძლებელია იმ რაოდენობით ცხვრის შენახვა, რაც 1843 წლის აღწერაში პირიქითსა და ჩაღმის თემშია დაფიქსირებული. მაშ, რა მიზეზით თქვენ უარი ჩაღმათუშებმა ცხვრის მოშენებაზე, რაც, წესით, თუშთა ცხოვრების მთავარი საქმიანობა იყო და ის “შემოკედლებული” წვეულებებს დაუთმეს?

XVIII საუკუნეში კარგად ჩანს, რომ კახეთის ბარში გამოსაზამთრებლად ცხვარი ძირითადად წვეულებებს ჩაჰყავთ. ამის მაგალითებია: გიულდენშტედტის დაკვირვება, როდესაც იგი ალვანის ტერიტორიაზე წვეულებებს შეხვდა<sup>23</sup>, ერეკლე II-ის სიგელი გადაცემული სამი წვეულებისადმი<sup>24</sup>, და სხვ. თუკი ამ ცნობებს დაუმატებთ XIX საუკუნეში თუშეთში ჩატარებული აღწერის შედეგად გამოვლენილ ცხვრის რაოდენობასაც, ნათელი გახდება, რომ მეცხვარეობით ძირითადად წვეულებები იყვნენ დაკავებული.

1843 წლის აღწერით წვეულებების 252 კომლს ჰყავდა 56189 სული ცხვარი; ჩაღმის თემში მცხოვრებ 222 ოჯახს – 6850; პირიქითის 220 ოჯახს – 7460<sup>25</sup>.

<sup>23</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. თბილისი, 1962, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო გ. გელაშვილმა. გვ. 263.

<sup>24</sup> ა. შავსელიშვილი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან(თუშეთი XVI-XIX საუკუნეების I ნახევარში). თბილისი, 1977, გვ. 44.

<sup>25</sup> ვ. ითონიშვილი. თუშეთი და თუშები. თბილისი, 2012, გვ. 72.



შედარებით განსხვავებული რიცხვები მოაქვს რ. თოფჩიშვილს, მაგრამ საერთო შეფარდება დაახლოებით იგივეა: 80% – 20%-ზე წოვათუშების სასარგებლოდ<sup>26</sup>.

უამრავი ფაქტორის გათვალისწინებით (ტოპონიმია, ეკონომიკა), წოვათუშების ინგუშეთიდან გადმოსახლებაზე შეიძლება შემდეგი სურათი წარმოვადგინოთ. საუკუნეების მანძილზე თავდასხმების შედეგად შევიწროვებული წოვათუშები ნელ-ნელა ტოვებენ საკუთარ საცხოვრებელს, რაზეც წოვათუშური სახელების სიმრავლეც მეტყველებს (ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) და სახლდებიან შედარებით უკეთ დაცულ, კარგი საძოვრებით გამორჩეულ და კახეთის ბართან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე, ხოლო მიტოვებულ ტერიტორიებს იკავებენ ჩრდილოკავკასიის მთიანეთიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შემოხიზნული გვარები.

რ. თოფჩიშვილის მონოგრაფიის “წოვა-თუშები“ კრიტიკული განხილვა. წოვათუშური ენის შესანიშნავი მცოდნე და ენათმეცნიერი, თავად წოვათუში ა. ბერთლანი იმ უამრავ შეცდომაზე მიუთითებს, რომლებიც გაპარულია რ. თოფჩიშვილის მონოგრაფიაში. უნდა აღინიშნოს, რომ რ. თოფჩიშვილი არ გამოთქვამს პრეტენზიას ენის ცოდნაზე და არ ცდილობს ფაქტობრივი მასალის ანალიზის გაკეთებას წოვათუშური ენის საფუძველზე, რაც უკვე უდიდესი შეცდომაა. იმ წყაროების და ისტორიული დოკუმენტების პირობებში, რაც აგრერიგად მცირე რაოდენობით მოიპოვება და, შეიძლება ითქვას, თითქმის არც კი მოიპოვება, ენა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ისტორიულ წყაროს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი საქმე ეხება ეთნიკური ჯგუფის წარმომავლობას. შესაძლოა ძალზე უხეშად ვღერდეს, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას: როდესაც არ იცი, რასთან გაქვს საქმე, ამავე დროს ამ ფაქტორს კარგად იაზრებ, ასეთ საქმეს მით უმეტეს არ უნდა მოჰკიდო ხელი.

დავუბრუნდეთ საკითხებს, რომლებსაც, საქმეში ჩაუხედლობის მიუხედავად, მაინც ეხება რ. თოფჩიშვილი. “წოვა-თუშები სულ 97 გვარ-სახელი ითვლიან და მათი აბსოლუტურ უმრავლესობას წინაპარი მამაკაცის სახელი უდევს საფუძველად<sup>27</sup>...” სინამდვილეში კი, ისევე ა. ბერთლანის სიტყვებით, სოფ. ზ. ალვანში, სიმონ გარსევანიძის პირად არქივში კვლავ ინახება მის მიერ დაახლოებით XX-ის 60-იან წლებში მოძიებული და აღრიცხული 140 (!) წოვათუშური გვარი<sup>28</sup> მგონი, საკმაოდ დიდი სხვაობაა. ეთნოგრაფის პირველი მოვალეობაა, რაც შეიძლება კარგად მოიძიოს ცნობები შესასწავლი კუთხის შესახებ. ზემო ალვანში ყოველი წოვათუში გეტყვით ს. გარსევანიძის შესახებ და მისი არცოდნა მხოლოდ შემთხვევითობა ვერ იქნება. თუმცა, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ან არმოძიებასთან, ან კიდევ ვერმოძიებასთან. ამასთან, არც ერთ ამ მიზეზს გამართლება არ აქვს, როდესაც ლაპარაკია პროფესიონალის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

სრულიად მცდარია რ. თოფჩიშვილის შეხედულება წოვათუშების დამოკიდებულების შესახებ საკუთარი ენასთან მიმართებაში და საქმე ისევე ბოლომდე ვერმიყვანილ კვლევასთან გვაქვს: “წოვა-თუშური ენის გაქრობაში სუბიექტური ფაქტორის როლი გამოსარიცხია. ენის კვდომის მიმართ წოვა-თუშების გულგრილობა შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ისინი ქართული ცნობიერების მატარებელი, ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი არიან და ტრადიციებით, წესჩვეულებებით, მენტალიტეტით არაფრით განსხვავდებიან დანარჩენი ქართველებისგან.<sup>29</sup>” წოვათუშების აბსოლუტურ უმრავლესობას აწუხებს ეს საკითხი, ხშირადაც საუბრობენ საკუთარ ენაზე და მისი აქამდე შემონახვა-გადარჩენაც უკვე საოცარია. თუ რ. თოფჩიშვილს უკვირს, თუ რატომ ვერ ინახავს 2 000 კაცი დღევანდელ პირობებში, თანამედროვე მსოფლიოში ენას, რამდენიმე სიტყვით ამის ახსნას ნამდვილად ვერ მოვახერხებთ.

გარდა ამისა, იქნება სურათი, თითქოს ავტორს საკუთარი ნაშრომი გულდასმით, თავიდან ბოლომდე არც კი წაუკითხავს. რ. თოფჩიშვილი ამტკიცებს, რომ წოვათაში წოვათუშების დასახლება ბახტრიონის ბრძოლის შემდეგ მოხდა: “ეთნოგრაფიული მასალებით, წოველთა წინაპრების დასახ-

<sup>26</sup> რ. თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 86.

<sup>27</sup> იქვე. გვ. 22.

<sup>28</sup> ა. ბერთლანი, წოვათის ნისლეები (ხანდაზმული ნაფიქრალი). თბილისი, 2009, გვ. 114.

<sup>29</sup> რ. თოფჩიშვილი. წოვა-თუშები. თბილისი, 2009, გვ. 93.

ლება წიგნში ბახტრიონის ბრძოლიდან მესამე წელს, ე. ი. 1662 წელს მომხდარა.<sup>30</sup> შემდეგ კი წერს, „XIX საუკუნეში ჩაწერილი ხალხური ლექსებით ბახტრიონის აჯანყების გმირები ზეზა გაფრინდაული და მეტი საღირსიშვილი იყვნენ. ეს უკანასკნელი თუშეთის წიგნის თემის წარმომადგენელი იყო.“<sup>31</sup> ერთ ნაშრომში, 53 გვერდიანი დაშორებით, ერთმანეთის საწინააღმდეგო და, უფრო მეტიც, ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებების მოყვანა, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია, ან კიდევ გამოდის, რომ მეტი საღირსიშვილი წიგნითაა წიგნით გაჩენილი.

ზემოთ მოტანილი რამდენიმე მაგალითი არაპროფესიონალიზმის შესანიშნავი ილუსტრაციაა: ეს არის ძალების დაზოგვით, ნაკლები შრომითა და მცირე დროში საქმის კეთების საუკეთესო ნიმუში. ამის საპირისპირო მაგალითია ი. დეშერევი, რომელიც 1945-49 წწ. ყოველწლიურად ჩადიოდა ზემო ალვანში და ენას სწავლობდა. ასე იქცეოდა ჩეჩენი მეცნიერი, რომლის მშობლიურ ენასთან წიგნითაა ისედაც ახლოს დგას და, მიუხედავად ამისა, მაინც 4 წელი (!) მონადემა მის შესწავლას. არადა, ენა მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია ხალხის ისტორიისა და მათი წარმომავლობის შესწავლის გზაზე. აღარაფერს ვამბობთ სხვა ასპექტებზე, რომელთა შესწავლა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს. თუმცა, რა საჭიროა ეს ყველაფერი, როდესაც მხოლოდ ზედაპირული დაკვირვება-შესწავლითაა, კაბინეტიდან გასვლის გარეშე, შეიძლება მონოგრაფიის შექმნა.

დასკვნა. ისტორიაში უამრავი მოვლენა ლოგიკურ კანონზომიერებას ემორჩილება, რაც მათ გამოკვლევას და ახსნას აიძულებს, მაგრამ ყოველთვის ლოგიკის ძეგლად შეცდომაში შეგვიყვანს, არ შეიძლება ყველაფერი მხოლოდ ამ კუთხით გავანალიზოთ. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ისეთი აბსურდისა უნდა ვირწმუნოთ, როგორცაა, მაგალითად, 8 ადამიანისგან 1500 კაციანი საქმიანობის თვითმყოფადი კულტურის მქონე ხალხის ჯგუფის ჩამოყალიბება, ისიც 300 თუ 400 წელში.

ვთვლით, რომ წიგნითაა თუშეთში განსახლების საბოლოო თარიღის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია. დანამდვილებით ერთი რამის თქმა შეიძლება: წიგნითაა დიდი ხნის განმავლობაში, შესაძლოა რამდენიმე ათასი წელიც კი, თუშეთში ბინადრობენ. ამაზე მეტყველებს თუშეთის ტოპონიმიკა, ეკონომიკური, კონკრეტულად კი მეცხვარეობასთან დაკავშირებული ფაქტები, კულტურა და ენა.

### ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე 1985: ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. II-2. თუშეთი. თბილისი.
2. ბერთლანი 2009: ა. ბერთლანი, წიგნის ნისლეუნი (ხანდაზმული ნაფიქრალი). თბილისი.
3. გიულდენშტედტი 1962: ი. გიულდენშტედტი, გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. თბილისი, 1962. გერმანიიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო გ. გელაშვილმა
4. ელანიძე, 1988: ვ. ელანიძე, თუშეთის ისტორიის საკითხები. თბილისი.
5. თაყაიშვილი 1901: ე. თაყაიშვილი, ორ ქვაზე დაწერილი გუჯარი. – ცნობის ფურცელი. №1362. თბილისი.
6. თოფჩიშვილი 2009: რ. თოფჩიშვილი, წიგნითაა. თბილისი.
7. თუქიდიდე 2007: თუქიდიდე, ისტორია. თბილისი.
8. ითონიშვილი 2012: ვ. ითონიშვილი, თუშეთი და თუშები. თბილისი.
9. კარი 2001: ე. კარი, რა არის ისტორია? თბილისი.
10. კურდღელაძე 1983: გ. კურდღელაძე, თუშეთი (მეურნეობა, ბუნება, ტოპონიმიკა). თბილისი.
11. მაკალათია 1983: ს. მაკალათია, თუშეთი. თბილისი
12. შახელიშვილი 1977: ა. შახელიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან (თუშეთი XVI-XIX საუკუნეების I ნახევარში). თბილისი
13. როსნუკინი 1958: გ. როსნუკინი, თუშური ცხვარი. თბილისი

<sup>30</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 82.

14. “საქართველოს ისტორიის ნარკვევები”, ტ. I. თბილისი, 1970
15. უთურგაიძე 1966: თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება. თბილისი.
16. “ქართლის ცხოვრება”. ტ. IV. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. თბილისი, 1955
17. შანიძე 1972: ა. შანიძე, თუშები. – მნათობი. №2. თბილისი.
18. ჯავახიშვილი 1950: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ. I. თბილისი.
19. Волкова 1974: Н. Г. Волкова, Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII — начале XX в. Москва, 1974.
20. Волкова 1977: Н. Г. Волкова, Бацбийцы Грузии (этнографические заметки), «Советская этнография», #2 1977 г.
21. Дешериев 1953: Ю. Дешериев, Бацбийский язык. М., 1953.
22. [http://www.geogen.ge/ge/main\\_nationalities\\_georgia/georgians/](http://www.geogen.ge/ge/main_nationalities_georgia/georgians/)

## I. Veshaguridze (Tbilisi)

### 17<sup>th</sup> c. Migration of Ts'ova-Tushs to Georgia: A Critical Study of Prevailing Theories Introduction

Tracing the origin of the Ts'ova-Tushs has remained an open and widely discussed issue to-date and recent publication of a number of researches proves importance of the subject.

An attempt to find the ethnic roots of a people can be a formidable task if the migration is not a recent fact and is backed by documentary evidence. Sometimes the conclusions researchers make can only be valid as assumptions, hypotheses, not more or less absolute truths or facts.

A good example is the problem of ethnogenesis of Georgians. While vast material is available – compared to sources related to Ts'ova-Tushs, the origin of Georgian ethnicity still remains a pending issue. Numerous versions have been formulated. Scholars are being extremely careful when considering each, assuming and hypothesizing. This is the way things should work. This is the way objective research is done. Unfortunately, when dealing with the problem of Ts'ova-Tushetian origins such an approach is often neglected and a number of scholars, such as V. Elanidze, R. Topchishvili et al. hurry to suggest what they think are certain, mostly wrong answers to the numerous questions.

While there are numerous works that examine the problem of origin and language of Ts'ove-Tushs, the subject is rarely taken beyond ideological framework. There are two reasons for such unfortunate state of arts, namely, two principles: “for the sake of objectivity” and “Chaghma-Tush approach”. These two we will discuss in detail a little later.

The authors taking their time to research the problem of Ts'ova-Tushs can be divided into two conventional groups: a) these are those who claim autochthony or settlement of the people in Tusheti at an early stage and include G. Melikishvili, A. Shanidze, as well as Ts'ova-Tush scholars, such as A. Bertlani, A. Shavkhelishvili and others; and b) these include the authors who maintain that the people started to settle in Ts'ovata area at a sufficiently later period, namely V. Elanidze, G. Tsotsanidze, R. Topchishvili, etc.

It is not our aim here to extensively deliberate on the points of view expressed by the authors of the first group since we believe them to have depicted the historical reality in a quite objective manner. Hence, we will only turn to them when looking critically at the judgments presented by the second group. Let us, therefore, only briefly outline the first group of works here.

It is true that G. Melikishvili did not dedicate any special work to the origin of the people in question. However, he believed the group to have moved to what is now Georgia from Mesopotamia several millennia ago. Namely, Volume One of Essays on History of Georgia, of which Giorgi Melikishvili was an editor, mentions “Ts'opha” (Urartian “Ts'upha”, Armenian “Ts'ophq”, and “Soplene” of antique sources) as a direct development of the Ts'ova-Tushs' name (Melikishvili 1970, p. 79).

S. Makalatia, also, superficially touches on the origin of the Ts'ova-Tushs. He supposes their migration from the North Caucasus to have taken place not later than 8-9<sup>th</sup> centuries as the artifacts encountered in the crypts of Ts'aro resemble the archaeological findings in Dergavs and Komunt in the North Caucasus (Makalatia 1983, p.21).

There is no source regarding the ethno genesis of the Ts'ova-Tushs which would be regarded more or less complete from all aspects. And by completeness we do not mean fairness and accuracy, as these two usually come in different dosage in each work. What is implied here is the necessary defect of any scholar of the old times (Thucydides did note the defect and strived to straighten it as much as possible), which is scarcity of facts. Such

scarcity often leads to incorrect conclusions notwithstanding the author's proclaimed righteous inclinations. Thus, what is unfortunate in the case of Ts'ova-Tushs is that there is no written source that would provide more or less accurate data regarding their origin.

Taking into account the current state of affairs, it would be incorrect to discuss Vakhushtian description of Tusheti and its inhabitants focusing on this specific section of the text only. It is indispensable to consider the entire structure of the work and the descriptions provided for other Georgian lands. The great scholar's motives and the factors he used in his research must also be reflected on. This leads us to the description of Svaneti. Vakhushti believes that Svans had been moved from Dzurdzuketi by King Saurmag. While the opinion is clearly ungrounded, even wrong, what is important here is Vakhushti's attempt to explain bilingualism of Svans and establish the origin of the people. The historian traces the name of the land to "Savane-ti" (Geo. shelter) or the land endowed to Svans by Saurmag. Vakhushti seems to deem the language also independent from Georgian and notes that the people have their own language, while speaking Georgian too.

Furthermore, descriptions of several lands of the kingdom necessarily include later migrants. For example, when speaking about Qtsia Gorge, Vakhushti mentions Muslim Ellies moved to their present settlement by Shasepi (meaning Shah Safi the First – 1629-1642) (Life of Kartli, V. IV, 324).

We can clearly see Vakhushti's attempt to provide data regarding the time and circumstances surrounding the settlement of each and every un-Georgian ethnic group in Georgia (referring Svans to the same category) and still, says not a word about Ts'ovata and Parsman Gorge.

We read: "those in the lands of Qists and Ghlighvs, they know more of their language. But those in Parsman Gorge are mixed by their faith and language like Qists" (Life of Kartli, V. IV, 555). Had the people migrated, moreover in a later period, when Vakhushti lived and worked, he would have been equipped with relevant information. We are dealing there with migration of several thousand people, which could hardly go unnoticed, furthermore, that Vakhushti would have tried, as he had attempted with regard to the other peoples, to explain their bilingualism. We still find Vakhushti's approach in his description of Didoeti, where he writes: "Tushs and Didos, if they are part of Lezgins, they were conquered later, by Georgian kings..." (Life of Kartli, V. IV, 552). Here it seems as if the scholar solved the problem of origin of the Tushs. Again, his approaches might not be correct, just the case was with the Svans, and Tushs may not be ascribed to the group of North Caucasian ethnicities, but this is the conclusion Vakhushti makes based on the scarcely available information.

Notwithstanding the lack and vagueness of sources, the authors of the second group try hard to maintain their own version, being sufficiently purposeful not only when discussing the Ts'ova-Tushs. Even when deliberating on other problems they always seize the opportunity to note how the people migrated or found shelter from Chechnya or Ingushetia in a later period.

Let us look at their versions and arguments they present.

Analysis of Migration and Settlement of Ts'ova-Tushs Based on Quantitative Data. There are multiple factors to be taken into account when trying to establish ethnic origins of a nation. R. Topchishvili's article thesis "Ts'ova-Tushs" maintains the position on a later settlement of the people in Tusheti. However, unlike V. Elanidze, the author does spare the group from fully ascribing them to the Ingush group and presents two versions of their being Georgian: how five Kizikians and one shepherd of Matani set off to Tianeti alongside their families and then moved to Gomets'ari Gorge in Phshavi. From there they travelled on to Ingushetia, where one more man joined them. This is, according to the author, the story of birth of the Ts'ova-Tushs, or, more specifically, their ancestors, as they have not reached Ts'ovata yet. Several generations after, this amorphous group of people were forced away by the Ingushs due to their claims on the meadows, and they moved to Chechnya, where they settled here and there before making for Tusheti and settling in Hegho, Ch'ontio and Girevi – three villages in Pirikita Gorge. This is their last stop before moving to Ts'ovata three years after the battle of Bakhtrioni, a certain Ts'oe being first to settle in Ts'ovata (Topchishvili 2009, 28). The author claims to have heard the version from a Ts'ova-Tush man, A. Charkhoshvili, accepted it as the truth and built his entire theory on it. Let versions remain versions. Had R. Topchishvili researched just a bit more, he would have heard other versions in Ts'ova-Tusheti, some – no less

fantastic, some others – more relevant and logical. But most probably, the version in question was what he had initially wanted to hear.

That analysis of myths requires sufficient care and concentration, is an axiom. This concerns both the position held by the author and arguments held by the opposing theory.

For example, East Achians seem to have related a tradition to N. Volkova, which maintained that “in the old times, Akhians, having deserted Sham, settled down at the foothills of Kazbegi Mountain, but due to their enmity with Batsavi-Gurjis they were forced to migrate...” (Volkova 1974, 143). In general it would not be right to expressly share a tradition regarding Ts'ova-Tushs fleeing Chechnya and Ingushetia and ignore the one relating forcing out Ingushs from Kazbegi mountain by Batsbis (Ts'ova-Tushs).

In the Achian tradition Ts'ova-Tushs are shown in an opposite manner. Which one should we follow? Both have been brought down by folk memory. It would be even difficult to maintain if any of them corresponds with the truth, as such traditions exist in a great number and in all possible forms. Therefore, following and believing only one of it would be a mistake. Even all of them could be erroneous.

It would not be out of place to quote historian Edward Hallet Carr here who wrote: “History is a collection of facts well proven. The facts presented in the form of various documents, manuscripts or other are as available and illustrative to a historian as the fish lined on a counter. Historians collect them, take them home, and cook a dish from them as they prefer” (Carr 2001, 38).

Thucydides himself did not fully trust a story if it had been told by one person and always tried to double check it, or at least, remarked the fact required such. It is truly surprising that anyone living in the 21<sup>st</sup> century needs to be reminded of this simple necessity.

The initial date of the journey undertaken by ancestors of the Ts'ova-Tushs must have been the 15<sup>th</sup> century (or, as R. Topchishvili notes, not earlier than 15<sup>th</sup> century). They started to move first to several villages in Pirikita Tusheti in the 16<sup>th</sup> century, and later to Ts'ovata in the 17<sup>th</sup> century.

Let us look at the results of the chamber census in Ts'ovata, which took place in the 19<sup>th</sup> century: 1831 – 1531, 1886 – 1533.

During the 55 years total population in Ts'ovata rose by 2 people (taking into account migration of several families into Ts'ovata), which gives us a 0.13% growth rate. Let us look at the trend in the entire Georgian region: 1832 – 897,000, 1886 – 1,512,000.

As we can see, the growth rate in entire Georgia of contemporary times is about 69% (615,000).

It is but natural that in the highlands the population grows at a slower rate due to the severe climatic conditions, enemy invasions (this is the times when Shamil waged his wars) and other reasons. This is why the slow growth rate in Ts'ovata is not surprising at all. What is really amazing is how 7 shepherds, about 30 people including their families, managed to turn into a community of 1,500 people from the 15<sup>th</sup> century to mid 19<sup>th</sup>. If we look close enough, we will see that their number rose 50 times, which yields a 5,000% growth rate.

As for the number of population in the world in the period of interest: by 1500 it is assumed to have been 500 million, reaching 1 billion by 1820. The growth, as we can see, is only 100%. Let us compare it to 5,000%! The difference shouts out loud.

Having acquainted ourselves with the figures, may we ask a question: if the number of Tushs increased at such magnificent rates before the 19<sup>th</sup> century, why did it drop from 5,000% to 0.13% in the latter century? We cannot refer to sheltering people in Ts'ovata as an argument, as even in the 19<sup>th</sup> century we see some newly migrated Qist and Khevsurian families and the 0.13% growth rate is derived taking these into account. Or, why did not the population of the other highland areas grow? Did they all flee to Ts'ovata to find shelter there? There are even households who migrated from, not to Ts'ovata. This all makes up a natural demographic dynamics in the mountains. The phenomenon of fleeing or migration or giving shelter applies to all regions and nowhere else does it show such anomalous influence.

We have already mentioned the attitude shown by Chaghma-Tush researchers to the origin of Ts'ova-Tushs, which they base on the migration from Ingushetia. According to their story, Ts'ova-Tushs initially inhabited Pirikita gorge (Chontio and Girevi villages where even an old Ts'ova-Tush cemetery exists). Afterwards, due to the scarcity

of land, Chaghma-Tushs sent them over to Ts'ovata. Let us remember, then that their having been forced out from Ingushetia, Chechnya and Pirikita was due to the same reason. Were they so easy to be forced out? The assumption that the first land they came to inhabit was Pirikita is based on the fact that Ts'ova-Tushs used to take their dead to bury them in Chontio and Girevi. We do recognize the fact, but explain it by more rational reasons (the custom may have been related to a specific household and not applied to the entire community).

The story of Ts'ova-Tushs travelling with their dead to their ancestors' cemeteries in Pirikita Gorge, notwithstanding the road and weather is very emotional. The tradition, in fact, ceased after one of such processions was killed by flood. So, if, as Topchishvili and Elanidze maintain, Ts'ova-Tushs remained so respectful to the memory of their ancestors, then those, migrated from Chechnya must have also maintained cemeteries in Chechnya, which must have been older and hence, more respected. Why, then, Ts'ova-Tushs did not transfer their dead to Chechnya? Due to the big distance? How, then can we explain that Ts'ova-Tushs who died in Shirak would be taken to Ts'ovata even if the road took one week? What if they were afraid that they would not be let through the Chaghma lands? But didn't we know that the two peoples maintained friendly relations, because otherwise Elanidze could not have explained existence of the multitude of Vainakh place-names in Tusheti!

If we take into account the 0.13% population growth rate for the entire century and the number of Ts'ova-Tushs in the 19<sup>th</sup> century, we will have no ground to assume the rate to have been higher in previous centuries, 17 and 18<sup>th</sup> centuries being among the hardest in the history of Georgia including the demographics. This were the times that rather than growing, the population shrank drastically. This is also noted by R. Topchishvili: "In 1830 Sagirta village was flooded and a big part of the population killed. The remaining number was reduced to half by the plague" (Topchishvili 2009, 10). Thus, the number of Ts'ova-Tushs must have even been higher in the past.

Therefore, it is unreasonable to try to explain that so many Ts'ova-Tushs settled in three villages of Tusheti only: any village in the mountains has a certain limit of population potential. It can neither give space nor feed anyone above it. Such a limit for Chontio, Hegho and Girevi must have been the numbers recorded by the end of the 19<sup>th</sup> century as there was a demographic boom in Tusheti as well at that time. The said villages comprised about 70 to 80 families at those times and could not have possibly accepted other several hundred families. Therefore, giving a temporary shelter to Ts'ova-Tushs cannot be explained by existence of the cemeteries in Chontio and Girevi.

And here we must mention V. Elanidze's main argument, which, according to him, emphasizes migration of Ts'ova-Tushs from Ingushetia.

The report sent from Tusheti to Moscow in 1657 says that the people live in three communities in fortified areas, in the highlands (Elanidze 1988, 140). V. Elanidze believes these three to be those of Gomets'ari, Pirikita and Chaghma (deriving such a conclusion by his belief that Tsovata community did not exist by 1657). To prove the point of view, the author refers to a letter sent by Tushs to Baron Rosen, where these three communities, mentioned by their names, Gomets'ari, Pirikita and Chaghma, request help. The author explains omission of Ts'ovata by Ts'ova-Tushs living in Alvani. However, in the same work he mentions it for a fact that Ts'ova-Tushs used to spend at least their summers in the highlands, some remaining even in winter.

Final settlement of Ts'ova-Tushs in Kakheti and, accordingly, final abandonment of Ts'ovata are shown by many sources to have taken place after the second half of the 19<sup>th</sup> century, which means that we are dealing with deliberate omission of Ts'ovata by the three remaining communities. It is also possible that the embassy (assuming, of course, that these three communities are those of Pirikita, Gomets'ari and Chagma) and authors of the letter to Rosen pursued different aims and refused to speak on behalf of Ts'ova-Tushs. While the reason is difficult to trace, the fact remains that Tsovata community did exist in the 19<sup>th</sup> century. Moreover, does failure to mention an event or settlement in a 17<sup>th</sup> c. report automatically mean they did not exist?

A good example of omission is a "Certificate on Two Stones" issued in the reign of Kakhetian King Archil (1664-1675). The Certificate endows Tushs, namely, "group of Tushs, Ts'ovas and Chaghmas" (Takaishvili 1901, 4) with Alvani and surrounding areas. Here "Chaghma" must refer to the Chaghma community (a point of view shared by V. Elanidze). But does omission of the two other communities in the certificate necessarily mean they do not exist or they are not inhabited? Certainly not. Such omission must be caused by different reasons, which given the scarce information provided by the "Certificate", are difficult to define.

Therefore, the embassy's mentioning of the three communities by no means confines their number to three only.

Analysis of Origin and Settlement of Ts'ova-Tushs Based on Linguistic Data. There is one fact that cannot be avoided by any researcher, even when he is Chaghma-Tush: Chaghma, Gomets'ari and Pirikita communities contain a multitude of Ts'ova-Tush place-names. V. Elanidze is among the researchers who have noted the fact. He names several of them, such as Tsokalta, Dadikurta, Diklo, Omalo, Khiso, etc and recognizes existence of Ts'ova-Tush place-names on the entire territory of Tusheti (naming, alongside the Ts'ova-Tush, Nakh and Didoian languages). He explains this by friendly relations of two neighbours.

Akaki Shaindze quotes T. Uturgaide (which is in line with V. Elanidze's point of view): "It is undebatable that proximity with Ts'ovas has left a distinct trace on the Tush dialect" and further: "no, not proximity. The thing is that in the past ancestors of now Georgian-speaking Tushs spoke the same language that has been maintained by the Ts'ova-Tushs and that has been forced out by Georgian" (Shanidze 1970, 104).

It can be asserted that there are no instances in the history of place-names in a foreign language and on the land of a neighboring people having originated as a result of friendly relations only. Again, this is not one or two place-names we are dealing with. There are tens. Such extensive dispersion is only possible when a people speaking that certain language has inhabited the land for a long time.

If we follow A. Shanidze's train of thought, we will encounter historical names in a number of places remaining unchanged even after the settlement of Chaghma-Tushs in Tusheti. While in Pirikita Gorge this can be explained by proximity, intense cultural and economic ties (a certainly important factor) and great number of migrants from Chechnya and Ingushetia, the same does not apply to the other two communities of Gomets'ari and Chaghma.

A. Bertlani's opinion is of interest as well: "Moreover, formation of place-names in Tusheti (and elsewhere) is especially dependent on the usage of -go, -lo, -cho suffixes (with the long correlate of the vowel), which, according to T. Uturgaide, must be of Nakh origin" and "semantics of the root Tush- itself equals to Chechen, and hence, Nakh semantics of "surroundings" (Bertlani 2012, 32).

Akaki Shaindze is very explicit in his arguments why the whole area of Tusheti used to be inhabited by ancestors of Ts'ova-Tushs in the ancient times: "The Georgian of the Chaghma-Tushs contains plenty of elements that clearly prove that once their ancestors also spoke Ts'ova-Tushs and only gradually switched to Georgian. Such elements include, first of all, place-names, phonetic phenomena, and separate words" (Shanidze 1970, 104).

Ts'ova-Tushs do not apply Georgian words existing in the Chaghma-Tush dialect and use standard Georgian. On the other hand, Chaghma-Tushs make use of plenty of Ts'ova-Tush words. Let us compare the fact to the point of view that claims several hundreds/thousands of Ts'ova-Tushs to have been sheltered by Chaghma-Tushs in the 17<sup>th</sup> century. This certainly does not explain how this could have been reflected on the Chaghma-Tush place-names.

Influence of Ts'ova-Tush (Nakh) language on the Chaghma-Tush dialect is not confined to lexical elements. According to Uturgaide: "we believe the specific vocative forms of common and proper nouns found in Tushetian and Khevsurian dialects, which make them distinctly different from the standard Georgian and other Georgian dialects to be have been calqued from the Nakh language..." (Uturgaide 1966, 75) and "the vocative forms in Tush and Batsbi languages show a certain pattern to prolong and narrow the vowels" (Uturgaide 1966, 81).

Communication between speakers of Chechen-Ingushetian and Ts'ova-Tush languages is complicated enough as of today. Is it possible that such a difference arose within 300 hundreds, between the times when Ts'ovas left their original land? Moreover, Ts'ova-Tush language does not show any special similarity to Chechnyan or any of its dialects or Ingush language. Relative likeness exists between the first and both other languages, which allows us to conclude: Ts'ova-Tushs have not originated from any of these lands (Chechnya or Ingushetia) and the similarity between the languages only shows a distant relation between them, not separation of the language from any of these a couple of centuries ago.

It is also interesting to look at the root of place-name 'Bats' mentioned by the Russian missionaries of the 16<sup>th</sup> century, which we encounter in Volkova's thesis: "the embassy of Russia of years 1589-1590 led by Prince Zvenigorodsky is recommended to take the following route to Georgia: through Mets ridge, through Shikh tribe,



through Amal land, through Bats ridge (i.e. mountains)” (Volkova 1977, 138). This is why Volkova believes Batsbis (Ts’ova-Tushs) to have inhabited Tusheti already at the end of the 16<sup>th</sup> century.

This is what R. Topchishvili writes regarding the discussion above: “We think the discussion is questionable as the Vainakhs referred as ‘Batsai’ not only to Ts’ova-Tushs (Batsbis), but to Georgian-speaking Tushs as well” (Topchishvili 2009, 31). This is a conclusion we categorically reject. Why did Vainakhs referred to Tushs as Batsbis? And why is it that today only the Ts’ova-Tushs are considered Batsbis? There must be some explanation. However, R. Topchishvili does not insist on providing an answer! The name could not have arisen by chance. We think that Tusheti must have been inhabited by a people referred to as Batsbis by Vainakhs. These people must be Ts’ova-Tushs as the ethnic name ‘Batsavi’ has not been used to any Chaghma-Tush community.

Development of Sheep Production in Tusheti with Regard to Ethno Genesis of Ts’ova-Tushs. The authors of the second group certainly believe that Tusheti has been inhabited by ancestors of today’s Chaghma-Tushs since the ancient times, and accordingly deny existence of Ts’ova-Tushs in the area. Let us try to shed some light on the origin of the autochthonous Tush inhabitants using specific examples.

The problem related to development of sheep production in Tusheti can be formulated as follows: Ts’ovata, and particularly, Alaznistavi, has been recognized as the area of the best meadows. The data available from the 19<sup>th</sup> century, traditions related by Tush shepherds and multitude of sheep herds in the Soviet times are evidence good enough. How is it possible that the local inhabitants actually gave up the best land, retaining the poorer areas?

One certain advantage that Ts’ovata and Alaznistavi hold is their close location to the Kakhetian lowlands. Sheep can reach Pankisi Gorge from Alaznistavi in two days, while it takes at least three to four days to reach Kakheti from Pirikita and Chaghma communities. Another advantage is its relative security. While no area in the mountains of the time was completely protected, Pirikita Gorge directly borders Chechnya, and Chaghma lies next to Daghestan, making these two areas the first in the list of attacks. Only through the land would an invader reach into the inner depth of Tusheti. And here is where we ask an important question: Why would Chaghma Tushs, who had inhabited Tusheti “for a long time”, have held to less secure and poorer areas, yielding the best meadows to Ts’ova-Tushs they had given shelter to? The answer is obvious to us.

Tushetian sheep, Tushetian (sack) cheese, Tushetian hats are also among the tangible results of a multi-century tradition. The Tushs have led a semi-nomadic for hundreds of years due to their possession of sheep, as it is impossible to keep a big number of sheep in Tusheti in winters. On the other hand, it is quite possible to maintain the number recorded by the 1843 census in the Pirikita and Chaghma communities. What was the reason, then, that Chaghma-Tushs refused to deal with sheep, which had been the mainstream Tush activity, and spared the business for the Ts’ovas, who had been temporarily sheltered?

In the 18<sup>th</sup> century, we can see, it is mainly the Ts’ova-Tushs moving the sheep to spend their winters in Kakhetian lowlands. There are numerous sources indicating this assumption, including the observations of Guldenstadt having met some Ts’ova-Tushs in Alvani, a certificate issued by King Irakli II to three Ts’ova-Tushs, etc. If we add to all these the number of the sheep recorded by the census of the 19<sup>th</sup> century in Tusheti, we will see that the sheep-business was dominated by Ts’ova-Tushs.

By the census of 1843, the 252 households of Ts’ova-Tushs owned 56,189 heads of sheep; the 222 households inhabiting the Chaghma community – 6850 heads of head and the 220 households of the Pirikita community – 7460 heads of sheep (Itonishvili 2012, 72).

R. Topchishvili’s numbers are slightly different, but the overall balance is approximately the same: 80% to 20% (Topchishvili 2009, 86).

Considering the many factors already discussed, including place-names and economy, migration of Ts’ova-Tushs from Ingushetia can be represented as follows: the people, having been forced by numerous invasions throughout centuries, start to abandon their place of inhabitation. This is well evidenced by the multitude of Ts’ova-Tush names (already discussed above). They set off to settle in areas that are better protected, rich with meadows and located closer to the Kakhetian lowland. Meanwhile, their own villages are eventually occupied by the clans seeking shelter from the North Caucasus highlands and other Georgian lands.

Critical Analysis of R. Topchishvili's Thesis "the Ts'ova-Tushs" A wonderful expert of the Ts'ova-Tush language and linguist, a Ts'ova-Tush by origin, A. Bertlani, points to the numerous errors found in Topchishvili's thesis. We have to note here that Topchishvili does not claim to know the language or attempt to make an analysis based on it. This is a great mistake in itself. When only scarce and historical documents are available, the language is an important historical source, especially if we are looking at the origin of an ethnic group. It may be put in milder terms, but this is the truth: when you do not know what you are dealing with and you are aware of it, you must not undertake the quest.

Going back to the problems R. Topchishvili attempts to deliberate on notwithstanding his superficial knowledge of the issue. "There are only 97 family names among Ts'ova-Tushs and their majority are based on the ancestor male's names..." (Topchishvili 2009, 22). In reality, again quoting A. Bertlani, the personal archives of Simon Garsevanidze still contain 140 Ts'ova-Tush names sought and recorded in the 1960s (Bertlani 2009, 114). The difference speaks for itself. The very first duty of an ethnographer is to find as many data as possible regarding the land in question. Any Ts'ova-Tush living in Zemo Alvani would tell you about S. Garsevanidze and failure to mention his archives cannot be a coincidence. However, in both cases, we would deal with either deliberate refusal or inability to locate the necessary data. Neither can be excused if they concern a work done or not done by a professional.

R. Topchishvili's conclusions with regard to the attitude of the people to their own language are completely wrong. Again, we are dealing with a work half done: "A subjective factor in disappearance of the Ts'ova-Tush language is out of questions. Indifference of Ts'ova-Tushs to the death of their language may be caused by their bearing Georgian identity, being an integral part of the Georgian nation and no different from other Georgians by their traditions, customs or mentality" (Topchishvili 2009, 93). In fact, vast majority of Ts'ova-Tushs are concerned by the problem of their language, often speak it and it is surprising enough how it has managed to survive to this day. And if R. Topchishvili wonders why 2,000 people cannot maintain their language in today's world, we will not be able to explain this here, given the brevity of our work.

Moreover, the whole work gives the impression as if the author has not even thoroughly read this own thesis. R. Topchishvili maintains that Ts'ova-Tushs settled in Tusheti after the Bakhtrioni battle: "Ethnographic materials prove that settlement of Ts'ova ancestors must have happened in the third year after the battle of Bakhtrioni, i.e. in 1662" (Topchishvili 2009, 29). And then writes on: "folk poems recorded in the 19<sup>th</sup> century portray Zezva Gaprindauli and Meti Saghirishvili as heroes of the Bakhtrioni rebellion" (Topchishvili 2009, 82). Two opposite conclusion within 53 pages of one work is, mildly put, weird. Or, we would have to conclude that Meti Saghirishvili was a Ts'ova-Tush even before the people of Ts'ova-Tush came into being.

The examples above are a wonderful illustration of lack of professionalism on one's side. This is an excellent case when one's job is done by sparing the doer's effort, work and time. I. Desheriev, on the other hand, is the example of what is opposite to such attitude. He visited Zemo Alvani every year during 1945-49 and worked at learning the language. And he was a Chechen scholar whose native language is, in itself, in close relation with the Ts'ova-Tush language. Still, it took him 4 years to learn the language. A nation's tongue is only one aspect in learning a people's history and origin. There are others establishing which require much more time. However, why bother, when a monograph, a scholarly work can be created not even leaving one's study.

Conclusion. There are many historical events that follow a logical pattern. This simplifies research and makes it easy to explain the matter. However, constantly seeking the logic is just as erroneous. Not everything can be analyzed in this respect. However, this would not mean we have to believe nonsense, such as turning of a 8-person group into a 1,500-person ethnicity proudly bearing its own culture, in only 300-400 years.

We believe that while it is impossible at this stage to establish the final date of Ts'ova-Tushs' settlement in Tusheti at this stage, one thing is certain: Ts'ova-Tushs must have spent a long time, even millennia, living in Tusheti. There are very strong reasons to support the argument, including the toponymy, economy and sheep-herding terms, culture and language of the area.

### **Bibliography:**

1. Bardavelidze, Vera. Traditional Social and Religious Monuments of Eastern Georgian Highlands (V. II-2: Tusheti, Tb., 1985)
2. Bertlani, Arsen. Mists of Ts'ovata (Thoughts Aged). Tb., 2009
3. Elanidze, Valerian. Problems of History of Tusheti. Tb., 1988
4. Takaishvili, Ekvtime. "Certificate on Two Stones". Tsnobis Purtseli. 1901, #1362
5. Topchishvili, Roland. Ts'ova-Tushs. Tb., 2009
6. Thucydides. History. Tb., 2007
7. Itonishvili, Valerian. Tusheti and Tushs. Tb., 2012
8. Carr, Edward Hallet. What Is History? Tb., 2001
9. Kurdghelaidze, Garsevan. Tusheti (Economy, nature, placenames). Tb., 1983
10. Makalatia, Sergi. Tusheti. Tb., 1983
11. Shavkhelishvili, Abram. From History of Eastern Georgian Highlands (Tusheti in the 16-19<sup>th</sup> centuries). Tb., 1977
12. Roschupkin, G. Tushetian Sheep. Tb., 1958
13. Essays on History of Georgia, V. 1. Volume editor G. Melikishvili. Tb., 1970
14. Uturgaidze, Tedo. Certain Specificities in Georgian Highland Dialects. Tb., 1966
15. Life of Kartli, V. IV. S. Kakhchishvili edition. Tb., 1955
16. Shanidze, Akaki. Tushs. – Mnatobi, 1972, #2
17. Javakhishvili, Ivane. Introduction into History of Georgian Nation, B. I. Tb., 1950
18. Volkova, N.G. Ethnic Composition of North Caucasus through 18<sup>th</sup>, 19<sup>th</sup> and early 20<sup>th</sup> c. Moscow, 1974
19. Volkova N.G. Batsbis of Georgia (Ethnographic Essays). Sovetskaya Etnografiya, #2 1977
20. Desheriev, Y. Batsb Language. M., 1953
21. Gildenstadt, Johann, Anton. Journey in Caucasus in 1770-1773. SPb. 2002
22. [http://www.geogen.ge/ge/main\\_nationalities\\_georgia/georgians/](http://www.geogen.ge/ge/main_nationalities_georgia/georgians/)

## **И. Вешагуридзе (Тбилиси)**

### **Критический анализ вопроса о переселении цоватушинцев в Грузию в XVII веке**

#### **Резюме**

Жившие в тушетии цоватушины обладавшие самобитной культурой до сих пор вызывают в ученых кругах дискуссию и разностороннюю отношение. ряда ученых считают, что цоватушины переселились тушетии в XVI-XVII веках. мы считаем, что этот подход представляет умышленное прикрытие очевидных фактов и думаем, что древнее население тушетии именно цоватушины, а не другие этнические группы.

Большинство топонимов на территории всей тушетии расшифровывается на цоватушинском (нахском) языке. цоватушинские слова входят так же в чагматушински диалект. Мы думаем, что только из за соседство топонимы и слова в таких количествах не должны были образовываться.

То что цоватушины аборигены указывает широко распространённая овцеводство. количество овец, множество пастбищ, полукочевая образ жизни означает что этим делом цоватушины уже несколько тысяч лет как занимаются.

Мы считаем что на этом этапе невозможно точно определить время когда цоватушины населились в тушетии, но одно можно сказать уверенно, что это произошло не XVI-ом и не XVII-ом веке, а гораздо раньше.

## ნ. პაპუაშვილი (თბილისი)

### ი. რაინეგსი და კ. კოხი კავკასიის ალბანეთის შთამომავალთა შესახებ

კავკასიის მრავალეთნიკური სახელმწიფოს–ალბანეთის–სალიტერატურო ენისა და ქრისტიანული კულტურის მემკვიდრეები უდიეები არიან. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ამ სახელმწიფოში მობინადრე ოცდაექვსი ტომიდან (Strabon, Geographica XI, 4, 6. ქართ. თარგ.: ყაუხჩიშვილი 1957: 134) გაქრისტიანების შემდგომდროინდელი ეპოქის სახელმწიფო ენა და ეთოსი მხოლოდ უდიეებმა შეინარჩუნეს. ამ საგანზე ამჟამად აღარ დავობენ, მაგრამ ვიდრე სთანადო მასალა გამოვლინდებოდა და დასკვნებიც გაკეთდებოდა (Шанидзе 1938; 1960; ალექსიძე 2003: 126-128), ნაირგვარი ჰიპოთეზები ვრცელდებოდა. იმის მიუხედავად, რომ კავკასიის ალბანოლოგიაში დღეისათვის ბევრი საკითხი გარკვეული და დაზუსტებულია, მოცემული დარგის განვითარების ისტორია მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის. ამიტომ სასურველია, ყურადღება მივაქციოთ და სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიტანოთ ნებისმიერი ავტორის ნებისმიერი მოსაზრება, რომელიც სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურაში გამოჩნდება და რომელსაც აღნიშნულ დისციპლინასთან კავშირი ექნება.

ასეთ სიახლედ წარმოგვიდგება გერმანელი სწავლულებისა და მოგზაურების – იაკობ რაინეგსისა და კარლ კოხის – დაკვირვებები ჩვენთვის საინტერესო თემაზე<sup>1</sup>. ეს პიროვნებები, ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, არიან პირველი მეცნიერები, რომლებიც შეეცადნენ, პასუხი გაეცათ კითხვაზე: დააღწია თუ არა თავი ისტორიის ქარტეხილებს კავკასიის ალბანეთის რომელიმე ტომმა და რომელია ეს ტომი?

იაკობ რაინეგსი (Jacob Reineggs; 1844-1893) ცხრა წლის განმავლობაში იმყოფებოდა ერეკლე მეორის კარზე. მან საქართველოსა და სომხეთის თითქმის ყველა კუთხე შემოიარა. იგი უმთავრესად მკურნალის მოვალეობას ასრულებდა და წიაღისეულ სიმდიდრეებს ეძებდა, მაგრამ ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებიც აინტერესებდა. მის ნაშრომში „კავკასიის ზოგადი ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ (Reineggs 1796-1797. ქართ. თარგმ.: რაინეგსი 2002) ყურადღება გამახვილებულია „ალბანთა ქვეყნის“ ისტორიისა და გეოგრაფიის მიმართაც. ავტორი დარწმუნებულია, რომ ეს სახელმწიფო ალაზნის ველს ანუ კახეთსა და ქიზიყსაც მოიცავდა (რაინეგსი 2002: 146-147, 155, 157, 161-163, 175-177). მას სჯერა (და ამ აზრს ის იმპერატორ ეკატერინე II-ისადმი წარსადგენ ტექსტში, მის მიერ რუსულად დაწერილში, უფრო მკაფიოდ აყალიბებს), რომ „ალაზანს“ ძველად „ალბანუსი“ ეწოდებოდა და რომ ალბანუსი ალაზნად რაღაც ლინგვისტური მოვლენების გამო გადასხვაფერდა. ამაში ის ლეზგიური ენის გავლენას ხედავს, რადგან ამ ენაში «Аль» და «Иль Оезонь», მისი თქმით, მდინარის ზოგადი სახელია (რაინეგსი 2002: 250, 269).

ამჯერად ჩვენთვის უფრო საყურადღებოა კითხვა, რომელიც რაინეგსმა დასვა და რომელზეც, ეტყობა, ბევრი იფიქრა: ნუთუ მემკვიდრის გარეშე გადაეგო კავკასიის ალბანეთი და ამ ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობა? პასუხი მოცემულია „აღწერილობის“ იმ მონაკვეთში, რომელიც თუშების ყოფა-ცხოვრებისა და რწმენა-წარმოდგენების მიმოხილვას ეძღვნება. აქ, სხვათა შორის,

<sup>1</sup> პირველი მითითებები რაინეგსის მოსაზრების შესახებ: პაპუაშვილი 2007: 75, 238-239; Papuaschwili 2007: 125-126. ამ პუბლიკაციებში დაშვებულია შეცდომა: დაბეჭდილია „დუშები“, „Duschi“. უნდა იყოს „თუშები“, „Thuschi“.

ასეთ ინფორმაციას და კომენტარს ვხვდებით: თუშებს თავიანთი თავი „ვეროპიდან მოსულები“ ჰგონიათ, მაგრამ სინამდვილეში ეს ხალხი „მოსე ხორენელის „დუზი“ და ძველი ალბანელების გადარჩენილი გვარტომი“ უნდა იყოს. ავტორი აქვე ცდილობს გაარკვიოს, თუ საიდან იღებს სათავეს „მტკიცება მათი (თუშების, ნ. პ.) ვეროპიდან წარმომავლობის შესახებ“. წყაროდ იგი ასახელებს პლინიუსს, რომელთანაც, მისივე მინიშნებით, მოიპოვება ცნობა „კავკასიის ჩრდილოეთ ევროპული ნაწილიდან სამხრეთისაკენ ალბანელთა გადმოსახლებისა“ და მათგან კავკასიის ალბანეთის დაარსების თაობაზე. თუ რომელი პლინიუსის (უფროსისა თუ უმცროსის) რომელ ნაშრომზეა ლაპარაკი, ანდა რამდენად ობიექტურადაა აღქმული და გადმოცემული სომხური საისტორიო წყაროს მონაცემი, ტექსტის მიხედვით ნათელი არ არის და ეს ჩვენ ცალკე გამოკვლევის თემად წარმოგვიდგება. ამ შემთხვევაში პირველხარისხოვანია თვალსაზრისი, რომლის თანახმად თუშთა მოდგმა კავკასიის ალბანელთა „გადარჩენილი გვარტომი“ უნდა იყოს (Reineggs 1797: 181; რაინეგსი 2002: 204). არანაკლებ საინტერესოა ავტორის, პოლიგლოტისა და მრავალმხრივად ნიჭიერი პიროვნების, ენათმეცნიერული დაკვირვებები, კერძოდ ის, რომ თუშები „ერთ ენაზე, კერძოდ, ძველ გეორგიანულზე ლაპარაკობენ, რომელიც დღეს ცოტა გეორგიელს თუ ესმის“. ცხადია, ლაპარაკია წოვა-თუშებსა და წოვათუშურზე ანუ ბაცბურზე, რომელიც იბერიულ-კავკასიური ენების ნახურ ჯგუფს განეკუთვნება (ჩიქობავა 1965: 8-9)<sup>2</sup>. ამავე მონაკვეთიდან ჩანს (რაინეგსი 2002: 206), რომ რაინეგსს თუშეთი და თუშური ენა ადგილზე გაუცვნია. გავითვალისწინოთ, რომ ის ერთობ დიდ ინტერესს ამჟღავნებდა გარდასული ცივილიზაციების ნაშტთა მიმართ და სვამდა კითხვას: „შეიძლება თუ არა არსებობდნენ ყირიმში და შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ძველი გუთების ნარჩენები?“ (რაინეგსი 2002: 26). ეჭვი არაა, ანალოგიურ კითხვას იგი კავკასიის ალბანელთა მიმართითაც დასვამდა და ყურადღებას მიაქცევდა ტოპონიმს „აღვანის ველი“, რომელიც ალაზნის ზემო წელს აკრავს და რომლითაც მის დროს უკვე თუშები სარგებლობდნენ. მათ მიმართ ერეკლე II, იაკობ რაინეგსის მასპინძელი და, ალბათ, კონსულტანტ-ინფორმატორიც, განსაკუთრებულ მზრუნველობას იხენდა (შავხელიშვილი 1977: 43-46; თოფჩიშვილი 2009: 77-78, 83-85), რაც მეცნიერი სტუმრის თვალს არ გამოეპარებოდა და მას ამ ეთნოსისადმი ინტერესი გაუმძაფრებოდა.

როგორც ვხედავთ, „აღვანი“-ისა და „აღბანი“-ის, „აღაზანისა“ და „აღბანუსის“ ფონეტიკურ-აკუსტიკური მსგავსება და აღვანის ველზე მობინადრე ხალხის ერთი ნაწილის ლინგვისტური თვითმყოფადობა დაედო საფუძვლად იაკობ რაინეგსის თეორიას თუშების კავკასიის „ძველი ალბანელების გადარჩენილ გვარტომად“ მიჩნევის თაობაზე.

ანალოგიურ თეორიას ვხვდებით მეორე გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის კარლ ჰაინრიხ ემილ კოხის (Karl Heinrich Emil Koch; 1809-1878) შრომებში: „Reise von Redut-Kaleh nach Trebissond (Kolchis und das Land der Lasen)“ და „Ausflug nach dem Kriedsschauplatz“ (Koch 1855: 65-114; 281-335; კოხი 1981: 165-209, 210-258). იგი ორჯერ ეწვია საქართველოს (1836-1838; 1843-1844); მეორე მოგზაურობის დროს ესტუმრა კახეთს (1844 წლის აგვისტო), აუყვა ალაზნის ხეობას და იმ ადგილამდე მიადწია, რომელსაც ის „აღბანეთის ველ“-ად მოიხსენიებს. ეტყობა, აღნიშნული ველის ნახვა, შესაძლოა რაინეგსის თხზულების ზეგავლენითაც, მის წინასწარ შემუშავებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. აი, მისი სიტყვები: „ჯერ მარტო სახელი იყო ჩემთვის საკმაოდ საინტერესო; მხოლოდ ამისთვის ღირდა ამ მხარის ნახვა. ისმის კითხვა: სად გაქრა ეს მამაცი ხალხი და რატომ შერჩა მათი სახელი მაინცდამაინც ამ პატარა სივრცეს? მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ამ ქვეყნის ისტორიაში უფრო ჩახედულ ხალხს ვანდობ“ (Koch 1855: 326; კოხი 1981: 250-251). ცხადია, ლაპარაკია კავკასიის ალბანეთსა და ალბანელებზე, რომელთა შთამომავლები, ამავე სწავლულის აზრითაც, თუშები უნდა იყვნენ: შემთხვევით ხომ არ დაერქმეოდა მათ სამოსახ-

<sup>2</sup> რაინეგსის ენათმეცნიერული ადლო ჩანს მის სიტყვებში: აფხაზური ენა „უფრო ჩერქეზული ენის დიალექტს უნდა წარმოადგენდეს“ (რაინეგსი 2002: 109). ეს, ალბათ, პირველი მეცნიერული დაკვირვება და თვალსაზრისია აღნიშნული ენის ნათესაობის შესახებ, რაც ახლოსაა თანამედროვე ლინგვისტურ კლასიფიკაციასთან (შდრ.: ჩიქობავა 1965: 7-8).

ლო და სამეურნეო ტერიტორიას „ალბანის ველი“? ამიტომ წარმოთქვამს ავტორი აღტაცებით: „გამიხარდა, რომ შესაძლებლობა მომეცა ამ გმირი მცირერიცხოვანი ხალხის ნაწილი მაინც გამეცნო. ლეკებს მათი განსაკუთრებით ეშინიათ. რამდენიმე წლის წინათ თუშებმა შამილის და მათი მომხრეების თავდასხმები დიდი წარმატებით მოიგერიეს და მათი ბელადი მოჰამედ ახტიც მოკლეს. ლეკები გასულ წელს ისევ გამოჩნდნენ შურის საძიებლად, გარს შემოერთებენ სოფელს, მაგრამ თუშებმა კვლავ უკუაგდეს. (...) ისინი ალაზანს ალბანეთის ველამდის ჩამოყვებიან. თუშები (თუშელები) საშუალო ტანის, მაგრამ ძალიან მაგარი აგებულებისა არიან“ (Koch 1855: 327; კოხი 1981: 251). იმისათვის, რომ თუშების აღმატებული სიკეთე წარმოაჩინოს, მათ მოგზაური ფშაველებთან და ხევსურებთან აპირისპირებს და ამბობს: ეს უკანასკნელნი თუშებს „სიამაცით და კეთილშობილებით ჩამოუვარდებიან“! მეტიც: თუშები, ავტორის მტკიცებით, უფრო ახლოს დგანან ქრისტეს სარწმუნოებასა და ეკლესიასთან, ვიდრე ფშაველნი, ხევსურები და ოსები. ისინი მღვდლებს სიახლოვეს არ იკარებენ და „მართლმადიდებელ ქრისტიანებად“ მონათვლაზე უარს ამბობენ, მაშინ როდესაც ამას თუშების მისამართით ვერ ვიტყვი (Koch 1855: 332; კოხი 1981: 256).

კოხი რომ საფუძვლიანად იყო დაინტერესებული ალბანოლოგიის პრობლემებით, ჩანს მისი თხზულების სხვა ადგილიდანაც, სადაც ის ამბობს: „ჩვენს წინ ისევ ნაყოფიერი დაბლობი გადაიშალა. (...) ეს იყო ალაზანი, ძველების ალაზონიუსი – ალბანეთის ქვეყანაში. (...) ქართველები ამ ქვეყანას ჰერეთს უწოდებდნენ, ვინაიდან ნოეს შვილთა შვილის თარგამოსის ვაჟიშვილებს შორის ამიერკავკასიის გაყოფის დროს იგი ჰეროსს ერგო. მოგვიანებით ამ ტერიტორიამ კახის ანუ კახეთის სახელწოდება მიიღო“ (Koch 1855: 307; კოხი 1981: 232).

ამდენად, კარლ კოხი სავსებით იზიარებს რაინეგსის თვალსაზრისს და თვლის, რომ ტოპონიმებში ალვანი და, შესაბამისად, ალვანის ანუ იგივე ალბანის (ალბანეთის) ველი არეკლილი არის იმ სახელმწიფოს ხსოვნა, რომლის საზღვრები ალაზნის ველსაც მოიცავდა. ეს სახელმწიფო, გვარწმუნებს ის, უკვალოდ არ გამქრალა: დღევანდელი თუშები მისი ერთ-ერთი გადარჩენილი ტომი უნდა იყოს.

ვის გულისხმობს კოხი, როდესაც გამოთქვამს იმედს, კავკასიის ალბანეთის მემკვიდრის პრობლემას მეცნიერულად „ამ ქვეყნის ისტორიაში უფრო ჩახედული ხალხი“ შეისწავლისო. გავითვალისწინოთ, რომ იგი, ისე როგორც რაინეგსი, რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნიუანსენში კარგად გარკვეული პიროვნებაა, რაც მისი ნაშრომის ყოველ მონაკვეთში იგრძნობა. როგორც ჩანს, მან იცოდა, რომ მისი თანამედროვე კოლეგები რუსეთში დასახელებულ პრობლემაზე მონღოებით და მიზანმიმართულად მუშაობდნენ.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (Тревер 1959: 24-40; Алиев 1962: 19-29) აღნიშნულია, რომ კავკასიის ალბანოლოგიის კონკრეტული საკითხებით რუსეთის სამეცნიერო წრეები 1829 წლიდან, სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის რუსეთთან შეერთების შემდეგ, დაინტერესდნენ. ამ თემაზე პირველი სამეცნიერო სტატიები იქ 1835 წელს გამოქვეყნდა, ხოლო ბაქოში აბას-კული-აღა ბაიხანოვის მიერ სპარსულ ენაზე დაიწერა გამოკლევა „აზერბაიჯანის ისტორია უძველესი დროიდან 1813 წლამდე“. ამ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს მხარე არის «колыбель человеческого рода» (проф. Фридрих Крузе), რომ კახეთში დღესაც არსებობს სოფელი ალვანი, რაც მას შემთხვევით არ დაერქმეოდა (Энциклопедический лексикон, т 1, изд. Плюшара, СПб, 1835, стр. 415) და რომ დღევანდელი აზერბაიჯანი ალბანეთის პირდაპირი მემკვიდრეა (ა. ბაიხანოვი) (Тревер 1959: 24-26). ასევე გამახვილდა ყურადღება ამ ქვეყნის ტერიტორიული საზღვრებისა და სხვა გეოგრაფიული სახელის მიმართაც. 1846 წელს, კ. კოხის კახეთში მოგზაურობიდან ორი წლის შემდეგ, რუსი მეცნიერი ა. იანოვსკი ასევე შეეცადა დაემტკიცებინა, რომ კავკასიის ალბანთა სამეფო ალაზნის ველსაც მოიცავდა (Алиев 1962: 19).

მოსმობილი თეორიების საფუძვლიანობაში გარკვევა წინამდებარე თემის ფარგლებს სცილდება. ამ შემთხვევაში საკმარისია, ყურადღება შემდეგ ფაქტზე გავამახვილოთ: ზემოთ დამოწმე-

ბული სამეცნიერო ლიტერატურა – როგორც ქართული, ისე რუსული, რომელიც კავკასიის ალბანეთის პრობლემატიკას შეეხება – არ იცნობს იაკობ რაინეგსისა და კარლ კოხის თეორიებს თუშების ეთნოგენეზის შესახებ (შდრ. პაპუაშვილი 1970: 5-114; პაპუაშვილი 1982: 54-69). ასევე არავინ მოიხსენიებს მათ დაკვირვებას ალვანის ველისა და ალაზნის ველის იგივეობაზე, რაც საკითხის შესწავლის ისტორიას ერთი სეგმენტით აღარბიებს. იმის მიუხედავად, უძლებენ თუ არა თანამედროვე მეცნიერულ კრიტიკას აღნიშნული თეორიები, მათი ავტორები სათანადო ყურადღებას და დაფასებას იმსახურებენ.

### ლიტერატურა:

- ალექსიძე 2003: ზ. ალექსიძე, კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა (აღმოჩენა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში). თბილისი.
- თოფჩიშვილი 2009: რ. თოფჩიშვილი, წოვა-თუშები. თბილისი.
- კოხი 1981: კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბილისი.
- პაპუაშვილი 1970: თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები. თბილისი.
- პაპუაშვილი 1982: თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.). თბილისი.
- პაპუაშვილი 2007: ნ. პაპუაშვილი, ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანი. თბილისი.
- რაინეგსი 2002: ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა. თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1957: თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ). თბილისი.
- შავხელიშვილი 1977: ა. შავხელიშვილი, თუშების დასახლება, განსახლება და გზა-ბილიკები. – მისივე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან. თბილისი.
- ჩიქობავა 1965: ა. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისი.
- Koch 1855: Die Kaukasischen Länder und Armenien in Reiseschilderungen von A. Curzon, K. Koch, A. Macintosh, O. Spencer und R. Wilbraham. Herausgegeben von Professor Dr. Karl Koch, Leipzig.
- Papuaschwili 2007: N. Papuaschwili, Das älteste Denkmal der udischen Sprache: Ein Lektionar in der kaukasisch-albanischen Sprache. – Oriens Christianus, Band 91.
- Reineggs 1796; 1797: J. Reineggs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt und herausgegeben von F. E. Schröder, 1. Teil, Gotha / St. Petersburg 1796; 2. Teil, Hildesheim / St. Petersburg 1797.
- Алиев 1962: К. Г. Алиев. К вопросу об источниках и литературе по истории древней Кавказской Албании, сб.: Вопросы истории Кавказской Албании, Баку.
- Тревер 1959: К. В. Тревер. Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. - VII в. н. э., М.-Л
- Шанидзе 1938: А. Шанидзе. Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки. – ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, IV, 1. თბილისი.
- Шанидзе 1960: А. Шанидзе. Язык и письмо кавказских албанцев. \_ saqarTvelos mecnierebaTa akademiis sazogadoebriv mecnierebaTa ganyofilebis moambe, 1960, #1. Tbilisi.

**N. Papuashvili (Tbilisi)**

### **Reineggs and Koch about the ancestors of Caucasian Albanians**

The heirs of the literary language and Christian culture of Albania, a multi-ethnic state of Caucasia are the Udis. To make it more concrete, out of twenty-six tribes dwelling in this state (Strabon, Geographica XI, 4, 6. Georgian translation: Kauhchishvili 1957: 134), only the Udis managed to keep the state language and ethos of the post-Christianization epoch alive. This is not a disputable issue any more, but before the relevant evidence was found and conclusions made (Shanidze 1938, 1960; Aleksidze 2003: 126-128), there were various hypotheses spread. Despite the fact that at present, many issues of Caucasian albanology are clarified and specified, the history of development of the given branch is not studied in a monographic respect. Therefore, it is desirable to pay due attention to any opinions of any authors related to this discipline and expressed in different epochs or in different literary genres and make their scientific use.

The observations by Jacob Reineggs and Karl Koch, German scholars and travelers, about the topic interesting to us, are such a novelty.<sup>1</sup> These persons, according to the materials at hand, are the first scientists, who tried to answer the question as to whether any of the tribes of Caucasian Albania survived the historical troubles and if yes, which tribe was that.

Jacob Reineggs (1844-1893) spent nine years at royal court of Erekle II and traveled to almost all corners of Georgia and Armenia. His major duty was that of a healer and he used to look for natural riches, but at the same time, he was also interested in historical and ethnographical questions. His work „Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus“ (Reineggs 1796-1797. Georgian translation: Reineggs 2002) accents the history and geography of “Land of the Albanians”. The author is sure that this state covered Alazani Valley, i.e. Kakheti and Kiziki (Reineggs 2002: 146-147, 155, 157, 161-163, 175-177) and believes (and expresses this opinion more clearly in the letter addressed to Emperor Ekaterine II written in Russian) that the former name of “Alazani” was “Albanus”, which transformed into “Alazani” through some linguistic effects. In the author’s opinion, such a transformation was due to the Lezgian language, with “Al” and “L Oezon” as the common names of a river, as he says (Reineggs 2002: 250, 269).

At this point, more interesting for us is the question put and apparently much meditated about by Reineggs – Can that be true that Caucasian Albania or indigenous people of this country disappeared without leaving heirs? The answer to this question is given in the section of “Description” describing the life and belief and views of the Tushi people. By the way, in this source, one can read the information and comments like this: “The Tushis think themselves as “descendants from Europe”, but in reality, this people must be “the survived Moses of Choren’s Duzi and ancient Albanian tribe”. At this point, the author tries to make it clear “the source of the statement suggesting their (the Tushi’s, N.P.) European origination”. The author refers to Plinius, who, as the author suggests, gives the information about “the Albanian moving from the northern Europe of the Caucasus to south” and establishing Caucasian Albania by them. The text gives no indication as to which Plinius (the Elder or the Younger), or which work by Plinius is meant, or how impartially the information contained in the Armenian historical source is

<sup>1</sup> The first reference to Reineggs’ opinions: Papuashvili 2007: 75, 238-239; Papuashvili 2007: 125-126. These publications contain the following mistake: word *Tuschi* reads as *Duschi*.



understood or described. So, we have considered this issue as an individual topic of study. Under such circumstances, the question of primary importance is examining the opinion suggesting that the Tushi stock is a “survived tribe” of the Caucasian Albanians (Reineggs 1797: 181; Reineggs 2002: 204). The linguistic observations of the author, polyglot and this highly gifted man are no less interesting, suggesting that the Tushi “speak one, old Georgian language, now understood by few Georgians only”. It is clear that the author talks about the Tsova-Tushi people and the Tsova-Tushi, or Batsbian language, which belongs to the Nachi group of the Iberian-Caucasian languages (Chikobava 1965: 8-9).<sup>2</sup> The same section evidences that Reineggs got acquainted with the Tushi people and Tushi language locally. Let us consider that he showed keen interest in the remains of the extinguished civilizations and asked: “Is it possible for the remains of the ancient Goths to have survived in the Crimea or along the Black Sea coastline?” (Reineggs 2002: 26). Without a doubt, he would have put a similar question about the Caucasian Albanians and would pay his attention to the toponym “Alvani Valley”, located adjacent to the upstream of the Alazani and used by the Tushis in his times. Erekle II, Reineggs’ host and possibly, his consultant and informer, took particular care of them (Shavkhelishvili 1977: 43-46; Topchishvili 2009: 77-78, 83-85), what could not have been overlooked by the guest scientist, who would then have had keener interest in this ethnos.

As one can see, the phonetic-acoustic relationship between “Alvani” and “Alban” and “Alazani” and “Albanus” and linguistic identity of some people living in Alvani Valley served as the basis for Jacob Reineggs’ theory about considering the Tushi people as “a survived tribe of the ancient Albanians” of Caucasus.

The works by Karl Heinrich Emil Koch, another German naturalist and traveler, suggest a similar theory (Karl Heinrich Emil Koch; 1809-1878): „Reise von Redut-Kaleh nach Trebissond (Kolchis und das Land der Lasen)” and „Ausflug nach dem Kriedsschauplatz“ (Koch 1855: 65-114; 281-335; Koch 1981: 165-209,210-258). He traveled to Georgia twice (in 1836-1838; 1843-1844), visited Kakheti, ascended Alazani Valley and reached the place called by him as „Albaner Feld” (Koch 1855: 326; Koch 1981: 250-251). It seems that for him, visiting this valley became a subject of interest planned in advance perhaps, under the influence of Reineggs’ work. This is what he says: „Schon der Name war mir interessant genug, um diese Gegend wenigstens eine geringe Aufmerksamkeit zu widmen. (...) Die Frage, wo ist dieses tapfere Folk hingekommen, und wie hat sich ihr Name gerade hier auf dem beschränkten Rame erhalten? liegt zwar sehr nah; ich will aber Anderen, die mehr in die Geschichte dieses Landes eingeweiht sind, die Beantwortung überlassen” (Koch 1855: 327; Koch 1981: 251). It is clear that he talks about the Caucasian Albania and Albanians, whose descendents, in the opinion of the two scholars, must be the Tushis. Otherwise, why did they call their dwelling and farming areas “Albani Valley”? This is why the author pronounces with fascination: „Es freute mich, wenigstens einen Theil dieses tapferen Völkchens kennen zu lernen, was, besonders von den Lesghiern, so sehr gefürchtet wird. Vorein Paar Jahren schlugen die Thuschen einen Ueberfall der Anhänger Schamil's mit Erfolg zurück, und tödteten sogar den Anführer MohamedAhti. Um Rachezu nehmen, kamen die Lesghier im vorigen Jahre wieder, belagerten ein Dorf, wurden aber ebenfalls glücklich zurückgeworfen. (...) Sie bestehen aus tausend Familien, die vier Verbrüderungen bilden und ihre Wohnsitze im Sommer an den Quellen des Koißu und Alasan besitzen. An dem letzteren ziehen sie sich bis an das Albaner Feld herab. Die Thuschen (Thuscheten), welche ich sah, hatten eine mittelmäßige Gestalt, aber einen sehr starken Knochenbau” (Koch 1855: 327; Koch 1981: 251). In order to show the superior good of the Tushi people, the traveler compares them to the Pshavi and Khevsurian people, and says that they (the Pshavs and Khevsurians) “are not as brave or noble as the Tushi people are!” Moreover, the Tushi people, in the author’s opinion, are more close to the Christ’s Faith and Church than the Pshavis, Khevsurians or Osetians, who keep the priests away and refuse to accept “Orthodox Christianity” („zu griechischen Christen zu stempeln”), while this is hardly true with the Tushi people (Koch 1855: 332; Koch 1981: 256).

Koch’s keen interest in the problems of Albanology is clearly seen in another part of his work, where he says: „Vor uns breitete sich wiederum eine fruchtbare Ebene aus, die ein ziemlich großer Fluß von Nordwest nach Südost

<sup>2</sup> Reineggs’ linguistic intuition is seen in his words: „The Abkhazian language must be more a dialect of the Circassian language” (Reineggs 2002: 109). This is probably, the first scientific observation and opinion of the possible relation to the said language being close to the modern linguistic classification (cp. Chikobava 1965: 7-8).

durchfließt. es ist dieses der Alasan, der Alasonius der Alten im Lande der Albaner. (...) Die Grusier nannten das Land hier Hereth, denn es fiel bei der Theilung des kaukasischen Isthums unter die Söhne des Thargamos, eines Urenkels Noah's, dem Heros, zu. Später erhielt es aber den Namen Kachien oder Kacheth" (Koch 1855: 307; Koch 1981: 232).

Thus, Karl Koch shares Reineggs' opinion and considers that toponyms Alvani and consequently, Alvani or the same as Albani (Albanian) Valley reflect the memory of the state with its borders covering Alazani Valley as well. This state, as the author assures a reader, has not extinguished without a trace, but the present Tushis are one of its survived tribes.

Who Koch means under "the people, more educated in the history of this country" to scientifically study the problem of the heir of Caucasian Albania study, is unclear. One has to consider that he, like Reineggs, is well aware of the details of the public and political life of Russia, and this is apparent with all of his work. It seems that he knew about his contemporary colleagues in Russia working on the named problems with great efforts and steadfastly.

Special scientific literature (Trever 1959: 24-40; Aliev 1962: 19-29) notes that the scientific circles of Russia got interested in concrete issues of Caucasian Albanology in 1829, after the eastern part of South Caucasus joined Russia. The first scientific articles about this topic in Russia were published in 1835, and a research "History of Azerbaijan from the ancient times to 1813" in Persian was written by Abbas-Kuli-aga Bakikhanov in Baku. This source says that this region is the "cradle of the mankind" (Prof. Friedrich Kruse), there still exists village Alvani in Kakheti what cannot be a mere chance (Encyclopaedia, v. 1, publishing house "Plushera", СПб, 1835, p. 415) and present-day Azerbaijan is an immediate heir of Albania (A. Baikhanov) (Trever 1959: 24-26). Accent was also made on the territorial borders and another geographical name of this country. In 1846, two years after Koch's trip in Kakheti, a Russian scientist A. Yanovskyi also tried to prove that Alazani Valley was a part of the kingdom of Caucasian Albania (Aliev 1962: 19).

Examining the relevance of the named theories is beyond the competence of the present topic. In this case, it is sufficient to pay attention to the following fact: the scientific literary sources referred to above, both, Georgian and Russian related to the problems of Caucasian Albania, does not know the theories of Jacob Reineggs or Karl Koch of the ethnogenesis of the Tushi people. Similarly, no one mentions their observation about the sameness of Alvani valley and Alazani Valley what takes away one segment from the history of studying the question. Notwithstanding whether the said theories stand up modern scientific criticism or not, their authors are worth of due attention and appreciation.

### Reference:

- Aleksidze 2003, Aleksidze 2003: Z. Aleksidze, Script, language and writing of Caucasian Albania (discovery from the St. Ekaterina Monastery on Mount Sinai), Tbilisi
- Topchishvili 2009: R. Topchishvili, The Tsova-Tushis, Tbilisi
- Koch 1981: K. Koch's and Spenser's data about Georgia and Caucasus, translation from Germany, introduction and comments by L. Mamatsashvili, Tbilisi
- Papuashvili 1970: T. Papuashvili, Questions of the history of Hereti, Tbilisi
- Papuashvili 1982: T. Papuashvili, Kingdom of the Rans and Kakhs (VIII-XI cc.), Tbilisi
- Papuashvili 2007: N. Papuashvili, The New Testament and its Georgian translation, Tbilisi
- Reineggs 2002: J. Reineggs, Travels to Georgia, translation from German, introduction and comments by G. Gelashvili, Tbilisi
- Kaukhchishvili 1957: T. Kaukhchishvili, Strabo's geography (data about Georgia), Tbilisi
- Shavkhelishvili 1977: A. Shavkhelishvili, Settlement, resettlement and roads and paths of the Tushis. From the history of the mountainous region of eastern Georgia, Tbilisi
- Chikobava 1965: A. Chikobava, History of studying the Iberian-Caucasian languages, Tbilisi
- Koch 1855: Die Kaukasischen Länder und Aemenien in Reiseschldierungen von Curzon, K. Koch, Macintosh, Spencer und Wilbraham. Herausgegeben von Professor Dr. Karl Koch, Leipzig

- Papuaschwili 2007: N. Papuaschwili, Das älteste Denkmal der udischen Sprache: Ein Lektionar in der kaukasisch-albanischen Sprache. \_ Oriens Christianus, Band 91
- Reineggs 1796; 1797: J. Reineggs, Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. Aus dessen nachgelassenen Papieren gesammelt und herausgegeben von F. E. Schröder, 1. Teil, Gotha / St. Petersburg 1796; 2. Teil, Hildesheim / St. Petersburg 1797
- Aliev 1962: K.G. Aliev, To the question of the sources and literature of the history of ancient Caucasian Albania, Collection: Questions of history of Caucasian Albania, Baku.
- Trever 1959: K. V. Trever, Essays of history and culture of Caucasian Albania of the IV c BC.-VII c. AD, Moscow – Leningrad.
- Shanidze 1938: A. Shanidze, The newly discovered alphabet of the Caucasian Albanians and its significance for the science. - The Messenger of the Institute of Language, History and Material Culture, IV, 1
- Shanidze 1960: A. Shanidze, The language and script of the Caucasian Albanians. - The Messenger of the Department of Social Sciences of the Academy of Science of Georgia, 1960, #1.

## **Н. Папуашвили (Тбилиси)**

### **Й. Райнегс и К. Кох о потомках кавказских Кавказских Албанцев**

#### **Резюме**

Потомки Кавказских Албанцев – удийци, соответственно потомо древнеалбанского литературного языка -современный безписменный кавказский язык – удийски. Такое мнение распрасранено в научных трудах кавказоведов албаниологов. Но считаем не безинтересным мнение немецких ученых и путешественников XIX века Йакова Райнегса и Карла Коха о том, что потомки Кавказских Албанцев - тушинцы.

Й. Райнегс и К. Кох несколько лет прожили в Грузии, Кахетии. Оны в своих трудах представили характеристику многих кавказских народов и этнических групп, в том числе – тушинцев, т. е. цова-тушинцев (бацбийцев)

ქ. ქუთათელაძე (თბილისი)

**„მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული უძველესი ქართული ღვთაება „გა/გაიმი“ სვანური ფოლკლორული მასალების ფონზე**

„მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ უძველესი ქართული წარმართული პანთეონიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გაცი და გაიმი, ოქროსა და ვერცხლის კერპები, რომლებიც, ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით უკავშირდება აზოს. „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, „არიან ქართლიდან“ მოსულ აზოს „თანა ყვანდეს კერპნი ღმრთად გაცი და გაიმი“ (აბულაძე 1963: 81-82). საინტერესოა ის ფაქტი, რომ შატბერდულ ხელნაწერში რამდენიმე ადგილას ეს კერპები იხსენიება, კიდევ როგორც „გაცი და გა“, ჭელიშური ხელნაწერში კი როგორც „გაცი და გაცა“. მაგ.: შატბერდულის მიხედვით – „და მარჯულ მისა (არმაზი – ქ.ქ.) დგა კერპი ოქროსაი და სახელი მისი გაცი, და მარცხელ მისა – კერპი ვერცხლისაჲ და სახელი მისი გა“. ჭელიშურის მიხედვით, „მარჯუენით მისსა იდგა კაცი ოქრო[ი]საჲ და სახელი მისი გაიც, და მარცხენით – კაცი ვერცხლისაჲ და სახელი მისი გაცა-“ (აბულაძე 1963: 119-120); ან კიდევ შატბერდული – „ხოლო იყვნეს კერპნი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა“, ჭელიშური – „ხოლო იყვნეს კერპნი სხუანიცა სამეფონი, გაცი და გაცა“ (აბულაძე 1963: 126); შატბერდული – „და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გა“, ჭელიშური – „და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი გაცი და გაცა“ (აბულაძე 1963: 132). სინური ხელნაწერი კერპებს მოიხსენიებებს, როგორც „გაცი და გა/გაცა“. ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ ხელნაწერების (შატბერდული, ჭელიშური, სინური) მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო კერპს ჰქვია „გა/გაიმი/გაცა/გაცაჲ“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სვანურად ქალღმერთ ლამარიას სამსხვერპლო ვერძს, ანუ ვაცს „გიცარ“ ერქვა (სვანეთი 2015: 20). „გიცარ“ ქართულ წყაროებში შემორჩენილი ღვთაების „გა/გაცაჲს“ (იგივე „გა/გაიმი“) გამოძახილი უნდა იყოს, რომელიც რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად ფუნქციურად მსგავს ქალღმერთს შეერწყა (იხ. ქვემოთ), მასთან დაკავშირებული სახელი კი შემცვლელი ღვთაების სამსხვერპლო ცხოველს შემორჩა. იგი შემდგომ ადამიანის სახელად ქცეულა. „სვანეთის საეკლესიო კრების მატჩიანეში“ მოიხსენიება „გიცარი“ და „გიცარიანი“ – „ს(უღს)ა გიცარაჲსა შ(ეუნ)დვენ ღ(მერთ)მან“, „ს(უღს)ა გიცარიანისა შ(ეუნ)დვენ ღ(მერთ)მან“ (სვანეთის საეკლესიო კრების მატჩიანე 2011: 180).

„ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ „გაცი და გაიმს“ ასახელებს და ერთგან აღნიშნავს, რომ ორივე კერპი ვერცხლის იყო: „ხოლო ამან აზონ დაუტევა სჯული ალექსანდრეს (ალექსანდრე მაკედონელი – ქ.ქ.) მოცემული, იწყო კერპთმსახურებად, და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი: გაცი და გაიმი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 20). თუმცა, წმინდა ნინოს ცხოვრებაში, როდესაც იგი არმაზის კერპს უყურებდა, იხილა, რომ „...იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გაიმი, რომელნი ღმერთად უწოდეს ერსა მას ქართლისაჲსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 90). „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში ერთგან გაიმის კერპი მოიხსენიება „გიმი“ ფორმით (ყაუხჩიშვილი 1942: 55), რომელიც პირდაპირ ეხმიანება მიწის სვანურ სახელწოდება „გიმს“. ლეონტი მროველი გაცის და გაიმის კერპებს მოიხსენიებს, როგორც „ძუელნი ღმერთნი მამათა ჩუენთანი“, რომლებიც „იყვნეს სარწმუნებელად კაცთა მიმართ“ (ყაუხჩიშვილი 1955: 106). საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმა-

ნიც იმეორებს, რომ „... დაივიწყა აზონმა ალექსანდრესგან მოცემული სარწმუნოება და შექმნა ორი კერპი, გაციმ და გაიმ მათი სახელი და მსახურებდა მათ“ (აბულაძე 1953: 28). არმაზის კერპის მარჯვნივ იდგა „...ოქროს გამოსახულება, რომელსაც ეწოდებოდა გაცა და მის მარცხნივ, ვერცხლის გამოსახულება, რომელსაც ეწოდება გაიმი“ (აბულაძე 1953: 83). ერთგან სქოლიოში მითითებულია “კაცი და გაიმი“ (აბულაძე 1953: 28). თარგმანი ასევე ასახელებს “გა/გაიმიას“ ფორმებს (აბულაძე 1953: 84).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, “არამედ შემდგომად ალექსანდრესა დაუტევა იგი რჯული ერისთავმან აზონ და აღმართნა კერპნი გაც გაიმაა, და ათაყვანა სრულიად საქართველოსანი და ასწავებდა ჩვეულებასა თვისსა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 16). ვახუშტიც აკონკრეტებს, რომ იყო კერპნი დიდნი – გაცი ოქროსა და გაიმ – ვერცხლისა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 55). ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ფარნავაზმა არმაზის კერპი აღმართა “საფლავსა ზედა ქართლოსისასა გაცის და გაიმს კერპთა შორის“ (ყაუხჩიშვილი 1973: 58)<sup>1</sup>. ვახუშტი ბატონიშვილი ასევე აღნიშნავს ღვთაებათა ფუნქციონას და ძალას – „... სოფლის მპყრობელთა არმაზ და ზადენისა, გაციმ და გაიმისა, მამათა ჩუენთასა, რომელთაგან არიან მნათობნი, მცენარნი და ნაყოფიერებანი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 85). იგი ასევე დასძენს, რომ წმ. ნინომ შემუსრა “არმაზ, უდიდესი ღმერთი ქართველთა, და გაც და გაიმა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 25).

ამრიგად, ზემოთ მოყვანილი მასალა იძლევა ამ კერპთა გავრცელების ორ ვერსიას, რომელთაგან, ერთის მიხედვით, იგი აზომ ჩამოიტანა “არიან ქართლიდან“ და მეორის მხრივ, ბერძენთა საპირისპიროდ აზომ თვითონ შექმნა ისინი თავგანისცემისთვის. “ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელმა უბრძანა აზოს, “რათა პატივსცემდნენ მზესა და მთოვარესა ვარსკვლავთა ხუთთა, და მსახურებდნენ ღმერთსა უხილავსა, დამბადებელსა ყოვლისასა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 18). აზოს ქმედება ხომ არ გულისხმობს რაიმე პოლიტიკურ გამოჯენას, როდესაც იგი ძველი კერპების წინ წამოწევას (რომელთაც თავად აქვთ ასტრალური სახე) ცდილობს, ან, უფრო სწორად, ყველა ახალი ხელისუფალი თავის ძალაუფლების იდეოლოგიურ სიმბოლოს ნერგავდა.

„გა“-ს საკითხს ბევრი ქართველი მეცნიერი შეეხო. ნიკო მარმა „გა“ სემიტურ კულტურას დაუკავშირა და პარალელი გაავლო ღვთაება ასტარტესთან. მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი ჩვენში უფრო წიგნიერი გზით შემოვიდა. მარი აღნიშნავდა, რომ ბიბლიის ქართულ ტექსტში ასტარტეს შესატყვისებოდა „გა“. რაც შეეხება “გაიმს“, მას მიაჩნდა, რომ „გა“-ს თან დაერთო ებრაული ბოლოსართი მრავლობითობის აღმნიშვნელი (Mapp 1901: 22). მ. წერეთელი არ ეთანხმება მარის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ „გა არ არის რომელიმე სემიტური ღმერთი. გა, რომელიც გვხვდება ხოლმე სემიტურ ეპიგრაფიკაში, როგორც შემადგენელი ნაწილია საკუთარ სახელთა. ასეთი ღმერთი სემიტურ პანთეონში არ არსებობს ... შეუწყნარებელია აგრეთვე მარის აზრი, თითქოს გაიმ, მეორე ფორმა გად-სა, რომელიც გვხვდება ქართლის ცხოვრებაში, ებრაული მრავლობითი რიცხვის ფორმა იყოს და ეს ამტკიცებდეს მის გადმოტანას ქართულ საწარმართო პანთეონში მწიგნობრის მიერ მწიგნობრობის ნიადაგზედ“ (წერეთელი 1924: 98). მ. წერეთელი ნ. მარის მოსაზრებაში რაციონალურ მარცვალსაც ხედავს და აღნიშნავს: „მაგრამ სამაგიეროდ, მარმა შენიშნა, რომ სამუელის წიგნში (1,74) ასტარტეს შესატყვისად ქართულ თარგმანში არის „გა“ და შეიძლება მართლაც, ძველ ქართულ იშთარს, ასტარტეს, ქალღმერთს გა ეწოდებოდა, და მაშინ აქ მწიგნობრობის ნიადაგზედ მწიგნობრის მიერ ქართულ პანთეონში შემოტანილ ღმერთთან კი აღარ გვაქვს საქმე, არამედ ქართული საწარმართო ქალ-ღმერთი ყოფილა ეს „გა“ (წერეთელი 1924: 98). როგორც ვხედავთ, მ. წერეთელი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ „გა“ ნაყოფიერების დიდი ქალღმერთის ქართული სახეა.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ჭელიშურ ხელნაწერში მოიხსენიება „გაცი და გაცა“ („გაცადე“). გარდა ამისა, რადგან ექვთიმე მთაწმინდელი „მცირე

<sup>1</sup> ერთგან ვახუშტი პირველად გაიმს ასახელებს და მერე გაცის – არმაზის იქეთ და აქეთ იყვნენ „გაიმ და გაციმ ოქროსი და ვერცხლისა“ (ყაუხჩიშვილი 1973: 78). ბუნებრივია, აქ მექანიკურ გადაადგილებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

სჯულის კანონში არ ასახელებს „გაიმს“, არამედ მხოლოდ „გაცის“, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „მათი („გაცი-გაცად“) დიდი მსგავსება და ის გარემოება, რომ ეფთჳმე მთაწმინდელს მარტო „გაცი“ აქვს დასახელებული, ამ ორი სახელის იგივეობას გვაფიქრებინებს. მაგრამ მეორე მხრით „გა“ პირველადი ფორმაა, თუ გაცის, ან გაცადს შეკვეცილობა?“ (ჯავახიშვილი 1979: 140). მართლაც, საინტერესოა ჭელიშურ ხელნაწერში რა საფუძველზეა „გა/გაიმი“ „გაცა/გაცადს“ ფორმით მოხსენიებული? წყაროს სხვა მონაცემების გამო ამის დამტკიცება თითქმის შეუძლებელია, თუმცა შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „გაცი“ და „გაცა“ ღვთაების ერთი და იგივე სახელწოდებები კი არ უნდა იყოს, არამედ ნაყოფიერების გამომხატველი ორი კორელატი – მდებრობითი და მამრობითი ბუნების გამომხატველი, როგორც მაგ.: ასტარტი და ასტარტა. არ არის გამორიცხული, რომ ექვთიმე მთაწმინდელმა „გაცი“ და „გაცა“ ერთმანეთს მიამსგავსა და ერთ კერპად აღიქვა. თუმცა, შატბერდულ ხელნაწერში მოხსენიებული „გა/გაიმის“ ფორმა გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ნაყოფიერების ფუნქციის გამომხატველ ორ კერპთან მამრობითი სქესის „გაცი“ და მდებრობითი სქესის „გა/გაიმი“.

გ. ქავთარაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით, გაცი და გაიმის სახელის ქვეშ შესაძლოა ტყუპი ღვთაებები აპოლონი და არტემიდე იგულისხმებოდნენ (ქავთარაძე 2009 (ა): 115). მკვლევართა ნაწილმა სამართლიანად მიიჩნია „გა“ მიწის ქალღმერთად, თუმცა, ზოგმა უცხოური წარმოშობის სახელწოდებად ჩათვალია, ზოგმა კი ბერძნული გეას შესატყვისად. აკ. გელოვანის განმარტებით, „გა“ არის „წარმართული ქართული ქალღმერთი, ბერძნული გეას შესატყვისი, დედამიწის განსახიერება (შდრ. სვ. გაიმ, გიმ – დედამიწა) ... ორივე ხალხის გაგებით ესაა დედამიწის ქალღმერთი: გა-გაი-გაიმ-გიმ-გე-გეა“ (გელოვანი 1983: 112). მკვლევარი იქვე აღნიშნავს, რომ „გა-გეა“ სანსკრიტზეც აღნიშნავს მიწას (გელოვანი 1983: 111). ალ. დავითიანი „გას“ უცხოური წარმოშობის ტერმინად მიიჩნევს და მასში სვანური გიმ-მიწის სახელს ვარაუდობს და შესაძლებლად თვლის, რომ იგი გაცი და გაიმის კერპებს უკავშირდებოდეს. თუმცა, მათ ნაკლები ყურადღება მიაქციეს იმ ლინგვისტურ მასალას, სადაც მიწის სახელწოდების გარდა, შემორჩენილია მასთან დაკავშირებულ და მისგან აღმოცენებულ საგანთა აღმნიშვნელი სახელწოდებებიც.

ბოლო დროს საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ნ. ნიკოლოზიშვილმა, რომელმაც „გა“ დიდი დედის ელინისტურ კულტს დაუკავშირა. მკვლევარი გაცი და გას ისიდა-ოსირისის, აფროდიტა-ა-დონისის, კიბელა-ატისის მსგავს წყვილად მიიჩნევს, რომელთა მითს საფუძველი მისცა დაღუპული და მკვდრებით აღდგენად კულტთა და მათზე მგლოვიარე ქალღმერთთა ურთიერთობამ (ნიკოლოზიშვილი 2006: 89-90). ნ. ნიკოლოზიშვილი ასკვნის: “მაშასადამე, გა უნდა იყოს ისეთივე “დიდი დედა“, როგორც კიბელა, აფროდიტა, დემეტრა და სხვა, რომელიც ერთდროულად მიწაცაა და დედაც ... გა განასახიერებდა მდებრულს მიწასა და მთვარეს, ხოლო გაცი მამრულს – ზეცასა და მზეს. ამის გამო უნდა იყოს, რომ “მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში გაცი ოქროს კერპია, ხოლო გა ვერცხლისა, რადგან ოქრო მზის სიმბოლოა, ხოლო ვერცხლი მთვარისა. მკვლევარი გასთან მიმართებაში დამადასტურებელ საბუთად იშველიებს კიბელას კერპს, რომელსაც, “როგორც გას, ვერცხლისგან ამხადებდნენ“ (ნიკოლოზიშვილი 2006: 90)<sup>2</sup>. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია ვანის ნაქალაქართან მთის სახელწოდებას “გადიდი“. „გა“ მიიჩნია გორა-მთად და ამ სახელწოდებაში “დიდი მთა“, ან “დიდი გორა“ იგულისხმა. იგი არ გამორიცხავს, რომ “გადიდი“ დაკავშირებული იყოს „გა“ ქალღვთაებასთან და აღნიშნავდეს დიდ გას, „დიდ მიწას“, მითუმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ “დიდი დედა“ ყველგან მთის ქალღვთაება, “მთების დედოფალი“ იყო. ამ მოსაზრებას, შესაძლოა, მხარს უჭერდეს ის გარემოება, რომ ძველ სომხურ ენაში, სადაც მრავლად მოიპოვება ზანური ლექსიკა, არსებობს სიტყვა „გაგატონ“ („გაგატონ“), რაც ნიშნავს ზენიტს, მწვერვალს, მათ შორის მთის (ხუდაბაშიანი 1986: 255). არ გამორიცხება, რომ „გაგ“ ფუძე ქართველური ენებიდან შესულიყო ძველ

<sup>2</sup> ვერცხლისგან დამზადებული ქალის ფიგურა კავკასიურ მითოლოგიაში ეკუთვნის ნაყოფიერების ქალღვთაება „თუშოლს“, იგი ადამიანთა მფარველია, მას შვილოსნობას და ვაჟების დაბადებას სთხოვდნენ (სიხარულიძე 2006: 57). ხევსურებს ნაყოფიერების და ადამიანთა მფარველი „ადგილის დედა“ წარმოდგენილი ჰყავდათ ვერცხლის სამკაულებიან ღამაზ ქალად.

სომხურში. საბოლოოდ ნ. ნიკოლოზიშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ გაცი-გას კულტი უნდა ყოფილიყო ელინისტური კიბელა-ატიისის მსგავსი, მომაკვდავი და აღორძინებადი ღვთაების კულტი, რომელიც აზომ, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავარმა შემოიტანა ქართლში. ნ. ნიკოლოზიშვილიც ფიქრობს, რომ სახელი „გა“ უნდა მომდინარეობდეს ძველი ბერძნული მიწის ღვთაების „გეას“ სახელიდან (ბერძნული გაია; დიალექტური ფორმები გე და გა); მამრობითი სქესის ღვთაების სახელი „გაცი“ უნდა მომდინარეობდეს ასევე ბერძნული სიტყვიდან „გეტტეს/გეიტეს“, დიალექტური – „გატეს“, რაც „მიწათმოქმედ კაცს“, „მიწის მხვენელ კაცს“ ნიშნავს. მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ხალხის მითოლოგიაში, მდებარეული საწყისი პერსონიფიცირდება მიწის ღვთაებაში, ხოლო მამრული – ცის ღვთაებაში, რომელიც წვიმის, მეხისა თუ მეტეორის მეშვეობით ანაყოფიერებს მიწას“ (ნიკოლოზიშვილი 2006: 85-93)<sup>3</sup>.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან მისაღებია ის, რომ გა მიწის ნაყოფიერების მდებარეული ფუნქციის მატარებელ ღვთაებად არის მიჩნეული, ანუ იგი ქალღვთაებაა. მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომელიც გას უცხოურ, შემოტანილ კერპად მიიჩნევს და თითქოს იგი აუცილებლად ბერძნული გეასგან უნდა მომდინარეობდეს. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ წყაროს მიხედვით, გაცი და გა იყო „ძუგლნი დმერთნი მამათა ჩუენთანი“, ანუ ქართველთა წინაპრების. გა კი არ უნდა იყოს ბერძნული გეასგან წარმოშობილი, არამედ შესაძლოა გეა მცირეაზიური კულტურიდან იყოს შესული ბერძნულ მითოლოგიურ სამყაროში. მკვლევართა მიერ დადასტურებულია, რომ იგი ოლიმპიამდე ღვთაებათა რიგს განეკუთვნება (Мифологический словарь 1990: 152). ასევე არ გამოვრიცხავთ, რომ ქართულ წყაროებში შემორჩენილი გა-ს ფესვები, შესაძლოა, მცირე აზიის იმ ხალხთა სულიერი კულტურიდანაც საზრდოობდეს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ქართველ და ქართველურ ტომთა ეთნოგენეზში. შესაძლოა, იგი უფრო ძველიც იყოს, ვიდრე ბერძნული გეა. ქართულ-სვანურმა ფოლკლორმა, ქართული და ქართველური ენების ლინგვისტურმა მასალამ არც თუ ისე ცოტა ინფორმაცია შემოგვინახა, რომლის საფუძველზე ამ უძველესი ღვთაების ფესვები პროტოქართულ შრეებში უნდა ვეძებოთ. როგორც ცნობილია, საერთო კავკასიურ კულტურას, რომლის ორგანული ნაწილიცაა ქართული კულტურა, მჭიდრო კავშირები აქვს წინა აზიის უდიდეს ცივილიზაციებთან. უძველესი ზოგადქართული სულიერი კულტურის ამსახველი ფაქტები კი სვანურ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებშია შენარჩუნებული, რადგან „სვანები ინახავენ ქართველ ტომთა უძველეს მენტალობას, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობს ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებში ... ფაქტები ამკარად მეტყველებს შორეულ წარსულში ქართველური ტომების მჭიდრო ეთნოკულტურულ კავშირზე მცირე აზიის უძველეს ცივილიზაციასთან“ (სვანეთი 2015: 9). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეა განსახილველი საკითხიც გა/გაიმის კერპის შესახებ, რომელიც მხოლოდ ქართულ საისტორიო წყაროებს შემორჩა, საგალობლის სახით კი მხოლოდ სვანურმა ფოლკლორმა შემოინახა. მსგავსი არ არის შემორჩენილი საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც ასევე წინარექრისტიანულ ხანაში თავიანთ სცემდნენ ამ კერპს.

„გაცი და გაიმი“ შეწყვილებულ ღვთაებათა რიგს მიეკუთვნება, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და შერწყმის შემდეგ განუყოფელი არიან, ანუ ქმნიან ერთარს. გა/გაიმი მიწის ნაყოფიერებას უკავშირდება, რომლის მითოლოგიური სახე და სქესი მდებარეობითია, გაცი კი, შესაბამისად, მამრობითი სქესის ღვთაებაა, რომელიც შესაბამისად განსახიერებს, მიწის გამნაყოფიერებელ, მიწის მომრწყველ ტაროსის ღვთაებას ან მიწისგან მიღებული მოსავლის მფარველ დმერთს. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს უძველეს კავკასიურ მენტალობაში შემორჩენილი ინფორმაცია „გუდილისა“ და „გუცარის“ ღვთაებათა შესახებ ჩრდილო კავკასიელთა წარმართულ პანთეონში (ფოლკლორი 2008:

<sup>3</sup> განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა ვ. ვაწაძემ, რომელიც ორივე კერპს მამრობითი სქესის ღვთაებად მიიჩნევს და არ ეთანხმება ნ. მარისა და მ. წერეთლის მოსაზრებას გას მდებარეული საწყისის შესახებ (ვაწაძე 2009: 42). თუმცა, „მოქცევა ქართლისაში“ და წმ. ნინოს ცხოვრებაში მოხსენიებული „გაცი ოქროსი“ (გაცი) და „გაცი ვეცხლისა“ (გაიმი), ამ შემთხვევაში უფრო ღვთაების ანთროპომორფული გამოსახულების განმსაზღვრელი უნდა იყოს და არა სქესის.

1079). მითოლოგიურ ლექსიკონში განმარტებულია, რომ გუდილი/გუდი/გოდი<sup>4</sup> თაბასარანელების, თათების, რუთულების, წახურელების, ლეზგების და ლაკების მითოლოგიაში წვიმის ღმერთია. იგი წარმოდგენილი ჰყავდათ მამაკაცის, ან ყმაწვილის სახით, რომელიც მწვანე რტოებით იყო დაფარული (Мифологический словарь 1990: 163). ასევე, გუცარი ლეზგიურ მითოლოგიაში მოსავლის ღმერთია, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის მფარველი (Мифологический словарь 1990: 165). ზოგან იგი განმარტებულია, როგორც ტაროსის ღვთაება (ფოლკლორი 2008: 1079). ქართული „გაცი“ და ლეზგიური „გუცარი“ შესაძლოა, უძველესი საერთო კავკასიური ღვთაების სახელებია<sup>5</sup>. გასთან მიმართებაში, რომელშიც დიდი ქალღვთაება (დედაღვთაება) იგულისხმება, შესაძლოა, ყურადღებას იმსახურებდეს, აგრეთვე, ლაკების მითოლოგიიდან მცენარეული სამყაროს მფარველი ღვთაება გუმი, რომლის სახე იყო მცენარის ფესვი<sup>7</sup>. საყურადღებოა მდებარებითი სქესის აღმნიშვნელი ადიღეური სიტყვა „გუაშე“, რომელიც ქალბატონს, თავადის ქალს ნიშნავს (ნართული ეპოსიდან „სათანეი გუაშე“). ასევეა, შუმერული „გაშან“ – ქალბატონი, რომელიც ნაყოფიერების ქალღმერთ ინანას ეპითეტია (გელოვანი 1983: 111). ასევე, „გამელია“ – ჰერას ერთ-ერთი ზედწოდება, როგორც ქორწინების ქალღმერთისა<sup>8</sup>.

„მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ გაცი და გა-ს კერპებთან მიმართებაში, რომელთაც სამეფო კერპებად მოიხსენიებს, ძალზედ საინტერესო ცნობა შემოგვინახა ადამიანის მსხვერპლშეწირვის შესახებ, რათა ღვთაებას ხალხისთვის უხვი მოსავალი მოეცა. შატბერდული ხელნაწერის მიხედვით: „ხოლო იყენეს კერპნი სხუანიცა სამეფონი: გაცი და გა. და შეიწირვოდა მათი ერთი სეფეწული ცეცხლითა დაწუვად და მტური გარდაბნევადა თავსა კერპისასა“. ჭელიშურიც იმავე ინფორმაციას გადმოგვცემს, მხოლოდ „გაცი და გას“ მაგივრად ასახელებს „გაცი და გაცას“ (აბულაძე 1963: 126)<sup>9</sup>. ნებისმიერი მსხვერპლშეწირვა მიმართული იყო განახლებისათვის, კვლავ გაცოცხლებისთვის, გამრავლებისთვის და გაძლიერებისთვის, ერთი სიტყვით, ცხოვნებისთვის. ამიტომ არის, რომ მსოფ-

<sup>4</sup> შდრ. სამსხვერპლო ხარის ურარტული სახელწოდება „Gud“ (Меликишвили 1954: 370). „Gud“ ხარის სახელწოდებაა, ასევე, ხეთურ ენაზე (ტატიშვილი 2009: 9). როგორც ჩანს, ეს სიტყვა არაინდოევროპილი ფენიდან უნდა იყოს შესული ხეთურში.

<sup>5</sup> შდრ. ნართული ეპოსიდან ჭექა-ჭუხილის ღვთაება „გაცილი“, რომელიც ნართ სოსლანს ჩუქნის ხორბლის მარცვლებს და უხსნის: „გაზაფხულზე, როგორც კი მიწა გაიღვიძებს, დათესონ და წლიდან წლამდე საჭირო სარჩოს მოიწვევენ“ (ნართები 1988: 105).

<sup>6</sup> არ არის გამორიცხული, რომ „გა“ რომელიმე ნაყოფიერების გამომხატველი დიდი ქალღმერთის სახელის შემოკლებული ვარიანტიც იყოს (შდრ. ნინჰურსანგა – დიდი დედა, „ყველა ღმერთის დედა; გათუშდუგი – შობის სიმბოლო, ლაგამის დედაღვთაება). გა-სთან მიმართებაში, შესაძლოა, საინტერესო პარალელები იყოს ხათურ და ხეთურ მითოლოგიაში შემორჩენილი ქალღმერთების შესახებ. ხეთურ მითოლოგიაში მარცვლეულის ქალღმერთი „kaiit“ (მარცვალი) ენათესავება ხურიტულ „kate“-ს, რომელიც ასევე მარცვალს ნიშნავს (Мифы народов мира 1988, 590). ხეთური დედაღვთაება „kamrusepa“ შეესაბამება ხათურ ღვთაებას „kattaxcifur“-ს (Мифы народов мира 1987, 619). იგი იყო მაგიური რიტუალების შემსრულებელი მფარველი ქალღმერთი (ტატიშვილი 2009: 19). (შდრ. ხეთურად gatai, katai – ნამცხვრის ან პურის სახეობა) (ტატიშვილი 2009: 39).

<sup>7</sup> იგი მოხუც ქალს უნდა მოეგანა, ფესვს რძეში განბანდნენ და აბრეშუმის ქსოვილში ახვევდნენ. ასათხოვარი ქალი ბალიშის ქვეშ დაიდებდა, რომ მისთვის ბედი ეწინასწარმეტყველათ.

<sup>8</sup> საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „gaina/gaena“ (kaena) ხეთურში ქორწინებით შექმნილ ნათესავს ნიშნავს, ხოლო „gainatar“ (kainatar) – ქორწინებით დანათესავებას, ნათესაობას (ტატიშვილი 2009: 12-13).

<sup>9</sup> უფლისწულის ცეცხლთან ზიარების მოტივი შენარჩუნებულია ერთ-ერთი დიდი დედის, ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების, დედამიწის ღვთაების დემეტრეს მითში. პერსეფონეს გაუჩინარებით შეწუხებული დემეტრე გამზრდელად უდგება ელევსიის მეფის შვილ დემოფანტეს, რომელსაც დილით ამბროსიოთი ბანდა, შემდეგ კი ცეცხლზე აწრთობდა (შდრ. ზედაშეს დასხმა და გულ-ღვიძლის შეწვა). ნართული ეპოსიდან ძალზე საინტერესოა ნართი პერსონაჟების-სოსლანისა და ბათრადის-წრთობა, რომელიც აუცილებლად ნახშირის ცეცხლით და რომელიმე სითხით ხდება. მაგ.: სათანას შვილის სოსლანის წრთობის დროს, მკვდლობის ღვთაება ქურდალაგონმა მოითხოვა ასი ტომარა მუხის ნახშირი და ასი ტიკი მგლის რძე. ას ტომარა მუხის ნახშირს ასი ქურიდან დაუბერეს, რომლის ცეცხლშიც სოსლანი გამოაწრთეს, შემდეგ კი მგლის რძეში განბანეს. ბათრადის შემთხვევაში იგივე ღვთაებამ გამოიყენა შეშისა და ურჩხულის ნახშირი, რომელსაც თორმეტი ქურიდან უბერავედა, შემდეგ კი ბათრადი ზღვაში ჩააგდო (ნართები 1988: 103, 220).



ლიოს სხვადასხვა ხალხთა მდიდარ მითოლოგიურ სიუჟეტებს წითელ ხაზად გასდევს კვდომა-ადღვომის, სიკვდილ-სიცოცხლის, მითოლოგიურად ბუნების კვლავ განახლების მოტივი. არ გამოვრიცხავთ, რომ მეფე ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამოდის როგორც ღვთაების მსახური და შუამავალი მასთან, რომელიც თავად უძღვნის ღვთაებას იმას, რაც მისგან მიიღო. ამ შემთხვევაში სწორავს მას საკუთარ პირმოს<sup>10</sup>. ღვთაების მიმართ რიტუალური მსახურება კი განსაზღვრავს როგორც ქვეყნის წინამძღოლის ზრუნვას მისდამი დაქვემდებარებულ კოლექტივზე, რომლის კეთილდღეობა კვლავ აღორძინების იდეას ემსახურება. მოცემულ შემთხვევაშიც უფლისწულის მსხვერპლშეწირვა მიმართული იყო ბუნების განახლების, მიწის სიუხვის და უკეთესი ნაყოფის მოცემისთვის. განსამარტავია, თუ რატომ ხდებოდა აუცილებლად უფლისწულის მსხვერპლშეწირვა და არა რიგითი ადამიანის. ბუნებრივია, ყოველწლიურად ამ რიტუალის შესრულება სეფეწულთან მიმართებაში შეუძლებელი იქნებოდა. ხდებოდა თუ არა პირდაპირი მნიშვნელობით ასეთი მსხვერპლშეწირვა, დამტკიცება ძნელია, რადგან სხვა წყაროები ამასთან დაკავშირებით არაფერს ამბობენ. შესაძლოა, ეს უფრო ცეცხლში რიტუალური გაწრობა ყოფილიყო<sup>11</sup> (სიმტკიცე - გამძლეობა - მარადიულობა), რადგან იგი აუცილებელი ელემენტია მსხვერპლშეწირვისთვის, როგორც განწმენდი მსხვერპლისა კვლავ განახლებისკენ<sup>12</sup>. ნიშანდობლივია ის, რომ “ქართლის ცხოვრების” ანასეულ და მარიამისეულ ნუსხებში ამ კერპებთან მიმართებაში მოხსენიებულია “განწმენდა” – „და შექმნა ორნი კერპნი ვერცხლისანი განწმენდად“ (თაყაიშვილი 1906: 16; ყაუხჩიშვილი 1942: 14). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, “განწმენდა” არის “წმიდა” (ორბელიანი 1991: 145). “განწმენდა” ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც “განბიწება”, “უმწინკულობა” (უმწიკვლოება), გასუფთავება, წინადაცვეთა, აგრეთვე, გაწმენდილი, გასუფთავებული, შეწირული, წმიდა (აბულაძე 1973: 79). მოცემულ შემთხვევაში “განწმენდა” რელიგიურ და საკრალურ მნიშვნელობას იძენს და უფრო გულისხმობს შეწირვას განწმენდისთვის, რასაც ადასტურებს “მოქცევაჲ ქართლისაჲ” და “ქართლის ცხოვრების” ძველი ნუსხები.

სულხან-საბა ორბელიანი ზემოაღნიშნულ მტვერს (მტვერი) განმარტავს, როგორც “მიწა ფქვილივით” (ორბელიანი 1991: 524). ბუნებრივია, აღნიშნული რიტუალის შესრულების შემთხვევაში ფერფლი იგულისხმება, რომელსაც სახელოვანი მეცნიერი “ნაკვერცხლის ნაცარს”<sup>13</sup> უწოდებს (ორბელიანი 1993: 189), საკუთრივ ნაცარს კი განმარტავს, როგორც, “ცეცხლი დამიწებული” (ორბელიანი 1991: 584). ფერფლის, ნაცრის მოფრქვევა ღვთაების თავზე მიუთითებს ნაცრით მიწის განოყიერების მისტერიას უკეთესი მოსავლისათვის. თითქმის ყველა მიწათმოქმედი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში, თანამედროვე პერიოდშიც კი, გამოიყენება მიწის გამდიდრებისთვის ნაცრის მოყრა. ზოგიერთი მათგანი კი, გადაწვის შემთხვევაში, მიწას ასვენებდა კიდევ, რომ უკეთესი ნაყოფი და ბალახი ამოსულიყო. როგორც ცნობილია, ნაცარი, რომელიც შეიცავს კალიუმს, ფოსფორს, ბორს, მაგნიუმს, გოგირდს და სხვა მიკროელემენტებს, იყენებდნენ როგორც კალიუმის სასუქს ყველანაირი ნიადაგის გასანაყოფიერებლად. იგი მუავიანობას ამცირებს ნიადაგში და ხელს უწყობს მარცვლეული კულტურების გამოკვებას. ნაცარი ნიადაგში შეაქვთ გაზაფხულზე და შემოდგომაზე. თუ მიწა

<sup>10</sup> შდრ. აბრაამი და ისააკი

<sup>11</sup> შდრ. შუმერულად ცეცხლის ღმერთი „გირუ“ (კიენაძე 1984: 20).

<sup>12</sup> წმინდად ითვლებოდა კერაში დანთებული ცეცხლი და იქ რაც იწვის ბარაქიანობის შემცველია. ბარაქიანობას უკავშირდება, ასევე, კერის ნაცარი. ჩრდილო კავკასიაში ნაცრის გორები იდგმებოდა, რაც უფრო მეტი იყო ნაცრის გორა, მით უფრო ჩაუქრობელი იყო იმ ოჯახის კერა. ჩრდილო კავკასიური მასალიდან ძალზე საინტერესოა ლაქების სოფელ ურში ჩატარებული რიტუალი, რომლის მიხედვით, ისინი ერთად მოგროვილ შეშას სოფლის განაპირას მაღალ ადგილას წვავენ, დარჩენილ ნახშირის ნატეხს ყველა ოჯახი წაიღებდა, რომ ნაყოფიერება და სიუხვე არ მოკლებოდა. საინტერესოა, აგრეთვე, სვანურ ყოფაში „ლამარიაში ტაბლასის“ გაცრის შემდეგ ქატოს დაწვა და „მიწის ლოცვის“ სარიტუალო პურის ნამცეცების კერის ცეცხლზე დაბერტყვა. სვანეთში „ლიფანალის“ დღესასწაულზე წყალში გახსნილი წმინდა ფქვილისა და ნაცრისგან ხატავდნენ ადამიანთა, ცხოველთა და მნათობთა ასტროლოგიურ ნიშნებს და ნახატებს. ეს რიტუალი (მიცვალებულთა სტუმრობა და გაცილება) ბუნების კვლავ აღორძინების მოტივს მოიცავდა.

<sup>13</sup> შდრ. მეგრული „ნოცარ“

ტენიანია, მაშინ მას ფარცხვის დროს იყენებენ. გაზაფხულზე კი შეაქეთ ხნულში აოშვის<sup>14</sup> დროს (ქსე 1984: 339).

თუ გავითვალისწინებთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას, რომ აზომ გაცი და გაიმს „ათაყვანა სრულიად საქართველოსანი“ და ისინი ქართველთა უძველეს თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენდნენ, მაშინ ბუნებრივია, იგი მთელ მაშინდელ ქართლის სამეფოში იქნებოდა გავრცელებული, ასევე, დასავლეთ საქართველოშიც, რომელიც ფარნავაზის მეფობის დროს ეგრისის საერისთავოს სახით ექვემდებარებოდა ქართლის მეფეს. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი გარდაბნის საერისთავოს ცენტრს „მტუერის ციხე“/ხუნანს „ალიზით ნაშენი ციხის“<sup>15</sup> გარდა უწოდებს „*მოხრაბერდ*“ (მოხრაბერდ), რაც „ნაცრის ციხეს“ ნიშნავს. ეს სახელწოდებები მიუთითებს, რომ ხუნანი მიწასთან და სამიწათმოქმედო პროცესებთან დაკავშირებული ტოპონიმია<sup>16</sup>. არ გამოვიციხავთ, რომ განსახილველი კერპები ხუნანის საერისთავოს (გარდაბანი) ცენტრშიც მდგარიყო და, სამიწათმოქმედო სამუშაოებიდან გამომდინარე, თაყვანისცემის ობიექტიც ყოფილიყო. „მტუერისა“ და „ნაცრის“ მიმართება ერთ ტოპონიმში ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ზემოაღნიშნულ რიტუალთან დაკავშირებით.

ამგვარად, ჩვენი ინტერესის სფეროა „გა/გაიმი“, რომლის შესახებ სხვა ინფორმაცია თითქმის არ შემორჩენილა უძველეს ქართულ ფოლკლორში. თუმცა, „გა/გაიმს“ შეიძლება უკავშირდებოდეს სვანურ ყოფა-ცხოვრებასა და ფოლკლორში შემორჩენილი ზოგიერთი საკითხი. სვანურმა ტომებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ქართველთა ეთნოგენეზში მიიღეს საერთო ქართველური კულტურული ფასეულობები, რაც გულისხმობდა ერთიან რელიგიურ სისტემას და მენტალობას. მოგვსენებათ, სვანურმა ფოლკლორმა შემოინახა ის უძველესი ქართული შრეები, რომლებიც საქართველოს ბარის რეგიონებში უკვე დაკარგულია.

„გა“, „გი“, „გამ“, „გიმ“, „გემ“ („გუმ“) ძირით ძველ ქართულ და ქართველურ ენებში აღინიშნება მიწა და მასთან დაკავშირებული, მისგან აღმოცენებული საგანთა სახელწოდებები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სვანურად „გიმ“ მიწას ნიშნავს, მაგ: „დეც ი გიმ“ – „ცა და მიწა“; „ჰაში გიმ“ – „მსუბუქი მიწა“; „გიმ-მეგემ“ – „მიწაც და მცენარეც“ (დავითიანი 1973: 27, 32, 147, 200). ასევე, საინტერესოა, რომ ძველ ქართულად „ქიმ“ წიადს ეწოდება<sup>17</sup>. მეგრულად „გიმე“ ნიშნავს „ქვევით“, რაც ასევე მიწისკენ, წიადისკენ მიმართულებას გულისხმობს. „გიმს“ უკავშირდება მეავე წყლის სვანური სახელწოდება „ზგიმ“, რომელიც მიწის წიადიდან ამოსულ წყალს ნიშნავს. „გიმ“ მეგრულად ეწოდება ასევე, ჭაში დამაგრებულ თიხის ფილას, მიწა რომ არ ჩაყრილიყო. ასევე, ძველ ქართულად „გკმი“, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ჯურღმულის თორნე წყალთათვის, ანუ თორნე ჭის წყლისა“ (ორბელიანი 1991: 161). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც აღნიშნულია, რომ მეგრული „გიმ/გემ - გიმე/გემე-ე „ქვევით“ და სვანური „გიმ“ – „მიწა“ ერთმანეთს „კანონზომიერად შეესატყვისება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 145). ზემოაღნიშნულ „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში მოხსენიებული ღვთაების სახელწოდება „გიმ“-იც მიწას

<sup>14</sup> სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, აოშვა ნიშნავს: „კნულის მეორედ გარდაკვნა, მეორედ საკვნელით გარდათხრა, მეორედ მოკვნა“ (ორბელიანი 1991: 58).

<sup>15</sup> სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, ალიზი „გამოუწვავ აგურს“ ნიშნავს (ორბელიანი, 1991: 46). „ალიზი“ მიწის ერთ-ერთ სახეობად არის აღქმული, რომელიც ციხის ნაგებობას უკავშირდება. თურქული სახელწოდება „თოფრაქყალა“, სადაც მიხნეულია ხუნანის ციხის არსებობა, ასევე, ალიზით ნაგებ ციხეს ნიშნავს და ისიც უკავშირდება მიწას.

<sup>16</sup> იგი უნდა უკავშირდებოდეს „ხუნა“-ს („კუნა“-ს), რომელიც სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, „ხუნა“-ს („კუნა“-ს) ნიშნავს (შდრ. „მოხნული“, „ხნული“, „მოკვნა – მოერქვნა“ (ორბელიანი 1991: 516). იგივე ძირი, მცირე ფონეტიკური განსხვავებით, შენარჩუნებულია მეგრულ ენაში: „ხონუა – მოხვნა“, „ხონილი – ხნული“, სვანურში – „ლიხნი“-მოხვნა. „ხუნანი“ „ხუნა“-ს მრავლობითი ფორმაა (შდრ. აგარა – აგარანი). შესაბამისად „ხუნანი“-ს ამ მნიშვნელობას შეესაბამება და აღბათ უკავშირდებოდა „აგარაკი“-ს (დაბა, ყანა, ველი) მნიშვნელობა, რომელიც აგარაკ-ხუნანის ეპარქიას ერქვა.

<sup>17</sup> შდრ. შუამერულად „ქი“ – მიწა. ამ მხრივ, პარალელები შესაძლოა ხეთურშიც ვეძებოთ, რადგან ხეთურად „გიმმარა/კიმრა“ მინდორს, ველს, ბუნების წიადს ნიშნავს. არ არის გამორიცხული, რომ იგი ხათურიდან შესულიყო ხეთურში.

უკავშირდება და მასში მიწის ქაღალდობა იგულისხმება. მიწასთან დაკავშირებით, საინტერესოა, აგრეთვე, ძველი ქართული სიტყვა “გამანაგი”<sup>18</sup>, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ერთი დღის ნახნავს ნიშნავს (ორბელიანი 1991: 131), ანუ ერთ დღეში მოხსნული მიწა, დღიური მიწა, რომელიც მოსახნავი მიწის ნაწილად იგულისხმება. არ არის გამორიცხული, რომ ხვნის დაწყების პირველ დღეს მოხსნულ მიწას საკრალური მნიშვნელობაც ჰქონოდა, რომელზეც საკრალურად და-მოკიდებული იქნებოდა ხვან-თესვის შემდგომი პროცესი და მიწის ნაყოფის სიუხვე.

ასევე, ყურადღებას იპყრობს სვანური სიტყვა “ლაგამ”, რომელიც ერქვა მიწაში ხვრელს, სა-დაც ლამარიას სახელზე გამოცხვარი მიწაში შესანახი კვერის, “ლეშხენის“, შენახვა ხდებოდა (სვანეთი 1977: 34) (იხ. ქვემოთ). ამასთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესოა ხეთური სიტყვა Gam, Gam-an, Gam-anta (შდრ. Katta/Kattanda), რაც ნიშნავს ქვევით, ქვევითკენ, დაღმა (ტატიშვილი 2009: 47). ასევე საინტერესოა, Kattera – „ქვედა, ქვემო მიწისქვეშა, ხოთონური, დაბალი, დაბლა მდგომი“, რომლის ეკვივალენტიცაა Gam-ra (ტატიშვილი 2009: 41)<sup>19</sup>. მოცემული მასალის საფუძველზე ლა-გამ მიწასთან, მიწისკენ, მიწის წიაღთან დაკავშირებული სახელწოდებაა. ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მასში მიწის ღვთაებაც და მასთან დაკავშირებული რიტუალიც ვიგულისხმეთ. „ლა“, ამ შემთხვევაში სვანური პრეფიქსია რომელსაც ქართული „სა“ შეესაბამება, „გამ“ კი გუ-ლისხმობს ქვემოთ მიწისკენ, მიწის წიაღში. ამ ხვრელთან შესრულებული რიტუალიც იგივე დატ-ვირთვისაა. თუ გავითვალისწინებთ მკვლევართა მიერ არაერთ მეცნიერულად დასაბუთებულ კონ-ცეფციას ქართველური ენების ნათესაურ კავშირთან დაკავშირებით ხათურ ენასთან, შესაძლებე-ლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სვანური “ლა-გამ” და ხეთური „გამ“ მიწისკენ, მიწის წიაღისკენ მნიშვნელობასთან მიმართებაში ქართულ/ქართველური ენებიდან იგივე მნიშვნელობით, ხათური ენის მეშვეობით გავრცელდა ხეთურში. ამ სიტყვის მნიშვნელობა კი რელიგიური და საკრალური გაგებით მხოლოდ ქართულმა და სვანურმა შემოინახა<sup>20</sup>.

როგორც ცნობილია, ხეთური ეთნოსის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა არაინდოევრო-პელმა ხათებმა (პროტოხეთები), რომელთაც ცენტრალურ ანატოლიაში სამხრეთიდან შემოჭრილი ინდოევროპული (ხეთურ-ლუვიურ ენებზე მოლაპარაკე) ტომები შეერივნენ. ამ ეთნოსმა გააგრძელა ხათების კულტურული ტრადიციები. მართალია, ხეთების სამეფოს ენა ხეთური (ნესიტური) იყო, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახის ანატოლიურ ქვეჯგუფს (ხეთურ-ლუვიური ენები) ეკუთ-ვნის, მაგრამ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ მან მცირე აზიის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეო-ბის ხათურის ენის, როგორც სუბსტრატული ენის, დიდი გავლენა განიცადა. ხეთურ ენასა და ლი-ტერატურაში პროტოხეთურის გავლენა ჩანს როგორც ლექსიკის, ასევე მითოლოგიური ლიტერატურ-ის მხრივ. “ხეთური ღვთაების რამდენიმე უმთავრეს ღვთაებას ხათური სახელები ერქვათ და მათ, როგორც წესი ხათურ ენაზე მიმართავდნენ ხოლმე. ხათური დღესასწაულები სანიშნოდ გამოიყე-ნებოდა ხეთური ხანის ადრეული რელიგიური კულტებისათვის, ხოლო ადრეული ხანის ხეთური ოფიციალური ღვთისმეტყველება ხათური მითების შემწეობით გადმოიცემოდა... ხეთების მეფეების ხათუსილ I-ის და მისი მემკვიდრეების ზეობის სახელწოდებები ხათური იყო და არა ხეთური”

<sup>18</sup> შდრ. ქართული ენის დიალექტებში „ნაგ“ ფუძით სიტყვები, რომლებიც ასევე უკავშირდება ხვნას. მაგ.: ლკრიბულ დიალექტზე „ნაგორ“-ი ნიშნავს „ღამის ენის გასათოხნ ნაწილს“, „ნაგულ“-ი ერთი მნიშვნელობით, „კვლებს შორის მოუხნავი მიწა“ (დლონტი 1984: 402). ასევე, „ანაგი/ანაგა“ მრავალი სოფლის სახელწოდებაა საქართველოში.

<sup>19</sup> მიწასთან, მიწის წიაღთან დაკავშირებული ხეთური სიტყვებიდან ასევე მნიშვნელოვანია La-gaggari/Laggari – მინერალი; Lagant – „მოხრილი, მიწაზე გართხმული“ (გადატანილი მნიშვნელობით - მორჩილი); Lalatta – „დღესასწაულის სახელწოდება, ახასიათებს მინდორს“ (ტატიშვილი 2010: 17), ასევე Mamma – „მიწისქვეშა ღვთაებათა ეპითეტი“ (ღურსმული ლუვიური ხეთური კონტექსტიდან) (ტატი-შვილი 2010: 44); Aggala – ხნული (aggala penna – ხნულის გაყვება) (ტატიშვილი 2006: 24).

<sup>20</sup> საყოველთაოდ არის ასევე ცნობილი, რომ მეცნიერთა ნაწილი მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ხათურ ენასთან გარკვეულ ნათესაობას ამჟღავნებს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიგური და ქართველური (განსაკუთრებით სვანური) ენები. ფიქრობენ, რომ წინარე ქართული უფრო ახლოს იდგა ხათურთან. უფრო მეტიც, ზოგიერთ მეცნიერს (ქრ. გირბალი, შ. გაბესკირია) ხათური წინარექართულ ენად მიიჩნია, ხათები კი ქართველთა წინაპრებად.

(ქავთარაძე 2009 (ბ): 98)<sup>21</sup>. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ გა/გაიმის კერპის ფესვები საერთო ქართველურის დონეზე უნდა ვეძიოთ, როდესაც წინარე ქართული ენა იყო ქართველური მოდგმის ხალხის კულტმსახურების ენა.

სვანურად, მიწიდან აღმოცენებულ მარცვლეულის (შდრ. “შეგემ“-მცენარე) შესანახ ნაგებობას “გუემ/გემ”<sup>22</sup> ეწოდება, სადაც სპეციალურ კიბობანში “ლამარიაში ტაბლაში” იყო შენახული. ეს გახლდათ საუკეთესო ხარისხის ხორბლის ფქვილი, რომელსაც ახალი წლისა და ზამთრის დღეობებისთვის იყენებდნენ.

სვანური ფოლკლორიდან გა/გაიმს უკავშირდება სვანური საკულტო სიმღერა „გა“, რომელიც ჩაწერილია სოფელ ეცერში. ვ. ახოზაძის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, “სვანურ საყოფაცხოვრებო, ისტორიულ და საწესწევულებო ხასიათის ხალხურ სიმღერებში ნათლად არის ასახული ამ კუთხის ისტორიული წარსული” (ახოზაძე 1957: 8). სვანურ ფოლკლორში, რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად, წმინდანების სახელით უძველესი ხალხური ღვთაებები იგულისხმება და ქრისტიანულს უფრო წარმართული ელემენტები სჭარბობს. სვანური სიმღერები “დაკავშირებულია არა მარტო ქრისტიანულ უქმე დღესასწაულებთან, არამედ წარმართული დროის უძველეს ხალხურ ღვთაებებთანაც” (ახოზაძე 1957: 9). „გა“-ს საგალობელი სანოტო სისტემით 1957 წელს გამოსცა ვ. ახოზაძემ “ქართული (სვანური) სიმღერების კრებულში”, რომლის შედგენაშიც მონაწილეობას იღებდა ალ. დავითიანიც. კრებულში მინიშნებულია, რომ სიმღერა ჩაწერილია ტექსტის გარეშე (ახოზაძე 1957: 174). ამ გამოცემის მიხედვით, გარკვეული ასო-ბგერები ნოტებს შემდეგნაირად მისდევს: ჰო, ა-უ, ჰა-ა, ჰო (მეორე ხმაში ჰო იაა), ია, იაა (მეორე ხმაში იაი), ჰე ი, ჰაჲ ჰაჲ ია, ია ია, ა| ა-უ, ია ჰა, ო (მეორე ხმაში ო ია), ა (მეორე ხმაში ა ა), იაი, იააო (მეორე ხმაში იაო), აა ჰო, ჰო ი, ია, ია, ი-ო, ჰო ი, ი-ა ი-ა, ა, ვა-, ა (მეორე ხმაში ა ჰა), ი-აა, ეი, ო (ახოზაძე 1957: 151).

ალ. დავითიანის ცნობით, „გა“, რომელიც სრულდებოდა მიწის ნაყოფის სიუხვისთვის, ჰიმნი ქალის შვილიერებასაც უკავშირდებოდა. „გა საკულტო სიმღერაა. მას მიწის ნაყოფიერების სიუხვისათვის ასრულებენ. ეს ჰიმნი ბოლო დრომდე დაცული იყო ეცერის ხევში. ტრადიციულად მას ასრულებდნენ მულტურა-მნათეები, რომლებიც თავს იყრიდნენ აღდგომის კვირაში. დაბინავდებოდნენ უძველეს ეკლესიასთან და დღეში სამჯერ გარშემო უვლიდნენ მას. წინ მიუძღოდა ბუკის დამკვრელი, მეზარე ზარს უკრავდა და ჰიმნის შემსრულებელი უხუცესნი ანთებული სანთლებით გალობდნენ გას. იმავე ჰიმნს ასრულებდნენ ოჯახში სარძლოს მოყვანისას. ჰიმნი აქაც ქალის დაშვილიანებას უკავშირდებოდა და ამდენად მისი შესრულებაც სავალდებულოდ მიიჩნდათ“ (დავითიანი

<sup>21</sup> ამ ფაქტის მოწმობაა ის, რომ ხეთები თავიანთ სამეფოს „ხათი“-ს (Hatti) უწოდებდნენ (ქსე 1987: 453). ხეთურ რიტუალურ ტექსტებში ხათურ ენაზე შემორჩენილ მცირე ფრაგმენტები მოხსენიებულია, როგორც „ხათილი“ (Hattili), ხათურად შესრულებული (ქსე 1987: 415).

<sup>22</sup> სვანურად „გუემ“ – ოთახი, შდრ. ქართული „გომი/გომური“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 147). შუმერული მითოლოგიიდან საყურადღებოა შუმერული სიტყვა „გიპარ“-ი – სახლი, სადაც სრულდებოდა საკრალური ქორწინება მეფე ქურუმსა და ინანას საღვთო როსკიპს შორის, რომლებიც დუმუხისა და ინანას ღვთაებრივი ქორწინების აქტს განასახიერებდნენ. ზ. კიკნაძემ ამ სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე იგი თარგმნა, როგორც „ბედელი“ (კიკნაძე 2006: 332). მკვლევარი სწორად შენიშნავს, რომ ბედელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედი კაცისთვის, „სადაც იგი აღებული მოსავლიდან მარცვალს აუნჯებს. ეს მარცვალი კვლავ დასათესად გამზადებული თესლია; მიწის მუშაკი გადაინახავს, დასდებს თესლს ბედელში, ასევე იქცევა დედრთან შესაუღლებლად გამზადებული მამრი; მას ბედელში მიაქვს თავისი პოტენცია, იქ უნდა დაცალოს თავისი ძალა. ბედელში უნდა შეუვლდონ ერთმანეთს დედაკაცი და მამაკაცი ... მშობიარე ქალი თუ წვეს ბოსელში, ეს იმის ძალით ხდება, რომ ადრე იგი ბედელში იწვა საქორწინო სარეცელზე“ (კიკნაძე 2006: 330-331). ქართულ ყოფა-ცხოვრებასა და მითოსში მრავალი მაგალითია იმისა, რომ შეუღლება, როგორც ქორწინების საიდუმლოს მთავარი აქტი სწორედ ბედელში ხდება. მარცვლეულის შესანახი ადგილის საცრა-ლიზაციას უკავშირდება აგრეთვე, სვანურ რიტუალებში „სარიტუალო ფქვილის“ – „ლამარიაში ტაბლაში“ „უწონაშობა“, ანუ ამ ფქვილისთვის უცხოთ თვალი არ უნდა შეესწრო და მისგან გამომცხვარი ღემშირებიც არ უნდა დაენახა და არც შეაჭმევდნენ (სვანეთი 2015: 19, 21-22). ასეთი „საკრალური ფქვილი“ კი სწორედ მარცვლეულის შესანახ ნაგებობაში ინახებოდა, რომელსაც „გუემ/გემ“ ერქვა.

1960: 70). მკვლევარი „გა“-ს საგალობელს საღმრთო-საკულტო სიმღერად, ანუ ჰიმნად მიიჩნევს (დავითიანი 1960: 69).

უკანასკნელ ხანს გა-ს საგალობელი აღადგინა ანსამბლ „შგარიდას“ ხელმძღვანელმა გურგენ გურჩიანმა. იგი აღნიშნავს, რომ „გა“ უძველესი სარიტუალო სიმღერაა, რომელიც „ქრისტიანობამ შეისისხლხორცა და ყველიერის, ანუ აღდგომისადმი მზადების დღესასწაულთა აუცილებელ, სარიტუალო გალობად აქცია. ეს საგალობელი ფაგმენტ-ფრაგმენტ იქნა აღდგენილი, ხოლო ანსამბლმა „შგარიდამ“ ამ შესანიშნავ ფოლკლორულ ქმნილებას ახალი სიცოცხლე შესძინა“ (გურჩიანი)<sup>23</sup>. ავტორს მიაჩნია, რომ „საგალობელ „გას“ სარიტუალო სივრცეში შესაძლებელია განვიხილოთ „სადამების“ სხვადასხვა ვარიანტებიც: „საქორწინო სადამი“ და „საიოდეში“. საგალობელი საიოდეში ... ძირითადად ლოცავს ღვთის სუფრას, სიმღიდრეს, ბარაქას“ (გ. გურჩიანი). გ. გურჩიანს მიაჩნია, რომ გარდა ნაყოფიერებისა „გა“-ს და სადამებს აქვთ საერთო მახასიათებლები“. სვანური ხალხური სიმღერების კრებულში აღნიშნულია, „რომ სიმღერა „სადამ“ საპატრივცემულო სიმღერაა სვანებისათვის. „სადამ“ იმღერება იშვიათად. მისი შესრულების უფლება ახალგაზრდებს არ ჰქონდათ, მღეროდნენ მხოლოდ ღრმა მოხუცები. ალექსი ფილფანის გადმოცემით, სვანი თუ ღვთის გადაიხდიდა, სთხოვდა ღრმა მოხუცებს მისულიყვნენ მასთან. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ მოხუცებს „სადამი“ უნდა ეთქვათ. მოხუცები „სადამის“ მღერით მასპინძლის სახლს უვლიდნენ და ლოცავდნენ“ (ახობაძე 1957: 151). ამ კრებულში გამოქვეყნებულია, ასევე, სოფელ ეცერში ჩაწერილი სამი „სადამი“, რომელთა ტექსტი სვანებისთვისაც კი გაუგებარია (ახობაძე 1957: 146-149, 171). ამრიგად, გადმოცემიდან ვიცით, რომ გა-ს საგალობლით ღვთაებას მიწის სიუხვეს და ქალის დაშვილიანებას ევედრებოდნენ, რაც ორივე მხრივ ნაყოფიერებას უკავშირდება. თუკი წყალი და წვიმა არის ფალოსური ბუნების, რომელიც ანაყოფიერებს მიწას, მიწიდან ნაყოფის აღმოცენება სემანტიკურად მშობიარობასთან და დაბადებასთან ასოცირდება. ამიტომ მიწის ნაყოფის სიუხვე და ქალის შვილოსნობა, როგორც საკრალური განაყოფიერების შედეგი, შინაარსობრივად თითქმის ერთია და ამიტომაც მიმართავდნენ ორივე შემთხვევაში „გა“-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გა-ს საგალობელს აღდგომის კვირაში ასრულებდნენ, მაშინ ლოგიკურად, ზემოაღნიშნული რიტუალიც ფერფლის კერპზე მოყრასთან დაკავშირებით, ადრე გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო, რაც ბუნებრივია მიწის განოყიერებას და მისი ნაყოფის სიუხვეს უკავშირდება.

„გა“-სთან დაკავშირებული რიტუალები, სამწუხაროდ, სვანურ ფოლკლორშიც აღარ არის შემორჩენილი, თუ არ ჩავთვლით ზემოაღნიშნულ ინფორმაციას. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ იგი ფუნქციურად მიწის ნაყოფიერების მფარველ რომელიმე ქალღმერთს შეერწყა. სვანურ დღეობათა კალენდარში მიწასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული რიტუალები უკავშირდება ქალღმერთ „ლამარიას“<sup>24</sup> სახელს, რომელიც მარცვლეულის ნაყოფიერების ქალღმერთია, იგი ასევე, მეწველი საქონლისა და ადამიანთა მფარველიცაა. სვანური ფოლკლორული მასალის მიხედვით, ახალი წლის ციკლის, ე.წ. „იარუნენსგას“ პერიოდში ქალების სალოცავ ხუთშაბათ დღეს – „დადუარე ცააშ“ (დედლების ხუთშაბათი) - ქალების მიერ ლამარიას სახელზე სრულდებოდა „საქალეო ლიმზიერი“, რომელშიც მხოლოდ ქალები იღებდნენ მონაწილეობას. მამაკაცები ამ დღეს სვირში ტოვებდნენ ქალებსა და გოგონებს. ისინი ოჯახის დიასახლისის ნიგეზიანი და ყველიანი ღემზირების გამოცხობაში ეხმარებოდნენ. დიასახლისი მარჯვენა სარკმელთან დაილოცებოდა: „დიდება მოგვსლოდეს ლამარია დედლებისას, გენუკვით ადამიანის მშვიდობას, წლის სიკეთეს, რაც ადამიანისთვის კარგი იყოს, იმას ნურაფერს დაგვაკლებ, მადლი გექნება“ (ბარდაველიძე 1939: 63). ქალების სალოცავ ხუთშაბათ დღეს ლენჯერში, მულახსა და სოფელ ხალდეში (კალა) კი

<sup>23</sup> ციტირებულია გ. გურჩიანის მოხსენებიდან „ტრადიცია-ეროვნული საგანძური“ (ინახება ფოლკლორის ცენტრში).

<sup>24</sup> შდრ. აღმოსავლეთ საქართველოს მთის კიდეებზე (მთიულ., გუდამყრ., თუმ.) „მარ“-ი ერთი მნიშვნელობით ნიშნავს „მიწის ზგავს“ (შდრ. სა-მარ-ე/დასა-მარ-ება) (დლონტი 1984: 344). სახელწოდება „ლამარია“ ივ. ჯავახიშვილმა ღვთისმშობელს დაუკავშირა, თუმცა მასში, შესაძლოა, ლაგამის მფარველი ღვთაება „ლამარიც“ იგულისხმებოდეს. შუმერულ/აქადური „ლამა/ლამასუ“ ადამიანთა მფარველი და დამცველი კეთილი ქალღვთაებაა, რომელსაც უკავშირებენ პლაცენტის კულტსაც (სვანეთი 2015: 20).

“დარნესგა ცააშ” (იარუნენსგას ხუთშაბათი) ეწოდებოდა. “ოჯახის დიასახლისი ოჯახში დატოვებულ ქალებთან ერთად ლამარიას სახელზე გამომცხვარი ლემზირებით “გიმი ლიმიზირს” შეასრულებდა, რაც მიწის ღოცვას ნიშნავს: “დაიხოქებდა კა-კერის წინ, ღვთაებას შეევედრებოდა, ოჯახის ბარაქას ნუ მოგეაკლებო და შესწირავდა ლამარიას სახელზე გამომცხვარ ლემზირებს. დანარჩენი ქალებიც მის ახლოს ჩუმად მდგომნი ღოცულობდნენ და ლემზირებს იქვე შეჭამდნენ. მულახში აღკვეთილი იყო შეწირული ლემზირების მამაკაცებისთვის ჩვენება“ (ბარდაველიძე 1939: 19). ამრიგად, ლამარიას სახელზე შესრულებულ “საქალებო ლიმიზირი” და “გიმი ლიმიზირის” დროს მხოლოდ ქალები შესთხოვდნენ ღვთაებას ადამიანთა კეთილდღეობას და ოჯახის ბარაქას. ასევე, “ალაგი ლიხელეს” რიტუალშიც, რომელიც ოჯახის ბარაქისა და კეთილდღეობისათვის სრულდებოდა, გამომცხვარ სარიტუალო კვერებს (“ზენახარი”) კერის პირას მიწაში ჩაფლავდნენ. ნ. წერეთლიანი მას “მიწაში ჩასატნევე ლემზირებს” უწოდებს (წერეთლიანი 2003: 113).

ამ რიტუალების გარდა, სვანეთში არსებობდა ე.წ. “მიწის სალოცავები”, რომლებიც ასევე ლამარიას ეკლესიას უკავშირდება. ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო მკვლევარი მზია მაკალათია ნაშრომში “წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში” (სვანეთი 1977: 26-42). ამ სალოცავებშიც სარიტუალო კვერებს ღვთაებას სწირავდნენ, ბარაქას ეხვეწებოდნენ და შემდეგ მიწაში ფლავდნენ. სარიტუალო კვერების მიწაში დაფვლის, მითოლოგიურად დაკრძალვის რიტუალი სრულდებოდა უშგულში მარიამობის დღეს, რომელსაც “ლიმჯრიე” ეწოდება. ღვთაებას ამ დღეს საქონლისა და ადამიანთა მფარველობას ევედრებოდნენ. რიტუალს აქაც ქალები ასრულებდნენ. ისინი ლამარიას ეკლესიის გვერდით სპეციალურ საკულტო ნაგებობასთან ასრულებდნენ ე.წ. “ჩუბავ ლიმიზირ” (ქვევით ღოცვა). წინასწარ შეგროვილი ფქვილისა და ყველისგან ამზადებდნენ სარიტუალო კვერებს, აცხობდნენ იმდენს, რამდენი სულიც იყო ოჯახში, ერთ ზემდეტ კვერს, ანუ ლემზირს, კი სოფლის ბარაქიანობისთვის ავედრებდნენ ღვთაებას, სწირავდნენ და ფლავდნენ საგანგებო ხერელში („კოჟუღდ“), რომელიც ქვებით იყო დაფარული და კაცთათვის შეუძნეველი. მიწაში შესანახ კვერს “ლემშენი” ერქვა. ასეთი კვერი მიწაში იფვლებოდა “ჰულიშობის” დღესასწაულის დროსაც, როდესაც მიწასთან შეხებისა და ღოცვის შემდეგ მლოცველი ქალები დაიხოქებდნენ სპეციალურ ორმოსთან. ლემშენის ორმოში დებდნენ და ლამარიას სთხოვდნენ მოსავლის ბარაქას. შემდეგ კი ქვებს აფარებდნენ. ამ დღეს ლემზირებს აგზავნიდნენ ახლად დაბადებული ბავშვის და დედისერთა ვაჟიშვილის სახელზე, რომელსაც, ასევე, ღვთაებას ავედრებდნენ, ლემზირებს კი იქვე ჭამდნენ. “ლიხენის” დღესასწაულის დროსაც ლამარიას სალოცავში სპეციალურად გამართულ კერაზე ლამარიას სახელზე გამომცხვარ რიტუალურ პურებსაც ქვევით მიწას ავედრებდნენ (“ჩუბავ ხვემზირდ გიმ”) და ღვთაებას ოჯახის ბარაქას, კაცთა მშვიდობას და საქონლის სიმრავლეს სთხოვდნენ (სვანეთი 1977: 33). ამ დღეს აცხობდნენ აგრეთვე შესანახ ლემშენის სოფლის ბარაქისათვის. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ორმოს, სადაც იფვლებოდა ლამარიას სახელზე გამომცხვარი ლემშენი, ერქვა “ლაგაშ”. “იგი შემორჩენილია უშგულის სოფელ ჟიბიანის ჯგრაგის სახელობის ეკლესიის გვერდით” (სვანეთი 1977: 34). ეს წესი ქვემო სვანეთშიც სცოდნიათ, სადაც, ასევე, ლამარიას ევედრებოდნენ საქონლისა და ადამიანთა მფარველობას. “მიწის სალოცავს” ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმაც, რომელსაც იგი მდედრობითი სქესის ღვთაებად მიაჩნდა. “აღდგომიდან პირველ კვირას ჯვარდაწერილი ქალები შეიკრიბებოდნენ ღვთისმშობლის ეკლესიაში, პურის ცომსა და ყველს აიტანდნენ და ადგილზევე აცხობდნენ სამ დიდ ტაბლას, რომელსაც ღვთისმშობელს წირავდნენ, სამ პატარას კი იქვე, ოდნავ მოშორებით “ლამზირად” წოდებულ ადგილას დებდნენ, სადაც ქვებით ამოფენილი სორო იყო. სალოცავთან მხოლოდ ასაკოვანი, პატივდებული ქალები მიდიოდნენ. მუხლმოდრეკილი ღოცვის აღვლენის შემდეგ, სადაც ღვთაებას მამრობითი სქესის სიმრავლეს ეხვეწებოდნენ, სარიტუალო კვერებს სოროში დებდნენ და დიდ ღოდს გადააფარებდნენ, რაც ამ კვერების დაკრძალვას ნიშნავდა. დანარჩენი ქალები მათ მოთმინებით ელოდებოდნენ. რიტუალის დამთავრების შემდეგ ერთმანეთს ულოცავდნენ “მიწის სალოცავის ღოცვას” (ჯავახიშვილი 1979: 131).

მიწის ბარაქიანობას და მოსავლის სიუხვეს აღმოსავლეთ საქართველოში ადგილის დედას ევედრებოდნენ. იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიურ სივრცეში გავრცელებული ღვთაება იყო, რომელსაც ყველგან სათანადო პატივს მიაგებდნენ. მის მიმართ რიტუალები ადრე გაზაფხულზე ტარდებოდა, რაც მიუთითებს, რომ ადგილის დედა აგრარული კულტი იყო. თუმცა, მიწათმოქმედების და მესაქონლეობის სიმბოლური განვითარების შედეგად, ხალხის რწმენით ადგილის დედა სოფლის საქონელსაც მფარველობდა, ამიტომ მას ნათავედ ნაღებს, კარაქისა და ერბოსგან გაკეთებულ ქაღებს სწირავდნენ და პირველ მოგებულ პირუტყვსაც უკლავდნენ (შდრ. პირველი პირმშოს შეწირვა). ქრისტიანობის მიღების შემდეგ კულტი ღვთისმშობელს შეერწყა, რასაც ადასტურებს ხევსურული ფორმა “ადგილის ხთიმობელი”.

მიწა, როგორც ღვთაების პერსონიფიცირებული სახე, იღებს შესაწირს, ღვთაებრივ ნაყოფს, ნაყოფიერების სიმბოლური გამოხატულების ყველისა და ფქვილის სახით, სადაც მცენარეული და ცხოველური საწყისები იგულისხმება (შდრ. ინანას ეპითეტები: “ველის დედოფალი“, “მიდვრის იმთარი“, “მსუყე ერბო“, “მსუყე ნაღები“). მიწის წიაღში<sup>25</sup> დაბრუნება კვლავ აღმოცენების და დაბადების საწინდარია. ყოფა-ცხოვრებაში მისი გამოხატულება ბედელში, ან სვანურ გუემში მარცვლეულის შენახვა, რომელიც სიმბოლურად არის მიწათმოქმედების და მარცვლეულის მფარველი ქაღვთაების უბეწიადი (შდრ. მიწის წიაღი), სადაც თესლი, სიცოცხლის კვლავ აღორძინების მოტივის მთავარი ატრიბუტი ინახება. მითოლოგიურად ქორწინების დროს შეუღლება და მიწის განაყოფიერება ერთი და იგივე საკრალური აქტია, ანუ “საკრალური ქორწინების“ სხვადასხვა გამოხატულება, სადაც ინახება, აღმოცენდება და იბადება ახალი სიცოცხლე. განაყოფიერების შეწყვეტა უნაყოფობას, ბერწობას იწვევს, რაც “საკრალური სიკვდილის“ ტოლფასია. წინარე ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ღვთაებას შეწირული მსხვერპლი სიცოცხლის კვლავ დაბადების საწინდარია.

რატომ ეხვეწებოდნენ მარცვლეულის მფარველ ღვთაებას მამაკაცთა სქესისა და საქონლის გამრავლებას? სვანეთში, მიუხედავად იმისა, რომ მიწის სიმწირე იყო, მეურნეობის ორივე დარგი – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა სიმბოლურად ვითარდებოდა, რადგან მიწის მოხვნა და განაყოფიერება დამოკიდებული იყო გამწვევ ძალაზე. ეს ყველაფერი ზედმიწევნით არის შენარჩუნებული როგორც მიწის დამუშავების საყოფაცხოვრებო წესებში, ასევე ხალხურ დღესასწაულთა რიტუალებშიც. მაგ.: “ლამარია ლილაშუნეს“ (თესლობა) დღესასწაულის დროს აცხობდნენ – პურისა და ფეტვის თავთავეების, გამწვევი ძალის (მხენელი და მფარცხავი ხარები) გამოსახულებით რიტუალურ კვერებს. ხარის თავყანისცემას, რომელიც ზოგადად დამახასიათებელია ქართველთა მონათესავე კულტურებისთვისაც, განაპირობებდა როგორც გამწვევი ძალის ფუნქცია, ასევე ბუღას ძალა და გამნაყოფიერებელი ფუნქცია გადაჯაჭვული იყო ნაყოფიერებასთან. იგივე დატვირთვით ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მამაკაცის როლს და ფუნქციას სვანურ და არა მარტო სვანურ საზოგადოებაში.

მითოლოგიურად ასევე ტოლფას საკრალურ აქტად ითვლება მშობიარობა და მიწის ნაყოფის მოცემა. ამიტომ მათ ნაყოფიერებას და სიუხვეს ერთნაირად ეხვეწებოდნენ ღვთაებას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ სვანური საგალობელ გა-ს შესრულებით ამ მოტივით მიმართავდნენ ღვთაებას, თუმცა მისი სახელით რიტუალი აღარ არის შემორჩენილი. სვანურ მითოლოგიაში ამ მხრივაც სა-

<sup>25</sup> შუმერული სიტყვა განუნი მკვლევარებს განმარტებული აქვთ როგორც „წყვდიადის სახლი“, „დედის წიაღი“, „კოსმიური საშო“, საიდანაც ჩნდება ნათელი. ზ. კიკნაძის სწორი შენიშვნით, „ეს წყვდიადი ისევე ღვთაებრივია, როგორც მისგან გამოტყვევებული ნათელი“ (კიკნაძე 2006: 99). ანუ წიაღიდან იბადება სიცოცხლე. მითოლოგიურად ამ ფაქტს შეიძლება შევადაროთ მზის ამოსვლა, ანუ ყოველდღიური დაბადება, რომელიც შუმერულად შემდგენილია გამოითქმის: „უთუ-გან-უნ-გი-ა“ – „მზე განუნიდან დაბრუნებული“ (კიკნაძე 2006: 99). როგორც ცნობილია, მიწის წიაღში, დედის საშოში ხდება ჩასახვის საიდუმლო. ზ. კიკნაძე განუნიად მიიჩნევს ადგილს, სადაც მოხდა პირველჩასახების მისტერია. „ამ კოსმიურ ბედელთან, რომელიც ჩვენთვის ცნობილი გიპარის სინონიმად უნდა ვცნოთ, „ინანას დიდი ასული“ გაიგივებული; მასში, როგორც დოვლათის სახლში, ინახება მომავალი ნაყოფიერების თესლი“ (კიკნაძე 2006: 358). შუმერულ ტექსტებშიც ინანას მეტაფორული შედარებებიც ამაზე მიუთითებს: „უხვი მოსავალი ორჯერ მოწვეული“; „მორწყული ნაძვი გირჩებიანი“; „ვაშლით დახუნძლული ბაღი“; „ახალწლის ხილი, პირველმოწვეული“, მისი მკერდი და საშო შედარებულია „ყანასა“ და „გასატყხ კორდს“ (კიკნაძე 2006: 356, 356, 3660, 364).

ინტერესო სახეა ქალღმერთი ლამარია, რომელიც, ამავე დროს, მშობიარეთა მფარველიცაა. შობის დღესასწაულზე სვანეთში მიმართავდნენ “შობის ლამარიას” (“ლამარია შობაშ”). ამ დღეს ხარშავდნენ საკორკოტე ხორბალს და ამზადებდნენ კანაფის თესლისგან გამოსხილ “მუჯორს”, რომელსაც საწებელივით ხმარობდნენ. კანაფის თესლს “გიმბაშ” ჰქვია, რაც ასევე უკავშირდება მიწის აღმნიშვნელ „გიმ“ ფუძეს. სათესლე ხორბალს გადაასხამდნენ მის სითხეს და ზემოაღნიშნულ მარცვლეულის შესანახ სპეციალურ ნაგებობაში ანუ “გუემში” შეინახავდნენ, სადაც ტაბუირებული სარიტუალო წმინდა ფქვილი (“ლამარიაში ტაბლაში”) ინახებოდა ლამარიას სახელზე და მისგან გამომცხვარი ლემზირებიც ტაბუირებული იყო. სათესლე ხორბალს, მუჯორსა და ლემზირებს დიასახლისი “შობის ლამარიას” შესწირავდა. ქვემო სვანეთში საკორკოტე ხორბალს “ჭანტი” ეწოდებოდა, ამ დღეს კი “ჭანტილობა”, ლამარიას სახელზე გამომცხვარ კვერს კი “ლამარია შღვგენე”, რომელიც რიტუალში მონაწილე ქალების აზრით, ლამარიას ხელდასხმული იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლამარიას კვერს და ჭანტის ნაწილს დიასახლისი ბელელში გაიტანდა და ქალღმერთს ბარაქას ვეგდებოდა. ასევე საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქვემო სვანეთში ჭანტს მშობიარე ქალსაც უკეთებდნენ. გვიანდელ ეთნოგრაფიულ ჩანაწერებში ფიქსირდება “დაბადების ლამარია” (“დაბდაბა ლამარია”), რომელსაც მშობიარე ქალისა და ახლად დაბადებული ჩვილის ბედნიერებას შესთხოვდნენ (წერტილიანი 2003: 94). მას უცხოებდნენ სპეციალურ კანაფისგულიან რიტუალურ პურს, რომლის პირველ ნაჭერს მოლოგინებულ ქალს შეაჭმევდნენ. როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული პროცესები ერთმანეთთან საკრალურად იყო დაკავშირებული და ამ პროცესების კეთილად წარმართვას ქალღმერთ ლამარიას ეხვეწებოდნენ. ამ რიტუალში ყურადღებას იმსახურებს კანაფი, რომელიც ქართულ ფოლკლორში ბუნების აღორძინების დიდი ქალღმერთის ერთ-ერთი მცენარეული სახეა (ქუთათელაძე 2012: 139). დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებშიც მშობიარობასთან დაკავშირებული რიტუალები სემანტიკურად უკავშირდებოდა მიწას და, მასთანადავე, დედამიწის დიდ ქალღმერთს. მშობიარობა აუცილებლად მიწაზე უნდა განხორციელებულიყო. მშობიარეს უგებდნენ თივას. აფხაზეთში მშობიარეს ხორბალს და სხვა მარცვლეულს მოაბნევდნენ. გურიაში, მშობიარობიდან მერვე დღეს, ბებია ქალი მიწაში ამოთხრიდა რამოდენიმე ორმოს და მასში დებდა სანათელ-საკმეველში არეულ პურის გულს, რომელსაც ქათმის ბულიონს და ღვინოს ასხამდნენ. ამის სანაცვლოდ ღვთაებას მელოგინეს ჯანმრთელობას ეხვეწებოდნენ. როგორც ვხედავთ, მშობიარობა ისეთივე მისტერია იყო, როგორც მიწიდან ნაყოფის ამოსვლა, რომელსაც ბუნების დიდი დედა განასახიერებდა.

ასტრალური სახე გა/გაიმის ქალღვთაებისა ცისკრისა და მწუხრის ვარსკვლავი – პლანეტა ვენერა-უნდა იყოს, რომელსაც ასევე, განასახიერებდნენ ამ ღვთაების ფუნქციურად მსგავსი მახლობელი აღმოსავლეთის ნაყოფიერების დიდი ქალღმერთები, როგორცაა ინანა/იშთარი, ასტარტე/ხალხის რძალი, აფროდიტე/ლაგამარი და სვანური ლამარია. იგი, ეთნოლოგიური მასალებიდან გამომდინარე, მწუხრის ვარსკვლავად არის მიჩნეული (ვ. ბარდაველიძე). ქართულ ხალხურ ფოლკლორში ღვთაების სახეა მზისა და მთვარის ასული. მზესაც და მთვარესაც მიწათმოქმედი ხალხის ცნობიერებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიწის და სიცოცხლის ნაყოფიერებისთვის.

ქართულ ხალხურ ფოლკლორში “გა/გაიმის” გამოძახილი ჩანს მზეთუნახავ “ქალ-გამას” სახელწოდებაში. იგი, ამირანის მითის ქართლური ვერსიის მიხედვით, ამირანის სატრფოს სახელწოდებაა. სხვა ვერსიებში მზეთუნახავს ყამარი (ფშაური), კამარი (კახური), თამარი (რაჭული), ქეთუ (სვანური) ჰქვია. სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილს ყურადღება არ მიუქცევია “ქალ-გამას” სახელწოდებისთვის. მან, კამარის სახელწოდებიდან გამომდინარე, ამირანის სატრფო დაუკავშირა ბაბილონურ და ელამურ ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ “ლაგამარ“-ს, რომელიც ელამიტურ მითოლოგიაში აფროდიტედ ითვლება (ჯავახიშვილი 1979: 194). მას „ლა“ სახელის თავსართად, “გამარ“ კი კამარ-ყამარის ეკვივალენტად მიაჩნდა.

გ. მელიქიშვილი ამირანის მითს გილგამეშის მსგავს მითად მიიჩნევდა, სადაც მოხსენიებულ ყამარს ქალღმერთ იშთარის ვარიაციად თვლიდა (Меликишвили 1954: 123-124). იგი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომელმაც ყამარი ელამიტელთა ღვთაებას “ლაგამარს” დაუკავშირა. მკვლევარი მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ელამიტელთა “ლაგამარი” ასე შე-



ვიდა ქართულში, შემდეგ კი „ლა“ პრეფიქსი ჩამოშორდა და დარჩა „Qamar-Gamar“-ი (Меликишвили 1954: 124). მკვლევარი იქვე დასძენს, რომ კავშირები ზაგრო-ელამურ თემებსა და თანამედროვე კავკასიის ეთნიკურ ჯგუფებს შორის არა მარტო ენობრივი გავლენით შეიმჩნევა, არამედ მითოლოგიური კუთხითაც, თუმცა, ამ მხრივ, კიდევ ბევრი სამუშაო გასაწევი (Меликишвили 1954: 124)<sup>26</sup>. ამირანის სატრფოს სახელწოდება „ქალ-გამა“ კი ზედმიწევნით ამტკიცებს ივ. ჯავახიშვილის ინტუიციას და ზემოაღნიშნული მოსაზრების სისწორეს.

მიწის ნაყოფიერების ქაღალმერთს, ბუნებრივია, უკავშირდება ახლად აყვავებული ბუნება, რომლის მაგალითები ქართულ ფოლკლორში მრავლად მოიპოვება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ მივიჩნით ძველი ქართული სიტყვა „გაგა“, რომელიც ყვავილს, კვირტს ნიშნავს, (შდრ. ხეთურად „კაკუ/გაკუ“ - მწვანელი, ბოსტნეული, ან ხილი)<sup>27</sup>. ენობრივი თვალსაზრისით, არ არის გამორიცხული, რომ მას უკავშირდებოდეს აფხაზურში შემორჩენილი ჯაჯა, რომელიც ზანურის გავლით უნდა შესულიყო აფხაზურში. ისიც უკავშირდება მცენარეულ სამყაროს, კერძოდ „აფხაზებს ნათესების მფარველად მიიჩნდათ ჯაჯი. მას წელიწადში ორჯერ აღუვლენდნენ ლოცვას – მარტში და ნოემბერში“, როდესაც მოსავალს იღებდნენ. რიტუალი ძირითადად ტარდებოდა ოჯახებში და პურეულისაგან ამზადდებდნენ სამარხო საჭმელებს (სიხარულიძე 2006: 57). საინტერესოდ მივიჩნით ძველი ქართული სიტყვა „გიზი“, რომელიც, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნიშნავს „ჩვილი ახალი მოლი“, ანუ „ჩვილი ახალი ბალახი“ (ორბელიანი 1991: 159). სვანურად „გუიზი“ მრავალკვირტიან თხილის ტოტების შეკერას ერქვა, რომელსაც რიტუალური დატვირთვა ჰქონდა ახალი წლის ციკლის „ფეხსუამ/შეხსუამის“ დღესასწაულზე. ახლად აყვავებული ბუნება, საკრალური „ბოსტნები“ და „ბაღები“ სწორედ ნაყოფიერების დიდი ქაღალმერთის კოსმიური სახეა.

ამრიგად, გა/გაიმი ინანა/იშთარის მსგავსად, ნაყოფიერების ფუნქციის მატარებელი უნივერსალური დიდი ქაღალმერთის უძველესი პროტოქართული სახეა, რომელიც ყველა ცოცხალის გამრავლებას უზრუნველყოფდა. იგი ქართულ და ქართველურ ტომთა წიადშია ჩასახული, რომელიც საზრდოს ჩვენი მონათესავე მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა მენტალობიდანაც იღებს. ამის დადასტურებაა ქართულ ისტორიულ წყაროთა, სვანური ფოლკლორის, ქართულ და ქართველურ ენათა ლინგვისტური მონაცემები და პარალელები პროტოხეთურ და შუამდინარულ კულტურებთან. წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გა/გაიმი უძველესი ქართული წარმართული პანთეონის მნიშვნელოვანი სახეა, იგი განასახიერებს მიწის ნაყოფიერების ქაღალმერთს. მის შესახებ პარალელური ინფორმაცია მხოლოდ ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა, „ქალ-გამას“ სახელწოდებამ და სვანური „გა“-ს საგალობელმა შემოგვინახა. გა კი არ არის ბერძნული გეასგან მიღებული, არამედ გეა არის ამ კულტურებიდან შესული ბერძნულ მითოლოგიაში. „გა“-ს ფუნქციები შემდგომ პერიოდში სხვადასხვა კულტურათა თანხვედრის ან რელიგიური სინკრეტიზმის შედეგად ნაყოფიერების მდებარეული ფუნქციის მატარებელ სხვა ქაღალმელებს შეერწყა. ქრისტიანულ ეპოქაში კი მოხდა მათი სახელების ტრანსფორმაცია და ჩანაცვლება ქრისტიან წმინდანთა სახელებით, როგორცაა „მარიამ წმინდის ხატი“, „მარიამჯვარი“, „ადგილის ხვთიშობელი“, „ლამარია“, „ბარბარე“. ფუნქციურად ყველა ესენი ნაყოფიერების გამომხატველნი იყვნენ, რომელთაც მარცვლეულის, საქონლის, ადამიანთა გამრავლებასა და მფარველობას ევედრებოდნენ.

<sup>26</sup> მეცნიერთა ნაწილი აღნიშნავს გარკვეულ სიახლოვეს კავკასიურ და ელამურ ენებს შორის. ამავე დროს არსებობს მოსაზრება, რომელიც ელამურ ენას დრავიდების ენას უკავშირებს (ძვ. აღმ ხალხთა ისტორია). ელამური ენა ეკუთვნის ზაგრო-ელამურ ენათა ჯგუფს. გ. მელიქიშვილი დასძენს, „რომ კავშირები ზაგრო-ელამურ თემებსა და თანამედროვე კავკასიის ეთნიკურ ჯგუფებს შორის არა მარტო ენობრივი გავლენით შეიმჩნევა, არამედ მითოლოგიური კუთხითაც (Меликишвили 1954: 124).

<sup>27</sup> რ. აბაშია ფიქრობს, რომ მეგრული „გუნგა“ – მარცვლებმოცილებული სიმინდის ტაროს ერთი ნაწილის სახელწოდება, რომელიც ჰგავს თვალის ფორმას, სიტყვა ეტიმოლოგიურად უკავშირდება თვალის გუგის სახელწოდებას (რ. აბაშია).

## ლიტერატურა:

- აბულაძე 1953: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგამანი, ქართული ტექსტი და სომხური თარგამანი გამოკვლევისათვის და ლექსიკონით. თბილისი, 1953.
- აბულაძე 1963: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. წიგნი I (V-X სს.). თბილისი, 1963.
- აბულაძე 1973: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1973.
- ახობაძე 1957: ვ. ახობაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული. თბილისი, 1957.
- ბარდაველიძე 1939: ვ. ბარდაველიძე, სვანურ დღეობათა კალენდარი. I. თბილისი, 1939.
- გელოვანი 1983: აკ. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 1983.
- დავითიანი 1960: ალ. დავითიანი, დავიცვათ სვანური სიმღერების სიწმინდე, საბჭოთა ხელოვნება. თბილისი, 1960.
- დავითიანი 1973: ალ. დავითიანი, სვანური ანდაზები. თბილისი, 1973.
- ვაწაძე 2009: ვ. ვაწაძე, იბერიის სამეფოს წარმართული ღვთაებები. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თბილისი, 2009.
- თაყაიშვილი 1906: ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ნუსხა. ტფილისი, 1906.
- კიკნაძე 1984: ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი. თბილისი, 1984.
- კიკნაძე 2006: ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია. თბილისი, 2006.
- Март 1901: Н. Я. Март. Боги языческой Грузии. СПб, 1901.
- Меликишвили 1954: Г. Меликишвили. Наири – Урарту. Тбилиси, 1954.
- Мифологический словарь 1990: Мифологический словарь. Москва, 1990.
- Мифы народов мира 1987, 1988: Мифы народов мира. Энциклопедия в двух томах. Т. I. Москва. 1987, Т. II. Москва, 1988.
- ნართები 1988: ნართები, ოსურიდან თარქმნა მერი ცხოვრებოვამ. ცხინვალი, 1988.
- ნიკოლოზიშვილი 2006: ნ. ნიკოლოზიშვილი, ქართლი ელინიზმისა და ქრისტიანობის სათავეებთან, „მოქცევაჲ ქართლისაჲს და „ქართველ მეფეთა ცხოვრების მიხედვით“/ დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2006.
- ორბელიანი 1991, 1993: სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. I. თბილისი. 1991; II. თბილისი, 1993.
- სვანეთი 1977: მ. მაკალათია, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, სვანეთი I, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის. თბილისი, 1977.
- სვანეთი 2015: ქ. ქუთათელაძე, ს. გუჯეჯიანი, სვანეთი (გზამკვლევი). თბილისი, 2015.
- სვანეთის საეკლესიო კრების მატჩანე 2011: სვანეთის ისტორიის ფურცლები. თბილისი, 2001.
- სიხარულიძე 2006: ქ. სიხარულიძე, კავკასიური მითოლოგია. თბილისი, 2006.
- ტატიშვილი 2006, 2009, 2010: ი. ტატიშვილი, ხეთურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2006, 2009, 2010.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000: პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2000
- ფოლკლორი 2008: კავკასიის ხალხთა ფოლკლორი, თბილისი 2008
- ქავთარაძე 2009 (ა): გ. ქავთარაძე, ანატოლია-კავკასიის მიჯნის ძველი ისტორიის ზოგიერთი საკითხი, სამეცნიერო პარადიგმები, კრებული ეძღვნება ნათელა ვანჩაძეს. თბილისი, 2009.
- ქავთარაძე 2009 (ბ): წარმართული იბერიის ღვთაებათა არსისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. XIII, ეძღვნება გიორგი მელიქიშვილის ნათელ ხსოვნას. თბილისი, 2009.
- ქსე 1984, 1987: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.7. თბილისი. 1984. ტ. 11. თბილისი, 1987.
- ქუთათელაძე 2012: ქ. ქუთათელაძე, „ღერწმის ქალი“. შრომები. თბილისი, 2012.
- ღლონტი 1984 - ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შემდგენელი ალ. ღლონტი. თბილისი, 1984.
- ყაუხნიშვილი 1942: ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, დასაბუჲდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ სიმონ ყაუხნიშვილის რედაქციით. თბილისი, 1942.
- ყაუხნიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხნიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955.

- ყაუხჩიშვილი 1973: ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადიხელნაწერის მიხედვით. ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973.
- წერედიანი 2003: ნ. წერედიანი, სვანურ ხალხურ დღეობათა საწელიწადო კალენდარი, კავკასიოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე. ამირანი XI (2). მონრეალი-თბილისი, 2003.
- წერეთელი 1924: მ. წერეთელი, ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა. კონსტანტინეპოლი, 1924.
- ჯავახიშვილი 1979: ივ. ჯავახიშვილი, ქართველების წარმართობა, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. I. თბილისი, 1979.

К. Кутателадзе (Тбилиси)

### Древнейшее грузинское божество «Га/Гаим», упомянутое в «Картлис Цховреба» и «Мокцеваи Картлиса» на фоне сванского фольклорного материала

В «Мокцеваи Картлиса» и «Картлис Цховреба» из древнего грузинского языческого пантеона особого внимания заслуживают «Гаци и Гаим», идолы золота и серебра, создание которых грузинская историческая традиция приписывает Азо. Шатбертская рукопись «Мокцеваи Картлиса» кроме «Гаци и Гаим» отмечает «Гаци и Га», Челишурская рукопись – «Гаци и Гаца», синская рукопись упоминает идолов, как «Гаци и Га/Гаца». Таким образом, исходя из рукописей "Мокцеваи Картлиса" (Шатбертская, Челишурская, Синская), идол нашего интереса называется «Га/Гаим/Гаца/Гацаи». Интересен и тот факт, что барана, принесенного в жертву богине Ламарин, по свански звали «Гицар» (Сванети: 2015, 20). «Гицар» должно быть это сохранившееся название божества «Га/Гацаи (тоже, что и «Га/Гаим»)), которое, в результате религиозного синкретизма, функционально соединилось с похожей богиней (см. ниже), а имя связанное с ней, сохранилось в названии жертвенного животного заменяющей богини. Впоследствии оно стало именем человека. В «Летописи Сванского церковного собрания» упоминаются «Гицар» и «Гицариани» — «упокрой боже душу Гицара», «упокрой боже душу Гицариана» (Летопись Сванского церковного собрания 2011: 180).

«Картлис Цховреба» называет только «Гаци и Гаим» и в одном месте отмечает, что оба идола были серебряными: «Азон отказался от религии данной Александром (Александр Македонский - К.К.), начал идола поклонение и создал двух серебряных идолов: Гаци и Гаим» (Каухчишвили 1955: 20). Хотя, в «Жизни Святой Нино», когда она смотрела на идола Армази, она увидела, что «...справа был золотой человек и звали его Гаци, слева стоял серебряный человек и звали его Гаим, которых народ Картли считал богами» (Каухчишвили 1955: 90). В списке «Картлис Цховреба» царицы Анны идол Гаим упоминается в форме «Гим» (Каухчишвили 1942: 55), который прямо перекликается со сванским названием земли «Гим». Леонтий Мровели «Гаци и Гаим» упоминает как идолов «древнейших богов наших предков», (Каухчишвили 1955: 106). И древний армянский перевод «Картлис Цховреба» повторяет, что «...забыл Азон религию, данную Александром и создал двух идолов, по имени Гаци и Гаим и служил им» (Абуладзе 1953: 28). Справа от Армазского идола стояло «...золотое изображение, которого звали Гаци, а слева серебряное изображение, которого звали Гаим» (Абуладзе 1953: 83). В одном месте указано «Жаци и Гаим» (Абуладзе 1953: 28). Перевод также называет «Га/Гаимаа» (Абуладзе 1953: 84).

Вахушти Багратиони добавляет, что им поклонялись во всей Грузии. Вахушти конкретизирует, что «были большие идола – золотой Гаци и Гаим серебряный» (Каухчишвили 1973: 55). Истортк отмечает, что Парнаваз воздвигнул Армазский идол «на могиле Картлоса между идолами Гаци и Гаима» (Каухчишвили 1973: 58)<sup>1</sup>. Он отмечает, также функцию и силу божеств – «владельцы Вселенной Армаз и Заден, Гаца и Гаима, отцов наших, из которых исходит свет, растения и плодородие»,....(Каухчишвили 1973: 85). Он также добавляет, что «Армаза, Гаца и Гаима, величайших богов грузин разрушила Св. Нино» (Каухчишвили 1973: 25).

Вопроса «Га» касались многие грузинские ученые. Грузинскими исследователями высказано соображение, что упомянутой в книгах ветхого завета Астарте, чье астральное лицо \_ планета Венера, в грузинском переводе соответствует божество «Га» (Март 1901: 22). «Га» не должно быть внесённым извне

<sup>1</sup> В одном месте Вахушти сперва называет Гаима, а потом Гаци — «Гаим и Гаци из золота и серебра» (Каухчишвили 1973: 78). Естественно, здесь имеет место механическая перестановка.

именем божества, а это название грузинской богини (Церетели 1924: 98). Оно создано в недрах Грузии и возможно похоже на великих богинь плодородия.

Ив. Джавахишвили обратил внимание на то обстоятельство, что в Челишурской рукописи упоминается «Гаци и Гаца». Кроме этого, ввиду того, что Еквтиме Мтацминдели в своем «Малом Законе Веры» не называет «Гаима», а упоминает только «Гаца», Ив. Джавахишвили отмечает: «Их («Гаци-Гаца») большое сходство, и то обстоятельство, что Еквтиме Мтацминдели упоминает только «Гаци», приводит к мысли о тождестве этих двух имен. Но с другой стороны, «Га» – это первичная форма или сокращенная форма, Гаци или Гацаи?» (Джавахишвили 1979: 140). И действительно, интересно, на каком основании в Челишурской рукописи «Га/Гаим» упоминается в форме «Гаца/Гацаи»? Из-за других данных источника, утверждать это невозможно, хотя можно предположить, что «Гаци» и «Гаца» не одно и то же название божества, а два корелата, выражающие плодородие – женской и мужской природы, как например: Астарт и Астарта. Не исключено, что Еквтиме Мтацминдели счел, что они похожи и воспринял их как одного идола. Хотя, форма «Га/Гаим», упомянутая в Шатбердской рукописи, наводит на мысль, что мы имеем дело с двумя идолами, изображающими функции плодородия – мужского рода «Гаци» и женского рода «Га/Гаим».

Г. Кавтарадзе высказал соображение, согласно которому под именем Гаци и Гаим, подразумеваются божества-близнецы Апполон и Артемида (Кавтарадзе 2000 (а): 115). Часть исследователей справедливо считает «Га» богиней земли, хотя, некоторые считают его названием иностранного происхождения, соответствием греческой Геи. Ак. Геловани разъясняет, что «Га» это грузинская языческая богиня, олицетворение Земли, соответствующая греческой Гее (ср. сванская Гаим, Гим-Земля) ..... По понятию обоих народов это богиня Земли: Га-Гаи-Гаим-Гим-Ге-Геа (Геловани 1983: 112). Исследователь тут же отмечает, что «Гам-Гма» и на Санскрите обозначает землю (Геловани 1983: 111). Ал. Давитиани считает «Га» термином иностранного происхождения и предполагает в нем сванское имя Гим — Земля и считает возможным, что оно связано с идолами Гац и Гаим. Хотя, они меньше внимания уделили лингвистическому материалу, где кроме названия земли сохранены и названия предметов исходящих из нее.

From Svanetian folk-lore Svanetian "Ga" is connected with "Ga/Gaim", which was performed for the fertile soil. According to Al. Davitiani this ritual was connected also with the woman's child-bearing and that is why the performing of this ritual was given to women. It is natural that with the name of Goddess fertility is connected the new nature, the examples of which are a lot in Georgian Folklore.

If water and rain are of phallic nature and which fertilize the earth, fruit which appears from the earth is connected with childbirth and birth. Therefore the plenty of fruit and child-bearing, as the result of sacred fecundation, are nearly the same by its content and that is why people applied to "Ga" in both cases. If we take into consideration that hymn to "Ga" was executed on the Easter's week, then, logically, the ritual of spilling the ashes must be happened in spring, what naturally was connected with fertility of earth and fruitfulness. Rituals, connected with "Ga", unfortunately aren't preserved even in Svanetian folklore, if we don't take into consideration said above. Everything this gives us the opportunity to think that it became one with one of the Fertility Goddesses. In the calendar of Svanetian holidays the rituals concerning earth and fertility, are connected with the name of Goddess "Lamaria", who is the deity of fertility of seed, she is also the protectress of milch cattle and even the people. In mountain dialects of Eastern Georgia (Mtiuluri, Gudamakruli, Tushuri) one of the meanings of "Mar" is "alavanvche of earth" (comp. "sa-mar-e" (grave), "da-sa-mar-eb-a" (to bury)). Iv. Javakhishvili connects the name "Lamaria" with St. Virgin, though here must be considered the protector deity of Lagashi - "Lamari". Sumerian/Akadian



"Lama/Lamasu" is the kind Goddess protecting and defending people, is connected with the cult of placenta. The deities having this function mainly had been replaced by the name of Virgin at the Christian epoch.

In East Georgia people ask Mother of Place for rich harvest. She was the deity spread not only in Georgia, but in the whole Caucasus, who was in great honour everywhere. The rituals with respect to her were held in early spring, what points to the fact that she was the agricultural cult. Though as the result of developing symbiosis of agriculture and cattle-breeding, in people's belief Mother of Place was the patroness of village cattle too, that is why the first cream, "khada"(ritual pastry) made of butter and boiled butter was sacrificed to her and the first calf was killed for her sake (comp. the sacrifice of the first child). After adopting Christianity cult one with Virgin, what is confirmed by Khevsurian form "The Virgin of place".

Earth, as the personified face of deity receives donation, deity fruit, symbolic expression in cheese and flour, where plant and animal basis is meant (comp. the names of "Inana": "The Queen of Valley", "Ishtar of field", "Nourishing boiled butter", "Nourishing Cream"). Returning into entrails of the earth is the guarantee of rebirth and reappearing. In mode of life its expression is keeping of cereals in barn or in Svanetian "Guem", which symbolically are entrails of Goddess, protecting agriculture and cereals (comp. entrails of the earth), where seed- the main attribute of regenerating of life is kept. Mythologically both marriage and fecundation of earth, are sacral acts, or different expressions of a new life. Stopping of fecundation and born what is equal of sacral death. In prechristian ideology sacrifice made to Goddess is the guarantee of a new birth.

Mythologically, the equival sacral act is delivery and taking fruitage of the earth. In Svanetian mythology there is a very interesting face of Goddess Lamaria. She is the patroness of women in child birth. On Christmas in Svaneti they applied to "Christmas Lamaria" ("Lamaria shobas"). In late ethnographical notes is fixed "Lamaria of Birth" ("Dabdaba Lamaria"), who is asked of the happiness for the woman recently confined. In this ritual we must pay attention to hemp, which in Georgian folklore is one of the plant faces of Great Goddess of nature revival. The astral face of Ga/Gaimi Goddess must be planet Venera \_ the dawn and evening – glow star, which is also personified by Great Goddesses of fertility of the Near East, who are functionally alike to it, such as Inana/Ishtari, Astarte/daughter-in-law of people, Afrodita/Lagamari and Svanetian Lamaria, who coming from ethnological materials is considered to be the evening-glow star. In Georgian folklore the face of Goddess is the daughter of the Sun and the Moon. Both the Sun and the Moon have the great importance in the consciousness of agriculturist people for the fertile of earth and life.

In connection with this, I think is very interesting the old Georgian word "Gaga", which means a flower, a bud (comp. in Khetian "Kakku/Gakku", which means greens, vegetables, fruit). The new nature sacral orchards and gardens are the cosmos faces of the Great Goddess of fertility.

Therefore, Ga/Gaimi like Inana/Ishtari is the ancient Proto-Georgian face of Great Goddesses, who bears the function of fertility and who ensured all the living things with reproduction. It was fecundated in the depths of Georgian and Kartvelian tribes and sometimes took subsistence from the mentality of the kindred nations of the Near East, who played the greatest part in the ethnogenesis of the Georgians. It is supported by the Georgian historical sources, Svanetian folklore, the linguistic facts of Georgian and Kartvelian languages and parallels with Protokhetian and Mesopotamian culture.

Thus on the basis of represented material we can make a conclusion that "Ga/Gaimi" is the important ancient Georgian heathen face. It personifies the Goddess of fertility and parallel information about her is preserved only in the name of "Kal-Gama" and in Svanetian "Ga" song (hymn). Ga is not taken from Greek Gea, but Gea is entered the Greek mythology from these cultures. The scientists proved that she belonged to the pantheon of Gods of preolympic period. In the following period, as the result of considence with other cultures or religious syncretism, the functions of "Ga" joined the other Goddesses, having the female functions of fertility. During the epoch of Christianity there happened the transformation of their names and replacing by the names of Christian Saints, such as "The praying place ("Khati") of St. Mariam", "Mariamjvari", "The Virgin of the Place", "Lamaria", "Barbare", Functionally who were suplicated for reproduction and protection of cereals, cattle, people.

ე. ხაინდრაგა (თბილისი)

ამილახვართა ეპიტაფიები სამთავისიდან (XVIII ს.)

სამთავისის მონუმენტური ტაძარი დგას კასპის რაიონის სოფელ სამთავისში, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, ეკლესია აუგია წმ. ილარიონს - 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ VI საუკუნეში ფარსმან VI-ის მეფობის დროს (542-557წწ.). ხალხში გავრცელებული ლეგენდის მიხედვით კი ტაძრის აგება მიეწერება ვახტანგ გორგასალს. ლეგენდის თანახმად, თავისი დის ოსი ბაყათარის ტყვეობიდან დახსნის შემდეგ, ვახტანგ გორგასალმა ააგო ოთხი ეკლესია: სიონი თბილისში, სამთავისი ლეხურაზე, მეტეხი სოფელ გომის ახლოს და წილკანი. სამთავისი სილამაზით დანარჩენ ტაძრებს შორის საუკეთესო იყო. ამას ტაძრის სახელწოდებაც მოწმობს (Хаханов 1898: 43-44). დღევანდელი სახით სამთავისი აგებულია არა V ან VI საუკუნეებში, არამედ 1030 წელს. მისი მშენებელი იყო სამთავნელი ეპისკოპოსი ილარიონ ყანჩაელის ძე. ამის შესახებ გვაუწყებს სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც დასავლეთის კარს ზევით აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულების ზედა ვიწრო სიბრტყეზეა ამოკვეთილი. ეს წარწერა თ. ჟორდანიამ აღმოაჩინა ტაძრის ეზოში და მანვე გამოაქვეყნა პირველად (ჟორდანია 1897: 171). სამეცნიერო ლიტერატურაში სამთავისის ტაძრის ავტორად, ხუროთმოძღვრად სწორედ ილარიონია აღიარებული (ბერიძე 1974: 39-40).

სამთავისი, სამთავნელი ეპისკოპოსის კათედრალური ტაძარი, მართავდა საეკლესიო საქმეებს ქსნის და ლეხურის ხეობებში.

სამთავისის ტაძრის და მისი ეპიგრაფიკის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს: მ. ბროსემ (ბროსე 1849-1851), თ. ჟორდანიამ (ჟორდანია 1897), აღ. ხახანაშვილმა (Хаханов 1898), ს. ბარნაველმა (ბარნაველი 1951), ვ. ბერიძემ (ბერიძე 1974), პ. ზაქარაიამ (ზაქარაია 1975; Закарая 1968), გ. სოხაშვილმა (სოხაშვილი 1973) და სხვ.

IX-XI სს-ში. ქსნის ხეობიდან მეჯუღა-ლიახვის ხეობამდე არსებულ მიწა-წყალს ყანჩაელები განაგებდნენ. მემატიანის ცნობით, ამ ტერიტორიის ცენტრში მდებარე სამთავისი XII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII საუკუნის დასასრულამდე ჯერ ქართლის კათალიკოსს მიქაელს ეკავა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესს ანტონ გლონისთავიძეს. (ყაუხჩიშვილი 1959: 122-123). შემდეგ ხანაში, თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე, სამთავისის და მისი მიდამოების ბატონ-პატრონი უცნობია.

ეს მხარე გიორგი ბრწყინვალეს (1314-1346) დროს ებოძათ ზევდგინიძე-ამილახორებს (ბერიძე-ნიშვილი 1937: 3-35).

ზევდგინიძე-ამილახორთა გვარის შესახებ მცირე ცნობებს გვაძლევს ქართლის ცხოვრება, ამილახორთა წარმოშობისა და მის სათავადოსთან დაკავშირებული საკითხები მრავალ მკვლევარს აქვს გაშუქებული. ამილახვართა ისტორიის შესწავლით პირველად დაინტერესდა პოლიევექტოს კარბელაშვილი, რომელმაც საქართველოში სათავადოების კვლევას ჩაუყარა საფუძველი. ზევდგინიძე-ამილახვრებს გამოკვლევები მიუძღვნეს მ. ქიქოძემ (ქიქოძე 1952) და დ. გვრიტიშვილმა (გვრიტიშვილი 1955).

გვიანფოლადური ხანის ქართლის ერთ-ერთი მსხვილი სათავადოს - საამილახოროს შექმნა დაიწყო XIV საუკუნის 40-იანი წლებიდან. ზევდგინიძეებმა პირველად სხვილო, უფრო სწორად, სხვილოური მამულები მიიღეს. ეს მიწა-წყალი იყო მათი მთავარი "დიდი მამული". შემდეგში ზევდგინიძეები ცდილობენ თავიანთი სამფლობელოების გაფართოებას (გვრიტიშვილი 1955: 117). მე-14

საუკუნის ბოლოს მათ ეძლევათ ახალციხე (არაგვის ხეობაში) და მღვიმე საგვარეულო საძვალედ (გვრიტიშვილი 1955: 118; ბერძენიშვილი 1937: 7-8).

1429 წელს ზევდგინიძეების ხელში გადადის კასპი, იგოეთი, ნადარბაზევი და გომი (გვრიტიშვილი 1955: 118; სიძველენი 1910: 9-10).

1477 წლის ერთი საბუთიდან ჩანს, რომ ზევდგინიძეებს ემა-მამულები აქვთ: მცხეთას, კარსანს, ჯვარს, ძაგნაკორნას, ახატანს, ხატისწობენს (სიძველენი 1910: 17; გვრიტიშვილი 1955: 118).

დროთა განმავლობაში ზევდგინიძეები აფართოვებენ თავიანთ სამფლობელოებს, თუმცა პერიოდულად ჰკარგავენ კიდევაც ცალკეულ ტერიტორიებს. ზევდგინიძეთ დაუკარგათ მამულები ვახტანგ IV-ის (1442-1446), გიორგი IX (1446-1476), სიმონ პირველის (1558-1601) მეფობის დროს და სხვ., მაგრამ ამილახვრები ახერხებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას (გვრიტიშვილი 1955: 118).

საამილახოროს საზღვრებზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ვახუშტი. იგი თავის ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ცალკე ქვეთავს უძღვნის ამ საკითხს და ასე ასათაურებს: “აღწერა მეორე სასპასპეტოსი და საამილახვაროსი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 364-366).

დ. გვრიტიშვილი აღნიშნავს, რომ ზევდგინიძეები XV-XVI სს. ზევდგინიძე-ამილახორებად იწოდებიან, ხოლო XVII ს-დან ამილახორებად (გვრიტიშვილი 1955: 385). ამილახორი იყო სპასალარის (უხუცესი ვაზირის, სამხედრო მინისტრის) თანამემწე (ჯავახიშვილი 1919: 154-158). ზევდგინიძეებმა თანდათან დაივიწყეს თავიანთი გვარი და თანამდებობა- ამილახორი, გვარად აქციეს. ამილახორის სახელს მემკვიდრეობით დასაკუთრებამ თანამდებობის გაგვარება გამოიწვია- უფროსი შტოს წარმომადგენლები გახდნენ ამილახვრები. ასეთი შემთხვევები მრავალად მოიპოვება საქართველოს ისტორიაში. მაგ.: ერისთავი, ამირეჯიბი და სხვ. (ოთხმეზური 2009).

XV საუკუნეში საამილახორო, როგორც სათავადო, ძირითადად ჩამოყალიბებულია. ამ დროიდან იწყება ამილახვართა გაძლიერება და ისინი ქართლის დიდებულ თავადებად რჩებიან XVIII ს-ის ჩათვლით, 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამდე. ამ პერიოდში ამილახორები ხშირად სამეფო და საეკლესიო დიდ მოხელეებად გვევლინებიან. მათი რეზიდენცია იყო სოფ. ქვემო ჭალის მახლობლად მდებარე სხვილოს ციხე (გვრიტიშვილი 1955: 119).

სწორედ XV საუკუნეში სამთავისის კათედრალური ტაძარი ამილახორების კარის ეკლესიად იქცა, სამთავნელი ეპისკოპოსები კი- “პირად ბერებად“. ამ ხანიდან იწყება მათი მზრუნველობა ტაძრის მიმართ. ამის მაუწყებელია დასავლეთ ფასადზე, შეწყვილებული სარკმელების ზემოთ, ორ ქვაზე მოთავსებული ასომთავრული წარწერა:

1. მეფეთ მეფ-
2. ისა ასულისა,
3. მეორედ აღმშენებ-
4. ღსა გაიანეს შეუნდდნეს ღმერთმან ამინ.

წარწერას საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა ს. ბარნაველმა. ავტორის მიხედვით, წარწერაში მოხსენიებული მეფეთ-მეფის ასული გაიანე არის ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466-1478) და, რომელიც მეუღლედ ჰყავდა ამირინდო ზევდგინიძე-ამილახორს (ბარნაველი 1951: 576).

დასავლეთ ფასადზე მარცხენა სარკმლის ქვეშ მოთავსებულია 4 სტრიქონიანი წარწერა (სოხაშვილი 1973: 195):

1. წმიდაო: ხატო ღმრთაებისაო მეოხ
2. ექმენ: მეორედა აღმაშ
3. ნებლისა: შვილსა: სიაოშ
4. ისა: ამინ: უფალო ღმერთო

ს. ბარნაველის გამოკვლევით, სიაოში არის გაიანე და ამირინდო ამილახორების ვაჟიშვილი (ბარნაველი 1951: 577), რასაც თვით წარწერაც ადასტურებს. გაიანე და სიაოშ ამილახორების ინიციატივით მეორედ იქნა აშენებული ჩრდილო-დასავლეთ სვეტი, გუმბათი და დასავლეთ კედელი,

სადაც საამშენებლო წარწერები ჩაატანეს. მათ მიერ აღდგენილ იქნა გრძივი ფასადების დასავლეთ ნაწილებიც (სოხაშვილი 1973: 196).

სამთავისის ტაძარზე დიდად უზრუნია აგრეთვე გივი ამილახვარს (1656-1696) და მის მეუღლე თამარს.

კონქის მარჯვენა კალთაზე მოთავსებულ წარწერაში ხაზგასმით აღნიშნულია “...პატრონი ამილახორი გივი და თანამეცხედრე...თამარი“. როგორც ცნობილია, გივი ამილახორს თანამეცხედრედ ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (შაჰნავაზი) ასული თამარი ყავდა (გვრიტიშვილი 1955: 403).

გივი და თამარ ამილახორების პატივით მოხსენიება აიხსნება მათი მრავალმხრივი მოღვაწეობით როგორც ქვეყნის, ისე ეკლესია-მონასტრების მიმართ.

სამთავისის ტაძრის გუმბათქვეშა აღმ. სვეტის წარწერები გვატყობინებს, რომ სამთავისის ტაძრის საკურთხევლის აბსიდი განახლების მიზნით აღგილობრივი ფეოდალის გივი ამილახორის ბრძანებით მოუხატავს სამთავნელ ეპისკოპოსს მელიტონს, 1679 წ. (სოხაშვილი 1973: 197).

ამილახვრები შემდგომშიც განაგრძობენ სამთავისის ტაძარზე ზრუნვას.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში ფეოდალური საგვარეულოების შესწავლა თავის აქტუალობას არ კარგავს, ვინაიდან ცალკეული ასეთი საგვარეულოს ისტორია ქმნიდა მთელი ქვეყნის ისტორიას. საფეოდალოების ისტორიის შესწავლით შეიძლება ბევრი სადაო საკითხის დაზუსტება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამილახვართა საგვარეულოს ძველი ისტორიის მრავალი საინტერესო ფაქტია გამოვლენილი, რასაც ვერ ვიტყვი XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. შესახებ. ვთვლით, რომ ამ პერიოდის ამილახვართა ისტორიის შესწავლა, ახალი ისტორიული პირების გამოვლენა და იდენტიფიცირება, არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია.

სამთავისის ინტერიერში დაცულია 49 საფლავი. აქედან 5 საფლავი XVIII საუკუნისაა, ხოლო დანარჩენი XIX და XX საუკუნის დასაწყისის. მოცემულ სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ შიდა სივრცის XVIII საუკუნის საფლავების ეპიტაფიებს. არც ერთი საფლავის ქვის წარწერა აქამდე არ გამოცემულა.

1. ელენე საზვერელის ასული ჩოლოყაშვილი (†1771)

მდებარეობს საკურთხევლის წინ. ქვის ზომა: 82X37. 14 სტრიქონი, მხედრული; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. (სურ. 1)

დაზიანება: ზოგი გრაფემა ძნელად იკითხება. ქვა ადგილ-ადგილ გაშავებულია.

წარწერას ახლავს ორი თარიღი: 1) ჩლოა წელსა აგვისტოსა იდ დღესა- 1771 წ. 14 აგვისტო;

2) ქორონიკონი უნთ- 1771

1. აღვესრულე
2. ჩლოა წელსა აგვი-
3. სტოსსა იდ დღესა
4. ქ. ვინადგან. უკუ. არსთა. მზადის
5. მიერ. პირველთა. ურჩებათათვის დაგვესა-
6. ჯა. სიკვდილი. ვერ. განმრომელი . მისგან. შეუდეგ
7. კვალსა. წინასწართა. ჩემთასა. ასული. ჩოლოყაშვილის
8. სახლთხუცის. საზვერლისა. და თანამეცხედრე
9. ამილახორის. ამირინდოსი ელენე. აწ. კნინს და შეუ-
10. რაცხსა. ამას საფლავსა სტუმრებული. და მიწით გამო-
11. მეტყველი. გვედრებ. მხილველთა მე ლოდის ამისი ჩემ
12. ზედა. მდებარისათა. რათამც . კურთხევისაგან. თქვენ-
13. ისა. არა. დაკლებულ. მყოთ. მო ქენე.
14. ქკს. უნთ

ელენე ჩოლოყაშვილი, როგორც წარწერიდან ჩანს, ამირინდო ამილახვრის მეუღლეა. თარიღის მიხედვით, ის უნდა იყოს ამირინდო ავთანდილის ძის (1707-1772) თანამეცხედრე. ელენე და ამირინდო გვერდიგვერდ არიან დასაფლავებული.

2. ამირინდო ავთანდილის ძე ამილახვარი († 1772)

მდებარეობს საკურთხეველის პირდაპირ. ქვის ზომა: 82X37. 17 სტრიქონი, მხედრული; განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. (სურ. 2)

დაზიანება: ზოგი გრაფემა ძნელად იკითხება. ქვა შუაზეა გადატეხილი.

წარწერას ახლავს ორი თარიღი: 1) ჩლობ წელსა თებერ ვაღსა ა დღესა- 1772 წ. 1-ელი თებერვალი; 2) ქორონიკონი უდ - 1772

1. აღვესრულე
2. ჩლობ წელსა თებერ-
3. ვაღსა ა დღესა
4. ქ. უწინასწარესნი. განსაზღვრებითნი. აღთქმ-
5. ულნი. მიწასა მიწადვე ყობადნი [მოი]წივნეს ჩემ ზედა
6. და ორთა ერთად ქმნილებისაგან, მრჩობლნივე. გან-
7. წვალეზანი მეცნეთ ერთი მარტივად ჯელთა
8. უფლისათა მივიდა, და არა უწყი. რაი. ყოფად. არს
9. ხოლო. მეორე მიწის მიწამანვე ამიწა: თქვე-
10. ნცა მიწითნო მხედნო მიწათ გამო მეგდრისა
11. და ჟამსა ჩემსა, შექმნილისა ამის ლოდისა აღმოქი-
12. თხველნონ.უ. დაკლებულ. მყოფთ. კურთხევი[თა]
13. ამისა წსენებისაგან. თქვენისა. ოდესმე. თქვენთანა. მცხო-
14. ვრებელსა ამილახორის ავთანდილის ძესა. და
15. თვთ მწედართ. მთავარ. ამილახორსა. ხოლო. აწ. მტვერ.
16. ავლ ქმნილსა. და თქვენთა. ლოცვათა. შევრდომილსა.
17. ამირინდოს: ქს. უდ:

წარწერაში არსებული სიტყვა "ავლ" ამ ფორმით გვხვდება აგრეთვე X-XI სს. მიჯნის ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ფრესკულ წარწერაში<sup>2</sup>. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით "ავლ" ნიშნავს ფერფლს<sup>3</sup>.

ამირინდო ამილახვრის ცხოვრება და მოღვაწეობა ემთხვევა ოსმალეთის, ყიზილბაშობისა და ლეკიანობის მიძიმე პერიოდს. იგი ამ პროცესებში აქტიურად არის ჩართული, როგორც სამხედრო პირი.

XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან ამავე საუკუნის 50-იან წლებამდე ქვეყანა ჯერ ოსმალეთს ებრძოდა (1723-1735), ხოლო შემდეგ ყიზილბაშობას (1735-1747) (ბერძენიშვილი 1973: 308). ნადირ-შაჰს განსაკუთრებით გაუჭირდა ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა. მან ქართლის თავკაცების მოსყიდვა გადაწყვიტა. ნადირმა ჯამაგირი დაუნიშნა ქართლის თავადებს. ამის შემდეგ შაჰმა ქართლში წერილი გამოუზავნა: "ახლავე ჩემს დიდებულს კარზე ჩამოდიოთო და თქვენი სიტყვა სწორე შემატყობინეთო" (ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. თბილისი, 1981: 77). ამ ამბებთან დაკავშირებით პაპუნა ორბელიანი ახსენებს ამირინდო ამილახვარსაც: "წაიდნენ ბატონიშვილი აბდულაბეგ, სარდალი ქაიხოსრო, მუხრანბატონი კოსტანტინე, ამილახორი ამირინდო, თარხანი ლუარსაბ" (ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. თბილისი, 1981: 77). ნადირ შაჰის კარზე სხვა დიდებულ თავადებთან ერთად ამირინდო ამილახვარიც მიდის.

1742 წელს ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყდა გივი ამილახვარი (ბერძენიშვილი 1973: 330-336). ნადირ შაჰმა მეფე თეიმურაზ II-ს (1709-1762) გივის შეპყრობა დაავალა. თეიმურაზმა კეხვის ციხეზე გაგზავნა ჯარით ამირინდო ამილახორი და მეითარი ზურაბ. ესენი "მივიდნენ და შემოადგნენ ციხესა კეხვისასა, იყო ბრძოლა დღე და ღამ, გამოსხდა ხანი თვე ოთხი...". (ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. თბილისი, 1981: 92). კეხვის ციხის მეციხოვნეებმა ხანგრძლივ იერიშებს ვერ გაუძლეს და ციხე დაეცა (ორბელიანი 1981: 92).

“ყიზილბაშობაში“ და “ოსმალბაში“ ხელი შეუწყო ლეკიანობას გაძლიერებას. სოფ. ქვემო ჭალის ავთანდილიანთ ციხე-დარბაზის გალაენისა და კარიბჭის 1760 წლის ამირინდოს ამილახორის საამშენებლო წარწერაში აღნიშნულია: “მოხრდებოდა რა ქართლი ცოდვითა ჩვენითა, ლეკნი რა წარსტყვენიდნენ ქართველთა ერთა, მათის განრინებისათვის ჩვენ ძემან ამილახორის ავთანდილისამან ამილახორმან ამირინდო აღვაშენე გალაენი და კარის ბჭე ესე მოსახსენებლად ჩვენდა“. (მაკალათია 1964: 37).

ლეკთა საკითხის გადაჭრას ერეკლე მეორე ენერგიულად შეუდგა. საამისოდ მან მრავალი ღონისძიება გაატარა.

ამირინდო ამილახვარი ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაშიც გამოიჩენს თავს: “...იყვნენ იმ დღეს მამაცად და ლომუვლად მუხრანბატონი კოსტანტინე, სარდალი რევაზ ორბელიანი, ქსნის ერისთავი დავით, არაგვის ერისთავი ჯიმშერ, ამილახორი ამირინდო, ციციშვილი ალექსანდრე...“ (ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. თბილისი, 1981: 218.)

პაპუნა ორბელიანი ამირინდოს ერეგვის ციხის აღებასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისას ასხეუებს. თვითონ ერეგნელებმა სთხოვეს დახმარება მამა-შვილს- თეიმურაზს და ერეკლეს. ქართველთა ჯარის მარჯვენა ფლანგის სარდლად ზემო ქართლის ჯარით დაინიშნა ამირინდო ამილახვარი. (ორბელიანი 1981: 161)

ამირინდო ამილახვარი აგრეთვე სხვადასხვა ისტორიულ საბუთებსა და დოკუმენტებში გვხვდება. განჩინების წიგნებიდან ჩანს, რომ ის მრავალი დავის მომრიგებელი, საბუთის დამწერი და მოწმე ყოფილა. მრავალ დოკუმენტს აზის მისი ბეჭედი (დოლიძე 1972: 365, 402, 432-437, 443-444, 449-450, 461, 464-465, 468-470, 484-485, 517, 526; დოლიძე 1974: 252; დოლიძე 1977: 696, 698, 702).

1752 წლის 2 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტში “განჩინება თეიმურაზ II-ისა ამილახვართა სასახლის საქმეზე“, ამირინდო გამოდის როგორც ბრალდებული. დავა მიმდინარეობდა მტკვრის სანაპიროზე, ანჩისხატის გვერდზე არსებულ სასახლეებთან დაკავშირებით. ეს სასახლე ამირინდომ და მისმა სახლიკაცებმა ძალით დაიკავეს, ჩვენი საკუთრებააო. როგორც საბუთიდან ირკვევა ქალაქის სასახლე მათ არ ეკუთვნოდათ, ის თამარ ბატონიშვილის საკუთრება იყო, რომელიც გივი ამილახვრის მეუღლე გახლდათ. გივის გარდაცვალების შემდეგ ის გადაუციათ დიმიტრი ამილახვრისთვის. საბოლოო ჯამში ამირინდო და მისი სახლიკაცები, თბილისის სასახლიდან გამორეკეს და ისევ დიმიტრის გადასცეს (დოლიძე 1972: 406-407).

თავადაზნაურობა ხშირად ედავებოდა ერთმანეთს მიწებს. მათ შორის გამონაკლისი არც ამირინდო ამილახორი იყო. ერთი ასეთი დავა მას მოუვიდა საკუთარ ბიძაშვილებთან: 1754 წლის 15 ივნისის დოკუმენტში “განჩინება ამირინდო ამილახორისა და მისი ბიძაშვილების ყმა-მამულის საქმეზე“, ამირინდო და მისი ბიძაშვილები იესე, რევაზ და თეიმურაზი ედავებოდნენ თავის ბიძაშვილებს დემეტრეს და დათუას მამულს. ისინი ჩიოდნენ თეიმურაზ II-სთან, ერეკლე II-სა და საქართველოს პატრიარქთან ანტონთან (დოლიძე 1972: 432-437).

ამირინდო ამილახვარი საამშენებლო მოღვაწეობასაც ეწევა. სოფ. ქვემო ჭალაში აუშენებია ქვითკირის მომცრო ეკლესია, დარბაზული ტიპისა, ზედვე აქვს დაშენებული სამრეკლო. კარის ბჭეზე დატანებულია გატეხილი ქვაფიქალი მხედრული წარწერით:

“ყოვლად წმინდაო, უბიწოვ, ქალწულო მარიამ, შენის შეწვევით აღვაშენე ამილახვრის ავთანდილის ძემ თვით ამილახვარმა ამირინდომ, საყდარი ესე ყოვლად წმინდის შობისა, სულისა ჩვენი-სათვის და მეცხედრისა ჩვენისა კახეთის... ჩოლოყაშვილის საზვერლის ასულ ელენესა სადღეგრძელოდ. ღი ყოვლად საგალობლო, დედაო ქრისტესი, შეიწირე მცირე ნამუშავენი ჩვენი, მეოხ გვეყავ წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა, ამინ“. სექტემბრის კ (20) ქრკ. უბ(462)-1774 წ. (მაკალათია 1964: 37)

საფლავის და ეკლესიის წარწერები ერთი შეხედვით თითქოს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. საფლავზე მოცემული წარწერის მიხედვით, ამირინდო ამილახვარი გარდაიცვალა 1772, ხოლო ეკლესიაზე არსებული წარწერის მიხედვით, ის 1774 წ. ასრულებს ეკლესიის მშენებლობას. ამირინდოსთან მიმართებაში “სულისა ჩვენისა“-ს, ხოლო მისი თანამეცხედრის “სადღეგრძელოდ“

მოსხენიება მიუთითებს რომ ამირინდო გარდაცვლილია. როგორც ჩანს მის მიერ დაწვეული ეკლესიის მშენებლობა მისი გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ დასრულდა. ალბათ დიდი ნაწილი უკვე აგებული იყო და ამიტომაც წარწერის გამკეთებელი მას ამშენებელს უწოდებს.

პ. კარბელაშვილიც ამირინდო ამილახვრის გარდაცვალების თარიღად 1772 წ. ასახელებს, თუმცა არ უთითებს წყაროს (ფონდი 1461).

3. მდივანბეგი იესე ამილახვარი (†1787)

მდებარეობს სამხრეთის კარების შესასვლელთან. ქვის ზომა: 64X32. 14 სტრიქონი, მხედრული; განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები დაშორებულია ერთმანეთს. (სურ. 3)

დაზიანება: ზოგი გრაფემა ძნელად იკითხება. ქვა შუაზეა გადატეხილი. ადგილ-ადგილ შავი ლაქებია.

წარწერას უზის თარიღი- ჩღჰ თთუებსა სეკდემბერსა. ლ = 1787 წლის 30 სექტემბერი.

1. ქ. მხილველნო მისმინეთ, რასა ესე ვჰ-
2. ჳმობ საფლაგით გამო სცანთ ჩემნი და [სოფ]-
3. ლისა ამის საქმენი, რ(ამეთუ) მე მეფისა იესეს ასული-
4. სა თანა მეცხედრობასა შა მყოფი და ოდესმე
5. პატივითა მეფეთაგან სახლთუსუცესობითა პატივცემული და ხისიყის მოურავად დადგუ-

ნილი

7. და ქართლ[თა] მსაჯულებასა შა მყოფი და მემარ-
8. ჯვენეთ მვედრობათა სპსპეტი წარმიტაცა სი-
9. კუდილმან, და მსო... სულისა დამტევებელი მივი-
10. ქცი მიწასა დასა[ფლაგა]დ. და გევედრებით ევედრე-
11. ნით დასა მე სარდარ ამილახვარ მდივან-
12. ბეგი იესე, აქა ზემოდსა ქართლისა მვედრობათა
13. ვარ ზეცისა მვედრობათა თანა დამაწესოს
14. წელსა ჩღჰ თთუეჴსა სეკდემბერსა. ლ

როგორც ეპიტაფიიდან ჩანს, იესე ამილახვარს მნიშვნელოვანი თანამდებობები სჭერია: სახლთუსუცესობა, ქიზიყის მოურავობა, სპასპეტობა და მდივანბეგობა. ამასვე მოწმობს მრავალი ისტორიული დოკუმენტი.

იესესთან დაკავშირებული მთელი რიგი საბუთებია შემონახული. დოკუმენტებში მისი პირველი მოხსენიება ხდება 1752 წლის “განჩინებაში თეიმურაზ II-ისა ამილახვართა სასახლის საქმეზე“ (დოლიძე 1972: 406). როგორც საქმის მწარმოებელი და მდივანბეგი, 1767 წლიდან გვხვდება (დოლიძე 1972: 543). 1767-1776 წლების დოკუმენტებში იესეს განჩინებებს უზის ბეჭდები: “მონა ღვთისა ამილახვრისშვილი მოურავი იესე“ (დოლიძე 1972: 543-691), ხოლო 1777-1786 წლებში: “მე ამილახორ მსაჯულად სპათსპეტ ვარ მეფის მარჯულად იესე“ (დოლიძე 1974: 28-334).

პ. კარბელაშვილის პირად ფონდში დაცული დოკუმენტის მიხედვით იესე დაიბადა 1727 წ., ხოლო გარდაიცვალა 1786 წ. ლეკებთან ბრძოლაში (წყაროს არ უთითებს) (ფონდი 1461). დაბადების თარიღის დადასტურების ან უარყოფის შესაძლებლობა არ გაგვაჩნია, წყაროების სიმწირის გამო, თუმცა გარდაცვალების თარიღად 1787 წელი რომ უნდა მივიჩნიოთ და არა 1786 წელი, ამას საფლაგის წარწერა ადასტურებს.

იესე ამილახვარს ცოლად ჰყავდა ქართლის მეფის იესეს (1714-1716) ასული და ქართლის კათალიკოსის ანტონ I-ის (1720-1788) და- ხორეშანი. ეს ჩანს ხორეშანის საფლაგის ეპიტაფიიდან, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

იესე ამილახვარს ახსენებს პაპუნა ორბელიანი. მისი თქმით ერეკლე II-ემ “უყო წყალობა ქისიყის მოურაობისა ამილახორისშვილს იასეს და დაადგინა ქისიყის მოურავად“ (ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. თბილისი, 1981: 212). ეს თანამდებობა ერეკლემ წაართვა თამაზ მოურავს, რომელიც ეურჩებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და მეფეს დატყვევებული ჰყავდა. თუმცა, მცირე

ნის შემდეგ ქიხიის მოურავობა კვლავ თამაზს დაუბრუნეს, როგორც საგვარეულო სახელო. (ორბელიანი 1981: 244).

ო. ხერხეულიძე იესე ამილახვარს ერეკლე მეფის ოსების წინააღმდეგ ბრძოლებთან დაკავშირებითაც ახსენებს: “ოსი ერისთავები უკუდგნენ და დაესხნენ ზემო-ქართლს. ერეკლემ დაიბარა ან-წუხელნი, თებელნი და ყირახელნი ლეკნი, რომელნი მონებდეს კახ ბატონსა, ადასრულეს ბრძანება და მოვიდა ჯარი ლეკისა, დააყენეს ავჭალას, მისცეს უღლუფა, მცირეთა ხანთა შინა გაატანეს ბელადად მანაბელი და იასე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუდგართ ოსთა, ააოხრეს ოსეთი და გარდავიდნენ იმერეთს...” (ორბელიანი პ., ამბავნი ქართლისანი. თბილისი, 1981: 110).

4. იოანე რევაზის ძე ამილახვარი (†1787)

მდებარეობს საკურთხეველთან. ქვის ზომა: 46X32. 14 სტრიქონი, მხედრული; განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები დაშორებულია ერთმანეთს. (სურ. 4)

დაზიანება: ზოგი გრაფემა წაშლილია.

წარწერას უზის თარიღი- ჩღპზ=1787 წ.

1. ქ. წალკოტი სიჭაბუკისა ყუაველთა მიწის
2. .... უწყალოდ სიკუდილისამან ნამგალმან მიმყო ჩემ შორის ძლიერება
3. მოგუდი ყრმა ჯერეთ ტრფიალი სიცოცხლის
4. მკლავნი რაინდი შეკრულნი სუდართა მკერდსა დამესხნეს შესაწყალი
5. გიშრისა ტბათა მომზღუდველნი ინდელნი შავნი გუგანი დაიწუხნეს უნაკლონი
6. დასცხრეს ხედვანი სატრფიალოთა ჩემთა
7. კუბო მორთული იწრო კელია ჩემ მეფისა სძლისა თვალოთაგან საცრემლეთ
8. ღვრიდა ღებილთა ძმისათჳს მწთოლვარეთა თხარეს მტირალთა საფლავი ესე ჩემ
9. და დამდვა დამან ღოდი დავიწყების
10. თქვენ საყვარელნი სწორნი ჭაბუკნი ჩემნი ცოცხალი ვიცი გიყვარდით საზოგადოდ
11. მოგწონდათ ჩემი სამამაცო ზნეობა ქცევა სიმარჯვე მხედრობა ასპარეზსა
12. დავმიწდი ვაი მიგლოეთ მიწა ძმანო
13. აღვესრულე წლისა კდ [ამილახვრის] რევაზის ძე იოანე ეშიკაღასბაში მეფის ძის ვახტანგის

გის

14. და მდებარე ვარ მხილველთა გვედრი [მომი]ხ[ს]ენე დეკემბერსა წელთა ჩღპზ=1787 წ.

როგორც წარწერიდან ირკვევა, იოანე რევაზის ძე ამილახვარი მეფის ძის ვახტანგის ეშიკაღასბაში4 ყოფილა. თარიღის მიხედვით, სავარაუდოდ, ერეკლე II-ის ძის- ვახტანგის, ეშიკაღასბაში უნდა იყოს.

იოანე ამილახვართან დაკავშირებული დოკუმენტები კვლევის ამ ეტაპზე არ მოგვეპოვება.

5. ხვარაშან ბატონიშვილი (†1790)

მდებარეობს სამხრეთის კართან, სვეტთან, იესე ამილახვრის საფლავის გვერდზე. ქვის ზომა: 62X30. 10 სტრიქონი, მხედრული; განკვეთილობის და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს, სიტყვები ერთმანეთს არ არის დაშორებული.

დაზიანება: ზოგი გრაფემა სრულად ან ნაწილობრივ წაშლილია.

წარწერას უზის თარიღი- იუნისს. კბ (22) : ქორონიკონი უოჭ = 1790 წ.

1. მხილველნი იხილეთ საქმენი ჩემნი შესაწყალნი. მე ვიყავ
2. ასული მეფისა იესესი ხვარაშან და დაჲ ქართუჭლთგან
3. მამბრძანებელის კათალიკოსის ანტონის და თანამეცხედრე
4. ქართლის მსაჯული სპასპეტის ამილახორის იესესი სიკვდილ-
5. მან დიდება ჩემი იგი მშბელი მოჰკვჭთა და ნათელი თუალთა
6. ჩემთა ჩემი იგი ხმა სიბრძნისა მეწყაროე მიმტაცა
7. და თანა მეცხედრე ჩემი წარიტაცა განსახრწნელ-
8. ად და ეს გუარსა მწუხარებასა დაშთომილი უამსა მოხუ-
9. ცებულობისასა მიმცა მიწა მიწასა. გვეედრებით მხილველნი ჰყავთ



10. შენდობად. აღვესრულე იუნისს. კბ: ქკს. უოჭ

ეპიტაფიიდან ირკვევა, ხვარაშანი მეფე იესეს ასული ყოფილა. ეს არის ქართლის მეფე იესე, ალი ყული ხანად წოდებული (1714-1727).

ეპიტაფიაში მოხსენიებულია კათალიკოსი ანტონი, რომელიც ხვარაშანის ძმა და იესე მეფის ძეა. ეს არის აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I (1720-1788). ხვარაშანი და ანტონი იესე მეფეს სხვადასხვა ქორწინებიდან ჰყავდა. ხვარაშანის დედა არ არის ცნობილი.

ხვარაშან ბატონიშვილი ზემოთ უკვე განხილული იესე ამილახვრის მეუღლე იყო.

პ. ორბელიანი ერთხელ ახსენებს ხორეშან ბატონიშვილს. ისტორიკოსი წერს, რომ ხორეშანი და საბა ეპისკოპოსი იმერეთში წარავლინეს, რათა დადიანის ქალი დარეჯანი ეთხოვათ მეფე ერეკლესთვის (იგულისხმება ერეკლე II). მათ ჩამოუყვანიათ დარეჯან დადიანის ასული სურამში, სადაც მეფე ერეკლე პატრიარქთან, ანტონი ბატონიშვილთან ერთად ჩასულა მომავალი მეუღლის სახსავად. (ორბელიანი 1981: 180).

სტატიაში განხილული ამილახვრები არიან იმ ზევედგინიძე-ამილახვრთა შთამომავლები, რომლებმაც სათავედოს ჩამოყალიბებას და ამ გვარის ძლიერებას ჩაუყარეს საფუძველი.

### შენიშვნები

1. გვარი ყანჩაელი წარმოდგება დღევანდელი ახალგორის რ-ნის სოფ. ყანჩაეთიდან. X-XI სს-ში იყვნენ დიდაზნაურები. (იხ. მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ. 2003)

2. სოფ. ლიხნი მდებარეობს გუდაუთის აღმოსავლეთით 5 კმ-ზე, იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავრების- შერვაშიძეების რეზიდენცია). ლიხნის ტაძარში შემონახულია ვაჩე პროტოსპათარისა და იპატოსის და პეტრიკ პატრიკისა და მწიგნობართაუხუცესის გარდამავალი მხედრული, ანუ მდივანმწიგნობრული ფრესკული წარწერა: "ქ. წმიდაო ღმრთისმშობელო, უხრწნელო ქალწულო მარიამ, შემეწიე, შემეწიე, დამიცე, დამიფარე, და მიესენ ყოველთა წინამძღებარეთა ჭირთა და მომავალთა განსაცდელთაგან; ჩემგან შორს ყვინ! და მეოხ მეყავ წინაშე ძისა შენისა, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა ქრისტესსა, უღირსსა, მიწასა, ჭიასა, ავლსა და მტურსა, მონასა, მადიდებელსა და მოსავსა შენსა ვაჩეს პროტოსპათარსა და იპატოსსა, დისწულსა ჭყონდიდლისაა, მე, და პეტრიკ პატრიკსა და მწიგნობართა უხუცესსა" (იხ. ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ.2006, გვ. 209)

3. სულხან-საბას წყაროდ მიწერილი აქვს: იერემ. 48, 36, სადაც "ავლი" იპოვება, მაგრამ სხვა მნიშვნელობით. (იხ. ლექსიკონი ქართული I, თბ.1991, გვ. 40)

4. საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. (იხ. სურგულაძე ი., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.4, გვ.258, თბ., 1979)

### ლიტერატურა:

1. ბარნაველი 1951: ს. ბარნაველი, სამთავისის მეორედ აღმშენებლის ვინაობა, აკადემიის მოამბე, ტ. XII, №9. თბილისი.
2. ბერიძე 1974: ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი.
3. ბერძენიშვილი 1937: ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობებიდან XV საუკუნეში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკვ. I. თბილისი.
4. ბერძენიშვილი 1973: ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბილისი.
5. ბროსე 1849-1851: - . როსსეგ, ლაპპორტს. СПб
6. გვრიტიშვილი 1955: დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი.
7. დოლიძე 1972: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი.
8. დოლიძე 1974: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.). ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი.

9. დოლიძე 1977: ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი.
10. ზაქარაია 1975: პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. 1. თბილისი.
11. მაკალათია 1964: ს. მაკალათია, ლეხურის ხეობა : [ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი]. თბილისი.
12. ოთხმეზური 2009: გ. ოთხმეზური, ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან (ამირეჯიბი). თბილისი.
13. ორბელიანი 1981: პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი.
14. ჟორდანიას 1897: თ. ჟორდანიას, ქრონიკები, წ. 2. ტფილისი.
15. სიძველენი 1910: საქართველოს სიძველენი, ტ.3. ტფილისი.
16. სოხაშვილი 1973: გ. სოხაშვილი, სამთავისი (მასალები ტაძრის ისტორიისთვის). თბილისი.
17. ფონდი 1461: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. პ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, დოკუმენტი 22, ამილახვართა გვარის საისტორიო სიგელ-გუჯარნი. ხელნაწერი. უთარილო.
18. ქიქოძე 1952: მ. ქიქოძე, საამილახროს ისტორია, XV-XVIII სს., (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი.
19. ყაუხჩიშვილი 1959: ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.
20. ყაუხჩიშვილი 1973: ქართლის ცხოვრება, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV. თბილისი.
21. ხერხეულიძე 1989: ო. ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაც. მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი.
22. ჯავახიშვილი 1919: ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. ქუთაისი.
23. Закаряя 1968: П. Закаряя, Крепостные сооружения Картли. Тбилиси.
24. Хаханов 1898: А. Хаханов, Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества, Вып. 7. Москва



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5

## E. Khaindrava (Tbilisi)

### The epitaphs of the Amilakhvari house in Samtavisi ( XVIII c.)

The samtavisi monumental church is situated in the village Samtavisi in the region of Kaspi on the left bank of the river Lekhura.

Vakhushti Batonishvili says that the church was built by St. Ilarion, one of the 13 Assyrian fathers who came into Georgia during the reign of Pharsman VI (542-557) in the 6<sup>th</sup> century . However, one of the prevalent legends suggests that the church was built by Vakhtang Gorgasali. According to the legend, after saving his sister from Ossetian Bakatar's imprisonment, Vakhtang Gorgasali built four churches: Sion in Tbilisi, Samtavisi on the river Lekhura, Metekhi near village Gomi and Tsilkani. When judged by the beauty, Samtavisi was at the top of other three, meaning it was better than others. The name "Samtavisi" is the testament of this (Хаханов 1898: 43-44). In any case, Samtavisi as we see now was built not in V or VI centuries, but in the year of 1030. It was built by a bishop from Samtavisi Ilarion Kanchaelisdze. This is learned from the three-line-long inscription written using Asomtavruli alphabet, which is cut into the narrow top space of the relief image of a flourished cross above the west entrance. This inscription was found in the church yard and first published by T. Zhordania (Zhordania 1897: 171). In the scientific literature Ilarion is considered to be the creator and the architect of the Samtavisi church. (Beridze 1974: 39-40).

Great was the contribution of M. Brosset (Brosset 1849-1851), T. Zhordania (Zhordania 1897), Al. Kha-khanashvili (Хаханов 1898), S. Barnaveli (Barnaveli 1951), V. Beridze (Beridze 1974), P. Zaqaraia (Zaqaraia 1975, Zaqaraia 1968), G. Sokhashvili (Sokhashvili 1973) and others to the research of Samtavisi church and its epigraphics

In IX-XI centuries the territory between Ksani valley and Mejuda-Liakhvi valley was ruled by the Kanchaelis.<sup>1</sup> According to the historian, Samtavisi, which was situated in the center of this territory, was at first held by the catholicos of Kartli Michael from the 2<sup>nd</sup> half of XII c. till the end of XIII c. and after him it was held by Mtsignobartukhutsesi (courtier, chief secretary) Anton Glonistavidze (Kaukhchishvili 1959: 122-123).

After this , for almost one century the ruler and the owner of Samtavisi and the territories near it, is unknown.

During the reign of George V the brilliant (1314-1346) this region was gifted to the Zevdgenidze-Amilakhori house (Berdzenishvili 1937: 3-35).

The Georgian Chronicles ("Kartlis Tskhovreba") gives us very little facts about the Zevdgenidze-Amilakhori house. Many researchers have studied the origins and domains of the Amilakhori house. The first one to show interest in researching of the Amilakhori history was Polievqtos KarbelaSvili, who gave foundation to the study of Georgian nobility. The Zevdgenidze-Amilakhori house was also studied by M. Qiqodze (Qiqodze 1952) and D. Gvritishvili (Gvritishvili 1955).

The creation of Saamilakhoro which was one of the largest earldoms in late-feudal Kartli, started in the 14<sup>th</sup> century from the 40s. The Zevdgenidzes at first received Skhvilos, or to say more accurately they received Skhvilos's estates. This territory was their main "large estate". Henceforth, the Zevdgenidzes were trying to enlarge their domains (Gvritishvili 1955: 117). By the end of the 14<sup>th</sup> century they received Akhaltsikhe (in Aragvi valley) and a cave as a family ossuary (Gvritishvili 1955: 118; Berdzenishvili 1937: 7-8).

In 1429 the Zevdgenidzes acquired Kaspi, Igoeti, Nadarbazevi and Gomi (Gvritishvili 1955: 118).

According to one document from 1477 the Zevdgenidzes have estates in Mtskheta, Karsani, Jvari, Dzagnakorna, Akhatani and Khatiswobeni (Antiquities 1910: 17; Gvritishvili 1955: 118).

As time went on, the Zevdgenidzes widened their domains; however, they periodically lost some territories as well. They have lost estates during the reigns of different kings, such are Vakhtang IV (1442- 1446), George IX (1446-

1476), Simon I (1558-1601), etc. , but Amilakhoris still managed to balance their situations and gain those territories back (Gvritishvili 1955: 118).

Vakhushti gives us the general idea of the borders of the Saamilakhoro. In his work “Description of the kingdom of Georgia” , he dedicates a subchapter to this subject and gives it the title “Description of the second Saspasseto and Saamilakhvaro” (Kaukhchishvili 1973: 364-366).

Gvritishvili mentions that the Zevdgenidzes are referred to as “Zevdgenidze-Amilakhorebi” in XV-XVI, but from XVII century they are called “Amilakhorebi” (Gvritishvili 1955: 385). “Amilakhori” was an assistant of Spasalari (Grand vizier, army commander) (Javakhishvili 1919: 154-158). As time went by the Zevdgenidzes forgot their surname and turned their office-Amilakhori into a family name. Inheriting the Amilakhori name made this position only available for this house, thus representatives of the senior branch became Amilakhvars. Cases like this one, are very common in the history of Georgia, for instance: Eristavi, Amirejibi, etc. (Otkhmezuri 2009).

In XV century Saamilakhoro as an earldom is already formed. From this period on up to and including XVIII century the Amilakhors are getting stronger and remain as great nobilities of Kartli, until Kartli-kakheti kingdom is abolished in 1801. During this period the Amilakhors held high positions in royal court or in church. Their residency was in Skhvilos castle near village Chala (Gvritishvili 1955: 119).

In XV century Samtavisi cathedral became the church of the Amilakhori house and bishops of Samtavisi became “private monks”. From this time on they started looking after the church. This is suggested by the Asomtavruli inscription on the west façade above paired windows on two stones:

“God forgive the daughter of the king of kings, the second-time builder – Gaiane , Amen “

S. Barnaveli has conducted a very interesting research on this inscription. According to the author “the daughter of the king of kings” was in fact the sister of king Bagrat VI of Kartli-Imereti (1466-1478), and she was a wife of Amirindo Zevdgenidze-Amilakhori (Barnaveli 1951: 576).

There is another four-line long inscription on the west façade, under the left window (Sokhashvili 1973: 195):

“Holly icon of divine being protect Siaosh, the son of second-time builder , O God, Amen”

S. Barnaveli’s research suggests that Siaosh is the son of Gaiane and Amirindo Amilakhoris (Barnaveli 1951: 577), this is confirmed in the inscription as well. Gaiane and Siaosh Amilakhoris have for the second time rebuilt the north-west column, the dome and the west wall on which the inscriptions were carved. They have also restored the west parts of the horizontal facades (Sokhashvili 1973: 196).

Givi Amilakhvari (1656-1696) and his wife Tamar have also taken a good care of Samtavisi church.

In the inscription on the right slope of the vault it is pointedly mentioned: “...owner Amilakhori Givi and spouse... Tamar”. As we know Givi Amilakhori’s wife was Tamar , daughter of king Vakhtang V (Shahnavazi) of Kartli (Gvritishvili 1955: 403).

The fact that Givi and Tamar Amilakhoris are mentioned with great respect is explained by their various activities towards the country, as well as towards churches and monasteries.

The inscriptions in Samtavisi church on the east column under the dome tells us that Givi Amilakhori had ordered Samtavisi bishop Meliton to paint the altar apse in order to renew it in 1679 (Sokhashvili 1973: 197).

After this the Amilakhvars continued taking care of Samtavisi church.

The study of the history of certain feudal houses is still very crucial and active in Georgian historical science, because the history of the whole country consists of the histories of such certain houses. Many issues can be settled through the study of the history of feudal society.

Many interesting facts about the early history of the Amilakhvari house have been revealed in the Georgian historiography, the same is not true about the second half of XVIII and XIX centuries. We believe that studying this period of the Amilakhvari history, revealing and identifying new historical figures is no less important and interesting.

There are 49 graves secured in the interior of the Samtavisi. Five of these are of the 18<sup>th</sup> century, others are from the 19<sup>th</sup> and the start of 20<sup>th</sup> centuries. In this article we discuss only the epitaphs on the interior graves from the 18<sup>th</sup> century. None of the inscriptions on these graves have been published before.

1. Elene Cholokashvili, the daughter of Sazvereli Cholokashvili (†1771).

It is placed in front of the altar. The size of the stone 82X37. 14 lines, Mkhedruli (Cavalry) script; Signs of spacing: full stop after every word; no signs of abbreviation (pic. 1).

The damage: some of the graphemes are hard to read. The stone is blackened in some places.

The inscription is accompanied by two dates : 1) August 14 , 1771 ; 2) 1771 .

“I died in August 14 , 1771 because the creator punished us for the first sin and no one escapes the death. I am on the path of my ancestors now, the daughter of Sazvereli Cholokashvili and the wife of Amirindo Amilakhori, as you those who visit my grave to pray for me, 1771”

As we see in the inscription, Elene Cholokashvili is the wife of Amirindo Amilakhvari. According to the date, she should have been the spouse of Amirindo, the son of Avtandil (1707-1772). Elene and Amirindo are buried next to each other.

2. Amirindo Amilakhvari, the son of Avtandil († 1772).

It is situated in front of the altar. The size of the stone 82X37. 17 lines, Mkhedruli (Cavalry) script; signs of spacing: full stop after every word; no signs of abbreviation (pic. 2).

The damage: some of the graphemes are hard to read. The stone is broken in half.

The inscription is accompanied by two dates: 1) February 1, 1772. 2) 1772 .

“I died in February 1, 1772, predicted and predefined, they who have become soil in the soil came to me, you who read this stone made for me, pray for me, Amirindo, the son of Avtandil, now the dust and ash, 1772.”

The form of the word “ავლ” we have in this inscription is the same as the one found on the mural in the church of Dormition of the mother of god in Likhna, which was made in the verge of X-XI centuries<sup>2</sup>. According to Sulkhana-Saba Orbeliani the word “ავლ” means “ash”<sup>3</sup>.

The life and activities of Amirindo Amilakhvari coincide with the hard period of raids by ottoman Turks, Qizilbash and Avars. He was actively involved in these processes as a military.

From the 20s till the 50s of XVIII century the country was at first struggling against Ottoman Empire (1723-1735) and then against Qizilbash (1735-1747) (Berdzenishvili 1973: 308). It was especially difficult for Nadir Shah to fight against Kartli. He decided to bribe the nobilities of Kartli. He started giving “salaries” to the heads of the noble houses. After this Nadir Shah sent a letter in Kartli saying: “ present yourselves to my gracious palace and tell me your true words “ (Orbeliani P., Stories of Kartli, Tbilisi 1981: 77). Papuna Orbeliani also mentions Amirindo Amilakhvari in connection with these events: “Abdu'llah Beg, commander Qaikhosro, Konstantin Mukhranbatoni, Amirindo Amilakhori, Luarsab Tarkhan went...” (Orbeliani P., Stories of Kartli. Tbilisi 1981: 77). Amirindo Amilakhori went to Nadir Shah with other nobilities.

Givi Amilakhvari rebelled against Qizilbash in 1742 (Berdzenishvili 1973: 330-336). Nadir Shah ordered Teimuraz II (1709-1762) to capture Givi. Teimuraz sent Amirindo Amilakhvari and Mehtar Zurab to the fortress of Kekhvi with an army. They “went to the fortress and surrounded it, they fought day and night, four months passed...” (Orbeliani P. Stories of Kartli. Tbilisi, 1981: 92). The fortress couldn't resist the siege anymore and it surrendered (Orbeliani 1981: 92).

The raids from Qizilbash and Ottoman Turks stimulated the attacks of Avars. The builder's inscription of the walls and gate of Avtandilian castle in village Kvemo Chala made by Amirindo Amilakhori in 1760, says : “As Avars ravaged Kartli for our sins , to protect us I- Amirindo Amilakhori, son of Avtandil, have built this fence and gate”. (Makalatia 1964: 37).

Erekle II worked very hard to solve the problem of Avars. He made many arrangements and reforms.

Amirindo Amilakhvari distinguished himself during the fights against Avars as well: “...Mukhranbatoni Konstantin, commander Revaz Orbeliani, Davit, duke of Qsani, Jimsher, duke of Aragvi, Amirindo Amilakhori, Alexander Tsitsishvili were brave and valiant that day...” (Orbeliani P., Stories of Kartli. Tbilisi 1981: 218).

Papuna Orbeliani mentions Amirindo when he describes the events related to the capture of the Yerevan fortress. Armenians themselves asked father and son , Teimuraz and Erekle for help. Amirindo Amilakhvari was appointed as the commander of the right flank of the Georgian forces, with the army of Zemo Kartli. (Orbeliani 1981: 161).

Amirindo Amilakhvari is also mentioned in many historical documents. From legal books we see that he was a peacemaker in many arguments, creator of many documents and also played a role of witness. Many documents have his stamp on them (Dolidze 1972: 365, 402, 432-437, 443-444, 449-450, 461, 464-465, 468-470, 484-485, 517, 526; Dolidze 1974: 252; Dolidze 1977: 696, 698, 702).

In June 2, 1752 document “Ruling of Teimuraz II concerning the palace of the Amilakhvars”, we see Amirindo as a defendant. The argument was about the palace, which was situated next to Anchiskhati on the river-side of the Mtkvari. Amirindo had occupied this place with force and declared it to be his property. As we see from the papers it didn't belong to him, it was the property of Tamar Batonishvili, who was the wife of Givi Amilakhvari. After Givi Amilakhvari's death it was given to Dimitri Amilakhvari. In the end Amirindo was made to leave the palace and it was given back to Dimitri (Dolidze 1972: 406-407).

The nobilities were often arguing about the land. And Amirindo was not the exception. He had an argument like this with his own cousins: in June 15, 1754 document “Ruling about the case of Amirindo Amilakhori and his cousins' land”, Amirindo and his cousins, Iese, Revas and Teimuraz had a dispute with their cousins Demetre and Datua over their manor. They were complaining to Teimuraz II, Erekle II and Patriarch of Georgia Anton (Dolidze 1972: 432-437).

Amirindo Amilakhvari had also built a small church in village Kvemo Chala, it's made of stone and the bell tower is built on it. In the entrance there is a broken stone with the inscription written in Mkhedruli alphabet:

“Holy mother of god, virgin Mary, with thee help I, son of Avtandil Amilakhvari, Amirindo have built this church for our souls and for long life of spouse Elene, daughter of Cholokashvili. oh, mother of god take this small work of ours and be our defenders when the judgment day comes, Amen” September 20, 1774 (Makalatia 1964: 37).

კავკასია ცნობილია ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნებით: მრავალი განსხვავებული ხალხით, რომელიც ამ რეგიონში ცხოვრობს და სახვადასხვა ენებზე მეტყველებს. უმთავრესი ენათა ოჯახი იბერო-კავკასიურია, რომელშიც გამოყოფენ ქართველურ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიურ და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენებს (ჩიქობავა 1979; Catford 1991; Tuite 1999) (სურ. 1). კავკასიაში ჰაერცვლებულია ასევე ინდო-ევროპული, თურქული ენათა ოჯახის ენები. ეს გამორჩეული მრავალფეროვნება ართულებს ამ რეგიონის მოსახლეობის ისტორიის რეკონსტრუქციას. თუმცა, დადესტანსა და სომხეთში ჩატარებული ბოლო დროის გენეტიკური ვარიაციული კვლევები (Bulayeva 2003; ასიდზე 2003, 2004; ერრერა 2011), ისევე, როგორც სხვა უფრო ზოგადი ხასიათის კვლევები (Balanovsky et al. 2011; Yanushbayev et al. 2011), გვეხმარება შევაგსოთ ამ მხრივ არსებული სიცარიელე.

რაც შეეხება კავკასიაში ეთნოლინგვისტურ მრავალგვარობას, ქართველური სასაუბრო ენა ფართოდაა გავრცელებული საქართველოში (სურ. 2). დიდი ხანია არსებობს კითხვა ქართველური ენების გეოგრაფიული წარმომავლობის და ქართველურ ენებზე მოსაუბრეთა გავლენის შესახებ სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაზე. ამ საკითხის გარკვევას აქვს პირდაპირი კავშირი ამ რეგიონის მოსახლეობის ისტორიის რეკონსტრუქციასთან. ბოლო კვლევები გვიჩვენებს, რომ ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ სამხრეთ კავკასიაში სასაუბრო და სადამწერლობო ენის ისტორიის გაგებას (Burton 2015).

ზოგიერთი მეცნიერი (ქავთარაძე 1985, 2000) ქართველების სამშობლოდ აღმოსავლეთ ანატოლიას და არარატის დაბლობს მიიჩნევს, საიდანაც ისინი საბოლოოდ იმ ტერიტორიაზე გავრცელდნენ, რომელსაც დღეს საქართველო ეწოდება. სვანების სტატუსი, რომ ისინი არიან ყველაზე ძველი და ქართველურ ენებს შორის ყველაზე განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი პირველი გამოეყვნენ ქართველურ ენათა ჯგუფს და შემდეგ გავრცელდნენ მეჩხრად დასახლებულ დასავლეთ საქართველოს დაბლობზე, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში (Chirikba 2008). ამას მოჰყვა ზანურ ენაზე მოსაუბრეთა გავრცობა (ლახ-მეგრელთა სავარაუდო წინაპარი), რომელთაც, შესაძლოა, სვანურ ენაზე მოლაპარაკენი აიძულეს მაღალმთიანეთში ასულიყვნენ. ამ მეორე განსახლებით მოვლენას უნდა მოჰყოლოდა ქართულ ენაზე მოსაუბრეთა გამოჩენა ან გაფართოება, რომელთა ენაც საბოლოოდ, ეტაპობრივად რამდენიმე პროცენტის მეშვეობით ჩამოყალიბდა, აქ იგულისხმება ქართლი-იბერიის სამეფოს ფორმირება ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-4 და ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნეების პერიოდში და მათ მიერ ქრისტიანობის მიღება (Suny 1994).

მნიშვნელოვანი დებატები გაიმართა ინდო-ევროპული ენების სამშობლოს თაობაზე და მისი გავრცელების გზის შესახებ ევრაზიის სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის კავკასიაშიც. ერთი მოდელით, პროტო-ინდო-ევროპული (PIE) წარმოიშვა ანატოლიაში და შემდეგ გავრცელდა ევროპასა და ევრაზიაში, სადაც ის სხვადასხვა ინდო-ევროპულ ენებად დაიყო (Gray and Atkinson 2003; Bouckaert 2012). სხვები გვთავაზობენ PIE-ს პონტურ-კასპიური წარმომავლობის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ის აღნიშნული ტერიტორიიდან ტალღებად გაფართოვდა და გავრცელდა სხვა რეგიონებში. მას სავარაუდოდ კავშირი უნდა ჰქონოდა ყორღანულ კულტურასთან (Makkory 1989; Anthony da Ringe 2015) (სურ. 3). პრინციპული დებატების ამ ორი მოდელიდან გამომდინარე, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ინდო-ევროპულ ენაზე მოსაუბრე ხალხის რაიმე გენეტიკური გავლენა კავკასიის რეგიონზე ენათა ამ ოჯახის სხვადასხვა განშტოებებიდან უნდა მოდიოდეს.

მკვლევარებმა ასევე მნიშვნელოვანი სამუშაო ჩაატარეს ევროპის და კავკასიის არქეოლოგიური ისტორიის აღსადგენად და დროში წარმოშობილი კულტურული მრავალფეროვნების ნიმუშების დასაკავშირებლად იმ გენეტიკური ხაზების სპექტრთან, რომელთა მატარებელი ხალხი ამჟამად ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე. ეს ფილოგეოგრაფიული მიდგომა გამოიყენებულ იქნა ბრინჯაოს ეპოქის მოსახლეობის განსახლების რეკონსტრუქციისათვის, რაც ნაჩვენებია სურთზე 4, სადაც ფერით კოდირება აღნიშნავს მამისეულ ხაზს (Y-ქრომოსომა) და მიგვანიშნებს, რომ ის ასოცირდება განსხვავებულ არქეოლოგიურ კულტურებთან: ჰაპლოჯგუფი R1b - მაიკოპის კულტურასთან ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო ჰაპლოჯგუფი G2a - მტკვარ-არაქსის კულტურასთან სამხრეთ კავკასიაში. შეფერადებული რეგიონები შესაძლებელია ამგვარად წარმოდგენილ იქნას გენეტიკური ვარიაციის უძველესი ნიმუშით, აქედან - რეგიონული გენოფონდითაც კი, რომელიც წარმოიშვა და შენარჩუნდა მრავალი ათასი წლის განმავლობაში.

ასეთი სახის მოდელები ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის მოსახლეობაში აღწერილი გენეტიკური მრავალგვარობის ნიმუშების ასახსნელად გამოიყენება. ვინაიდან, მათი ტესტირება შესაძლოა მომავალში ახალი დნმ კვლევებით მოხდეს, ეს მოდელები, ასევე, დამატებით კითხვებსაც წარმოშობენ სამხრეთ კავკასიის პრეისტორიის შესახებ. რამდენად მოქმედებს რეგიონის გენეტიკურ მრავალგვარობაზე ახლო აღმოსავლეთის სამიწათმოქმედო კულტურის გავრცელება საქართველოში? გამოიწვია თუ არა რეგიონში მოსახლეობის ახალი ნაკადის შედინება ბრინჯაოს ეპოქის კავკასიაში სოციალურ ორგანიზაციასა და კულტურაში მომხდარმა ცვლილებებმა? არის თუ არა სამხრეთ კავკასიის გენეტიკური მრავალგვარობის ნიმუშები ქართველური ლინგვისტური ისტორიის შემადგენელი? რამდენად მოახდინა შესაბამისმა ისტორიულმა და დემოგრაფიულმა ცვლილებებმა გავლენა სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის გენეტიკური მრავალგვარობის ნიმუშებზე?

### სვანი მოსახლეობის ისტორია

სამხრეთ კავკასიის გენეტიკური პრეისტორიის ნათელსაყოფად, გვსურს ახალი დეტალები მოვაწოდოთ სვანი მოსახლეობის ისტორიის თაობაზე. სვანეთის გარკვეული გეოგრაფიული იზოლაცია ხელს უწყობდა იმ მითიური სტატუსის შექმნას, რომელიც აღიარებდა ამ მხარეს, როგორც უძველეს და ავტოქტონური ხალხით დასახლებულს (სურ. 5). ენგურის, რიონის და ცხენისწყლის ხეობების ზედა წელი, ახლო წარსულშიც კი, ცუდი გზების გამო, ძნელი მისადგომი იყო. დიდი კავკასიონი მათ ჩრდილო კავკასიელი მეზობლებისაგან - ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთისგან გამოჰყოფს, იქ გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე საფეხმავლო და საცხენოსნო გზით. დასავლეთით აფხაზეთია, შავი ზღვის სანაპირო, სადაც გავრცელებულია ჩრდილო კავკასიურ ენათა ჯგუფის ენები: აბაზური, ადიღე-ჩერქეზული და გამქრალი უბიხური (Chirikba 2008)! აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარეობს ქართული პროვინციები რაჭა და ლეჩხუმი, რომლებიც სპორადულად დასახლებული იყო სვანებით. სამხრეთით - სამეგ-

რელოა. რაჭის მიღმა, აღმოსავლეთით მდებარეობს სამხრეთ ოსეთი, საქართველოს შიდა ქართლის რეგიონიდან გამოყოფილი ოლქი. 2

„აფხაზეთი“ და „სამეგრელო“ ისტორიის მანძილზე მეტნაკლებად ურთიერთჩანაცვლებადი ტერმინებია, როგორც ეს ადგილობრივი და უცხოელ გეოგრაფთა ჩანაწერებიდან ჩანს. შუასაუკუნეების მანძილზე „აფხაზეთი“ რეგიონის უმეტეს ნაწილს აღნიშნავდა, რომელიც ზანურად მოლპარაკე ტერიტორიებს მოიცავდა (ჯანაშია 1952). ისტორიული აფხაზეთის ნაწილში სხვაგვარი ერთად აღიღურ ენაზეც ლაპარაკობდნენ (Чикобава 1948; Меликишвили 1989), რაც რეგიონის გეოეთნიკურ სირთულეზე მიუთითებს.

2 თუმცა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ (და მისი ეკვივალენტები სხვა ენებზე) მე-19 საუკუნეზე ადრე არ უნდა გაჩენილიყო. ქართულიდან რუსულის გავლით შემოსული ტერმინი „ოსი“ (მხ.) და „ოსები“ (მრ.) შუასაუკუნეებიდან მოყოლებული იხმარება იმ ირანულად მოლპარაკე ხალხის აღსანიშნავად, რომელიც ჩრდილოეთის მთებში, დაახლოებით დღევანდელი შიდა ქართლის ჯავის რაიონის ტერიტორიაზე სახლობდნენ (Иваненко 1901; Топчишвили 2005). თუ წარსულისკენ მივბრუნდებით, ეს ტერმინი შესაძლოა აღანურ ენდონიმს - „ას“ - დაეუკავშიროთ. ეს ენდონიმი, რომელიც შემდეგ ეგზონიმად იქცა, მოგვიანებით ისევე ენდონიმად გვეკვლინება, რადგან რუსეთის იმპერიაში ინკორპორაციის წინარე წლებშიც კი ოსები თვითგანმსახლვრავი ტერმინის ნაკლებობას განიცდიდნენ (Shnirelman 2006: 40). შემდგომი კვლევის საგანია ის, თუ რამდენად ასახავს დღევანდელი „სამხრეთ ოსეთი“ მე-19-20 საუკუნეების მიგრაციულ პროცესებს ჩრდილოეთიდან და ადგილობრივი მოსახლეობის ე.წ. „გაოსების“ ტენდენციას.

ადრეული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას, სვანეთი კოლხეთის სამეფოში შედიოდა (სურ. 6). მიჩნეულია, რომ ამ სახელმწიფოს მოსახლეობა, ქართველურად მოსაუბრე თემი იყო - თანამედროვე სვანების, მეგრელების და ლაზების წინაპარი (მიქელაძე 1974; ინაძე 2009). კოლხების მემკვიდრეები შავ ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებლნი არიან შუა ბრინჯაოს ეპოქიდან (ლორთქიფანიძე 1991; Kohl 1992; Braund 1994; ჯაფარიძე 1998).

მოგვიანებით, 975 წ. ქრ.წ.-დან, ბაგრატ მესამემ შუასაუკუნოვანი მონარქია - საქართველოს გაერთიანებული სამეფო შექმნა. ის ჰყვარდა ჩვენი წელთაღრიცხვის XI-XII საუკუნეში, XIII საუკუნეში მონღოლთა შემოსევამდე, თუმცა დამოუკიდებლობა 1340 წელს აღიდგინა (სურ. 7). 1386 წლიდან განახლებულმა თურქულ-მონღოლურმა თავდასხმებმა 1466 წელს საბოლოოდ გაანადგურა ერთიანი სამეფო და 1490 - 1493 წლებში მისგან ქართლის, კახეთისა და იმერეთის დამოუკიდებელი სამეფოები წარმოიშვა (Sury 1994).

ხანგრძლივი სამოქალაქო ომების და საგარეო თავდასხმების გამო (განსაკუთრებით მონღოლთა და ოტომანთა შემოსევებისას, რასაც საქართველოს დაბლობი რაიონების დაცარიელება მოჰყვა) სვანეთს ისტორიული თავშესაფარის რეპუტაცია ჩამოუყალიბდა (ang 1955; Sury 1994). XIII საუკუნეში, სამხრეთ კავკასიაში, მონღოლთა თავდასხმების დროს სვანეთის ეკლესიები საქართველოს სეკულარული და რელიგიური ხელოვნების ნიმუშების (ხატები და შემკული მანუსკრიპტები, ისევე როგორც ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები) დასაცავ ადგილად იქცა. ამ ნივთების უნიკალურობა და ხარისხი შეგიძლიათ იხილოთ მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის კოლექციაში.

საქართველოს სამეფოს დანაწევრებიდან (XV ს. ქრ. წ.-დან) მოყოლებული სვანეთი სხვადასხვა სამთავროების, სამეფოების და იმპერიების შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს სახელმწიფო 1762 წელს აღდგა, როდესაც ქართლისა და კახეთის სამეფოები ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების მიზნით გაერთიანდნენ (სურათი 8). 1810 წელს რუსეთის იმპერიამ (და მოგვიანებით საბჭოთა) საქართველოს სახელმწიფოს ანექსია განახორციელა და ის რუსეთის მმართველობაში 1991 წლამდე დარჩა, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა (Sury 1994).

ისტორიული მიმოხილვა ჰქმნის კონტექსტს ჩვენი კვლევისათვის, რომელიც სვანეთის გენეტიკურ მრავალგვარობას ეხება და მნიშვნელოვან კითხვებს წარმოშობს რეგიონის მოსახლეობის

ისტორიის შესახებ. შეიძლება თუ არა სვანების გამოჩენა ნეოლითში განსხვავებული მოსახლეობის მოძრაობად იქნას მიჩნეული? თუ, ისინი უფრო გვიანდელი (მაგ. პოსტ-ნეოლითური) დასახლებების შედეგად წარმოიშვნენ, სავარაუდოდ, ქართველური ენების გამოჩენასთან ერთად ამ რეგიონში? რამდენად აკავშირებთ სვანებს გენეტიკური მსგავსება დასავლეთ და აღმოსავლეთ მეზობლებთან, - აფხაზებთან და სამხრეთ ოსებთან? რამდენადაა სვანების გენეტიკური მრავალგვარობა განპირობებული საცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობით, ან ტომობრივი კუთვნილებით? რამდენად იქონია გავლენა, ზემოთ აღნიშნულმა სამეფოების და ეროვნული სახელწიფოების ჩამოყალიბების პროცესმა მათ თანამედროვე მრავალგვარობაზე, ხშირად ცვლადი ძირითადი პოლიტიკური მოვლენების ფონზე? ამდენად სვანების გენეტიკური კვლევაში შედარებით ასპექტში შესაძლოა ნათელი მოჰყინოს ზემოთ დასმულ მრავალ მნიშვნელოვან საკითხს.

### საველე კვლევები სვანეთში

ამ კითხვებზე პასუხი რომ გავგეცა, ჩვენმა ერთობლივმა ქართულ-ამერიკულმა სამეცნიერო ექსპედიციამ 2012 წელს სვანი მოსახლეობის შესწავლა დაიწყო. რეგიონში გენეტიკური მრავალგვარობის გამოსაკვლევად 14 სოფელს (მესტია დაბაა, ლაღამი, მულახი, კალა, იფარი, უშგული, ცხუმარი, ბეჩო, ეწერი, ლატალი, ჭუბერი, ხაიში და იდლიანი) ვეწვიეთ (სურათი 9). ჩვენ კვლევაში 184 სვანი ჩავრთეთ, მათ შორის 96 მამაკაცი და 88 ქალი., რომელთაც კვლევაში მონაწილეობაზე სურვილი სპეციალურ, ქართულ ენაზე შედგენილ ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე ხელმოწერით დაადასტურეს. თითოეული მონაწილისგან, ამ ურთიერთშეთანხმების თანახმად, ბუკალურ (ლოყის ღორწოვანის) ნაცხებს და გენეალოგიურ ინფორმაციას ვაგროვებდით. მონაწილეები შეირჩა სვანეთში გავრცელებული გვარებიდან და თემებიდან. თითოეულ სოფელში მონაწილეთაგან ეთნოგრაფიულ და საისტორიო მასალას ვიწერდით (სურ. 10 და 11).

დამატებით, მონაწილეებს ვთხოვდით გაეზიარებინათ ინფორმაცია მათი გვარის გენეალოგიის შესახებ (სურ. 12 და 13), რომელიც შემდგომ გამოყენებულ იქნა თითოეული ლოკაციისა და ასევე მთლიანად სვანური მოსახლეობის გენეტიკური ვარიაციის ნიმუშების ინტერპრეტაციისათვის. ბევრ თემს აქვს აგრეთვე საკუთარი, ვრცელი გენეალოგიური ჩანაწერები, რომელშიც კონკრეტდება ურთიერთობები მრავალი თაობის განსხვავებულ ინდივიდებსა და ოჯახების შორის (სურ. 14). მსგავსი ჩანაწერები ძალიან გვეხმარება გავიაზროთ, თუ რომელი გენეტიკური მონაცემები უკავშირდება მოსახლეობის მრავალგვარობას სვანურ თემში. ნიმუშების შეგროვება და თანხმობის პროცედურები განხორციელდა პენსილვანიის უნივერსიტეტისა - IRB #8 და საქართველოს ბოეთიკის ეროვნული საბჭოს ნებართვით.

### გენეტიკური ანალიზი

სვანეთში საველე სამუშაოების დასრულების შემდგომ, ლოყის ნაცხიდან გამოვყავით დნმ და პენსილვანიის უნივერსიტეტში სექვენსური ანალიზი ჩაუტარეთ. დნმ-ის სექვენსური ვარიაციის ორი ტიპი გაანალიზდა, რომელთაგან თითოეული გენეტიკური წინაპრის შესახებ განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის. მიტოქონდრიული დნმ (mtDNA), ილუსტრირებულია წრეებით, ცალსახად დედისეული ხაზის გამოვლინებაა და შესაბამისად, მდებარებით გენეტიკურ ისტორიაზე მოგვითხრობს (სურ. 15). Y-ქრომოსომის დნმ ნაჩვენებია მოკლე, ფერადი უჯრედებით, ცალსახად მამისეულ მემკვიდრეობას ასახავს და მამრობითი გენეტიკური ისტორიის სურათის ილუსტრირებაა. ბირთვული, აუტოსომური დნმ, წარმოდგენილი გრძელი, ფერადი უჯრედებით, შეიცავს ინფორმაციას ინდივიდის გენეტიკური წინაპრების შესახებ, ორივე - მამისა და დედის ოჯახების წევრების მიერ გადაეხლებულ გენეტიკურ წილზე. როგორც ამ სურათზე ჩანს, აუტოსომური დნმ, მეიოზური გამრავლების გზით, ყველა თაობაში იცვლის ადგილს, რაც წარმოშობს კიდევ მარკერების ანუ მუტაციების სხვადასხვა კომბინაციას და რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ინდივიდების წინაპრების, მისი წარმოშობის კვლის დასადგენად.

ამ კვლევის ფარგლებში, სვანეთში მოპოვებულ მასალაზე ჩავატარეთ mtDNA და Y-ქრომოსომის ანალიზი პირდაპირი სექვენსაციის გამოყენებით, SNP გენოტიპირება და Y-ქრომოსომის შთდ (მიკროსატელიტური ლოკუსი, რომელიც შეიცავს მოკლე ტანდემურ გამეორებებს) გენოტიპირება (Zhdanov et al. 2010; Gaieski et al. 2011; Dulik et al. 2012; Schurr et al. 2012). ამ ანალიტიკური მიდგომების მეშვეობით, განვსაზღვრეთ დედისეული ხაზები მუტაციურ მახასიათებლებზე ანუ მარკერებზე დაყრდნობით. რუკა, რომელიც ნაჩვენებია სურ. 16-ზე წარმოგვიდგენს mtDNA-ის ხაზების გლობალურ მრავალგვარობას და ზოგიერთი მათგანის გეოგრაფიულ ფოკუსირებას. ანალოგიურად, განვსაზღვრეთ მამისეული ხაზები მათ მუტაციურ მახასიათებლებზე ანუ მარკერებზე დაყრდნობით. სურ. 17 გვიჩვენებს Y-ქრომოსომის მრავალგვარობას და ზოგიერთი მათგანის გეოგრაფიულ განაწილებას. მოპოვებული ინფორმაციით იმ მარკერების შესახებ, რომლებიც დედისა (mtDNA) და მამის (Y-ქრომოსომა) ხაზებშია წარმოდგენილი, ჩვენ შეგვიძლია საფეხურებად წარმოვიდგინოთ მამისეული და დედისეული ხაზების მოძრაობა მსოფლიოში, ვინაიდან თითოეული ახალი მარკერი ქმნის ახალ ქვეხაზებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, რომელთა ასაკის დადგენა შესაძლებელია იმავე მარკერის შესახებ ინფორმაციის გამოყენებით.

### სვანებში გენეტიკური სხვადასხვაგვარობა

მას შემდეგ, რაც გავეცანით გენეტიკური ანალიზის მეთოდების საფუძვლებს და მასთან ერთად ფილოგეოგრაფიული გააზრების საშუალებებს, განვიხილოთ სვანეთში ჩატარებული ჩვენი მუშაობის შედეგები.

### მიტოქონდრიული დნმ (mtDNA)-ის მრავალგვარობა

სვანებში გამოვლინდა mtDNA ხაზების სპექტრის დიდი მრავალგვარობა, რომელთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, დასავლეთ ევრაზიული ან ახლო აღმოსავლური წარმომავლობისაა (ცხრ.1). დედისეულ ხაზებში წარმოდგენილ ჰაპლოჯგუფებმა H (17.9%), K (15.8%), W (13%) და X (7%) ერთად ნახევარზე მეტი შეადგინა. შემდეგი, გავრცელებული, მაგრამ მაინც შედარებით დაბალი სიხშირის (<10%) ჰაპლოჯგუფებია: T (9.2%), U1 (7.6%) და U2 (6.0%). აღსანიშნავია U mtDNA ჰაპლოჯგუფის მრავალგვარობა სვანებში: ცხრა უმთავრესი U ქვეჰაპლოჯგუფიდან წარმოდგენილია შვიდი. ახლოაღმოსავლური წარმოშობის რამდენიმე სხვა ჰაპლოჯგუფი ასევე დაბალი სიხშირითაა წარმოდგენილი (მაგალითად: M1, R0a1, N1b1), მაშინ, როცა აღმოსავლეთ ევრაზიული ჰაპლოჯგუფები C და D ერთობლივად 5.4%-ითაა წარმოდგენილი. ყურადსაღები აღმოჩენაა W6 (13%) ჰაპლოჯგუფის მაღალი სიხშირე, რომელიც დღემდე უმაღლესი მაჩვენებელია თანამედროვე ადამიანის სხვადასხვა პოპულაციებში დაფიქსირებული.

ჩვენ გამოვთვალეთ FST მაჩვენებლები (“გენეტიკური მანძილი) სვანების mtDNA ჰაპლოჯგუფების სიხშირის შვიდი რეგიონის მოსახლეობის იგივე მაჩვენებელთან შესადარებლად და გამოვიყენეთ მრავალგანზომილებიანი შკალირებული რუკის (MDS) შესადგენად, რომელიც გვიჩვენებს ამ ჯგუფების მსგავსება-განსხვავების ხარისხს. MDS რუკაზე ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ნათესაურად ახლოსაა ერთმანეთთან, სამხრეთ კავკასიის ოთხი ჯგუფი აყალიბებს დიფუზურ სამკუთხედს მათ გარშემო (სურ. 18).

სამხრეთ ოსები თანაბრად არიან დაშორებულები სვანებსა და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობას შორის და ქართველებიც ასევე თანაბრად არიან დაშორებულები ჩრდილო კავკასიის მოსახლეობისაგან, მაშინ როცა სომხები სრულიად განსხვავებულები არიან. გეოგრაფიული სიახლოვის გათვალისწინებით, რუკაზე აღსანიშნავია დისტანცია სვანებსა და აფხაზებს შორის. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ისინი განსხვავებული ჯგუფების (ქართველური და ჩრდილო კავკასიური) ენებზე საუბრობენ.

**ჩხრილი №1 სვანი mtDNA ჰაპლოჯგუფების სიხშირე**

ჰაპლოჯგუფი	n	%	სავარაუდო გეოგრაფიული წყარო
C	7	3.8	აღმოსავლეთ ევრაზია
D	3	1.6	აღმოსავლეთ ევრაზია
H	33	17.9	დასავლეთ ევრაზია
HV	2	1.1	დასავლეთ ევრაზია
I1	3	1.6	ჩრდილო-ცენტრალური ევროპა
J	1	0.5	ახლო აღმოსავლეთი
K	29	15.8	ევროპა/ახლო აღმოსავლეთი
M	1	0.5	აღმოსავლეთ ევრაზია
M1	1	0.5	აფრიკა/დასავლეთ აფრიკა
N1b	2	1.1	აფრიკა/დასავლეთ აფრიკა
R01a	1	0.5	აფრიკა/დასავლეთ აფრიკა
T	17	9.2	ახლო აღმოსავლეთი
U	3	1.6	დასავლეთ ევრაზია
U1	14	7.6	დასავლეთ ევრაზია
U2	11	6.0	დასავლეთ ევრაზია
U3	4	2.2	დასავლეთ ევრაზია
U4	4	2.2	დასავლეთ ევრაზია
U5	5	2.7	დასავლეთ ევრაზია
U6	3	1.6	დასავლეთ ევრაზია
U7	3	1.6	დასავლეთ ევრაზია
W	24	13.0	ახლო აღმოსავლეთი/დასავლეთ აზია
X2	12	6.5	ახლო აღმოსავლეთი
X4	1	0.5	ახლო აღმოსავლეთი
Total	184	99.8	

სვანებისა, მისი მეზობელი კავკასიელების და ახლო აღმოსავლეთის გენეტიკური ურთიერთობების გარკვევის მიზნით, ჩვენ გამოვთვალეთ FST მაჩვენებელი mtDNA HVS-I სექვენსებით სვანებსა და შესადარებელ მოსახლეობას შორის და რომელიც ვიზუალიზებულია MDS რუკაზე (სურ. 19). მასთან, მანძილი ნებისმიერ ორ მოსახლეობას შორის არ იყო განსაკუთრებულად დიდი, სამკუთხედი ჩამოყალიბდა სვანების, აფხაზებისა და სამხრეთ ოსებისაგან, რომელიც გვიჩვენებს, რომ ისინი გენეტიკურად განცალკევებულები არიან სხვა ჯგუფებისაგან. ამ საში ჯგუფის განცალკევება შეიძლება ასახავდეს გენთა დრეიფის მოვლენას ან ენდოგამიის არსებობაზე მათ გენოფონდში. ძოვიერთი ჯგუფი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგალითად, სომხები და ირანელები, ჩერქეზები და ყაბარდოელები, ისინი საერთო გენეტიკურ წინაპრის მქონედ გვევლინებიან.

ამ გენეტიკური ურთიერთობების შემდგომი შეფასების მიზნით, ჩვენ გამოვყავით სვანები და შესადარებელი მოსახლეობა მათი განსახლების მიხედვით ჩრდილოეთ ან სამხრეთ კავკასიაში და მოვახდინეთ მათი mtDNA HVS-I სექვენსების მოლეკულური ვარიაციის ანალიზი (AMOVA) (ცხრ. 2). როგორც ვხედავთ, ყველა ხალხს ჰაპლოტიპების უდიდესი უმრავლესობა ჯგუფურად საერთო აქვს. მხოლოდ მცირედი განსხვავებით, რაც მათ შორის გეოგრაფიული დაშორებით იყო განპირობებული. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობას ირანიდან, ანატოლიიდან და ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიიდან აქვს ზიარი დედისეული ხაზები და გეოგრაფიულ დაშორებას არ აქვს გადამწყვეტი გავლენა.



**ცხრილი №2 AMOVA ანალიზი mtDNA HVS-I სეკვენსის**

ცვლილების წყარო	უჯრედების ოდენობა	ფლუქტუაციის კომპონენტი	% ფლუქტუაცია
ჯგუფებს შორის	14.094	0.01394	0.48
ჯგუფებში არსებულ მოსახლეობას შორის	68.993	0.05973	2.06
მოსახლეობაში	2841.688	2.82193	97.46
მთლიანად	2924.775	2.89560	100.00

**Y-ქრომოსომის სხვადასხვაგვარობა**

შესწავლილი იქნა, აგრეთვე Y-ქრომოსომის მრავალგვარობა სვანებში და მოვხდინეთ გამოვლენილი მამისეული ხაზების იდენტიფიცირება. როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, ჰაპლოჯგუფი G2a სვანების მამისეული ხაზების 79%-ს შეადგენს. შემდეგი ყველაზე ხშირი ჰაპლოჯგუფი იყო R1a, რომელიც 10%-ს შეადგენს. მას მოჰყვება J2a1b და I2a - 6% და 4%, შესაბამისად. G2a საერთოდ არის პრედომინანტი მამისეული ხაზი რეგიონში, რომელიც აღმოსავლეთ ანატოლიას, კავკასიას და ირანს მოიცავს (Rootsi et al. 2012). ჰაპლოჯგუფი R1a-ს შესაძლოა ფესვები პონტოური სტეპის რეგიონში ჰქონდეს (Underhill et al. 2010; Pamjav et al. 2012), ჰაპლოჯგუფი J2a-ს - ახლო აღმოსავლეთში (Balanovsky et al. 2011; Herrera et al. 2011), ხოლო I2 - აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში (ბალკანეთი) (Rootsi et al. 2004; Bataglia et al. 2009). საინტერესოა, აგრეთვე, ჰაპლოჯგუფი N-ის ერთი ნიმუშის გამოჩენა. ეს ხაზი მოდის რეგიონიდან, სადაც მოსახლეობა აღმოსავლეთ ევრაზიული წარმოშობისაა (Shi et al. 2013).

**ცხრილი №3. Y-ქრომოსომის ჰაპლოჯგუფის სიხშირე სვანებში**

ჰაპლოჯგუფი	სიხშირე	მსგავსი გეოგრაფიული წყარო
G2a	79.0%	კავკასია
J2a1	6.0%	ახლო აღმოსავლეთი
I2	4.0%	ბალკანეთი/ევროპა
N	1.0%	აღმოსავლეთ ევრაზია
R1a	10.0%	დასავლეთ ევრაზია

mtDNA მონაცემების მსგავსად შევაფასეთ Y-ქრომოსომის RST გენეტიკური მანძილი სვანებსა და შესადარებელ მოსახლეობას შორის. Y-ქრომოსომის ჰაპლოჯგუფების (ხაზების) სიხშირე MDS რუკაზე გამოვსახეთ (სურ. 20). ამ რუკაზე დაყრდნობით, ჩვენ დავადგინეთ გეოგრაფიისა და ჰაპლოჯგუფების სიხშირის სრული კორელაცია. საინტერესო გამოჩნდა ჩვენებისა და ავარების შემთხვევა, რომლებიც უფრო ახლოს არიან არაბეთის ნახევარკუნძულელ არაბებთან, ვიდრე მათ მეზობელ დადესტნელებთან. ეს ფაქტი აიხსნება ჰაპლოჯგუფი J2-ის მაღალი პროცენტულობით ორივე მოსახლეობაში და შესაბამისად, ამ კლასტერში შემავალ უმეტეს პოპულაციებში. ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ხაზების არსებობა კავკასიაში განაპირობებს მათ ადგილს ჩვენს რუკაზეც. R1a-ს გავრცელებას რუსებსა და ბელარუსებს შორის ისინი გადაჰყავს რუკის ცენტრის ზედა ნაწილში, ხოლო 3-ის არსებობას იაკუტებში ეს უკანასკნელი იზოლირებულ მარჯვენა პოზიციაზე ათავსებს. ეს პოპულაციები J1, J2, და G2-ის ცვალებადი პროპორციებით რუკის ცენტრთან ახლოს მდებარეობდა. შესაბამისად, სვანების დაშორებული პოზიცია სხვა მოსახლეობისაგან ორივე ჰაპლოჯგუფის - G და R1a-ის მაღალი სიხშირის მაჩვენებელია.

ასევე გამოვთვალეთ გენეტიკური მანძილი სვანებსა და შესადარებელ მოსახლეობას შორის Y-ქრომოსომის STR ჰაპლოტიპიდან გამომდინარე. MDS რუკა ემყარება ამ Y-STR ჰაპლოტიპების RST შეფასებას, რომელიც მოტანილია სურათზე 21. რუკაზე ჩრდილო და სამხრეთ ოსები ერთმანეთთან ძლიერ ახლოს განთავსდნენ. სვანები თანაბარ მანძილზე არიან ქართველებსა და ოსებს შორის, ხოლო აფხაზებისგან დაშორებით. ანატოლიელები და სომხები ასევე განთავსებულნი არიან ქართველებისა და სამხრეთ კავკასიის ჯგუფისაგან მოშორებით. ზოგადად, გენეტიკური მანძილი სვანებსა და კავკასიის სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კარგად შეესაბამება მათ შორის არსებულ გეოგრაფიულ დაშორებას.

გენეტიკური ურთიერთკავშირების შემდგომი შეფასებისათვის, სვანებისა და სხვა შესადარებელი პოპულაციების (ანატოლიელებისა და ირანელების ჩათვლით) Y-კრომოსომის ჰაპლოტიპები, მათი კავკასიაში მდებარეობის მიხედვით (ჩრდილოეთი და სამხრეთი) დაყოფის შემდგომ, AMOVA-ს მეთოდით გავეანალიზეთ (ცხრ. 4). შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჯგუფებში, რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პოპულაციურ დონეზე, მესამედზე მეტი ცვლილებები (35.85%) მათ პოპულაციათაშორის ვარიაციებზე მოდის. შედარებისთვის, ვარიაციების მხოლოდ მცირე ნაწილი (1.07%) დაკავშირებული იყო პოპულაციების ჩრდილო და სამხრეთ კავკასიად გეოგრაფიულ დაყოფასთან. ეს ფაქტი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს ფართო გაგებით კავკასიაში, წარმოშობილია ერთიანი მამისეული გენეტიკური საწყისიდან, თუმცა დროთა განმავლობაში მათი დიფერენცირება ხდებოდა.

**ცხრილი №4. Y-ქრომოსომის STR ჰაპლოტიპების AMOVA ანალიზი**

ცვლილების წყარო	უჯრედების ოდენობა	ფლუქტუაციის კომპონენტი	% ფლუქტუაცია
ჯგუფებს შორის	14.094	0.01394	1.07
ჯგუფში არსებულ პოპულაციებს შორის	68.993	0.05973	35.85
პოპულაციაში	2841.688	2.82193	63.08
მთლიანად	2924.775	2.89560	100.00

### დასკვნა

სვანური მოსახლეობის შესახებ შრომის დეტალების წარდგენის შემდგომ, მოკლედ შევაჯამებთ ჩვენს ძირითად მიგნებებს. დადასტურებულია mtDNA გამოკვეთილი მრავალგვარობა სვანებში, სადაც უმეტესად დასავლეთ ევრაზიული, მაგრამ ხანდახან აღმოსავლეთ ევრაზიული დედისეული ხაზებია წარმოდგენილი. დედისეული ხაზის ფართო სპექტრი, რომელიც სვანებში და მათ გენეტიკურ, პოტენციურად განსხვავებულ წყაროებშია დაფიქსირებული, გვიჩვენებს, რომ ადამიანთა ჯგუფების მრავალჯერადმა ნაკადმა თავისი გენეტიკური წვლილი შეიტანა სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის ფორმირებაში. მათ შორის იგულისხმება ჩრდილოეთ აფრიკის/ახლო აღმოსავლეთის და თურქული/მონღოლური პოპულაციები. მრავალგვარობამ ასევე შესაძლოა, mtDNA ხაზების ურთიერთგაცვლაზე მიგვანიშნოს, რომელიც კვკასიის მაღალმთიან რეგიონში ქალის მოტაცების, პატრილოკალურობის და სხვა კულტურული პროცესებით იყო პირობადებული და რომელიც ტრადიციულად ზღუდავდა მამაკაცის, მაგრამ ხელს უწყობდა ქალის, გენეტიკურ გადინებას.

ამისგან განსხვავებით, სვანებში მცირეა -ქრომოსომის ჰაპლოჯგუფების მრავალგვარობა, თვალნათლივი 2ა პრედომინანტის ჩამოყალიბებით. სვანებში წარმოდგენილი მამისეული ხაზები ასევე უკავშირდება სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონს (ბალკანეთი, ახლო აღმოსავლეთი, ანატოლია, აღმოსავლეთ ევრაზია), რაც სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიაში პოპულაციების მრავალჯერადი შემოდინებით უნდა აიხსნას და მეზობელი მაღალმთიანი მოსახლეობის მამისეული ხა-

ზების სიხშირეშიც გამოჩნდა. სვნების, ოსებისა და აფხაზების გენეტიკური სიახლოვე, მიუხედავად მათ შორის ლინგვისტური განსხვავებისა მიუთითებს წარსულში ამ სამი ეთნო-ლინგვისტური ჯგუფის საერთო მამისეულ გენოფონდზე. მაღალმთიანი მოსახლეობის ერთმანეთთან უფრო გამოხატული სიახლოვე, ვიდრე მაღალმთიანეთისა და დაბლობის მოსახლეობას შორის, გვაფიქრებინებს, რომ პირველებს ერთმანეთთან მეტი შერევა ჰქონდათ.

როდესაც ხელთა გვაქვს სურათი სვანებში გენეტიკური ვარიაციების შესახებ, ჩვენ ვიწყებთ გზების ძიებას ამ პოპულაციაში გენეტიკური მრავალგვარობის ასახსნელად. უმთავრესი მიზანია, მიტოქონდრიული დნმ-ის გენომის სრული სექვენაციით შევისწავლოთ კვლევის მონაწილეთა დედისეული ხაზები. ეს კვლევა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი იქნება სამხრეთ კავკასიის რეგიონში დედისეული ხაზების (ჰაპლოჯგუფის) წარმოშობისა და გავრცელების შესახებ. ჩვენ, აგრეთვე, მეტად დეტალური ანალიზი განვახორციელებთ სვანების უმთავრესი მამისეული ხაზის, ჰაპლოჯგუფი 2a-ს შესასწავლად. მისი იმ კონკრეტული განშტოების განსასაზღვრად, რომელიც უმეტესად წარმოდგენილია სვანებში დაზოგადად ქართველებში,

ამასთან, ვგეგმავთ აუტოსომური დნმ-ის მრავალგვარობის ანალიზს, რათა სრულყოფილად შევისწავლოთ სვანების გენეტიკური წინაპრები და მათი ურთიერთობები გარშემო მყოფ რეგიონების მოსახლეობასთან. ასეთი კვლევა საშუალებას მოგვცემს აღვადგინოთ უძველესი კონტაქტებისა და შერევების სურათი და დავადგინოთ სვანების დღეს არსებული გენეტიკური მრავალგვარობის მიზეზი.

და ბოლოს, ჩვენ გვსურს მსგავსი კვლევები საქართველოს სხვა პოპულაციებშიც განვაგრძოთ გენეტიკური წინაპრისა და მიგრაციების დასადგენად, აღმოვაჩინოთ კავშირები გენეტიკურ, გეოგრაფიულ და ლინგვისტურ ასპექტებს შორის.

### სამადლობელი

ავტორები მადლობას მოახსენებენ სვანეთის მოსახლეობას და მუნიციპალიტეტს, ექსპედიციის ქართველ მონაწილეებს, რომელთა თანამშრომლობამაც შესაძლო გახადა ამ კვლევის ჩატარება. ასევე გვსურს მადლობა მოვასხნოთ ორგანიზაციებს, რომელთაც ადმინისტრაციული და ლოჯისტიკური მხარდაჭერა გამოხატეს სტატიაში აღწერილი კვლევის ორგანიზების საქმეში. აქ იგულისხმება პენსილვანიის უნივერსიტეტის (პენი) არქეოლოგიის და ანთროპოლოგიის მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭო და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. ასევე, ფინანსური მხარდაჭერა მივიღეთ: მეცნიერების ეროვნული ფონდიდან (აშშ), პენის არქეოლოგიის და ანთროპოლოგიის მუზეუმის, პენის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის, ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოებისა და პენის კვლევითი ფონდისაგან.

დაბოლოს, გვსურს აღვნიშნოთ ის ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა, რომელიც ნაციონალურმა გეოგრაფიულმა საზოგადოებამ პენის მოლეკულური ანთროპოლოგიის ლაბორატორიას გაუწია.

### ლიტერატურა:

- Anthony DW, Ringe D. 2015. The Indo-European homeland from linguistic and archaeological perspectives *Annual Review of Linguistics* 1: 199-219
- Balanovsky O, Dibirova K, Dybo A, Mudrak O, Frolova S, Pocheshkhova E, Haber M, Platt D, Schurr TG, Haak W, Kuznetsova M, Radzhabov M, Balaganskaya O, Romanov A, Zakharova T, Soria Hernanz DF, Zalloua P, Koshel S, Ruhlen M, Renfrew C, Wells RS, Tyler-Smith C, Balanovska E. 2011. Parallel evolution of genes and languages in the Caucasus region. *Molecular Biology and Evolution* 28(10): 2905–2920.
- Battaglia V, Fornarion S, Al-Zahery N, Oliveri A, Pala M, Myres N.M, King RJ, Rootsi, Marjanovic D, Primorac D, Hadziselimovic R, Vidovic S, Drobic K, Durmishi N, Torroni A, Santachiara-Benerecetti AS, Underhill P.A, Semino O.

2009. Y-chromosomal evidence of the cultural diffusion of agriculture in southeast Europe. *European Journal of Human Genetics* 17(6): 820–30.
- Boukaert R, Lemey P, Dunn M, Greenhill S.J, Alekseyenko A.V, Drummond A.J, Gray R.D, Suchard M.A, Atkinson Q.D. 2012. Mapping the origins and expansion of the Indo-European language family. *Science* 337(6097): 957-960.
- Braund D. 1994. *Georgia in Antiquity: A History of Colchis and Transcaucasian Iberia: 550 B.C.-A.D 562*. Oxford: Clarendon Press.
- Bulayeva KB, Davudov OM, Pavlova T.A, Kurbanov R.M, Bulayev O.A. 2003. Genetic subdivision of Daghestan ethnic populations. *Russian Journal of Genetics* 39(1): 68-76.
- Burton T.I. 2015. Ancient script spurs rethinking of historic 'backwater'. National Geographic (<http://news.nationalgeographic.com/2015/09/150916-caucasus-writing-republic-of-georgia-grakliani-iron-age/>).
- Catford J.C. 1991. The classification of Caucasian languages. In: *Sprung from Some Common Source*. Lamb S.M, Mitchell E.D, editors. Stanford: Stanford University Press, pp. 232-268.
- Chikobava A. 1979. *Introduction into Iberian-Caucasian Linguistics*. Tbilisi (in Georgian).
- Chirikba V.A. 2008. The problem of the Caucasian *Sprachbund*. In: *From Linguistic Areas to Areal Linguistics*. Muysken P, editor. Amsterdam: John Benjamins Publishing Co., pp. 25-93.
- Dshaparidze O. 1998. *Zur Ethnokulturellen Geschichte der Georgischen Stamm im 3 Jabatausend V. Chr.* Tbilisi.
- Dulik M.C, Owings A.C, Gaieski J.B, Vilar M.G, Andre A, Lennie C, Mackenzie M.A, Kritsch I, Snowshoe S, Wright R, Martin J, Gibson N, Andrews T.D, Schurr T.G, The Genographic Consortium. 2012. Y-chromosome analysis reveals genetic divergence and new founding native lineages in Athapaskan- and Eskimoan-speaking populations. *Proceedings of the National Academy of Sciences of the USA* 109(22): 8471-6.
- Gaieski J.B, Owings A.C, Vilar M.G, Dulik M.C, Gaieski D.F, Gittelman R.M, Lindo J, Gau L, Schurr T.G. 2011. Genetic ancestry and indigenous heritage in a Native American descendant community in Bermuda. *American Journal of Physical Anthropology* 146(3): 392-405.
- Gray R.D, Atkinson Q.D. 2003. Language-tree divergence times support the Anatolian theory of Indo-European origin. *Nature* 426(6965): 435-39.
- Herrera K.J, Lowery R.K, Hadden L, Calderon S, Chiou C, Yepiskoposyan L, Regueiro M, Underhill P.A, Herrera R.J. 2012. Neolithic patrilineal signals indicate that the Armenian plateau was repopulated by agriculturalists. *European Journal of Human Genetics* 20(3): 313-20.
- Inadze M. 2009. *Aspects of the History of Ancient Colchis*. Tbilisi (in Georgian).
- Kavtaradze G. 1985. The Question of the Settlement of Kartvelian tribes in Anatolia. Tbilisi: Metsniereba. [in Georgian].
- Kavtaradze G.L. 2000. Some problems of the interrelation of Caucasian and Anatolian Bronze Age cultures. *Quaderni di Archeologia Università di Messina* 1:1: 107-123.
- Kohl P.L. 1992. The Transcaucasian 'periphery' in the Early Bronze Age: a preliminary formulation. In: *Resources, Power and Interregional Interaction*. Schortman E.M, Urban P.A, editors. New York: Plenum Press, pp. 117-137.
- Lang D.M. 1955. Georgia in the reign of Giorgi the Brilliant (1314-1346). *Bulletin of the School of Oriental and African Studies* 17(1): 74-91.
- Lordkipanidze O. 1991. Vani: An ancient city of Colchis. *Greek, Roman and Byzantine Studies* 32(2): 151-195.
- Mallory J.P. 1989. *In Search of the Indo-Europeans: Language, Archaeology, and Myth*. London: Thames & Hudson.
- Mikeladze T. 1974. *Investigations in the History of the Ancient Population of Colchis and the Southeastern Black Sea Regions*. Tbilisi (in Georgian).
- Nasidze I, Ling E.Y, Quinque D, Dupanloup I, Cordaux R, Rychkov S, Naumova O, Zhukova O, Sarraf-Zadegan N, Naderi G.A, Asgary S, Sardas S, Farhud D.D, Sarkisian T, Asadov C, Kerimov A, Stoneking M. 2004. Mitochondrial DNA and Y-chromosome variation in the Caucasus. *Annals of Human Genetics* 68: 205-21.
- Nasidze I, Schädlich H, Stoneking M. 2003. Haplotypes from the Caucasus, Turkey and Iran for nine Y-STR loci. *Forensic Science International* 137(1): 85-93.
- Pamjav H, Fehér T, Németh E, Pádár Z. 2012. Brief communication: new Y-chromosome binary markers improve phylogenetic resolution within haplogroup R1a1. *American Journal of Physical Anthropology* 149(4): 611-5.
- Rootsi S, Magri C, Kivisild T, Benuzzi G, Help H, Bermisheva M, Kutuev I, Barac L, Pericic M, Balanovsky O, Pshenichnov A, Dion D, Grobei M, Zhivotovsky L.A, Battaglia V, Achilli A, Al-Zahery N, Parik J, King R, Cinnioglu C, Khusnutdinova E, Rudan P, Balanovska E, Scheffrahn W, Simonescu M, Brehm A, Goncalves R, Rosa A, Moisan J.P, Chaventre A, Ferak V, Füredi S, Oefner P.J, Shen P, Beckman L, Mikerezi I, Terzić R, Primorac D, Cambon-Thomsen A,

- Krumina A, Torroni A, Underhill PA, Santachiara-Benerecetti AS, Villems R, Semino O. 2004. Phylogeography of Y-chromosome haplogroup I reveals distinct domains of prehistoric gene flow in Europe. *American Journal of Human Genetics* 75(1): 128-137.
- Rootsi S, Myres NM, Lin AA, Järve M, King RJ, Kutuev I, Cabrera VM, Khusnutdinova EK, Varendi K, Sahakyan H, Behar DM, Khusainova R, Balanovsky O, Balanovska E, Rudan P, Yepiskoposyan L, Bahmanimehr A, Farjadian S, Kushniarevich A, Herrera RJ, Grugni V, Battaglia V, Nici C, Crobu F, Karachanak S, Hooshiar Kashani B, Houshmand M, Sanati MH, Toncheva D, Lisa A, Semino O, Chiaroni J, Di Cristofaro J, Villems R, Kivisild T, Underhill PA. 2012. Distinguishing the co-Ancestries of haplogroup G Y-chromosomes in the populations of Europe and the Caucasus. *European Journal of Human Genetics* 20(12): 1275-82.
- Schurr TG, Dulik MC, Owings A.C, Zhadanov S.I, Gaieski J.B, Vilar M.G, Ramos J, Moss M.B, Natkong F, The Genographic Consortium. 2012. Clan, language, and migration history has shaped genetic diversity in Haida and Tlingit populations from Southeast Alaska. *American Journal of Physical Anthropology* 148(3):422-35.
- Shi H, Qi X, Zhong H, Peng Y, Zhang X, Ma RZ, Su B. 2013. Genetic evidence of an East Asian origin and paleolithic northward migration of Y-chromosome haplogroup N. *PLoS One* 8(6):e66102.
- Suny RG. 1994. *The Making of the Georgian Nation*. 2<sup>nd</sup> ed. Bloomington: Indiana University Press.
- Tuite K. 1999. The myth of the Caucasian Sprachbund: The case of ergativity. *Lingua* 108: 1-26.
- Underhill P.A, Myres N.M, Rootsi S, Metspalu M, Zhivotovsky L.A, King RJ, Lin A.A, Chow C-E, Semino O, Battaglia V, Kutuev I, Järve M, Chaubey G, Ayub Q, Mohyuddin A, Mehdi S.Q, Sengupta S, Rogaev E.I, Khusnutdinova E.K, Pshenichnov A, Balanovsky O, Balanovska E, Jeran N, Augustin D.H, Baldovic M, Herrera RJ, Thangaraj K, Singh V, Singh L, Majumder P, Rudan P, Primorac D, Villems R, Kivisild T. 2010. Separating the post-glacial coancestry of European and Asian Y chromosomes within haplogroup R1a. *European Journal of Human Genetics* 18(4): 479-84.
- Yunusbaev B, Metspalu M, Järve M, Kutuev I, Rootsi S, Metspalu E, Behar DM, Varendi K, Sahakyan H, Khusainova R, Yepiskoposyan L, Khusnutdinova E.K, Underhill PA, Kivisild T, Villems R. 2011. The Caucasus as an asymmetric semipermeable barrier to ancient human migrations. *Molecular Biology and Evolution* 29(1): 359-65.
- Zhadanov S.I, Dulik M.C, Markley M, Jennings G.W, Gaieski J.B, Elias G, Schurr T.G. 2010. Genetic heritage and native identity of the Seaconke Wampanoag Tribe of Massachusetts. *American Journal of Physical Anthropology* 142(4): 579-89.

## სურათები:

- Figure 1. კავკასიის რეგიონის ეთნოლინგვისტური ჯგუფის რუკა (<http://soyarmenio.com.ar>).
- Figure 2. ქართველური ენების გავრცელების რუკა (<https://georgiaphotophiles.wordpress.com/2013/01/25/maps/>)
- Figure 3. პონტოური სტეპის პონტო-ინდო-ევროპული ენის გავრცელების მოდელი (from Anthony and Ringe 2015).
- Figure 4. რუკა რომელიც გვიჩვენებს ურთიერთობებს ბრინჯაოს ეპოქის კულტურას და Y-ქრომოსომის ხაზებს შორის ([http://www.eupedia.com/europe/neolithic\\_europe\\_map.shtml](http://www.eupedia.com/europe/neolithic_europe_map.shtml))
- Figure 5. საქართველოს რუკა, რომელიც გვიჩვენებს ადმინისტრაციულ პროვინციებს ([www.bonafide.ge](http://www.bonafide.ge))
- Figure 6. რუკა რომელიც გვიჩვენებს საქართველოს სახელმწიფოს მდებარეობას. ([https://www.wikiwand.com/en/History\\_of\\_Georgia\\_\(country\)](https://www.wikiwand.com/en/History_of_Georgia_(country)))
- Figure 7. 10 საუკუნის საქართველოს სამეფოს რუკა ([https://www.wikiwand.com/en/History\\_of\\_the\\_Caucasus](https://www.wikiwand.com/en/History_of_the_Caucasus))
- Figure 8. საქართველოს 1810 წლის რუკა (<https://www.youtube.com/watch?v=V-GK4g4qaxk>).
- Figure 9. სვანეთის რუკა რომელიც გვიჩვენებს სვანეთის სოფლების განლაგებას რეგიონში (<http://eurasia.travel/georgia/places/mountains/svaneti/>)
- Figure 10. Dr. RamazShengelia (far left) and Dr. David Chitanava (magenta-colored shirt) უშგულის ისტორიის შესახებ დისკუსია სოფლის ორ მცხოვრებთან ერთად. (არამ იარდუმიანის ფოტო).
- Figure 11. დოქ. არამ იარდუმიანი ესაუბრება ქალს სოფელ აღანიდან. (დავით ჭითანავას ფოტო)
- Figure 12. ირმა ლალიაშვილი იწერს გენეალოგიურ ინფორმაციას მიწოდებული მონაწილის მიერ (არამ იარდუმიანის ფოტო).

Figure 13. დავით ჭითანავა ესაუბრება მონაწილეს ეწერიდან მათი გენეალოგიური ისტორიის შესახებ, ეს სამუშაო ვრცელდება გენეალოგიურ კვლევაზე და იძიებს პოტენციურ კავშირს ოჯახებთან. (არამ იარდუმიანის ფოტო).

Figure 14. გენეალოგიური ჩანაწერი ჭუბერში (დავით ჭითანავას ფოტო).

Figure 15. ოჯახის გენეალოგიური დიაგრამა რომელიც გვიჩვენებს ადამიანის გენის სხვადასხვა ნაწილის მემკვიდრეობის ნიშნებს. (მიტოქონდრიული DNA, Y-ქრომოსომა, აუტოსომური DNA).

Figure 16. mtDNA ჰაპლოჯგუფის გლობალური გავრცელება ან დედის ხაზი.

Figure 17. Y-ქრომოსომის ჰაპლოჯგუფის გლობალური გავრცელება ან მამის ხაზი.

Figure 18. A MDS სქემა  $F_{ST}$  ფასდება mtDNA ჰაპლოჯგუფის სისშირეზე დაყრდნობით

Figure 19. A MDS სქემა  $F_{ST}$  ფასდება mtDNA HVS-I სექვენსზე დაყრდნობით

Figure 20. A MDS სქემა  $F_{ST}$  ფასდება Y-ქრომოსომის ჰაპლოჯგუფის სისშირეზე დაყრდნობით

Figure 21. A MDS სქემა  $R_{ST}$  შეფასება Y-STR ჰაპლოტიპებისათვის.

**Th. G. Schurr** (Philadelphia), **Aram Yardumian** (Philadelphia), **Ramaz Shengelia** (Tbilisi), **Liana Bitadze** (Tbilisi), **David Chitanava** (Tbilisi), **Shorena Laliashvili** (Tbilisi), **Irma Laliashvili** (Tbilisi), **Akiva Sanders** (Philadelphia), **Andrew Azzam** (Philadelphia), **Victoria Groner** (Philadelphia), **Kristi Edleson** (Philadelphia), **Miguel G. Vilar** (Philadelphia)

### **Genetic Diversity and Population History in Svaneti, Northwestern Georgi**

#### **Abstract**

In an analysis of genetic diversity among Svans from northwest Georgia, we evaluated a number of important questions about their ethnogenesis and history as a population in the South Caucasus. How diverse are the Svans as a population, given their geographic isolation? To what extent are they related to their highland and lowland neighbors, given the linguistic similarities and differences? What can these details tell us about the extent to which South Caucasus populations descend from Upper Paleolithic populations, Neolithic agriculturalists, or Bronze Age settlers? To address these questions, we analyzed mtDNA and Y-chromosome variation in 184 Svan individuals, and compared the genetic data with genealogical and ethnohistorical evidence from Svaneti. We observed a predominance (~80%) of one major paternal lineage in Svans, haplogroup G2a, with others (I, J, and R1) being present at lower frequencies. From a maternal genetic perspective, we noted a wide spectrum of mtDNA diversity in Svans, with haplogroups C, H, HV, K, M1, N1b, U1, U3, U4, and U7 being present in this population. Together, these genetic data reveal some genetic similarities between Svans and neighboring Ossetian, Aydgei, and Abkhaz (non-Kartvelian-speaking) populations, but also distinct patterns of mtDNA and Y-chromosome variation within these populations. Our results provide new insights into anthropological genetic variation in the South Caucasus, and help to situate Georgian history more firmly within the broader context of the Caucasus and Near East.

#### **Introduction**

The Caucasus has long held the fascination of scholars yet eluded full description because of its diversity of peoples, different understandings of its history from various disciplinary perspectives, and written work about the region being produced in several different languages. This part of the world has also been viewed as a bridge between major geographic regions of Eurasia, as it connects the southern world of the Middle East, Anatolia, Mediterranean, and Africa, with the northern world of the Russian steppes, Europe, and East Asia. As such, it has witnessed the intersection of peoples, cultures and languages for tens of millennia. Despite its centrality to these events, our understanding of them and the resulting population diversity remains incomplete.

In what follows, we discuss new genetic data that help to enlarge our knowledge about the history of the Caucasus, and Svans in particular, and demonstrate how comparing different lines of evidence can illuminate questions about Caucasus population history in new ways. We first review background information about Georgia and the broader Caucasus to provide an archeological, historical, and linguistic context for interpreting the genetic data. We then discuss the research questions being tested with the DNA evidence. Next, we review the details of fieldwork in Svaneti and the genetic methods employed in the study. Subsequently, we explicate our research findings in some detail and then summarize the main observations. Finally, we outline some of the next steps in the analysis of Svan samples that will enlarge our view of genetic variation in this population and the Caucasus as a whole.

## Background

The Caucasus is known for its ethnic and linguistic diversity, with many different peoples living in the region, and languages from several major language families (Indo-European, Kartvelian, Turkic, Northeast Caucasian and Northwest Caucasian) being spoken there (Chikobava 1979; Catford 1991; Tuite 1999) (**Figure 1**). This remarkable diversity has made reconstructing the population history of this region complicated, although recent studies of genetic variation in Daghestan and Armenia (Bulayeva et al. 2003; Nasidze et al. 2003, 2004; Herrera et al. 2011), as well as more general studies (Balanovsky et al. 2011; Yunusbayev et al. 2011), have helped to fill some gaps in our knowledge of the history.

With respect to ethnolinguistic diversity in the Caucasus, Kartvelian languages are largely spoken in Georgia (**Figure 2**). The longstanding question about the geographic origin(s) of Kartvelian languages, and the impact of Kartvelian-speakers on settlement patterns in the South Caucasus, has direct implications for efforts to reconstruct the population history of the region. Recent research suggests we are only beginning to understand the history of spoken and written language in the South Caucasus (Burton 2015).

Certain scholars (Kavtaradze 1985, 2000) situate the Kartvelian homeland in eastern Anatolia and the Ararat Plains, from which it eventually spread into what is now Georgia. Svan's status as the oldest and most differentiated of the Kartvelian languages would suggest that it first split off from the proto-Kartvelian speech-group, and then was spread into the sparsely populated western Georgian lowlands in the 3<sup>rd</sup> millennium BC (Chirikba 2008). This was followed by an expansion of Zan speakers (the putative ancestor of Laz-Mingrelian), who may have pushed the Svan-speakers further into the highlands. This second expansion event would then have been followed by the arrival or expansion of Georgian-speakers, whose language was gradually formed through several processes, including the rise of the Kartli-Iberia kingdoms in the 4<sup>th</sup> BCE to 8<sup>th</sup> centuries CE, and their adoption of Christianity (Suny 1994).

There has also been considerable debate about the homeland of Indo-European languages and the route(s) in which they spread into different parts of Eurasia, including the Caucasus. In one model, proto-Indo-European (PIE) arose in Anatolia and spread into Europe and Eurasia, where it diversified into various Indo-European languages (Gray and Atkinson 2003; Bouckaert et al. 2012). Others have suggested a Pontic-Caspian steppe origin for PIE with various waves of expansion emanating from there to other regions, perhaps being linked with the Kurgan culture (Mallory 1989; Anthony and Ringe 2015) (**Figure 3**). While being vigorously debated, these two models suggest that any genetic influence of Indo-European speaking populations on the Caucasus region came after various branches of this family were well established.

Researchers have also made considerable efforts to recover the archeological history of Europe and the Caucasus, and link patterns of cultural variation through time with distributions of genetic lineages in the populations that now occupy those areas. This phylogeographic approach has been used to reconstruct the distribution of Bronze Age peoples, as shown in (**Figure 4**). The color-coding indicates the paternal (Y-chromosome) lineages that are thought to be associated with the spread of different archeological cultures, including haplogroup R1b with the Maikop Culture in the North Caucasus and haplogroup G2a with the Kura-Araxes Culture in the South Caucasus. The colored regions may thus represent longstanding patterns of genetic variation, hence, regional gene pools, that have arisen and been maintained for many thousands of years.

These types of models are attempts to explain patterns of genetic variation observed in populations from the Near East and the Caucasus. While they can be tested through new DNA studies, these models also raise additional questions about the prehistory of the South Caucasus. How did the dispersal of Near Eastern agriculturalists into Georgia affect the region's genetic diversity? Did changes in social organization and culture during the Bronze Age of the Caucasus reflect an influx of new settlers into the region? Are patterns of genetic variation in South Caucasus consistent with Kartvelian linguistic history? How have subsequent historical and demographic changes affected patterns of genetic variation in South Caucasus populations?

## Svan Population History

In addition to clarifying the genetic prehistory of the South Caucasus, we wanted to provide new details about the history of the Svan population. The relative geographic isolation of Svaneti has lent much to its mythical status



as a place that is inhabited by an ancient and autochthonous people (**Figure 5**). Situated in the upper valleys of the Inguri, Rioni, and Tskhenis-Tsqali Rivers, the region was until very recently only accessible by poorly maintained roads and riverine trails. The Great Caucasus peaks divide it from its North Caucasus neighbors, Karachay-Circassia and Kabardino-Balkaria, to which passage is possible along a few foot and horse paths. To the west is Abkhazia, a Black Sea coast breakaway region whose language clusters with Abaza, Adyghe, Circassian, and the extinct Ubykh to form the Northwest Caucasian family (Chirikba 2008)<sup>1</sup>. To the east and southeast are the Georgian provinces of Racha and Lechkhumi, which have also been sporadically inhabited by Svans, and to the south is Mingrelia. Beyond Racha to the east lies South Ossetia, a breakaway region from Georgia's ShidaKartli district<sup>2</sup>.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მაინც რომელი წარმართული ღვთაების კულტი უნდა შერწყმოდა ქრისტიანულ წმინდა გიორგის? ივ. ჯავახიშვილი „ქართველების წარმართობაში“, იმოწმებს რა სტრატონის ცნობას მთვარის ღვთაების დღესასწაულის შესახებ, მიუთითებს, რომ სწორედ მთვარის ღვთაების რიტუალები მეორდებოდა ჯერ თეთრი გიორგის, შემდეგ კი წმინდა გიორგის დღესასწაულებზე. ამიტომ მთვარის მეომარი ღვთაება, რომლის ფუნქციაც შეეხება ქრისტიანულ წმინდანს, მეცნიერის აზრით, მის არქეტიპად უნდა მოვიანოთ. თუმცა ფუნქციათა მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ წმინდა გიორგის კულტში შეერთდა წარმართობისდროინდელი არა ერთი რომელიმე ღვთაების სახე, არამედ რამდენიმე და სავარაუდოა, რომ ეს ხანგრძლივი პროცესიც უნდა ყოფილიყო. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის რიტუალური წეს-ჩვეულებები, რომელიც დღესაც ხშირად უცვლელი სახით შეიძლება ვნახოთ რომელიმე ხატის (მითოლოგიური გაგებით–ზ.კ.) დღესასწაულზე.

ჩვეულება რწმენაზე უფრო გამძლე აღმოჩნდა, დავიწყებული მითოსი წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ ეთნოგრაფიულ რიტუალებში ხშირად.

## ლიტერატურა:

**აბაშიძე 1991:** ბ. აბაშიძე, ქართული მითოლოგიის საკითხები, თბილისი.

**აჩბა 2012:** ს. აჩბა, ოსი ხალხის რელიგიური იდენტობა. <http://religiebi.info/index.php?a=main&pid=89&lang=ge>

**კიკნაძე 1996:** ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, ჯვარი და საყმო, ქუთაისი.

[saunje.ge/index.php?id=1191&lang=ka](http://saunje.ge/index.php?id=1191&lang=ka)

**მაკალათია 1938:** ს. მაკალათია, ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში, თბილისი.

**მჭედლიშვილი 2003:** თ. მჭედლიშვილი, წმინდა გიორგის წამება და საკვირველებანი

<http://www.orthodoxy.ge/tveni/aprili/giorgi.htm>

**ოჩიაური 1967:** თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი.

**სიხარულიძე 2006:** ქ. სიხარულიძე, იბერიულ-კავკასიური მითოლოგია, თბილისი.

**„ქართლის ცხოვრება“ 2012:** „ქართლის ცხოვრება“, „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი“, თბილისი.

**წმინდა გიორგი და საქართველო 2012:** წმინდა გიორგი და საქართველო [news.ge/ge/news/story/12999](http://news.ge/ge/news/story/12999)

**„წმინდანთა ცხოვრება“ 2001:** „წმინდანთა ცხოვრება“, ტ. II. თბილისი.

**ჯავახიშვილი 2012:** ივ. ჯავახიშვილი, ქართველთა წარმართობა, ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბილისი.

Z. Kikvidze (Tbilisi)

**Saint George – Common Caucasian Deity  
(From its Origin to Christianity)**

In the Georgian mythological pantheon, none of the deities has the functions as diverse as Saint George. The fact that its cult originates from ancient times is evidenced by both written sources and surviving rituals in present-day ethnographic customs. Saint George was worshiped by both Georgia throughout and other ethnic groups inhabiting the Caucasus. Saint George of Zegardi is well-known and the cult has been founded by a Kist man; besides, there is Saint George of Somkho, the icon of which has reportedly entered from Armenia, having been upset with the parish there and having settled in Khevsureti (Z. Kiknadze, *Georgian mythology*, Kutaisi, 1996:143).

It has been stated in scholarly literature that the image of mythological George merged with that of the Cappadocian Christian saint (T. Mchedlishvili, *St. George martyrdom and portents*, Tbilisi, <http://www.orthodoxy.ge/tveni/aprili/giorgi.htm>, 2003:); however, it is rather difficult to provide a precise answer to the question, the functions of which specific deity were identified with those of the Christian saint. The difficulty has been conditioned by the mixture of various polytheist and/or monotheist faiths as a result of which ancient (pagan times) cults are lost and their images are retained only as mythological relics.

The cult of Saint George is represented with various functions among Caucasian tribes. For instance, in Adyghe mythology, its features merged with Daushjerjia, the cult of which was spread as that of a deity of hunting; it substituted for the earlier deity Mezguash; Saint George, alias Vastirj, was conceived of as a main survivor deity of all Alania; he was a supporter of men and travelers and a guarantor of oaths (S. Achba, the Ossetian people's religious identity <http://religiebi.info/index.php?a=main&pid=89&lang=ge>, 2012:).

As for Georgian beliefs, sacred opportunities of the saint are wider here; he is conceived of as a supporter of warriors, as a protector of land-cultivators and as an aid to hunters. However, his divine opportunities are not deemed to these. Features, attesting his functional diversity, abound in both folklore tales and ethnographic rituals.

Written sources state that the cult of Christian Saint George began to enhance in Georgia since the seventh century, as far as it was since that period when his ancient images started to appear on Georgian monuments (a frieze of the Martvili Church); based on the diversity, age and abundance of folk tales of and about the iconographic type of Saint George, scholars suppose that the Georgian world should have played a significant role in the establishment and dissemination of the cult of this saint.

Beginning from Middle Ages, numerous versions of legends and tales are composed. According to Vakhushti, there is no mount or hill in Georgia upon which there is a church devoted to the saint. It is noteworthy that, in some locations, instead of a church there is a niche with an icon in it; elsewhere there is no niche either, but such a specific location is referred to as Saint George's place and treated with particular deference by the local population.

Abundance of cult facilities has been associated with the legend that 365 parts of the saint's body were disseminated on earth and churches have been erected everywhere. However, mythological beliefs allow us to suppose that the abundance was conditioned by the merge of cults of various deities from the pagan pantheon with that of Saint George. In support of the assumption, one can refer to the festival of "Lamproba" in Svaneti, held annually on February 1, preceding the Great Lent (Iv. Javakhishili, *Georgians paganism, History of the Georgian Nation*, vol. I. 2012:58). It has been associated with the name of Saint George. Of course, "Lamproba" (Svan *Limpyar*) has nothing to do with the Christian festival of Saint George either with respect to time or ritual details. This is a spring festival asking for good weather, fertility of animals and people, and rich harvest. The cult of Saint

George proper (Svan *Jrag*, Megrelian *Jege*) must have emerged as a fighting deity, who, with his indivisible attribute – white horse, went to combat goblins and ogres (S. Makalatia, *Jege- misaronis cult-in old Georgia*, Tbilisi, 1938:16). Tales, preserved in the highlands of Eastern Georgia, contain such attitudes extensively. Most of shrines are named after Saint George (Sameba, Lomisa, Lashari, Gudani, Khakhmati). By means of a preacher, the deity informed the parish about his decision that he was going to fight, and it was a rather powerful charge filling warriors with faith, to be fighting by his side.

According to Christian legends, in the 1121 Battle of Didgori, the Georgian army was almost visually led by Saint George (" *Life of Kartli*", " *life of King David*", Tbilisi, 2012:171). During the great upsurge in Bakhtioni against Persians, the Georgian army was also observed to be led Saint George.

The martial chronicle of western Georgia discloses the following fact: Abkhazians, compelled to retreat at one of the battles, met a young man who encouraged them to fight. Where the Abkhazians fought by means of swords and arrows, he fought with a whip, cleaved Tatars and drove them from the borders of Abkhazia. He left only two daggers for himself and gave the rest to the men.

The day after, when the believers entered the Ilori Church to prey and to celebrate the victory, they discovered those two daggers hanging on both sides of Saint George's icon. It became clear for everyone that Saint George, as a protector of Georgia, supported his worshipping nation once again.

In 1795, during Agha-Mohammad-Khan, the Persian army, dislocated at one of the mountains, was attacked by a horseman in a black felt cloak killing them. Georgians identified him with Saint George, named the mount as "Shavnabada" (Black Felt Cloak) and erected a church dedicated to Saint George (*St. George and Georgia*. news.ge/ge/news/story/12999, 2012:).

Saint George did also protected the Georgians in exile. Ethnic Georgians in Fereidan have the following legend: when the Afghans invaded Iran, took Isfahan and approached Fereidan, there was a rock on the slope of the mountain; the rock moved aside and a man in white with a sword in his hand, riding a white horse, came out of it. He supported Georgians. The Afghans could not invade Fereidan and retreated. The warrior disappeared behind the rock. The rock is referred to a Horse of Tamz. Currently, Georgians lit candles at the place where Saint George came from, to help them.

Mythological tales preserve not stories about struggles against individual tribes but rather against evil spirits. Folklore mentions all kinds of evil spirits, such as dragons, ogres, and goblins. It should be noted that Saint George's fight with a dragon has been a rather stable mythologeme in mythological tales worldwide; he enters the Christian iconography with a symbolic function; according to Khevsurian beliefs, Saint George, referred to as the shrine, goes to the land of goblins in order to free treasure and the abducted women (Samdzimari, Ashekali, Mzekali). In this case, he is identified as God's son (T. Ochiauri, *Mythological legends of the eastern highlands of Georgia*, Tbilisi, 1967:213).

When Saint George goes to fight, he is accompanied by the cultural heroes of mythos (Khogais Mindia, Gakhua Megrelauri); they are referred to as being worthy of the shrine and have the gift of transformation: they are able to travel invisibly to the land of goblins. It can be assumed that such legends might be based on a certain specific battle, and the popular belief preserved it within a mythological veil. The deity of the pagan times merged the cult of Christian Saint George; however, pagan service was maintained. This is evidenced by rituals of Gudani, Khakhmati, Lomisi, and other sanctuaries.

The desacralization of Dali, a hunting deity, has been associated with the name of Saint George in mythological tales. It is attested by the story of hunter Chorla. According to the Georgian mythological pantheon, Dali and Ochopintre were referred to as hunting deities. A pagan Georgian used to ask these two deities to support him in hunting and to perform a ritual in its full guise. However, Saint George is also referred to in the legends of the hunting cycle. In the story of Chorla he has two functions. He helped his faithful vassal to avoid Dali's wrath and promises him to facilitate his hunting. According to the legend, Chorla was from Mulakhi and, when he went hunting, he killed too many wild goats and chamoises. The Dalis got angry with this. They hang the hunter down the rock; however, as far as Chorla was a faithful vassal of Saint George, he saved him. He directed the torrent to the Dalis and killed them. Chorla was given the permission to kill a wild goat every day (B. Abashidze, *Georgian Mythology issues*, Tbilisi, 1991:59).

On the one hand, the legend allows to assume that it reflects the fact of decrease of the matriarchate and increase of the patriarchate; however, had it been so, female and male hunting deities would not co-exist in the



mythological thought. According to mythology, both Dali and Ochopintre enjoyed equal rights. Moreover, their images do not even encounter one another. In the later period, men, going to hunting, asked for lucky hunting Saint George instead of Dali. It is noteworthy that the cult transfer occurred not from a male deity but rather from a female one, having lost other attitudinal functions and degraded (desacralized). I believe such a metamorphosis must be an indicator of the transfer from paganism to Christianity.

As for the function of Saint George, that of a helper of ploughmen, this too should have emerged in ancient times. It can be assumed that the saint overrode an image of a certain earlier deity, and, in legends, he was depicted as the most venerated and valued deity by humans. This can be claimed with a view to the legend, evidenced by Ivane Javakhishvili, testing opportunities of Jesus Christ (in the story of the legend, a certain pagan deity is meant whose name was been forgotten and the author has substituted it with Jesus Christ, as it was in the epic of Amirani), of Elijah, and of Saint George. The shepherd does not even pay attention at Christ, promised Elijah to break his head with a staff, whereas he is ready to sacrifice a whole flock to Saint George. It is obvious that Saint George is considered the most superior and mightiest deity as far as he is able to help a farmer, to avoid an expected danger.

In the mythological tradition, the cult of Saint George might have amalgamated the features of the tree worship and totem as far as its name is associated with an oak, as a sacred tree, and a deer or an ox, as sacrificed animals. An oak, as a sacred tree, took on particular significance in legends. It is proved by Saint George's Church in Chkondidi, Samegrelo, whom people asked for reproduction. The oak of Lashari embodies the union of heaven and earth, its grace has come onto the whole parish and made them invulnerable.

As for sacrificial animals, it has been assumed that initially the deity accepted a deer; later, owing to the violations (according to one version, people did not let the deer feed and slaughtered it earlier than scheduled; according to another, women ate its meat), when the deer did not come to the festival, it was replaced by an ox. According to the mythic tradition, a sacrifice ox was brought by Saint George himself. The fact of eating of its meat proved the sacred unity between the deity and the parish. In the Christian epoch, a lot of legends were composed based on this motif.

Naturally, a question arises: the cult of which pagan deity could have merged with that of Saint George? In his "Paganism of Georgians," Ivane Javakhishvili, referring to Strabo's note about the festival of the lunar deity, states that it was the rituals of the lunar deity that were reiterated initially at the festivals of White George, and later at those of Saint George. Therefore, the fighting lunar deity, whose function got accorded with that of the Christian saint, should be conceived of as its archetype, in the scholar's opinion. However, diversity of its functions leads to the idea that the cult of Saint George amalgamated not an image of a certain pagan deity, but rather images of several ones, and it may be assumed that it should have been a long process. This can be stated with a view to the ritual customs and traditions which can still be observed in an unchanged way at a festival of a certain shrine (in a mythological sense). Habits appeared to be more durable than faith; the forgotten mythos is voiced in ethnographic rituals dedicated to Saint George.

## References:

- Abashidze 1991:** B. Abashidze, Georgian Mythology issues, Tbilisi. (*In Georgian*).
- Achba2012:** S.Achba, the Ossetian people's religious identity <http://religiebi.info/index.php?a=main&pid=89&lang=ge> (*In Georgian*).
- Javakhishvili 2012:** Iv.Javakhishvili, Georgians paganism, The History of the Georgian Nation, vol.I. Tbilisi. (*In Georgian*).
- Kiknadze 1996:** Z. Kiknadze, Georgian mythology, Kutaisi. (*In Georgian*).
- "Life of Kartli" 2012:** "Life of Kartli", "life of King David", Tbilisi. (*In Georgian*).
- Makalatia1938:** S. Makalatia, Jege- misaronis cult-in old Georgia, Tbilisi. (*In Georgian*).
- Mchedlishvil 2003:** T.Mchedlishvili, St. George martyrdom and portents, Tbilisi. (*In Georgian*).
- Ochiauri 1967:** T. Ochiauri, Mythological legends of the eastern highlands of Georgia, Tbilisi. (*In Georgian*).
- St. George and Georgia 2012:** *St. George and Georgia* news.ge/ge/news/story/12999. (*In Georgian*).
- Sikharulidze 2006:** K. Sikharulidze, the Iberian-Caucasian Mythology, Tbilisi. (*In Georgian*).



**ლიტერატურა, ფოლკლორი**

**Literature, Folklore**

**Литература, Фольклор**



ნ. ზუმბაძე (თბილისი)

ქ. მათიაშვილი (თბილისი)

### ქართული ტრადიციული მუსიკის ზოგიერთი პარალელის შესახებ ჩენჩურსა და დაღესტნურთან

(საექსპედიციო აუდიოჩანაწერების შედარებითი შესწავლის ცდა)

ქართველ და ჩრდილოკავკასიულ ხალხთა ტრადიციული მუსიკის ურთიერთმიმართების ცალკეულ საკითხებს და შედარებით შესწავლას, 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველ მეცნიერთა (ვ. ახოზაძის, შ. ასლანიშვილის, თ. მამალაძის, ვ. გვახარიას, ო. ჩიჯავაძის, ნ. მაისურაძის, მ. შილაკაძისა და სხვათა) არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა. წინამდებარე თემა მათ მიერ დაწყებული უაღრესად საჭირო კვლევის ერთგვარი გაგრძელებაა. იგი ეხება ქართულის პარალელებს ჩენჩურსა და დაღესტნურთან<sup>1</sup>.

თემა ეფუძნება აუდიომასალებს, ჩაწერილს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ჩრდილოეთ კავკასიაში – ჩაჩნეთსა და დაღესტანში – 1958-2014 წლების საველე ექსპედიციების დროს<sup>2</sup>. მათი შედარება, სანოტო მაგალითებისგან განსხვავებით, მეტი დაკვირვებისა და დეტალური მუსიკალური ანალიზის საშუალებას გვაძლევს, განსაკუთრებით – შემსრულებლობის საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ არაქართულ მუსიკალურ ნიმუშებს უმთავრესად არ ახლავს აუცილებელი ინფორმაცია, არსებული მასალაც საკმარისია საგულისხმო დასკვნების გამოსატანად.

ქართველებს ვაინახებსა და დაღესტნელებთან მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აკავშირებს, რომელიც ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო. კავშირები, გარკვეულწილად, ბოლო დრომდე გრძელდება.

ეს ურთიერთობები მუსიკაშიც აისახა. ჩვენ მიერ შესწავლილ არაქართულ ნიმუშებში ყველაზე თვალსაჩინოა სიახლოვე თუშურ მუსიკასთან. დაღესტანში სხვადასხვა დროს ჩაწერილ *ლირიკულ სიმღერას* და *ძველებურ ხუნძურ მელიდიას* (ჩაღანასა და აგან ყუმუზზე) თუშური გასიმღერებული ტირილის, *ჩემ ზალოს*, მონათესავე ჰანგი აქვს (აუდიომაგ.: №№1-3). მეტიც, დაღესტნური დასაკრავის I ნახევარი თუშურის I ნახევრის იდენტურია. თუშური ნიმუში, დაღესტნურებისგან

<sup>1</sup> მოხსენების ინგლისურენოვანი ვარიანტი ზოგიერთი ცვლილებით გამოქვეყნებულია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რეცენზირებად ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალში **Musicology and Cultural Science**. 2015, I. [www.gesj.internet-academy.org.ge](http://www.gesj.internet-academy.org.ge). ქართული ტრადიციული მუსიკის პარალელები ჩერქეზულთან, ყარაჩაულსა და აფხაზურთან განხილულია ჩვენს ნაშრომში კავკასიულ ხალხთა მრავალნობიანობა და მისი მიმართება ქართულთან (აუდიოალბომის – კავკასიულ ხალხთა მუსიკა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფონოარქივიდან – მიხედვით). კრებულში: ტრადიციული მრავალნობიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებები. თბილისი, 2012:133-154.

<sup>2</sup> ეს ექსპედიციებია: გუდამაყარი (1958), თიანეთის რაიონი (1959), ხევი (1960), მთიულეთი (1961), რაჭა (1962), თელავის რაიონი (1963) – ხელმძღვანელი: მ. ჟორდანიას; სარფი (1963) – ხელმძღვანელი: გ. ჩხიკვაძე; ზემო და ქვემო ალვანი (1967) – ხელმძღვანელი: კ. როსტომაშვილი; თიანეთის რაიონი (1982) – ხელმძღვანელი: ქ. ბაიაშვილი; ზემო ალვანი (2004) – ხელმძღვანელი: ნ. ზუმბაძე (ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია); ახმეტის მუნიციპალიტეტი (2014) – ხელმძღვანელი: ნ. ზუმბაძე (საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი); დაღესტანი (1987), აჭარა (1988) – ხელმძღვანელი: ე. გარაყანიძე (საქართველოს მუსიკალური საზოგადოება). მ. შილაკაძის მიერ მოპოვებული ჩაჩნური (1979) და დაღესტნური (1981) მასალები ინახება მეცნიერის პირად არქივში. დაღესტნური ნიმუშები მთლიანად ხუნძურია.

განსხვავებით, ლაკონიურობითა და კომპაქტურობით გამოირჩევა; ჩრდილოკავკასიურებში სტრუქტურა გაზრდილია ერთი და იმავე ფრაზების მრავალჯერადი გამეორების ხარჯზე. განსხვავებულია მეტრიც: დაღესტნურში – მონოტონური და თანაზომიერი სამწილადი, თუშურში – უფრო თავისუფალი. კავკასიური ჰანგი ხუნძური დასაკრავის II ნახევარში ვითარდება აღმოსავლური სააზროვნო ნორმის ფარგლებში, გადიდებული სეკუნდით კილოს II საფეხურზე.

საყურადღებოა, რომ ჩემ ზალოს მონათესავე ინტონაციურ ბირთვზე აგებული სიმღერები სხვა დაღესტნელ ხალხებშიც – ლაკებსა და დარგულებში – დასტურდება. ესენია: ლაკური *განთიადი*, დარგუელი *გმაღლობ*, *საყვარელო* და *წითელი ყვავილი* (სანოტო მაგ.: №№1-3) (*Дагестанские народные песни*, 1959:135, 163, 169). დასახელებული ჰანგის სისშირე დაღესტნის ხალხებში შესაძლოა, მის ჩრდილოკავკასიურ წარმომავლობაზე მიუთითებდეს.

ერთი და იგივე ჰანგი აქვს ჩენურ *საცეკვაოს* ბალადაიკაზე და თუშეთსა და რაჭაში გავრცელებულ საცეკვაო სიმღერას *ამოდუდი*, *მარგალიტო* (იგივე *გაუსვი* და *გამოუსვი*) (აუდიო-მაგ.: №4, 5). ეს ჰანგი, რომელიც შალვა ასლანიშვილმა ჯერ კიდევ 1947 წელს დააფიქსირა თუშეთში, დღემდე მეტად პოპულარულია ქართველთა სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფს – კახელებს, მოხევეებს, ფშაველებს, თუშებსა თუ რაჭველებს – შორის (სანოტო მაგ. №4) (ასლანიშვილი, 1956:184). იგივე ინტონაცია უდევს საფუძვლად ყუშუხურ სახუმარო სიმღერას *სიყვარულის კვერთხი* (სანოტო მაგ. №5) (*Дагестанские народные песни*, 1959:92).

აღმოსავლურქართული საფანდუროების მონათესავე ორხმიანი დასაკრავები შეგვხვდა ხუნძურ ჩანაწერებში<sup>3</sup>. ამ მხრივ გამოვარჩიეთ *ძველებური ხუნძური ცეკვა-მარში* (ფანდურზე) და *შამილის ცეკვა* (აგაჩ ყუშუხზე) (აუდიომაგ.: №6, 7). *ცეკვა-მარშის* მსგავსი დასაკრავები ხშირია თუშეთში (უბრალოდ, თუშურში სამხმიანი ფრაგმენტებიც გვხვდება) (აუდიომაგ. №8). *შამილის ცეკვა* ანალოგიურია კახური საცეკვაოებისა. ორივე ხუნძურ დასაკრავში სახეზეა დიდი სეკუნდით ზევით გადახრა – კახური საფანდუროებისთვის ჩვეული მოვლენა (აუდიომაგ. №9). ქართული და ხუნძური ნიმუშების სიახლოვეს ფანდურისა და აგაჩ ყუშუხის ტემბრული მსგავსებაც განაპირობებს.

საინტერესო სურათს გვაძლევს შედარება დაღესტნური და თიანური *ბაეშვის მოხაფერებელი* ორნაწილიანი კომპოზიციებისა, რომლებშიც მდორე შესავალს მოსდევს რიტმული სათამაშო (აუდიომაგ.: №10, 11). საქართველოში ამგვარ, უსაკრავოდ შესრულებულ საცეკვაოებს *პირით დასაკრავებსაც* უწოდებენ. მცირედიპაზონიანი (3-4-ბგერიანი) ჰანგი-მოტივის გამეორებაზე აგებული, მეტრულ-რიტმულად მსგავსი, ძირითადად გლოსოლალიებით წარმოდგენილი დაღესტნურ-ქართული საცეკვაოები ინტონაციურად ახლოს დგას ამინდის მართვის აჭარულ ნიმუშებთან და რაჭულ მითვლებთან (აუდიომაგ.: №12, 13). უსაკრავოდ შესრულებული ერთ-ერთი დაღესტნური სამწილადი საცეკვაო, რომელიც შრომისას შესვენების მიზნით სრულდება, მთლიანად ეფუძნება რიტმის ხაზგამსმელ გლოსოლალიებს, უმთავრესად *ნაყუ-ნაყნაბს* (აუდიო-მაგ.: №14). მსგავსი გლოსოლალიები (მაგალითად, *ნაყუ-ნაყუ*) უხვად გვხვდება რაჭულ ანალოგიურ *საცეკვაოებში* (აუდიომაგ. №15). სხვათა შორის, რაჭაში ცეკვებიც და მათი მელოდიებიც ამ გლოსოლალიების სახელწოდებებით არის ცნობილი: *ნაყუ-ნაყუ* (ჭიორა), *დიყნო-დიყნო* (ფარახეთი), *გარნა-გარნა* (შეუბანი), *კანა-კანა*, *გაა-კია*, *გაარია-კიტა* (ხირხონისი), *განთო-კატნო* (დები) (სხიერელი, 2013:6).

თითქმის იდენტური ჰანგი აქვს ხუნძურ *სიმღერას მუიზჭ* (ფანდურის თანხლებით) და ფშაურ *ქვითინით ტირილს* (აუდიომაგ.: №16, 17). ჩვენ მიერ განხილულ არაქართულ ნიმუშთა შორის ხუნძური სიმღერა აუთენტურობასთან ერთად მაღალმხატვრულობითა და შესრულების ოსტატობით გამოირჩევა. კავშირი ჩანს ქართლ-კახურ ერთხმიან შრომის სიმღერა *ოროველასთან* (აუდიომაგ №18).

<sup>3</sup> ლაკი კომპოზიტორისა და ხალხური მუსიკის შემკრების, შირვანი ჩალაევის, აზრით, ქართული მუსიკის გავლენა განსაკუთრებით ძლიერი სწორედ ხუნძეთის ზოგიერთ რაიონშია (Чалаев, 1977:7).

<sup>4</sup> იგულისხმება დიდი ხუნძი პოეტის, მაჰმუდ კახაბროსოელის (მაგომედოვის) (1873-1919), შეყვარებული.

ფვიქრობთ, მონათესავე ჰანგი უდევს საფუძვლად დაღესტნურ *ამინდის მართვის* (წვიმის მოსაყვან) *სიმღერასა* და ლაზურ *აკენის ნანას*, თუმცა მარცვალშიდა გამღერებები მცირედ ნიღბავს დაღესტნური მელოდიის კავშირს უფრო სადა ლაზურთან (აუდიომაგ.: №19, 20). მუსიკალური ენის ელემენტები ორივეგან იდენტურ მხატვრულ სახეს ქმნის.

დაღესტნურ-ქართული პარალელები ამ ხალხთა მრავალხმიან აზროვნებაშიც ჩანს. ამას ადასტურებს ერთხმიან მღერაში მრავალხმიანობის ელემენტების არსებობა. ბანისთვის დამახასიათებელი, კილოს ქვედა VII საფეხური დაღესტნურში ათვისებულია სოლო მღერაშიც, უნისონურშიც და თვით მრავალხმიანი შესრულების დროსაც სოლისტის პარტიაში (აუდიომაგ.: №№21-23). მეტიც, ორხმიან *ხენის სიმღერაში*, რომელშიც ბანი ორი ფუნქციით (I, VII) არის წარმოდგენილი, ერთ-ერთი სოლისტი კილოს VI საფეხურსაც ითვისებს, რითაც ბანის შესაძლო ფუნქციებს აფართოებს (აუდიომაგ. №23). შესაბამის ქართულ მაგალითებად მოვიხმობთ რაჭულ სამკურნალო *იანანას* (სოლო მღერის ნიმუშს) და თუშურ სამგლოვიარო *დალაღს* (უნისონური მღერისას) (აუდიომაგ.: №24, 25).

ზემოთ აღნიშნული პარალელების გარდა, სახეხეა ერთიმეორის რეპერტუარის შესრულების ფაქტებიც. მაგალითად, უადრესად პოპულარულ სიმღერას *რა ლამაზია თუშეთი* პირდაპირი ანალოგები ეძებნება ჩეჩნურშიც და დაღესტნურშიც (აუდიომაგ.: №№26-28). ორივე ჩრდილოკავკასიური ნიმუში წარმოადგენს ქართული სიმღერის ერთგვარ „ტრანსკრიფციებს“ ბალადაიკაზე. განსხვავებულია კადანსები: ჩეჩნურში გვაქვს I-VII-I, ხოლო დაღესტნურში (I მუხლში) ამავე კადანსს ქართულ სივრცეში მხოლოდ თუშურისთვის დამახასიათებელი სახე აქვს – კვინტაში გადაწვევტამდე კვარტის შეყოვნება-გამეორებით. მოსალოდნელი “ლოგიკური” დასასრულის ნაცვლად, დასაკრავი ბოლოვდება კვარტით, კვინტაში გადაწვევტის გარეშე. თუშურ ჰანგში მუსიკალური აზრის მამოძრავებელი სეკვენციური განვითარება ჩეჩნურშიც გვხვდება, დარესტნურში კი ერთგვარად შეკუმშული სახით წარმოგვიდგება. თუშური სიმღერისთვის დამახასიათებელი თავისუფალი მეტრი უფრო მეტად დაღესტნურ დასაკრავში ჩანს; ჩეჩნური თავისი ორგანიზებული და თანაზომიერი მეტრ-რიტმით მთლიანად საკრავიერი მუსიკის სპეციფიკას ექვემდებარება. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას მღერის თუშური ტრადიციიდან მომდინარე რბილი ვიბრირების (მათ შორის, გარმონზე დაკვრისას) ჩანაცვლება დაღესტნურში მკვეთრი ტრემოლოებით, რასაც საკრავზე შესრულების მანერაც უნდა განაპირობებდეს.

ხუნძურ ნიმუშებს შორის *ქართული მოტივის* სახელწოდებით ჩაწერილია ფანდურზე შესრულებული ჰანგი პოპულარული ქართული სიმღერისა *მთაში საღამურს ვაკენესებ* (აუდიომაგ. №29). ამ მელოდიის ინტონაციური ბირთვი არაერთ თუშურ სიმღერას უდევს საფუძვლად (სანოტო მაგ.: №№6-10) (ასლანიშვილი, 1956:170, 181, 182, 188). თუმცა ყველაზე მეტად ცნობილი მარიამ არჯენიშვილისეული<sup>5</sup> ვერსიაა, რომელიც დღემდე უდერს, მათ შორის საკრავიერი ნიმუშის სახითაც (საღამურზე, ფანდურზე, ე. წ. ხალხურ საკრავთა ანსამბლებში) (აუდიომაგ. №30). ხუნძური ჩანაწერი სწორედ ამ თუშური მელოდიის გამარტივებული ვარიანტია. ჰანგმა ბრწყინვალე ასახვა პპოვა პროფესიულ მუსიკაშიც – გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, სულხან ცინცაძის, საკვარტეტო მინიატურაში *მწყემსური* (აუდიომაგ. №31).

კავკასიის ხალხებს შორის მეტად პოპულარული საცეკვაოს, *ლეზინკას*, ჰანგი დარგულ მასალებში *შილოვის* სახელწოდებით არის დაფიქსირებული (სრულდება ბალადაიკაზე) (აუდიომაგ. №32). *ლეზინკა* კავკასიის ერთგვარ მუსიკალურ სიმბოლოდ ითვლება. მსგავს კონტექსტშია წარმოდგენილი მისი ერთ-ერთი ვერსია, გაწყობილი ევროპულ მაჟორ-მინორულ სტილში, ქართულ კინოფილმში *ჯარისკაცის მამა* (აუდიომაგ. №33). ეს საცეკვაო აღმოსავლეთ საქართველოშიც ფართოდ არის გავრცელებული, როგორც *ლეკური* (ანუ დაღესტნური), თუმცა ზოგჯერ იმ კუთხის სახელიც ჰქვია, სადაც ჩაწერილია. ერთ-ერთი ასეთია 1960 წელს ხევში დაფიქსირებული *მოხეური საცეკვაო* (ფანდურზე) (აუდიომაგ. №34). ნიშანდობლივია, რომ მოცემულ

<sup>5</sup> მარიამ არჯენიშვილი (1918-1958) – ქართველი მომღერალი, ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ფანდურზე დაკვრის ოსტატი.

კილოპარმონიულ მოდელზე ხევში სხვა სიმღერებიც არის გაწყობილი, მაგალითად, *მოხვეის ქალო, თინაო* (ფანდურზე), თუმცა ასეთ დროსაც კი ჰანგის II ნახევარი სოფლური მუსიკის კანონზომიერებებს ემორჩილება (აუდიომაგ. №35). დარგული დასაკრავი ჩვენთვის ცნობილთა შორის ყველაზე ავთენტური ჩანს, რასაც მისი ორსაფეხურიანი ბანი და საბოლოო კვარტული კადანსიც ადასტურებს. ამ კონკრეტული ნიმუშის გარდა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ხშირად გვხვდება ჩრდილოკავკასიური (ან ჩრდილოკავკასიურად მიჩნეული) ჰანგები სხვადასხვა სახელწოდებით: *ქისტური საცეკაო* – თუშებში, მოხვევებში, მთიულებში, გუდამაყრელებში, თიანელ ხევსურებში; *ლეკური ნანა*, *ლეკური სიმღერა*, *ლეკური სამგ ზავრო*, *ლეკური საცეკაო*, *კავკასიური სათამაშო* – თუშებში (აუდიომაგ.: №№36-41).

ტრადიციული სიმღერა-დასაკრავების გარდა, ჩენური მასალებიდან საყურადღებოა ახალი ფორმაციის ნიმუში *სატრფიალო* (ბალადაიკაზე) (აუდიომაგ. №42). ამ ტიპის ჰანგის მელოდიურ-პარმონიულ მოდელზე (ჩვეულებრივ, საწყისი მინორული სამხმოვანებით ან კვარტსექსტაორდით, მუხლის დასასრულს დაბალი II საფეხურით) ბოლო ათწლეულებში აღმოსავლეთ საქართველოში არაერთი საავტორო ნიმუში იქმნება (აუდიომაგ. №43, ბალადაიკაზე). მუსიკალური კანონზომიერებებით ეს მოდელი არ ეწერება ტრადიციული და ქართული სააზროვნო ნორმების ფარგლებში<sup>6</sup>. ჩვენი ვარაუდით, იგი ვაინახებისგან უნდა იყოს ათვისებული, რასაც ხევსურთა ზეპირი ცნობებიც გვიდასტურებს.

დაღესტნურ ჩადანით თანხლებულ სიმღერებში საყურადღებოა ერთი საშემსრულებლო ხერხი – აღმავალი გლისანდირება დაკვრის დასრულებისას (აუდიომაგ. №44). იგი რუსული ხალხური მუსიკიდან უნდა იყოს ნასესხები. სხვათა შორის, მას წოვათუშებიც იყენებენ სიმებიან და კლავიშიან საკრავებზე (აუდიომაგ.: №45, 46). საფიქრებელია, რომ აღნიშნული ხერხი თუშებმა მეზობელი ჩრდილოკავკასიელებისგან გადმოიღეს.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ შედარებითი კვლევის შედეგად გამოვლენილი რიგი საერთო მახასიათებლებისა სხვადასხვა ნიმუშში განსხვავებული ხარისხით წარმოჩნდება. მათ შორისაა: მელოდიის დაღმავალი ტიპი, სეკვენციური განვითარება, მელიზმატიკა, ცენტრალური ტონის გამორეზანტაცია<sup>7</sup>, კილო და კილოური საყრდენები, ბურღონული ბანი, ხმათა კოორდინაცია (აკორდიკა/ინტერვალიკა), კადანსები, ერთხმიან მღერაში მრავალხმიანობის ელემენტების არსებობა, „უტექსტო“ (გლოსოლალიებით) მღერა, შესრულების მანერა. ცალკეულ ნიმუშთა სიახლოვეს რიგ შემთხვევებში ჟანრული სპეციფიკაც განაპირობებს. ზოგჯერ კი იგი აღნიშნულ კულტურათაგან ერთ-ერთისგან ნასესხობით უნდა აიხსნას. სახეზეა ასევე საკრავთა მსგავსება.

ჩენური და დაღესტნური მუსიკის კავშირს ქართულთან, კონკრეტული პარადელების გარდა, ადასტურებს ნაკლებად მსგავს ნიმუშებში გამოყენებული საერთო ლექსიკაც. მუსიკალურ ქსოვილში ხშირად მოტივის, ფრაზის, საქცევის სახით გაბნეული ეს ლექსიკური ერთეულები ზოგადკავკასიურად წოდებული ინტონაციური ბაზის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა, ცხადია, სრულად ვერ ასახავს ჩენებისა და დაღესტნის ხალხთა მუსიკის მრავალფეროვნებას და, შესაბამისად, მათ კავშირს ქართულთან, თუმცა გარკვეულწილად წარმოაჩენს ამ კულტურათა საერთო ძირებს, მათი ურთიერთგადაკვეთის გზებსა და შესაძლო/უდავო გაგლენებს.

<sup>6</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. რაზმაძე, 2014:22-23.

<sup>7</sup> „ტონიკური ბგერის“ მრავალჯერად გამეორებას ლაკურ სიმღერებში შ. ჩალაევი *ლაკურ კადანსს* უწოდებს (Чалаев, 1977:6), თუმცა ამ მოვლენას ეხვდებით ყველა იმ დაღესტნელი ხალხის (ხუნძების, ლეჩუგების, ყუმუსების, ლაკების, დარგუელების) სიმღერებში, რომლებიც შესულია კრებულში *Дагестанские народные песни*, 1959.



**ლიტერატურა:**

1. ასლანიშვილი 1956: შ. ასლანიშვილი, *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ*, II. თბილისი.
2. რაზმაძე 2014: მ. რაზმაძე, „მოდერნიზებული ფოლკლორის“ შესახებ. ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა კონფერენციის მასალები. თბილისი.
3. სხიერელი 2013: თ. სხიერელი, *ახალი ინფორმაცია რატული ხალხური მუსიკის შესახებ (2009-2012 წლების ექსპედიციების მიხედვით)*. ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა კონფერენციის მოხსენებები (მოკლე შინაარსი). თბილისი.
4. *Дагестанские народные песни* 1959: *Дагестанские народные песни*.
5. Чалаев 1977: Ш. Чалаев, *Лакские народные песни*. В обработке для голоса и фортепиано. Москва.

**აუდიომაგალითები**

1. *ღირიკული სიმღერა*. დადესტანი, 1987.
2. *ძველებური ხუნძური მელოდია* (ჩაღანასა და აგან ყუმუზზე). დადესტანი, 1981.
3. *ჩემ ზალოვ*. შემსრულებელი: ნატალია ზუმბაძე. ჩამწერი: ქეთევან მათიაშვილი. თბილისი, 2015.
4. *საცეკვაო* (ბალადაიკაზე). ჩაჩნეთი, 1979.
5. *ამოდუდი, მარგალიტო* (ჭიანურის თანხლებით). ჩამწერი და შემსრულებელი: თორნიკე სხიერელი. თბილისი, 2015.
6. *ძველებური ხუნძური ცეკვა-მარში* (ფანდურზე). შემსრულებელი მაგომედ ომაროვი. დადესტანი, 1981.
7. *შაშილის ცეკვა* (აგან ყუმუზზე). შემსრულებელი რამაზან მაგომედოვი. დადესტანი, 1981.
8. *თუშური* (ფანდურზე). შემსრულებელი ვალერიან ცალუდელაშვილი. ზარიძეები, 1959. *ქართული ხალხური მუსიკა*. პროექტი *ქართული ხალხური სიმღერის ახალორძინებლად*. აღმოსავლეთი საქართველო, დისკო 4, №20. თბილისი, 2007.
9. *სალხინო* (ფანდურზე). შემსრულებელი ვანო მჭედლიშვილი. 1930-1950-იანი წლების ჩანაწერებიდან. [www.alazani.ge/base/vanomchedlishvili/V.M.\\_-salkhino.mp3](http://www.alazani.ge/base/vanomchedlishvili/V.M._-salkhino.mp3)
10. *ბავშვის მოსაფერებელი*. დადესტანი, 1987.
11. *ბავშვის მოსაფერებელი*. Ensemble Mzetamze. *Traditional Songs of Georgian Women*, Vol. II. N15. Face Music Switzerland, 2000.
12. *ახ, ლაზარე, ლაზარე*. შემსრულებელი: ნ. ზუმბაძე. ჩამწერი ქ. მათიაშვილი. თბილისი, 2015.
13. *მითვლა ლეონაზე*. შემსრულებელი როლანდ ბიძიშვილი. გლოლა, 1962.
14. *საცეკვაო*. დადესტანი, 1987.
15. *საცეკვაო*. ჩამწერი და შემსრულებელი თ. სხიერელი. თბილისი, 2015.
16. *სიმღერა მუიზე* (ფანდურის თანხლებით). შემსრულებელი ზუბაირი თაიმასხანოვი. დადესტანი, 1981.
17. *ქვითინით ტირილი*. Ensemble Mzetamze. *Traditional Songs of Georgian Women*, Vol. I. N19. Face Music Switzerland, 1996.
18. *ორველა*. შემსრულებელი ვანო მაილაშვილი. ქისტაური. 1963. *ქართული ხალხური მუსიკა*. პროექტი *ქართული ხალხური სიმღერის ახალორძინებლად*. აღმოსავლეთი საქართველო, დისკო 3, №3. თბილისი, 2007.
19. *ამინდის მართვის სიმღერა*. დადესტანი, 1987.
20. *პანანი*. შემსრულებელი მაგილე თანდილავა. სარფი, 1963.
21. *ღირიკული სიმღერა*. დადესტანი, 1987.
22. *რელიგიური სიმღერა*. დადესტანი, 1987.
23. *ხენის სიმღერა*. დადესტანი, 1987.
24. *იავნანა*. შემსრულებელი დარიკო ბიჭაშვილი. ჭრებალო, 1962.
25. *დალაა*. შემსრულებელი ეტო ხაჩიძე. შენაქო, 1947. ხმები წარსულიდან. *ქართული ხალხური მუსიკა ფონოგრაფის ცვილის ლიდვაკებიდან*. დისკო 7, №24. თბილისი, 2007.
26. *რა ლამაზია თუშეთი* (გარმონის თანხლებით). შემსრულებელი მარიკა ჩაგოშვილი. ზემო ალვანი, 2004.

27. *სატრფიალო* (ბალადაიკაზე). ჩენეთი, 1979.
28. *დასაკრავი* (ბალადაიკაზე). დადესტანი, 1987.
29. *ქართული მოტივი* (ფანდურზე). შემსრულებელი რ. მაგომედოვი. დადესტანი, 1981.
30. *მწკემსური* (ფანდურზე). დამუშავებული მ. არჯენიშვილის მიერ. *ხაზის რადიო*. 18.11.2014. *მარიამ არჯენიშვილი*, I ნაწილი. [www.youtube.com/watch?v=8WiSiPNCCs](http://www.youtube.com/watch?v=8WiSiPNCCs)
31. ს. ცინცაძე, *მწკემსური*. 1951. [www.music7s.com](http://www.music7s.com)
32. *შილოვი* (ბალადაიკაზე). დადესტანი, 1987.
33. ს. ცინცაძე. მუსიკა კინოფილმიდან *ჯარისკაცის მამა*. 1964. [www.youtube.com/watch?v=gtFZGgC5WOA](http://www.youtube.com/watch?v=gtFZGgC5WOA)
34. *მოხეური საცეკვაო* (ფანდურზე). შემსრულებელი გიგო ჩქარეული. თარგმანი, 1960.
35. *მოხევის ქალო თინაო* (ფანდურზე). შემსრულებელი გ. ჩქარეული. თარგმანი, 1960.
36. *ქისტური საცეკვაო* (ფანდურზე). შემსრულებელი გ. ჩქარეული. თარგმანი, 1960.
37. *ქისტური საცეკვაო* (გარმონზე). ქვეშეთი, 1961.
38. *ქისტური საცეკვაო* (ფანდურზე). შემსრულებელი რომან ქისტაური. ღულებები, 1959.
39. *ღეკური ნანა*. შემსრულებელი მარიამ ბეწუნაიძე. ზემო ალვანი, 2014.
40. *ღეკური საცეკვაო* (გარმონზე). შემსრულებელი რეპო ალხანაიძე. ზემო ალვანი, 1967.
41. *კაკასიური სათამაშო* (ბალადაიკაზე). შემსრულებელი ნიკოლოზ შავხელიშვილი. ზემო ალვანი, 2014.
42. *სატრფიალო* (ბალადაიკაზე). ჩანეთი. 1979.
43. *დასაკრავი* (ბალადაიკაზე). შემსრულებელი მ. ჩაგოშვილი. ზემო ალვანი, 2004.
44. *სიმღერა* (ჩადანის თანხლებით). დადესტანი, 1987.
45. *სახიმღერო* (ბალადაიკაზე). შემსრულებელი ნ. შავხელიშვილი. ზემო ალვანი, 2004.
46. *სიმღერა ჭიჭოშვილზე* (გარმონზე). შემსრულებელი გივი კალატოზიშვილი. ზემო ალვანი, 2004.

**N. Zumbadze** (Tbilisi)

**K. Matiashvili** (Tbilisi)

### **On Some Parallels of Georgian Traditional Music with Chechen and Daghestani Music**

**(Attempt for the comparative study of expedition audio recordings)**

A number of significant works of the Georgian scholars (V. Akhobadze, S. Aslanishvili, T. Mamaladze, V. Gvakharia, O. Chijavadze, N. Maisuradze, M. Shilakadze, etc.) has been dedicated to the separate issues of interrelation between Georgian and North Caucasian peoples' traditional music and their comparative study since the 1950s. Given theme continues the most necessary research started by them; it deals with the parallels of Georgian with Chechen and Daghestani traditional music<sup>1</sup>.

The theme is based on the audio materials recorded in various regions of Georgia and North Caucasus (Chechnya and Daghestan) by the field expeditions from 1958 until 2014<sup>2</sup>. Their comparison, unlike the notated material, allows to better observe and carry out detailed musical analysis, especially of performance issues. Despite the fact that non-Georgian musical examples are not supplied with necessary information, the existing material is sufficient to make noteworthy conclusions.

The Georgians have centuries-old political, socio-economical and cultural relations with the Vainakhs and Daghestanis. At different stages of history these relations were different. They continue until today to certain extent.

These relations have also been reflected in music. The non-Georgian examples that we have studied, clearly show most obvious affinity with Tushetian music. Two examples recorded in Daghestan at various times: a *Lyrical song* and instrumental piece *Old Khundz melody on chaghana and agach qumuz* are encountered in kindred melody of Tushetian dirge *Chem zalo (O, my daughter-in-law)* (audio ex.: NN1-3). Moreover, the first part of the Daghestani example is identical to the first part of the Tushetian one. Tushetian example, unlike the Daghestani ones, is distinguished in laconic and compact development of musical idea, whilst in North Caucasian examples the structure is increased at the expense of multiple repetitions of the same phrases. Also different is meter – in Daghestani example it is monotonous and is in the meter of three, in Tushetian it is freer. In the second half of the Khundz piece Caucasian melody develops within the norm of Eastern thinking on step II of the mode with augmented second.

It should be noted that the songs constructed on the intonation nucleus related to *Chem Zalo* are also encountered among other Daghestani peoples: Lak *Dawn*, Dargin *Thank you, my beloved* and *Red flower* (notated

<sup>1</sup> English version of this issue with some changes has been published in the refereed electronic scientific journal *Musicology and Cultural Science*. 2015, 1 ([www.gesj.internet-academy.org.ge](http://www.gesj.internet-academy.org.ge)) of Tbilisi State Conservatoire The parallels of Georgian traditional music with Circassian, Karachai and Abkhazian music are discussed in our publication *Caucasian Peoples' Polyphony and its Relation with Georgian Polyphony (according to the audio album – The Music of the Caucasian Peoples – from the phonogram archives of Tbilisi State Conservatoire)*. *The Fifth International Symposium on Traditional Polyphony. Proceedings*. Tbilisi, 2012:133-154.

<sup>2</sup> These field expeditions are: Gudamaqari (1958), Tianeti district (1959), Khevi (1960), Mtiuleti (1961), Racha (1962) – led by M. Zhordania; Sarpi (1963) – led by G. Chkhikvadze; Zemo and Kvemo Alvani (1967) – led by K. Rosebashvili; Tianeti district (1982) – led by K. Baiashvili; Zemo Alvani (2004) – led by N. Zumbadze (Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire); Akhmeta municipality (2014) – led by N. Zumbadze (The Folklore State Centre of Georgia); Daghestan (1987), Achara (1988) – led by E. Garaqanidze (Georgian Musical Society). Chechen (1979) and Daghestani (1981) materials collected by M. Shilakadze are kept in the scientist's personal archive. All the Daghestani examples are completely Khundz.

ex.: NN1-3) (*Dagestanskije narodnye pesni*, 1959:135, 163, 169). The frequency of the afore-mentioned melody among Daghestani peoples might indicate to its North-Caucasian origin.

Similar is the melody of Chechen *Dance melody* on *balalaika* and dance-song *Amodughdi, margalito* (*Come up o, pearl*), the same as *Gausvi da gamousvi* (*Dance!*) spread in Tusheti and Racha (audio ex.: N4, 5). This tune documented by Shalva Aslanishvili in Tusheti in 1947 is still popular among different ethnographic groups of Georgia – Kakhétians, Mokhevians, Pshavians, Tushetians and Rachans (notated ex. N4) (Aslanishvili, 1956:184). The same intonation lies in the foundation of Kumyk humorous song *Love wand* (notated ex. N5) (*Dagestanskije narodnye pesni*, 1959:92).

Among Khundz recordings we encountered two-part instrumental pieces kindred to East Georgian instrumental pieces for *panduri*<sup>3</sup>. We selected two samples – *Old Khundz dance-march* on *panduri* and *Shamil's dance* on *agach qumuz* (audio ex.: N6, 7). Instrumental pieces like *Dance-march* are common in Tusheti (three-part fragments are also documented in Tushetian) (audio ex. N8). *Shamil's dance* is analogous to Kakhétian dance melodies. In both Khundz melodies obvious is the deviation of the M2 above – usual for Kakhétian *panduri* pieces (audio ex. N9). The proximity of Georgian and Khundz examples is also determined by the timbre similarities of *panduri* and *agach qumuz*.

Interesting is the comparison of Daghestani and Tianetian two-part compositions for caressing a child, in which monotonous, calm introduction is bound to rhythmic dance tune (audio ex.: N10, 11). In Georgia such dance examples without instrumental accompaniment are also referred to as mouth-performed. Meter-rhythmically kindred Georgian and Daghestani dance, constructed on the repetition of small-range (with 3-4 sounds) tunes, basically presented by glossolalia are intonationally close to Adjarian weather change examples and Rachan bird catching songs (audio ex.: N12, 13). One such Daghestani three-measure dance without instrumental accompaniment, which is performed in the working process as a break, is entirely constructed on glossolalia underlining the rhythm (mostly *naqe-naqenai*) (audio ex. N14). Similar glossolalia are abundantly encountered in Rachan similar dance melodies (e.g. *naqu-naqu*) (audio ex. N15). Here we would like to note that in Racha both dances and their tunes are known by the name of these glossolalia: *naqu-naqu* (village of Chiora), *digno-digno* (village of Parakheti), *garna-garna* (village of Sheubani), *kana-kana*; *gaa-kia*; *gaaria-kita* (village of Khirkhonisi), *ganto-katno* (village of Ghebi) (Skhiereli, 2013:6).

Almost identical is the tune of Khundz *Song about Mu*<sup>4</sup> with *panduri* accompaniment and Pshavian *Kvitinit tirili* (*Dirge with sobbing*) (audio ex.: N16, 17). Among the non-Georgian examples we have discussed, the Khundz example is distinguished in authenticity, high artistry and mastery of performance. Also observed is the relation to Kartli-Kakhétian single-part work song *Orovela* (ploughman's song) (audio ex. N18).

We think that kindred melody is laid in the foundation of Daghestani *Weather changing song* (entreating for rain) and Laz lullaby *Hanani*. Singing within syllables slightly disguises the connection of Daghestani melody with simpler Laz melody, but the elements of musical language create identical artistic image in both (audio ex. N19, 20).

The Daghestani-Georgian parallels are also evident in the polyphonic thinking of these peoples. To this testifies the existence of the polyphonic elements in single-part singing. Low step VII of the mode (typical for the bass part) in Daghestani is mastered in solo singing as well, both in unison and polyphonic performance in soloist's part (audio ex.: NN21-23). Moreover, in two-part *Ploughing song* in which the bass is presented with two functions (I, VII), one soloist conquers step VI of the mode as well, thus expanding the possible functions of the bass (audio ex. N23). Here are two Georgian corresponding examples: solo singing – Rachan healing *Iavnana* and unison – Tushetian dirge *Dalai* (audio ex.: N24, 25).

Alongside the afore-mentioned parallels obvious are the cases of performing each-other's repertoire. For instance, the popular song *Ra Lamazia Tusheti* (*How beautiful Tusheti is*) has direct parallels both in Chechen and Daghestani music (audio ex.: NN26-28). Both North-Caucasian examples are "transcriptions" of the Georgian song

<sup>3</sup> According to Shirvani Chalaev – Lak composer and folk music collector, the influence of Georgian music is particularly strong in some Khundz regions (Chalaev, 1977:7).

<sup>4</sup> The reference here is made to the sweetheart of Mahmud of Kakhabroso (Magomedov) (1873-1919) – great Khundz poet.

on *balalaika*. Different are the cadences: in Chechen it is I-VII-I, in Daghestani (I stanza) it is the same as characteristic of only Tushetian musical dialect in all-Georgian musical space – with repetition-delay of the fourth before resolution to the fifth. Instead of the expected "logical" ending, the example ends in the fourth, without resolving to the fifth. In Chechen example maintained is sequential development of the musical idea of Tushetian melody, in Daghestani variant it is sort of compressed. The free meter characteristic of Tushetian song is more obvious in Daghestani example. The Chechen variant completely obeys the specificity of instrumental music with its organized and balanced meter-rhythm. This can explain the replacement of soft vibration in Tushetian song tradition (even in *garmoni* performance) by sharp tremolos in Daghestani piece, probably determined by the manner of instrumental performance as well.

